დავით გურიშვილი

ჩანაფიქრები

„ნაკადული“
თბილისი * 1968

90 (C 41) (092)
90 (47.922) (092 ჯავახიშვილი ივ)
ჯ 456

მშობლები, ბავშვობა და ყრმობა, გიმნაზიის წლები

ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილი დაიბადა 1876 წლის 11 (23) აპრილს, ქალაქ სიღნაღში. მამამისი ალექსანდრე ივანეს ძე ჯავახიშვილი პედაგოგი იყო და სამეცნიერო მოღვაწეობასაც ეწეოდა. მის ნაშრომს გორის შესახებ დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. ივ. ჯავახიშვილის დედა სოფიო ათანასეს ასული ეახვახიშვილი „მაღალი, ტანადი, ნაზი და დარბაისელი მანდილოსანი იყო. მის ჭკვიან და ალერსიან თვალებში — რომელთაც ხანდახან სევდა გადაჰკრავს ოდნავად და რომელნიც თითქოს თქვენ სულში იცქირებიანო — დიდი სითბოა და მიმზიდველობა“,—წერს ივ. ჯავახიშვილის სიყრმის მეგობარი პოეტი კოტე მაყაშვილი.[1]

ალექსანდრე ჯავახიშვილი, როგორც ქართველი პატრიოტი, შვილებს ქართულ წესსა და რიგზე ზრდიდა, სამშობლოს წარსუ-

[1] კოტე მაყაშვილი, ივანო ჯავახიშვილი, ჩვენი მეცნიერები, № 17-18, 1926, გვ. 2.

ლისადმი ინტერესს უღვიძებდა, ქართული ენის სიყვარულს უნერგავდა; ოჯახში ნიადაგ ქართული ისმოდა. ალექსანდრე ჯავახიშვილი ყველა ქართულ ჟურნალ-გაზეთს ღებულობდა. როგორც ივანე ჯავახიშვილის მოგონებიდან ჩანს, მათ ბიბლიოთეკაში „ყველა წიგნი მოიპოვებოდა, რაც კი კავკასიაში და საქართველოში იყო გამოცემული".

მშობლიური ხალხისადმი სიყვარული ივ. ჯავახიშვილს ბავშვობაშივე ჩაენერგა.

1885 წელს ივ. ჯავახიშვილი თბილისის პროგიმნაზიაში შევიდა, ხოლო 1888 წელს გიმნაზიის მეორე კლასში იქნა მიღებული, სადაც 1895 წლამდე სწავლობდა. ეს პერიოდი მრავალმხრივ საინტერესო ხანა იყო ივ.ჯავახიშვილის ცხოვრებაში.

ქართული კულტურის სიყვარულისა და თაყვანების პირობებში აღზრდილ ივანესათვის გიმნაზიის რეჟიმი აუტანელი გამოდგა. მაშინდელ გიმნაზიაში იდევნებოდა ყოველივე პროგრესული, ქართული, ეროვნული. გიმნაზიისადმი ივანე ჯავახიშვილის დამოკიდებულების შესახებ ძვირფას ცნობას გვაწვდის მისი სიყრმის მეგობარი ივანე თეოდორეს ძე ნიჟარაძე: „გიმნაზია ვანოს არ მოსწონდა, სწავლობდა კი კარგად. გარუსების ტენდენცია და ქართული კულტურის დევნა სულს უხუთავდა ქართველ შეგნებულ მოწაფეობას".[1]

ივანე ჯავახიშვილი გიმნაზიის გარეთ ახერხებდა ქართული კულტურისა და ისტორიის შესწავლას. ივანე ნიჟარაძის სიტყვით: „შეგნებული ქართველი ახალგაზრდობა დამოუკიდებლივ სწავლობდა თავის ენასა და კულტურას; მათ შორის საუკეთესო წარმომადგენელი იყო ვანო. მას უკვე გიმნაზიაში ჰქონდა გადაწყვეტილი. რომ უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტის ქართულ-სომხურ განყოფილებაზე შევიდოდა. ვანო ძალიან ნაკითხი იყო. ამ მხრივ დიდი ღვაწლი მიუძღვის მის ძვირფას დედ-მამას, რომლებმაც ჩაუნერგეს თავის შვილებს ქართული კულტურის სიყვარული. ჩემის თვალით მინახავს, როგორ ცდილობდნენ ძმები (ვანო, გიორგი,

---

[1] ივ. ნიჟარაძემ ჩემი თხოვნით დაწერა მოგონებანი ივ. ჯავახიშვილზე, ამ მოგონებათა ერთი ცალი ჩემთან ინახება, ერთი ცალი — ივ. ჯავახიშვილის კაბინეტში.

მიშა და დათა) უფრო ადრე წაეკითხათ შინ მიტანილი ქართული ჟურნალ-გაზეთები, ვიდრე შეუდგებოდნენ გიმნაზიის გაკვეთილების შესწავლას".

გიმნაზიაში ივ. ჯავახიშვილს ყველაზე უფრო ისტორია იტაცებდა. გ. ფონდოევი გადმოგვცემს: „განსაკუთრებით უყვარდა ვანოს ისტორია. თვით ისტორიის მასწავლებელსაც უყვარდა მოსმენა ვანოს პასუხებისა, რომლებიც არასოდეს არ იყო გაზეპირებული და ტრაფარეტული; ეს პასუხები ყოველთვის ამომწურავად გადმოგვცემდნენ იმ ეპოქის სულს, რომელზედაც მოგვითხრობდა ვანო".[1] ივანე ჯავახიშვილი მაშინ იმდენად გატაცებული ყოფილა ისტორიით, რომ საგულისხმო რეფერატებსაც წერდა. მაგალითად. მას ჯერ კიდევ მაშინ წაუკითხავს მოხსენება: „ანდრია მოციქულის მოგზაურობა საქართველოში". ივანე ნიჟარაძის გადმოცემით. „აძია შეძლევ ვანომ მეორე რეფერატიც წაიკითხა ინგლისელი ისტორიკოსის ბოკლის შესახებ".

გიმნაზიის წლებშივე ივ. ჯავახიშვილს შეუმუშავდა შეხედულება: როგორც არ შეიძლება ისტორიული წყაროსა და ფაქტის უკრიტიკოდ მიღება. ასევე შეუწყნარებელია ისტორიული ფაქტების ხელაღებით უარყოფა.

ი. ნიჟარაძის გადმოცემით, როცა ვანომ წაიკითხა რეფერატი „ანდრია მოციქულის მოგზაურობა საქართველოში", მარიამ იოსების ასული (ეს იყო ივ. ჯავახიშვილის ნათესავი, ცნობილი ხალხოსნის იოსებ ჭრისტეფორეს ძე მამაცაშვილის ქალიშვილი) შეეკამათა ვანოს ამ ფაქტის სინამდვილეზე. მას, როგორც ხალხოსნურად განწყობილ ქალს, არაფერი ქრისტიანული არა სწამდა. ვანო არ იზიარებდა ისტორიული ფაქტების ასე უსაფუძვლოდ უარყოფას". ·

კოტე მაყაშვილი იგონებს: „შეხვედრის დროს ჩვენი ბაასის თემა ყოველთვის ერთია: საქართველო, მისი წარსული, აწმყო, მისი ლიტერატურა და სხვ."[2]

როგორც ცნობილია, ქართველი ხალხოსნების პოლიტიკური მი-

---

[1] ციტირებულია ს. უაუხჩიშვილის წერილიდან—ივანე ჯავახიშვილი, მნათობი, 1948 № 3, გვ. 114.

[2] კოტე მაყაშვილი, დასახ. შრომა, გვ. 3.

ზანსწრაფვა გაკოტრდა. ბოლო ხალხოსანთა ჯგუფები დაიშალა. ვინც გადარჩა დაპატიმრებას, ან პატიმრობიდან დაბრუნდა, ბრძოლის მეთოდი შეცვალა და ქართველი ხალხის ეროვნული შეგნების გამოღვიძებას კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობით შეეცადა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა გორის მაზრა, ივ. ჯავახიშვილის სამშობლო. სოფრომ მგალობლიშვილის სიტყვით „მასწავლებლები შეეუდექით სკოლაში ახალი სიოს შეტანას, უფროს კლასებში, სადაც უკვე 14-15 წლის ყმაწვილები ისხდნენ, შეგვქონდა რევოლუციური შინაარსის ნაწერები, მოთხრობები, ლექსები... ვაცნობდი ქართული მწერლობის და ენის დევნა-შევიწროვებას მონარქიული რეჟიმისაგან, ვუკითხავდი შესანიშნავ ისტორიულ ამბებს, რომელსაც მე თვით საგანგებოდ ვამზადებდი. ბავშვებს შეუყვარდათ ქართული ისტორია, სამშობლო, დედა ენა, ქართული მწერლობა“.[1]

განსაკუთრებით გახშირდა მაშინ სოფლებში საღამო-წარმოდგენების გამართვა.

ქართული საღამო-წარმოდგენები, ეროვნული ცეკვა-კონცერტები ახალგაზრდობაში, ხალხში, აღვიძებდნენ ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის იდეას. 1887 წლის 26 აპრილს გორს ეწვია ლადო აღნიაშვილის მომღერალთა გუნდი. ამის შესახებ გორიდან იწერებოდნენ: „როდესაც პირველად დავინახეთ მომღერალთა გუნდი სცენაზე ქართულის მამა-პაპეულის ტანისამოსით, გამოუთქმელს აღტაცებას და ნეტარებას მიეცით. მე, ამ სტრიქონების დამწერი, ისე ავღელდი, ისე ზე აღვიზიდე, რომ ქვეყნად აღარა ვგრძნობდი თავსა. გული ამიდუღდა, ამიჩუხჩუხდა და უნებლიეთ თვალთაგან ცრემლის ნაკადი წამსქდა. მე მგონია, რომ ყველა ქართველი ამ ყოფაში იქნებოდა, როცა პირველად დაინახავდა ხოროს, რომელიც შეუდგა მამაპაპეულ სიმღერათა აღდგენას“.[2]

ასეთი მოძრაობა — მისწრაფება მშობლიური ხელოვნებისა, კულტურისა და ენა-ისტორიის შესწავლისაკენ—მარტო გორში როდი იყო, იგი თანდათან ფეხს იკიდებდა საქართველოს ყველა კუთხეში. ქართველი ხალხი უკეთესი მომავლისათვის ემზადებოდა.

---

[1] ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, გვ. 84—85.

[2] ივერია, 1887 წ., გვ. 87.

ბუნებრივია, რომ ფართოდ გათვითცნობიერებული ივ. ჯავახიშვილი, რომელიც დიდ დროს ანდომებდა გარეშე ლიტერატურისა და ჟურნალ-გაზეთების კითხვას, მოწინავეთა გულისნადებს ადვილად მიხვდებოდა. ამით უნდა აიხსნას ის გატაცებული მუშაობა კულტურულ-საგანმანათლებლო ასპარეზზე, რომელსაც ეწეოდა იგი მე-19 საუკუნის 90-იან წლებში.

კოტე მაყაშვილის გადმოცემით, ივ. ჯავახიშვილი გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სოფელ ხოვლეში გაემგზავრა და უნივერსიტეტში მესასვლელად დაიწყო მზადება. მაგრამ ივანე მაინც პოულობდა დროს ახალგაზრდებთან საუბრებისათვის. „ახალქალაქში ბევრი ნაცნობი და ნათესავი ჰყავს. ახალგაზრდობა იკრიბება ვისთანმე. შუაში ვანო უზის. იგი ჩემთვის უკვე ნაცნობი გატაცებით უამბობს დამსწრეთ საქართველოს წარსულზე, აწმყოსა და მომავალ პერსპექტივებზე; მოუწოდებს ახალგაზრდობას, შექმნას სამეცნიერო, სალიტერატურო, სამეურნეო და სხვა წრეები... გაათავებს ბაასს. მერე შესკუპდება თავის ცხენზე და ნახევარ საათში ისევ თავს ამოჰყოფს მშობლიურ სოფელში, სადაც იგი მოღვაწეობს ამგვარადვე და თან მეცადინეობს. იგი ხშირი სტუმარია ტაძართა, სასახლეთა და ციხეთა ნანგრევებისა. მის ცნობისმოყვარე თვალს არა გამოეპარება რა. ჭაბუკს უკვე შეძენილი აქვს დიდი მასალა და იგი შედის უნივერსიტეტის შენობაში გაბედულად, თავისი ძალის მოიმედე".[1]

კიდევ უფრო საგულისხმოა ი. ნიჟარაძის მოგონება: „ზაფხულს ვატარებდით ხოვლეში (სოფელი სადგურ გრაკალთან). იქ ვაწყობდით რეფერატების კითხვას, სიმღერა-გართობებს, წარმოდგენებს და გათხრებს. ვანოს ნათესავმა, ცნობილი ხალხოსნის იოსებ ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილის ქალიშვილმა მარიამ იოსების ასულმა ჯავახიშვილისამ, თავის ორსართულიან სახლში დაგვითმო ერთი ოთახი, ქვედა სართულში; ის ოთახი გადავაქციეთ ბიბლიოთეკა-სამკითხველოდ და იქ ვიკრიბებოდით"; ი. ნიჟარაძე განაგრძობს: „დავადგინეთ, რომ მეორე დღეს წავიდოდით გათხრებზე. დილით ხოვლეს ახალგაზრდობა—შეიარაღებულნი ბარებით, თოხებით და წერაქვებით — ვანოს ხელმძღვანელობით მიედიოდით ხოვლეს ზევით ბლო-

[1] კოტე მაყაშვილი, დასახ. შრომა, გვ. 3.

მად მოფენილ ნანგრევებზე (ნასოფლარი). უფრო კი ეკლესიის ნანგრევებზე დავიწყებდით თხრას. თოხის ან წერაქვის ყოველი მოქნევა უნდა ყოფილიყო ფრთხილი და მოხერხებული, რომ არ გაგვეფუჭებინა ამოთხრილი ნივთი. ბარებით ასევე ფრთხილად მიწას გადავყრიდით ხოლმე და ამოვიღებდით ან ჩუქურთმიან, ან სურათებიან ქვას წარწერით. აქ უნდა გენახათ ვანოს აღტაცება. მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. გეგონებოდა, ვანო უძვირფასეს მეგობარს შეხვდაო. გათხრების შემდეგ ზეიმით მოვდიოდით შინ, ნაპოვნი ქვა მოჰქონდა ან თვითონ ვანოს, ან ისეთ სანდო პირს, რომელიც ქვას ფრთხილად წამოიღებდა. საღამოს გრძელდებოდა სიმღერა და ცეკვა კალოზე, რასაც ყოველთვის ესწრებოდნენ კავსაძეები".

ამგვარად, ივ. ჯავახიშვილი სიყრმიდანვე ხალხთან არის, ცდილობს, რითაც შეუძლია, ხალხს დაეხმაროს. ყოველგვარი კეთილი საქმისადმი მისწრაფება, განვითარების ფართო ჰორიზონტი, მეგობრებისადმი გულთბილი დამოკიდებულება ივ. ჯავახიშვილს მეგობართა შორის პირველ ადგილზე აყენებდა და მის სიტყვას იჯერებდნენ არა მარტო თანატოლები, არამედ უფროსებიც.

გიმნაზიის დირექციაც ივ. ჯავახიშვილს ახასიათებდა, როგორც პატიოსან, ზრდილობიან და შრომისმოყვარე ახალგაზრდას. „...იგი არის, — ვკითხულობთ გიმნაზიის მიერ გაცემულ დახასიათებაში. — მშვიდი, თავაზიანი, რის გამო ყველას უყვარს. ჯავახიშვილი დაჯილდოებულია ბუნებრივი ნიჭით, მასთან ძლიერ შრომისმოყვარე და მუყაითია... ბევრს კითხულობს და ფრიად ნაკითხია. კარგად უკრავს ვიოლინოს და გატაცებულია ამითი. ის საუკეთესო და მეტად თავაზიანი ახალგაზრდაა არა მარტო უფროსების, არამედ ტოლებისა და უმცროსების მიმართაც."[1]

თავაზიანობა, ხალხის გულწრფელი სიყვარული, შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულება სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ახასიათებდა ივანე ჯავახიშვილს.

---

1 საქ. მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტის ივ. ჯავახიშვილის კაბინეტის ფონდი.

ივანე ჯავახიშვილი რუსეთში

პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი

თბილისის პირველი გიმნაზია ივანე ჯავახიშვილმა 1895 წელს დაამთავრა. ამ დროისათვის მას თავისი მომავალი უკვე გარკვეული ჰქონდა.

1895 წლის აგვისტოში ივ. ჯავახიშვილი პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის სომხურ-ქართულ-ირანულ განყოფილებაზე შევიდა. აქ ის სპეციალურ საგნად საქართველოსა და სომხეთის ისტორიას ირჩევს, მაგრამ ისტორიულ-ფილოლოგიურსა და იურიდიულ ფაკულტეტებზეც ესწრება ლექციებს. მაშინ პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი ერთ-ერთ ძლიერ ფაკულტეტად ითვლებოდა და იქ გამოჩენილი მეცნიერები მუშაობდნენ. უნივერსიტეტში ივანე ისმენს სხვადასხვა კურსებს: სომხურ ენასა და ლიტერატურას—ნ. მართან, ქართულ ენასა და ლიტერატურას — ალ. ცაგარელთან, სპარსულ ენასა

და ლიტერატურას — ჟუკოვსკისთან, აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის ზოგად კურსს — ვესელოვსკისთან, რუსეთის ისტორიას — პლატონოვთან, სირიულ ენას — კოკოვცოვთან და სხვ. ამასთან ერთად სპეციალურ სემინარებშიაც მუშაობდა: ალ. ცაგარელის, ე. როზენის, ნ. მარისა და პ. კოკოვცოვის ხელმძღვანელობით.

თავისი ნაკითხობითა და ქართული ისტორიულ-ფილოლოგიური ძეგლების კარგი ცოდნით ივ. ჯავახიშვილმა ადრევე მიიპყრო სპეციალისტების ყურადღება. 1901 წელს ნ. მარი ი. ჯავახიშვილის შესახებ წერდა: „უნივერსიტეტში შემოსვლისთანავე ჯავახიშვილი ამჟღავნებდა ქართული ლიტერატურის გამოცემული ძეგლების გარკვეულ ცოდნას, რაც ჩემს მიერ შემჩნეული იყო პირველ ლექციებზევე. შემდგომმა მუშაობამ ამ მიმართულებით მას საგრძნობი მიღწევები მოუპოვა. მისი ამ მიღწევების შესახებ მეცნიერულ ქართველოლოგიაში მე ვმსჯელობ საკუთარი დაკვირვების საფუძველზე". ნ. მარი აღნიშნავდა, ივანე ჯავახიშვილი ერთნაირ ინტერესსა და წარმატებას იჩენს როგორც ქართულ, ისე სომხურ ენასა და ლიტერატურის ისტორიაშიო.

შრომისადმი სიყვარულისა და სწავლით ასეთი გატაცების გამო ნიკო მარმა სტუდენტი ივ. ჯავახიშვილი დაიახლოვა და არა მარტო საუნივერსიტეტო ლექციებსა და სემინარებში ამეცადინებდა მას, არამედ ბინაზეც იწვევდა და დამატებით საათებს უტარებდა. ნ. მარმა გაითვალისწინა ივანე ჯავახიშვილის საღი ნიჭი, ფართო ნაკითხობა, მეცნიერებისადმი უანგარო თავდადება და 1899 წლის 20 მაისს საპროფესოროდ მოსამზადებლად უნივერსიტეტში მისი დატოვება მოითხოვა.

1898 წელს ივ. ჯავახიშვილმა წარადგინა ნაშრომი — „ანდრია მოციქულისა და წმ. ნინოს მოღვაწეობა საქართველოში". უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ ნაშრომი მოიწონა და მისი ავტორი ოქროს მედლით დააჯილდოვა.

უნივერსიტეტში ყოფნის დროს ის, გარდა სპეციალური საგნებისა, დამატებით ისმენდა ხელოვნების ისტორიას, სამართლის ისტორიას და, როგორც ნ. მარი ამბობს, საორიენტალისტიკო და საერთო განათლების გაფართოების მიზნით ცდილობდა წაეკითხა ლექციების დროს რეკომენდებული ლიტერატურა.

ისე როგორც გიმნაზიაში სწავლის დროს, უნივერსიტეტშიც ივ. ჯავახიშვილი მარტო აკადემიზმით არ იყო გატაცებული და ფართო მუშაობას ეწეოდა ქართველ სტუდენტებთან. აქაც იგი ქართული კულტურის საუკეთესო პროპაგანდისტი იყო. ი. ნიჟარაძე იგონებს: „1895 წელს ვანომ და მე გავათავეთ გიმნაზიის კურსი და ერთად გავემგზავრეთ ლენინგრადში (მაშინდელ პეტერბურგში). ვანო შევიდა აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე, მე ისტორიულ-ფილოლოგიურზე; დავსახლდით, ესე იგი ვიქირავეთ ოთახი ერთად, ყაზანის ქუჩაზე № 15. ამ წლის სექტემბერშივე ჩვენს ბინაზე ვანოს მეთაურობით შედგა ქართველ სტუდენტთა საერთო კრება; ჩამოყალიბდა ქართული სათვისტომო (Землячество), ამოირჩიეს გამგეობა, ხაზინადარი და ბიბლიოთეკარი“. ამ ორგანიზაციას უთუოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მისი მიზანი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის წარმოება იყო.

ეს ორგანიზაცია ცდილობდა ყველა ქართველი ჩაება თავის საქმიანობაში. ამ მხრივ მას თვალსაჩინო წარმატებაც ჰქონდა. დამახასიათებელია ერთი ასეთი დეტალიც: პეტერბურგის უნივერსიტეტში მოღვაწეობდა დიდი ქართველი ფიზიოლოგი, აკადემიკოსი ივანე თარხნიშვილი. იგი თავისი გამოკვლევებითა და შინაარსიანი ლექციებით განთქმული იყო არა მარტო პეტერბურგში, არამედ მთელ რუსეთსა და საზღვარგარეთაც. ამ მეცნიერით დიდად ამაყობდნენ ქართველები და მათ შორის პეტერბურგში მყოფი ქართველი სტუდენტებიც. ერთი კი სწყინდათ, რომ მან ქართული ცუდად იცოდა. ორგანიზაციის წევრებმა ი. თარხნიშვილს ქართული ჟურნალ-გაზეთები გამოუწერეს. მართლაც, მან მოულოდნელად ფოსტით რამდენიმე თვის ჟურნალი „მოამბე“ და ქართული გაზეთები მიიღო. როდესაც გაკვირვებულმა პროფესორმა იკითხა, ვინ გამოგზავნა ეს და რად გამოგზავნაო, მას მისცეს ბარათი, სადაც ეწერა: „ყოველი ქართველი მოვალეა იცოდეს ქართული და საკუთარ პრესას კითხულობდესო“. ამის შემდეგ თურმე თარხნიშვილი ყოველთვის იწერდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებს და ქართულიც შეისწავლა. ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით პეტერბურგში მყოფ ამიერკავკასიის და განსაკუთრებით სამხრეთიდან მოსულ სტუდენტებთან დამყარდა კავშირი და დაარსდა „ამიერკავკასიის სათვისტომო“.

გარდა ამისა, ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით იმართებოდა „ქარ-

თელი საღამოები.“ ასეთი საღამოები, რომელთა პროგრამები უმთავრესად ქართული ცეკვა-სიმღერებისაგან შედგებოდა, დიდძალ მაყურებელს იზიდავდა და მთელი ფულადი შემოსავალი ღარიბ სტუდენტებს ხმარდებოდა.

ივანე ჯავახიშვილის დატოვება უნივერსიტეტში საპროფესოროდ მოსამზადებლად

ივ. ჯავახიშვილმა უნივერსიტეტში სპეციალისტების ყურადღება მიიპყრო და, როდესაც უნივერსიტეტი დაამთავრა, აღიძრა საკითხი უნივერსიტეტში საპროფესოროდ მოსამზადებლად მისი დატოვების შესახებ. მართლაც, 1899 წლის 21 მაისს აღმოსაელური ენების ფაკულტეტის დადგენილებით ივ. ჯავახიშვილი დატოვებულ იქნა საპროფესოროდ მოსამზადებლად. ეს დადგენილება უნივერსიტეტის საბჭომ დაამტკიცა და იგი 1899 წლის პირველი იელისიდან ძალაში შევიდა. ივ. ჯავახიშვილის საპროფესოროდ მოსამზადებელი ვადა ორი წელი იყო. განათლების სამინისტრომ უნივერსიტეტის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და ივ. ჯავახიშვილს 1900 წლის პირველი იანვრიდან წლიურად დაუნიშნა სტიპენდია 600 მანეთის ოდენობით. იგი სომხური ფილოლოგიის სპეციალისტი უნდა გამხდარიყო. საჭიროა აღინიშნოს, რომ ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტის დამთავრებისას თავისუფლად იყენებდა ბერძნულ, ლათინურ, სომხურ, სპარსულ და სირიულ წყაროებს.

ნ. მარის დახასიათებით, მან ზედმიწევნით კარგად იცოდა რუსული და ევროპული ენები (გერმანულ ენაში უნივერსიტეტში ყოფნის დროს კერძოდ ემზადებოდა, ხოლო სრულყოფის მიზნით 1898 წელს, საზაფხულო არდადეგების დროს, ქ. კენიგსბერგს გაემგზავრა).

სამაგისტრო გამოცდები

1901 წლის 27 იანვარს ივანე ჯავახიშვილი უკვე სამაგისტრო გამოცდებზე გავიდა. სხდომის ოქმში მოიპოვება შემდეგი ჩანაწერი:

„სხდომა 1901 წლის 27 იანვრისა. მუხლი 2. ჩატარდა გამოცდა

ჯავახიშვილისა ქართული სიტყვიერების მაგისტროსის ხარისხზე. მიცემულ იქნა შემდეგი კითხვები.

ქ ა რ თ უ ლ ე ნ ა შ ი:

1. წაკითხვა, გადათარგმნა და გარჩევა ტექსტისა „ქართლის ცხოვრებიდან".
2. წაკითხვა, გადათარგმნა და გრამატიკული გარჩევა ტექსტისა ვახტანგის „დასტურლამალიდან".

ქ ა რ თ უ ლ ს ი ტ ყ ვ ი ე რ ე ბ ა შ ი:

1. ვახტანგ IV-ის „დასტურლამალი", როგორც სიტყვიერების ძეგლი.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ი ს ტ ო რ ი ი დ ა ნ:

1. როდის მოვიდნენ პირველად საქართველოში ოსმალო თურქები, როგორც დამპყრობნი? როდის აიღეს ქუთაისი, თბილისი?
2. ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა".

ხელს აწერს პროფესორი ა ლ. ც ა გ ა რ ე ლ ი.[1]

ამ გამოცდების ჩაბარების შემდეგ ივ. ჯავახიშვილმა მოიპოვა „ქართული სიტყვიერების მაგისტრის ხარისხი".

საკვალიფიკაციო-საგეცნიერო მივლინება საზღვარგარეთ

სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების შემდეგ, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ივ. ჯავახიშვილი მიავლინეს საზღვარგარეთ, იგი ბერლინის უნივერსიტეტში მოეწყო.

1901 წლის 17 მარტს ბერლინიდან ივანე ჯავახიშვილი ნ. მარს სწერდა: „ჩემს მიერ დასახულ ზოგიერთ სამუშაოთა წარმატებით

[1] ს. ყაუხჩიშვილის დასახ. შრომა, გვ. 115.

შესრულებისათვის (საკითხებზე: „ქართულ-სომხური ეკლესიის გაყოფის შესახებ", „ქრისტიანობის ხასიათი ძველ სომხეთსა და საქართველოში", „ეკლესიის ორგანიზაცია", „სამღვდელოების ფეოდალური ხასიათის შესახებ საქართველოში", „მიწის ფეოდალიზაცია სომხეთსა და საქართველოში", „საეკლესიო ხელისუფლებისა და ფეოდალების ბრძოლის შესახებ დავით აღმაშენებლიდან თამარის პერიოდამდე, ე. ი. XII—XIII საუკუნეებში") სასურველია სპეციალურად შესწავლილ იქნას ქრისტიანული ეკლესიის დოგმათა ისტორია და საეკლესიო ლიტერატურა პროფ. ჰარნაკთან, აგრეთვე შუა საუკუნეები ევროპაში და ფეოდალური ინსტიტუტების ისტორია გერმანიაში, პროფ. ლამპრეხთთან. ჩემთვის, რაკი ქართველოლოგიას ვსწავლობ, აუცილებელია ბიზანტიოლოგიაში მუშაობა, რათა გათვალისწინებული იქნას ბიზანტიის გავლენა საქართველოზე, სასურველი იქნება ვიმუშაო ბიზანტიოლოგიაში პროფ. კრუმბახერთან".

დანამდვილებით ვიცით, რომ ივ. ჯავახიშვილი მუშაობდა ჰარნაკთან, მაგრამ აქ ჩამოთვლილ სხვა მეცნიერებთან იმუშავა თუ არა, სხვა წყაროებიდან არ ვიცით. აკად. აკ. შანიძემ და პროფ. ს. ყაუხჩიშვილმა დასაშვებად მიიჩნიეს, რომ ივანე ჯავახიშვილი შესაძლებელია დასახელებულ პროფესორებთანაც მუშაობდა. ვიცით აგრეთვე, რომ ივ. ჯავახიშვილი სამართლის ისტორიაშიც მუშაობდა პროფ. ბრუნერის ხელმძღვანელობით და, როგორც ი. ნიჟარაძემ გადმომცა, იგი შუჰართთანაც მეცადინეობდა. მთავარი სამუშაოები მაინც, ჩანს, ჰარნაკთან ჰქონია. ბერლინიდან ივანე ჯავახიშვილი ი. ნიჟარაძეს სწერდა: „შენი გამოგზავნილი სათავადაზნაურო სკოლის ანგარიშები და სტატისტიკური ცნობები დიდი ხანია მივიღე. სამწუხაროდ ეს ცნობები იმდენად მოკლეა, რომ გამოყენება ძალიან ძნელია; მე მინდოდა, რომ აღნიშნული ყოფილიყო თითოეული ქარხანა, თუ მადანმღვიმები სად მდებარეობენ და ვის ეკუთვნიან, ან რის შემმუშავებელია თითოეული განსაკუთრებით. ჰარნაკი მე კარგად გავიცანი, ერთხელ ვახშმადაც ვიყავ მიპატიჟებული. ჰარნაკმა ცოტა რუსულიც იცის. ლაპარაკის მოხერხება შეუძლიან, წინათ დორპატში იყო და დიდი ხანია, რაც რუსულად აღარ ულაპარაკნია. მე ცოტა ხანს მელაპარაკა რუსულად. იგი ჩინებულად კითხულობს ლექციებს, საინტერესოა და საყურადღებო თითოეული მისი შეხე-

დულება. ძალიან ნასწავლი, ღრმად ჩაკვირვებული და საგანში ჩახედულია, იგი საკვირველის გონება და ენამახვილობით ასრულებს ხოლმე თითოეულ საეკლესიო ცხოვრების მოვლენას. ჰარნაკი კითხულობს საეკლესიო ისტორიას, ქართულ საეკლესიო მწერლობით და ისტორიით ძალიან დაინტერესებულია; ჩემი ევსტატე მცხეთელის თარგმანი და მისი წინასიტყვაობა ბერლინის სამეცნიერო აკადემიის გამოცემაში იბეჭდება. ჰარნაკმა მითხრა, რასაც კი მოიტან, დავაბეჭდინებთო... მე ზამთარშიაც აქ ვაპირებ დარჩენას და მუშაობას".[1]

ამგვარად, ივ. ჯავახიშვილი ბერლინში ყოფნის დროს ქართულ ისტორიულ ძეგლებს გერმანულად თარგმნიდა, გამოკვლევებს წერდა და ქართველი ხალხის კულტურულ მიღწევებს ევროპელ მეცნიერთათვის ხელმისაწვდომს ხდიდა. ამ მიმართულებით ივ. ჯავახიშვილმა ბერლინში ორი სამუშაო შეასრულა: გერმანულად თარგმნა და გამოკვლევა დაურთო „ევსტატე მცხეთელის მარტვილობას" და კ. შულცესთან ერთად გერმანულადვე გადათარგმნა და გამოკვლევა დაურთო იოანე საბანისძის „აბო თბილელის წამებას". ივ. ჯავახიშვილის ამ თარგმანებსა და გამოკვლევებს ჰარნაკი დადებითად აფასებდა და აღნიშნავდა: სამწუხაროდ, ამ ძველისძველ, მდიდარი ლიტერატურის მქონე ქვეყანას საქართველოს და მის ეკლესიას სრულებით არ ვიცნობთ ევროპაში; მისი ხელნაწერები მთელ აღმოსავლეთშია მოფენილი, დაწყებული სინას მთით და გათავებული პეტერბურგითო.

ჰარნაკი გაკვირვებული იყო ივანე ჯავახიშვილის ღრმა ფილოლოგიურ-ისტორიული ცოდნით და დაბეჯითებით სთხოვდა ბერლინის უნივერსიტეტში დარჩენილიყო სამუშაოდ.

მოგზაურობა სინას მთაზე

გერმანიიდან დაბრუნების შემდეგ ივ. ჯავახიშვილი, ნ. მართან ერთად, გაემგზავრა არაბეთს, სინას მთაზე, ქართული ხელნაწერების შესწავლა-აღწერის მიზნით. იქ მან 1902 წლის აპრილიდან სექტემბრამდე დაჰყო.

---

[1] ივანე ჯავახიშვილის კაბინეტი.

ნ. მარი, რომელსაც უკვე მოხვეჭილი ჰქონდა დიდი მეცნიერის სახელი, 1902 წლის 7 მაისს ივანე ჯავახიშვილის შესახებ წერდა: „...ჯავახიშვილი მუშაობაში ძალიან ბეჯითი და ამტანი აღმოჩნდაო“.[1]

სინას მთაზე ნ. მარისა და ივ. ჯავახიშვილის მუშაობამ არა ერთი მაღალი ღირსების ძეგლი გამოავლინა. მეცნიერებისათვის ძვირფასია ივ. ჯავახიშვილის მიერ გადაწერილი იოანე-ზოსიმეს „ჯ[illegible] თთუეთაჲ წელიწადისათაჲ“ და სხვა ძეგლები.

ნ. მარისა და ი. ჯავახიშვილის ამ ექსპედიციის მუშაობის შესახებ სამართლიანად წერს პროფ. ს. ყაუხჩიშვილი: „სინას მთაზე მრავალი, მანამდე უცნობი, სამწერლობო ძეგლი იქმნა მაშინ გადმოწერილი ან ფოტოგრაფიულად გადმოღებული, როგორც ნიკო მარის, ისე ივ. ჯავახიშვილის მიერ, და ქართულ სამეცნიერო ლიტერატურას მის შემდეგ არა ერთი გამოცემა მიემატა“[2].

პედაგოგიური მოღვაწეობა პეტერბურგის უნივერსიტეტში

სინას მთიდან დაბრუნების შემდეგ ივ. ჯავახიშვილმა განცხადებით მიმართა აღმოსავლური ენების ფაკულტეტს ლექციების კითხვის უფლების მიცემის შესახებ. ამ საკითხზე ფაკულტეტმა შუამდგომლობა აღძრა რექტორატის წინაშე. შუამდგომლობაში მოკლედ იყო აღნიშნული ივ. ჯავახიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობა.

ივ. ჯავახიშვილი პრივატ-დოცენტის თანამდებობას თხოულობდა სომხურ-ქართული სიტყვიერების კათედრაზე. თანახმად არსებული წესისა, მას ჯერ სანიმუშო საჯარო ლექციები უნდა წაეკითხა. მან ორი სანიმუშო ლექცია წაიკითხა: პირველი 1902 წლის 1 ნოემბერს მის მიერვე არჩეულ თემაზე: „ქართული ეკლესიის რეფორმა მეთერთმეტე საუკუნეში“, ხოლო იმავე წლის 18 ნოემბერს — ფაკულტეტის მიერ მიცემულ თემაზე: „სტეფანოზ ორბელიანის ისტორია.

---

1 ს. ყაუხჩიშვილი, ი. ჯავახიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, მნათობი, 1948, № 3, გვ. 117.

2 იქვე.

როგორც წყარო ადგილობრივი ისტორიისათვის";[1] ორივე ლექცია მოიწონეს. ამის შემდეგ ფაკულტეტმა დაავალა ივ. ჯავახიშვილს წერილობით წარედგინა, თუ რა კურსებს წაიკითხავდა იგი. 1902 წლის 17 დეკემბერს ფაკულტეტმა დაამტკიცა კიდეც ივ. ჯავახიშვილის მიერ წარდგენილი წასაკითხი კურსები: 1) ეკლესიის ნაციონალიზაციის ისტორია საქართველოში (V—VII საუკ.), სათანადო აგიოგრაფიული ძეგლების შესწავლით — კვირაში 3 საათი. 2) საზოგადოებრივი წყობილება სომხეთში ჩვენი წელთაღრიცხვით V საუკუნეში, სათანადო ადგილების კითხვით ლაზარე ფორპელისა და ფავსტოს ბიზანტიელის ისტორიებიდან — კვირაში 2 საათი.[2]

გარდა სპეციალური კურსებისა, ივ. ჯავახიშვილი კითხულობდა ზოგად კურსებს: საზოგადოებრივი წყობილება ძველ საქართველოსა და სომხეთში, საქართველოსა და სომხეთის საეკლესიო ისტორია და სხვა.

ივ. ჯავახიშვილმა ლექციების კითხვა 1903 წლის იანვრიდან დაიწყო. აქედანვე ინიშნება იგი პრივატ-დოცენტის თანამდებობაზე.

სალექციო კურსები ივ. ჯავახიშვილმა შემდეგში კიდევ უფრო გააფართოვა. 1904/5 სასწავლო წელს იგი კითხულობს ლექციებს: 1) სამეფო ხელისუფლებისა და ფეოდალთა ბრძოლის ისტორიიდან XI—XIII საუკუნეების საქართველოში, 2) ქართულ-სომხური ისტორიულ-იურიდიული ძეგლები. მომდევნო წლებში მისი სალექციო კურსებია: საქართველოს ისტორია, საქართველოს სამართლის ისტორია, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ქალაქ ანისის ისტორია, ქართული ენა, ქართველოლოგიის შესავალი, ქართული ეპიგრაფიკა, ქართული პალეოგრაფია და სხვ.

ივ. ჯავახიშვილის ღრმა მეცნიერული ლექციები სტუდენტებს იზიდავდა და ლექციებზე ესწრებოდნენ არა მარტო მისი უშუალო სტუდენტები, არამედ სხვა ფაკულტეტებისა და სხვა ინსტიტუტების სტუდენტებიც. დამახასიათებელია, რომ ივ. ჯავახიშვილი პეტერ-

---

1 18 ნოემბერს წაკითხული ლექციის ტექსტი დაიბეჭდა ივ. ჯავახიშვილის ქართველი ერის ისტორიის პირველი ტომის მეხუთე გამოცემაში 1960 წელს. ამ ლექციის შინაარსს ჩვენ ამავე მონოგრაფიაში განვიხილავთ იმ შრომებთან ერთად, რომლებიც მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ გამოვიდა.

2 ს. ყაუხჩიშვილის დასახ. შრომა, გვ. 118.

ბურგის უნივერსიტეტში ლექციებს არა მარტო რუსულად, არამედ ქართულადაც კითხულობდა.

1907 წლის 13 მაისს ივ. ჯავახიშვილმა წარმატებით დაიცვა სამაგისტრო დისერტაცია თემაზე: „ძველი საქართველოსა და ძველი სომხეთის სახელმწიფოებრივი წყობილება". ოფიციალურმა ოპონენტებმა ნ. მარმა და ვ. ბარტოლდმა ივ. ჯავახიშვილის ნაშრომს მაღალი შეფასება მისცეს და აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭომ დისერტანტს ქართული სიტყვიერების მაგისტროსის სამეცნიერო ხარისხი მიანიჭა.

პეტერბურგის უნივერსიტეტის „ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე"

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ჯერ კიდევ 1903 წელს, როცა ივ. ჯავახიშვილმა უნივერსიტეტში სალექციო მოღვაწეობა დაიწყო, მაშინვე ჩამოაყალიბა საქართველოს ისტორიის შემსწავლელი სექცია. შემდეგ ეს სექცია, ჩანს, გაფართოვდა, და 1907 წლის მიწურულს ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით დაისვა საკითხი ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის „ცალკე ჩამოყალიბების შესახებ".

1907 წლის 11 დეკემბერს ქართველმა სტუდენტებმა უნივერსიტეტის საბჭოში ასეთი შინაარსის განცხადება შეიტანეს: „ამასთანავე გიდგენთ ქართული სამეცნიერო წრის წესდების პროექტს და უმორჩილესად ვთხოვთ პროფესორთა საბჭოს, დაგვიმტკიცოს ხსენებული წესდება; იმავე დროს ბიურო შუამდგომლობს თქვენს წინაშე, ზემოხსენებული წრის ხელმძღვანელობა მიანდოთ პრივატ-დოცენტ ი. ჯავახიშვილს".[1]

სტუდენტთა ასეთი სამეცნიერო წრის დაარსება არ იყო შემთხვევითი, იგი ივ. ჯავახიშვილის დიდი სამოქმედო პროგრამიდან გამომდინარეობდა. შემდეგში სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 20 წლის თავზე, განსვენებული მეცნიერი იგონებდა: „1907 წელს დაარსებული იყო ქართული სამეცნიერო წრე... თითქოს სრულებით მარტივი და სრულებით უმნიშვნელო ამ-

[1] ს. ყაუხჩიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 121.

ბაეია, მაგრამ ამ სამეცნიერო წრეში სტუდენტები რომ თავს იყრიდნენ, მსჯელობა სწარმოებდა ქაროულად, მოხსენებები იწერებოდა ქართულად სხვადასხვა დარგის შესახებ, კამათი, მსჯელობა ქართულად სწარმოებდა და ვარჯიშობა დაიწყო, ენა გაიკვეთა ახალგაზრდობამ და მოიპოვა უნარი ძეტყველებისა, რომელიც მანამდე არ ჰქონდა".

ჯავახიშვილი კარგად ხედავდა, რომ ქართველოლოგიაში, განსაკუთრებით კი საქართველოს ისტორიაში, ყველაფერი ახლებურად უნდა დაწყებულიყო: ასეთ პირობებში მის წინაშე ისმებოდა საკითხი, საიდან უნდა დაეწყო მუშაობა? გავითვალისწინეთო, წერდა ივანე ჯავახიშვილი, რომ „...ქართული კულტურის შესწავლა, ქართული კულტურის ცოდნა მოგვცემდა საშუალებას იმ ძველი მარაგის გამოსაყენებლად, რომელზედაც უნდა აღმოცენებულიყო, თუ გნებავთ, მკვდრეთით აღმდგარიყო ძველი ქართული მეცნიერება, ოდესღაც მდიდარი, მაგრამ შემდეგ დაკნინებული".

ამ დიდი საქმის დასაწყებად წინასწარ უნდა ჩატარებულიყო ერთგვარი მოსამზადებელი სამუშაო: შეედგინათ ბიბლიოგრაფია და შეემუშავებინათ სათანადო ტერმინოლოგიაც. ბიბლიოგრაფიაში მოცემული უნდა ყოფილაყო „ყველა იმ თხზულებებისა თუ ცნობების სრული ნუსხა, რაც კი რამ საქართველოსა და ქართველთა შესახებ დაწერილა".

სამეცნიერო წრის წევრთა ექვსი წლის ერთობლივი მუყაითი მუშაობის შედეგად აღირიცხა და წესრიგში მოყვანილ იქნა XIX საუკუნისა და XX საუკუნის პირველი ათეულის ქართულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული მასალები.

გარდა ამისა, წრის წევრები სამეცნიერო გამოკვლევებსაც წერდნენ. სამეცნიერო თემებს მათ თვით ივ. ჯავახიშვილი ურჩევდა.

სამეცნიერო წრემ 1915 წელს გამოსცა კრებული, რომელშიაც დაბეჭდილია სამეცნიერო წრის წევრთა საგულისხმო გამოკვლევები: „ქართველი ქალები ისტორიული წყაროებისა და „ვეფხისტყაოსნის" მიხედვით"; „ყმების მფლობელობის ხასიათი საქართველოში", „ქართული ხატების მოჭედილობის სახეები", „სასამართლოს წარმოება საქართველოში", „წყლის მფლობელობა და სარწყავი წყალი საქართველოში", „მოქალაქეობრივი ჰანგები ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებში", „ქართული კილოები მთაში".

ამ კრებულის გამოცემა ერთხელ კიდევ ადასტურებს წრის ხელმძღვანელის — ივ. ჯავახიშვილის განცხადებას: „ამ სამეცნიერო წრის უმთავრესი მიზანი იყო და ახლაც არის, რომ მისი წევრები საქართველოს წარსულისა და აწმყოს მეცნიერულს შესწავლას თითონაც შესჩეოდენ და შეძლებისდაგვარად ისეთი საქმის განხორციელებაც ეკისრათ, რომელსაც ქართულ ფართო საზოგადოებისათვისაც მნიშვნელობა ექმნებოდა და სარგებლობას მოუტანდა“.[1]

როდესაც წრემ თავისი მიზანი გაამართლა და 1915 წელს ზემოთ დასახელებული კრებული გამოვიდა, ივ. ჯავახიშვილი მის წინასიტყვაობაში აღფრთოვანებული წერდა: „გული სიხარულით ევსება, როდესაც ვრწმუნდები, რომ ქართული სამეცნიერო წრის მუშაობამ არამც თუ ამაოდ არ ჩაიარა, არამედ თავისი ნაყოფიც გამოიღო და იმედი მაქვს, რომ ამ პირველ კრებულის თანამშრომელთა უმეტესი ნაწილი, თუ ყველანი არა, მომავალშიაც სამეცნიერო მუშაობას თავს არ დაანებებს და შეძლებისდაგვარად ქართულ ღარიბ სამეცნიერო მწერლობის გამდიდრებას ხელს შეუწყობს“.[2]

ი. ჯავახიშვილი იმედოვნებდა, რომ სტუდენტთა სამეცნიერო წრე შექმნიდა სათანადო პირობებს ქართველოლოგიაში მეცნიერული მუშაობის ცენტრის პეტერბურგიდან თბილისში გადმოსატანად. ამ მიზანს ემსახურებოდა ის წამოწყება, რაც პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრემ 1911—1912 წლებში განიზრახა. ივ. ჯავახიშვილის ინიციატივით წრემ ჩაატარა სააღრიცხვო ანკეტების შევსება, რომელსაც უნდა გამოერკვია, თუ რამდენი ქართველი სტუდენტი სწავლობდა რუსეთში და საზღვარგარეთ, ან ამა თუ იმ უნივერსიტეტში რამდენი და რა სპეციალობის ქართველი სწავლული მოღვაწეობდა.

ანკეტა ორგვარი იყო: ერთი, უფრო ვრცელი, 57 მუხლისაგან შემდგარი, რუსულად იყო დაწერილი და სპეციალურად პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებლებში მყოფ სტუდენტთა აღრიცხვას შეეხებოდა, მეორე კი, უფრო მოკლე, 15 მუხლისაგან შედგებოდა და ქართულად იყო დაწერილი. ეს რუსეთისა და საზღვარგარეთის სხვადასხვა ქალაქებში უნდა გაგზავნილიყო.

---

1 კრებული. ივ. ჯავახიშვილის რედაქციით, თბილისი, 1915. გვ. 1.

2 იქვე, გვ. 7.

ანკეტები დაიგზავნა მოსკოვში, კიევში, დორპატში, ვარშავაში, ოდესაში, ყაზანში, ხარკოვში, ტომსკში, იაროსლავლში, ბერლინში, ლაიპციგში, პარიზში, მონპელიეში, ბრიუსელში, ლიეჟში...

შევსებული ანკეტები სამეცნიერო წრეს დაუბრუნდა.

„ამ ანკეტამ, — წერდა აკ. შანიძე 1928 წელს, — ბევრი რამ საყურადღებო გამოარკვია. წინათ, მაგალითად, განმტკიცებული იყო აზრი, თითქოს ქართველობა უმთავრესად იურიდიულ ფაკულტეტს ეტანებოდა, თითქოს დიდი ნაწილი სტუდენტებისა ფუქსავატ ცხოვრებას ატარებდა და სხვ. ანკეტამ ცხადჰყო, რომ ქართველ სტუდენტობაში დიდი ინტერესია მეცნიერებისადმი, რომ ეს ინტერესი მრავალფეროვანია; არ იყო თითქმის არც ერთი დარგი მეცნიერებისა. ხელოვნებისა და ტექნიკისა, რომ მას არ დასწაფებოდეს ქართველი სტუდენტი. ამიტომ ნათელი გახდა, რომ ქართული უმაღლესი სასწავლებლის საქმე ამ მხრივ სავსებით უზრუნველყოფილი იყო".[1]

ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ არა მარტო უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტები, არამედ პეტერბურგის სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებიც (ქალთა უმაღლესი კურსების, სამხედრო-სამედიცინო აკადემიის, ტექნოლოგიური ინსტიტუტისა და სხვა).

სამეცნიერო წრე ცდილობდა თავის ირგვლივ დაერაზმა არა მარტო პეტერბურგში მყოფი ქართველი ინტელიგენტები, არამედ საქართველოში მომუშავენიც. ამ მხრივ საყურადღებოა 1913 წელს „საბალხო გაზეთში" (№ 802) მოთავსებული წერილი. ეს წერილი დასათაურებულია ასე: „ქართულ ჟურნალ-გაზეთების რედაქციებისა და წიგნების გამომცემლობისადმი". მას ხელს ა წ ე რ ე ნ ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის გამგეობის თავმჯდომარე ა. შ ა ნ ი ძ ე და წრის ხელმძღვანელი ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი.

წერილს დართული აქვს: „უველა ქართულ ჟურნალ-გაზეთებსა ვთხოვთ ეს მოწოდება გადაბეჭდონ და ჩვენს თხოვნას ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ". წერილის შინაარსი ასეთია: „ბევრი რამ არის საჭირო, რომ ეხლანდელ უმწეო მდგომარეობას თავი დავაღწიოთ, ბევრი შრომა და მუშაობა დაგვჭირდება ჩვენი თვითარსებო-

[1] აკ. შანიძე, ანკეტა, პროლეტარულ სტუდენტთა ხმა, 1928, № 11, 2/XI.

ბის დასაცველად და უკეთესი მომავლის დასამყარებლად და რომ შრომა უფრო ნაყოფიერი იქმნეს, აუცილებლად საჭიროა, ვისარგებლოთ იმითი, რაც გაკეთებულია წინათ და წინანდელი შეცდომები მომავალში თავიდან ავიცილოთ. ჯერ კიდევ ისეთ პირობებში ვართ, რომ ვისაც სურს თავისი წვლილი შეიტანოს საერთო მუშაობაში, გარიყულია ცალკე და განმარტოებული".[1]

საგულისხმო სიტყვებია! დიდი ქართველი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი და მისი თანამოსაგრე აკაკი შანიძე მთელი ქართველი ხალხის აზრს გამოხატავენ. აუცილებელი იყო სხვა ღონისძიებებთან ერთად მეცნიერების ხაზით ახალი გზების გამონახვა, მაგრამ რა უნდა ექნათ ასეთ პირობებში, როცა „არ არის ტრადიცია, არ არსებობს ერთი ძლიერი შეუწყვეტელი მიმდინარეობა რომელიმე სამოქმედო დარგში". ამიტომ შედეგიც სავალალოა, სახელდობრ, ის, რომ „ჩვენი ცხოვრების ბევრს მხარეს დიდი ცელილება არ ეტყობა: არ ვიცით, რა აკეთეს მამებმა, მომავალ თაობას არ ეცოდინება, რას ვაკეთებთ ჩვენ და, ცხადია, თუ რომელიმე შრომა არ ემყარება წინანდელ გამოცდილებას, ასეთი მდგომარეობა შეუძლებელია."[2] ავტორები იძლევიან რჩევას: „... უნდა ვიცოდეთ ყველა ის, რაც დაწერილია და გაკეთებულიო".

მაგრამ იმისათვის, რომ ვიცოდეთ ყოველივე ეს, „საჭიროა ბიბლიოგრაფია, ბიბლიოგრაფია, რაც შეიძლება, სრული და უნაკლულო". წერილში მოთხრობილია პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის მოღვაწეობის ისტორია და აღნიშნულია შემდეგი: „ჯერ ის მასალა, რომელიც შეჰკრიბა წრემ, არ არის მთლად დაწყობილი და დალაგებული, მაგრამ წინასწარმა მუშაობამ უკვე გამოარკვია (და როცა წიგნი დაიბეჭდება, ყველასათვის თვალსაჩინო და ცხადი იქნება), რომ ის საკითხები, რომელიც ჩვენს პრესაში დღეს საჭირბოროტოა, კარგა ხანია, რაც გადასაწყვეტად დაუყენებიათ და ზოგჯერ უფრო კარგად, ვიდრე ახლა. ხშირია ისეთი მოვლენა, რომ მაგალითად, ერთხელ უკვე ჩაწერილ ხალხურ ლექსს ხელმეორედ სწერენ და მეორედ ჩაწერილ ლექსს ახლადჩაწერილად ასაღებენ და სხვადასხვა". ერთი სიტყვით, ყოველივე ეს

---

1 სახალხო გაზეთი, 1913, № 802.

2 იქვე.

იმის ბრალია, რომ „არ ვიცნობთ მამების ნააზრევს და რაკი არ ვიცნობთ, გვგონია, არაფერი იყო გაკეთებული“.[1]

სამეცნიერო წრის მიერ შედგენილი ბიბლიოგრაფია „შეავსებს იმ ნაკლს, რომელიც დიდი ხანია არსებობს ამ მხრივ და ქართველ მკითხველს, მწერალს და საზოგადო მოღვაწეს ბევრად გაუადვილებს მოღვაწეობას, გააღრმავებს მის აზროვნებას და გააფართოვებს მისი მხედველობის სფეროს“.[2] მაგრამ სამეცნიერო წრის ეს მუშაობა საკმარისი არ იქნება და საჭიროა ამ კეთილშობილურ წამოწყებას ქართული საგამომცემლო ორგანოებიც გამოეხმაურონო. წერილის ავტორების აზრით, ქართული საგამომცემლო ორგანოების მუშაობა შეიძლება შემდეგი სახისა იყოს:

1. სამეცნიერო წრის საბიბლიოგრაფიო წერილში თავმოყრილია 1910 წლამდე გამოსულ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში მოთავსებული მასალები, რადგან წრეს სხვა სამუშაოც აქვს და, ესეც რომ არ იყოს, „სარჩევის შედგენა პირდაპირი მოვალეობაა თვითეული რედაქციისა, ამიტომ მივმართავთ ყველა დროგამოშვებით გამოცემების რედაქციებს, შეადგინონ ამ წლის ბოლოს სარჩევი თავის ორგანოებში მოთავსებული მასალისა ამ ორ უკანასკნელი წლის განმავლობაში, შემდეგში კი აუცილებლად ყოველწლივ გამოსცენ ხოლმე ასეთი სარჩევი“.[3]

2. კიდევ უფრო ცუდ მდგომარეობაშია წიგნების ბიბლიოგრაფიული აღწერილობის საქმე. იმისათვის, რომ ამ მიმართულებითაც გარკვეულ შედეგს მივაღწიოთ, აუცილებელია: „გამომცემლებმა სამი ცალი თავისი გამოცემისა დაუთმონ ეროვნულ მუზეუმს (ორი ტფილისისა და ერთიც ჭუთაისის განყოფილებისათვის)... რაკი წიგნებს, ამნაირად, თავს მოვუყრით ერთ ადგილას, მათი ბიბლიოგრაფიის შედგენა წლის ბოლოს ადვილია და ამ საქმეს, ვგონებთ, იკისრებს თვით საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაც“.[4]

ასეთია პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის მუშაობის მოკლე მიმოხილვა.

---

[1] სახალხო გაზეთი, 1913, № 802.
[2] იქვე
[3] იქვე
[4] იქვე.

ამასთან ერთად, საჭირო იყო უფრო ფართო მასშტაბის მუშაობა, დარაზმვა ყველა პროგრესული ძალისა ქართული კულტურის აღდგენა-აღორძინებისათვის. ამ დიადი ამოცანის განხორციელებისათვის წრეს მუშაობის ერთ-ერთ სახედ მიაჩნდა საჯარო ლექციების კითხვა საქართველოს კულტურულ-ისტორიული წარსულის სხვადასხვა საკითხებზე. ამ საქმესაც სათავეში ივ. ჯავახიშვილი ჩაუდგა. ზაფხულის თუ ზამთრის არდადეგების დროს ივ. ჯავახიშვილი მოგზაურობდა ხოლმე თავის საყვარელ საქართველოს. გამოდიოდა მოხსენებებით იმ საკითხებზე, რომელთა კვლევაში მას არა ერთი ღამე თეთრად გაუთენებია. ივ. ჯავახიშვილის საჯარო ლექციები მარად სახსოვარ შთაბეჭდილებას ტოვებდა დამსწრეზე. ამის შესახებ აკად. ა. შანიძე იგონებს: ჯერ კიდევ პრივატ-დოცენტად ყოფნის დროს პეტერბურგის უნივერსიტეტში ივ. ჯავახიშვილი არ კმაყოფილდებოდა საქართველოს წარსულის კვლევა-ძიებით, არ იყო ჩაკეტილი განდეგილობით თავის კაბინეტში, არამედ მიდიოდა ხალხთან და ცდილობდა აემაღლებინა კულტურული თვითშეგნება ფართო მასებისა საჯარო ლექციების კითხვით თბილისში, ქუთაისში და სხვაგან.

იმდროინდელი ქართული პრესა ეხმაურებოდა ივ. ჯავახიშვილის ლექციებს, ბეჭდავდა აღნიშნული ლექციების შინაარსს და ამ გზით გაზეთებიც ქართული კულტურის ერთგვარ პროპაგანდას ეწეოდნენ ხალხში.

ყურადღებას იპყრობს გაზეთ „ისარის“ 1907 წლის 27 და 28 ივნისის ნომრებში მოთავსებული კორესპონდენციები. ეს კორესპონდენციები ეხება ივ. ჯავახიშვილის მიერ წაკითხულ საჯარო ლექციებს (22, 23 და 24 ივნისს ჯავახიშვილმა წაიკითხა სამი ლექცია თემაზე: „კულტურის ისტორია საქართველოში უძველეს დროიდან მეცამეტე საუკუნემდე“). კორესპონდენტი გადმოგვცემს ლექციის ძირითად შინაარსს და დასძენს: „ქართველებმა მიაღწიეს მიზანს, — ამბობდა ლექტორი, — და ბერძნებს არაფერში ჩამორჩნენ, თუ არ გადააჭარბეს კიდეც. ამ ხანში საქართველოს ყველა კუთხის მკვიდრნი ისე მჭიდროდ იყვნენ შეკავშირებულნი, ისე იყვნენ გამსჭვალულნი საერთოდ საქართველოს გადიდების სურვილით, რომ ხსე-

ნება არც-კი იყო არავითარ იმერლობა-ამერლობისა და სხვა ამის მსგავს რისმე, რომელიც ჩვენდა სამარცხვინოდ დღესაც სავსებით არ გამქრალა. საქართველოდან სამი ათას ვერსით მოშორებულს, სადღაც სინას ხრიოკ მთაზე გადახვეწილ ქართველს, რომელსაც კულტურულ შრომისა და ხასიათის განმტკიცებისათვის უარეყო ცოლშვილი, მტერ-მოყვარე, საკუთარი სახლ-კარი, იქ, იმ უდაბნოში გარდა საქართველოსი არაფერი ახსოვდა. სინას მთაზე მოიპოვება ერთი ქართული ლოცვანი, სადაც სწერია შემდეგი კვერექსი: „ქართულისა შშვიდობისა, საზღვართა განმაგრებისა, მეფეთა და მთავართა დაწყნარებისა, მტერთა გარემოქცევისა, ტყვეთა მოქცევისათვის უფლისა მიმართ ვილოცოთო".[1]

„უცხოელებთან შეტაკებამ ქართველების ეროვნული გრძნობა გამოაღვიძა, მჭიდროდ შეაერთა და თვითშემეცნება უმაღლეს წერტილამდე აიყვანა".[2]

„იოანე, ექვთიმე, და გიორგი ათონელებმა, იოანე პეტრიწონელმა, ეფრემ მცირემ და სხვებმა იმდენად შეიმუშავეს საისტორიო მწერლობა, ისეთი მეცნიერული ხასიათი მისცეს მას, რომ დღესაც ადამიანი მათი წაკითხვით აღტაცებაში მოდის".[3]

1907 წ. 7 იანვარს ივ. ჯავახიშვილის წაკითხული ლექციის შესახებ გაზეთ „ისარში" ალ. ფრონელი წერდა: „ახალგაზრდა მეცნიერმა ჯავახიშვილმა წარსულ კვირას წაიკითხა საჯარო ლექცია: „ეკონომიური ისტორია საქართველოსი უძველეს დროიდან მეცამეტე საუკუნემდე ქრისტესშობის შემდეგ". ალ. ფრონელი მკითხველთა ყურადღებას ამახვილებდა, რომ საგანი ძნელია, მასალები მცირეა და. მიუხედავად ამისა, „სიმცირეს მასალისას არ შეუშინდა ლექტორი, რაც გამოქვეყნებულია, იმას თავი მოუყარა და შედარებით სავსე სურათი დაგვიხატა ჩვენის საქართველოს წარსულის ეკონომიური ვითარებისა". დაბოლოს კორესპონდენტი გადმოგვცემს ლექციის მთავარ შინაარსს. ივ. ჯავახიშვილს ძსმენელთათვის უამბნია ქართველ ტომთა ეკონომიური დაწინაურების შესახებ და აღუნიშნავს: „ასურეთის წყარონი მოწმობენ, რომ ქართველობას სცოდნია მად-

[1] გაზეთი „ისარი", 1907, 27-28 ივნისი № 138, გვ. 2-4, № 139, გვ. 2-3.
[2] იქვე.
[3] იქვე.

ნეულობის ამოღება დედამიწიდან და მისი შემუშავება". ივ. ჯავახიშვილი განსაკუთრებით ხაზს უსვამდა ლექციებში ქართველთა სათანადო დამსახურებას და ამას იგი სრული შეგნებით აკეთებდა. „გერმანელი ენათმეცნიერი ოტტო შრადერი ჰფიქრობს, რომ ევროპის ენებში შესული ზოგიერთ ლითონთა სახელები ქართულიაო. მაგალითად, ბრინჯაო, ფოლადი და თუჯი... თუ ქართულ სამადნო კულტურას ზედგავლენა ჰქონია ევროპისაზე, ჩანს, ქართველობა ათი საუკუნის წინ ქრისტეს დაბადებამდე დიდი განვითარებული ერი ყოფილა და ალბათ ეს განვითარებაა მიზეზი, რომ ასე დიდხანს შესძლო ბრძოლა ასურეთის ძლიერ მეფეებთან".[1]

თუ როგორ გავლენას ახდენდა ივ. ჯავახიშვილი დამსწრეებზე, სჯობს თვით კორესპონდენტს მოვუსმინოთ: „ლექციამ თითქმის სამ საათს გასტანა. ლექცია ლექტორმა იმედიანად დაასრულა: ბევრი გაჭირვება უხილავს საქართველოს, ბევრი უბედურება და ვაი-ვაგლახი განუცდიაო, მაგრამ თუკი ოდესმე მცირედაც მაინც რიგიან პირობაში ჩავარდნილა, მკვდრეთით ამდგარა და ფენიქსებრ განახლებულაო".[2]

ასეთ საჯარო ლექციებს ივ. ჯავახიშვილი შემდეგ წლებშიაც კითხულობდა: 1908 წლის 14 ივლისს დეპუტატთა საკრებულო დარბაზში, ქართული საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე, ივ. ჯავახიშვილმა წაიკითხა ლექცია თემაზე: „საქართველოს ისტორიკოსთა ფილოსოფიური და მეთოდოლოგიური შეხედულების განვითარება VIII—XII საუკუნეთა განმავლობაში[3].

1910 წლის იანვარში ივ. ჯავახიშვილი პეტერბურგიდან თბილისში ჩამოდის და საჯარო ლექციებს კითხულობს ძველი ქართული საისტორიო მწერლობის ისტორიიდან. „ლექციების მთავარი ღირსება, — წერს „საქართველოს მოამბე", — იყო სიუხვე ცნობათა და მათი კრიტიკა, მერმე კიდევ მოხერხებული კონცენტრაცია აუარებელ მასალისა, რითაც ბ-ნი ივ. ჯავახიშვილი, მართლაც, განირჩევა ჩვეულებრივ პროფესორთაგან. ოთხ ლექციაში (ლექცია

---

1 გაზეთი „ისარი", 1907, 7 იანვარი.

2 იქვე.

3 გაზ. „ამირანი", 1908, № 86, გვ. 3-4.

წაკითხული იყო 13, 14, 15 და 16 იანვარს, დ. გ.) ისეთნაირად გაცნობა მთელი ამ აუარებელი მასალისა, მისი დახასიათება და კრიტიკა ისე, რომ არც ერთი მნიშვნელოვანი წვრილმანიც არ იქმნას გამოტოვებული, ძლიერ ძნელი საქმეა და ყველა პროფესორს არ შეუძლია".[1]

ამის შემდეგ წერილის ავტორი ვრცელ ანალიზს უკეთებს ივ. ჯავახიშვილის ლექციას და გადმოგვცემს ლექციის მთავარ შინაარსს.

ასეთ ლექციებში განვითარებული დებულებები ივ. ჯავახიშვილმა გააფართოვა და ბოლოს ცალკე წიგნად („ძველი ქართული საისტორიო მწერლობა") გამოსცა.

1913 წლის ზამთარს ივ. ჯავახიშვილი ჩვეულებრივ ეწვია სამშობლოს და თბილისელებს ახალი მეცნიერული ნააზრევი მოუტანა. იგი გამოვიდა მოხსენებით ძველი ქართული ხელოვნების შესახებ. „სახალხო გაზეთი" აღნიშნავდა, რომ „ლექცია მეტად საინტერესო გამოდგა. პროფესორს შეუკრებია აუარებელი და დიდმნიშვნელოვანი მასალა ქართული ძველის ხელოვნების ნაშთისა. საზოგადოებას თვალწინ წარმოუდგა ისტორია ქართულის ძველის ხელოვნებისა, ქრისტიანობის ხანიდან XVII საუკუნემდე". ლექცია ოთხ საათს გაგრძელდა თურმე. ლექტორი ეხებოდა ქართული ხელოვნების შესწავლის ისტორიას და აღნიშნავდა ძირითად გზებს, თუ საიდან უნდა დაწყებულიყო ასეთი ისტორიის მეცნიერული დამუშავება. ივ. ჯავახიშვილი დიდ ყურადღებას აქცევდა ტერმინების დადგენას და აქაც მან ქართული ხელოვნების არა ერთი ტერმინი დაადგინა და დააზუსტა.

როგორც ყოველთვის, ამ ლექციის დროსაც ივ. ჯავახიშვილმა საბუთიანად უარჰყო მცდარი შეხედულება, თითქოს რაც კარგია, იგი უცხოა, და დამსწრეები დააჯერა: „ქართულ ხელოვნებაში გავრცელებულია ქ ა ნ დ ა კ ე ბ ა. ქანდაკება მოიპოვება ქვაზედ, ხეზედ და სხვა მასალაზე. წინათ ეგონათ (კონდაკოვი, უვაროვისა), რომ ქართულ ეკლესიაში შესანიშნავი ქანდაკება არ იყო და თუ რაიმე ამისთანა ნიმუში მოიპოვება, ბიზანტიიდან იყო შემოტანილი. ასეთი აზრი გამოსთქვეს სხვათა შორის საფარის ეკლესიის კანკელის

---

1 ჟურნ. „საქართველოს მოამბე", 1910, № 13, გვ. 9-11.

შესახებ, რომელიც მიჩნეულია არა თუ საუკეთესო ბიზანტიურ ხელოვნების ნიმუშად, არამედ არაფრით არ ჩამოუვარდება საუკეთესო ანტიურ ხელოვნებასა. უვაროვის ქალსა და კონდაკოვს ჰგონიათ, რომ იგი ბიზანტიურია, მაგრამ ამის დამამტკიცებელი საბუთი არ მოიპოვება. წინააღმდეგ, არშიებს ქართული ხასიათი აქვს და იმას ამტკიცებს, რომ იგი ქართული ხელოვნების ნიმუშია".

ივ. ჯავახიშვილმა პირველმა ახსნა, რომ ქართული ტაძრების სიდიადე მოთხოვნილებით იყო გაპირობებული, ე. ი. ქართველი ხალხის კულტურული დონე იმდენად მაღალი იყო, რომ უბრალოდ ნაგები შენობა მათ გემოვნებას ვერ დააკმაყოფილებდაო. „ქართულის ტაძრების ნაშთები ამტკიცებენ, — ამბობდა ლექტორი, — რომ ნამდვილი მოთხოვნილება იყო მშვენიერების ბუნებისა და ხელოვნებისა, ხუროთმოძღვრებისა".[1]

ასეთია ივ. ჯავახიშვილის საჯარო ლექციების თემატიკა და დანიშნულება. როგორც ვხედავთ, სტოლიპინის შავბნელი რეაქციის მრისხანე წლებში იგი ხალხის თვითშეგნების გამოღვიძებას ყოველ მხრივ ხელს უწყობდა. ივ. ჯავახიშვილის ლექციები ქართველ ხალხს უმტკიცებდა რწმენას, აყვარებდა სამშობლოს, უნერგავდა უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის აუცილებლობას.

ივ. ჯავახიშვილი აჯერებდა თავის მსმენელებს, რომ თუ ერთპიროვნება და ორგანიზებულობა არსებობს, არავითარი რეაქცია საშიში არ არის. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ამ მხრივ ნაშრომს „პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნეში".

ნაშრომი გამოვიდა 1906 წელს. წინასიტყვაობაშივე ივ. ჯავახიშვილი განმარტავდა ნაშრომის დანიშნულებას და აღნიშნავდა, რომ უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც რუსეთის საზოგადოებრივ აზრს იზიდავს საქართველოში არსებული მძლავრი სოციალური და პოლიტიკური მოძრაობები. ამ წიგნში ავტორი დამაჯერებელი ფაქტებით ააშკარავებს თვითმპყრობელობის ნაციონალური პოლიტიკის ნამდვილ არსს.

---

1 „სახალხო გაზეთი", 1914, № 1084, გვ. 3.

1905 წლის რევოლუციის დამარცხების დროს საქართველომ განიცადა გარეშე მტრის შემოსევის მსგავსი აოხრება.

ივ. ჯავახიშვილი დაასკვნიდა: ყოველი ძალდატანებითი ზომა მთავრობისა კიდევ უფრო აღრმავებს ხალხში შურისძიებას. რა თქმა უნდა, უიარაღოთა დახოცვა ძნელი არ არის, მაგრამ შეუძლია თუ არა ამ გზით მთავრობამ აღიდგინოს მორალური პრესტიჟი და ურყეობა. ამაზე საუკეთესო პასუხს იძლევა ცარიზმის ასწლიანი ბატონობის შედეგები საქართველოშიო.

ამ ნაშრომის გამოსვლის გამო პოლიციამ ივ. ჯავახიშვილი სამართალში მისცა. სასამართლოს დადგენილებით ივ. ჯავახიშვილის ეს შრომა მავნე წიგნად იქნა აღიარებული და აკრძალულ-განადგურებული; მაგრამ დადგენილებამ ვერ უშველა, ცალკეული ცალები გადარჩა და მკითხველამდე მაინც მივიდა.

ამგვარად, ივანე ჯავახიშვილი სამოღვაწეო სარბიელზე გამოდის როგორც საზოგადოებრივი მებრძოლი, რომლისათვისაც მეცნიერული მუშაობა საზოგადოებრივ აქტიურობის ერთი ფორმათაგანია მარტოოდენ (აკად. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა).

ჯავახიშვილის საზოგადოებრივი შეხედულებები ჩამოყალიბდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ნიადაგზე და ამ მოძრაობას იგი ერთგულად მიჰყვა ბოლომდე.

ივ. ჯავახიშვილი საგანგებოდ უკვირდებოდა აგრეთვე ძველი საქართველოს სოციალური მოძრაობისა და კლასთა ბრძოლის ისტორიის საკითხებს. ამ პრობლემათა სერიიდან მან გამოაქვეყნა შესანიშნავი მონოგრაფია „სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში IX—XIII საუკუნეებში“.[1] მონოგრაფიაში ივ. ჯავახიშვილმა ფაქტიური მასალის სწორი მეცნიერული ინტერპრეტაციის საფუძველზე პირველმა ნათელჰყო, რომ მცდარია შეხედულება, თითქოს საქართველოს ისტორიამ არ იცოდეს კლასთა ბრძოლა. ჩვენს ისტორიკოსთა შორის მან პირველმა აღნიშნა, რომ საქართველოსათვის ისევე დამახასიათებელი იყო კლასთა ბრძოლის ყველა ძირითადი ნიშანი, როგორც სხვა ყველა განვითარებული ქვეყნისათვის.

---

[1] ივ. ჯავახიშვილი „გლეხთა მოძრაობის ისტორიის ერთი ფურცელი ძველს სომხეთში“, ტფ. უნივერსიტეტის მოამბე, 1922-23, ტ. II, გვ. 247-261.

ივ. ჯავახიშვილი ანალოგიურ საკითხებს იხილავს მეზობელი სომხეთის ისტორიიდანაც. მან სომხეთის სოციალური ურთიერთობის საკითხებს მიუძღვნა ნარკვევი — „გლეხთა მოძრაობის ისტორიის ერთი ფურცელი ძველს სომხეთში“.

1917 წელს, როდესაც ხალხთა საპყრობილე — რუსეთის ცარიზმი დაემხო, ივ. ჯავახიშვილმა თავის ბინაზე მოიწვია ქართველ პატრიოტთა მცირე ჯგუფი და გამართა თათბირი. მაშინ გადაწყვიტეს ქ. თბილისში ქართული უნივერსიტეტის გახსნა. მალე ის სამშობლო მხარეში ჩამოვიდა და შეუდგა იმ საქმიანობას, რომელიც 1918 წლის იანვარში თბილისის უნივერსიტეტის დაარსებით დაგვირგვინდა.

ამიერიდან ივ. ჯავახიშვილი საქართველოში მოღვაწეობს.

1917 — 1940 წლები

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ივ. ჯავახიშვილის ცხოვრებაში დაიწყო ახალი შემოქმედებითი ხანა.

1918 წლის იანვრიდან 1919 წლის დეკემბრამდე იგი თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანია. თუ გავითვალისწინებთ, რომ იმ დროს უნივერსიტეტში მხოლოდ ერთი — სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი იყო, მაშინ გასაგები გახდება, რომ საუნივერსიტეტო მუშაობას არსებითად ივ. ჯავახიშვილი უძღვებოდა. 1919 წლის დეკემბერში ივ. ჯავახიშვილი არჩეულ იქნა უნივერსიტეტის რექტორად. ამ თანამდებობაზე იგი 1926 წლის ზაფხულამდე მუშაობდა. თუ რა ღვაწლი მიუძღვის მას უნივერსიტეტის შექმნა-მშენებლობაში, ამას ამ წიგნის საგანგებო თავში განვიხილავთ. აქ კი აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ არ არსებობდა უნივერსიტეტისა თუ ქართული კულტურის ისეთი საკითხი, რომლის გადაჭრაში ჯავახიშვილს ცხოველი მონაწილეობა არ მიეღოს.

1919—1925 წლებში ივ. ჯავახიშვილი იყო საქართველოს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. ამავე დროს იგი ითვლებოდა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარედაც.

1931 წელს იგი დაინიშნა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ-კონსულტანტად, ხოლო 1936 წელს მასვე დაევალა ამავე მუზეუმის ისტორიის განყოფილების გამგის თანამდებობის შესრულებაც. ამასთან ერთად 1936 წელს ივ. ჯავახიშვილი მიწვეულ იქნა კავკასიისმცოდნეობის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში მუდმივ მეცნიერ-კონსულტანტად, ხოლო 1937 წლიდან იყო რუსთაველის სახელობის მუზეუმის დირექტორიც.

ივ. ჯავახიშვილი 1917 წელს არჩეულ იქნა დოცენტად, ხოლო 1918 წელს — პროფესორად. 1935 წელს საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულმა საკვალიფიკაციო კომისიამ ივ. ჯავახიშვილს დისერტაციის დაუცველად მიანიჭა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

1939 წელს ივ. ჯავახიშვილი არჩეულ იქნა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

როგორც აღნიშნული იყო, ივ. ჯავახიშვილის დიდი ნიჭი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გაიშალა.

გაითვალისწინა რა ივ. ჯავახიშვილის დიდი სამეცნიერო და პედაგოგიური დამსახურება, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1938 წლის 15 ივნისს იგი დააჯილდოვა შრომის წითელი დროშის ორდენით.

საქართველოს მშრომელებმა, ივ. ჯავახიშვილი 1938 წელს ერთსულოვნად აირჩიეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. ხოლო უმაღლესმა საბჭომ იგი აირჩია თავისი პრეზიდიუმის წევრად.

ამომრჩევლებთან შეხვედრისას, 1938 წლის 4 ივნისს, იგი აღნიშნავდა: „მთელი ჩემი ორმოცწლიანი მოღვაწეობა განუყრელი იყო მეცნიერებისაგან. ახლა კი თქვენ მანდობთ საპატიო სამუშაოს, ახალ, უაღრესად საპასუხისმგებლო ასპარეზზე. თუ მე რაიმეს გაკეთება შევძელი სამეცნიერო-საგანმანათლებლო სფეროში მშრომელ მასათა შორის, ეს მხოლოდ კულტურული ფრონტის დიადი საქმის ყველა მონაწილის ერთობლივი ძალებითა და დაუღალავი შრომის წყალობით იყო, ამიტომ მე თქვენს ნდობას ვუყურებ არა იმდენად პირადად ჩემდა, რამდენადაც ყველა საბჭოთა მეცნიერების მუშაკებისადმი ნდობას.

ვარწმუნებ ჩემს ამომრჩევლებს, რომ მთელ ჩემს მოღვაწეობას, მთელ ჩემს ძალას მშრომელი ხალხისა და ჩვენი დიადი სამშობლოს კეთილდღეობას მოვახმარ“.[1]

ამავე გრძნობითა და მოვალეობის პასუხისმგებლობით არის დაწერილი მისი წერილი, რომელიც 1938 წლის 9 ივლისს გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტში“: „საქ. სსრ უმაღლესი საბჭოში დეპუტატის საპატიო მოვალეობის ასრულების დროს უმთავრესად სწავლა-განათლებისა და კულტურის სფეროსთან დაკავშირებით საკანონმდებლო და სხვაგვარი საკითხების განხილვაში ვეფიქრობ მხურვალე მონაწილეობის მიღებას.

ეს განზრახვა იმ რწმენაზეა დამყარებული, რომ თითოეული დეპუტატი ვალდებულია თავის დარგის ცოდნა და გამოცდილება გამოიყენოს თავისი სოციალისტური სამშობლოს აღორძინება-აყვავებისათვის და, რაკი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში მეცნიერებისა და კულტურის სფეროში ვმუშაობდი, ჩემი მთელი მოღვაწეობა უმაღლეს სასწავლებელს შევსწირე, ბუნებრივია, რომ უმაღლეს საბჭოშიც ყოველი ჩემი ძალ-ღონე მსურს ვიხმარო ამავე საკითხების გასაშუქებლად, როგორც საბჭოთა საქართველოს შეშვენის...“[2]

სამწუხაროდ, ივ. ჯავახიშვილს აღარ დასცალდა ხანგრძლივი მოღვაწეობა, რომ ხალხის სამსახურის ამ უბანზეც სრულყოფილად გაეშალა თავისი შემოქმედებითი ნიჭი.

ორმოც წელზე მეტი იმოღვაწა მან ქართველი ხალხის წარსულის, აწმყოსა და მომავლის საჭირბოროტო საკითხების გაშუქების სფეროში. ყველგან და ყოველთვის ივ. ჯავახიშვილი თავის კეთილშობილური მოღვაწეობის დიდებულ ნაკვალევს ტოვებდა.

ივ. ჯავახიშვილს არ ეყო სიცოცხლე, რომ ყველაფერი მოესწრო, ყველაფერი გაეკეთებინა, რაც განზრახული ჰქონდა, მაგრამ იგი ბედნიერი იყო ყოველმხრივ. მან თავისი თვალით ნახა გათავისუფლებული თავისი საყვარელი ხალხი, მან თავისი თვალით ნახა, როგორ იზრდებოდა მის მიერ დაარსებული უნივერსიტეტი, როგორ მრავლდებოდნენ უმაღლესი სასწავლებლები და სამეცნიერო დაწესებულებები. ივანე ჯავახიშვილი არა მარტო წამალგადასულ

---

[1] კომუნისტი, 1938, 4 ივნისი.

[2] კომუნისტი, 1939, 9 ივლისი.

პალიმფსესტებს შიფრავდა და სადაო თარიღებს ადგენდა, არამედ სადღეისო ამოცანებთან აკავშირებდა ჩვენი ქვეყნის გარდასულ ამბებს და პირნათლად შესცქეროდა აღორძინებულ აწმყოს.

ივ. ჯავახიშვილი უბადლო იყო თავისი ნიჭით, გონების გამჭრიახობით, მრავალმხრივი ცოდნით, ენერგიული შრომით, მოვალეობის შეგნებით, უბრალოებით, თავმდაბლობით. ამიტომაც იყო, რომ ვისაც კი მასთან რაიმე საქმე ჰქონია, სამუდამოდ მოჯადოებულა მისი პიროვნებით და მეხსიერებიდან არ ამოუშლია მასთან შეხვედრის წუთები.

იგი, როგორც ისტორიკოსი-მეცნიერი, სწავლობდა წარსულს, აყენებდა მას მომავლის სამსახურში, ახარებდა აწმყოს მიღწევები. მისთვის სიხარულის მომგვრელი იყო: პალიმფსესტების აღმოჩენა და კოლხეთის ჭაობიანი დაბლობის ამოშრობა, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და არქეოლოგიური აღმოჩენები, ისტორიული მატიანეების პოვნა, საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვება და სხვა, რადგან კარგად იცოდა, რომ ყველა ეს დიდი წარმატება ჩვენი სახელმწიფოებრივი სისტემის — საბჭოთა წყობილების გამარჯვების შედეგი იყო, სისტემისა, რომელიც წარსულის დიდ მემკვიდრეობას იყენებს და უფრთხილდება.

ამ დიდმა და სახელოვანმა მოღვაწემ მთელი თავისი შინაარსიანი სიცოცხლე მეცნიერების სამსახურს შესწირა. იგი იყო გულმართალი წარმომადგენელი „იმ მეცნიერებისა, რომელიც ხალხს კი არ ემიჯნება, ხალხისაგან შორს კი არ უჭირავს თავი, არამედ მზადაა ემსახუროს ხალხს, მზადაა გადასცეს ხალხს ყველა მონაპოვარი მეცნიერებისა, რომელიც მომსახურებას უწევს ხალხს არა იძულებით, არამედ ნებაყოფლობით, ხალისით“ (ი. სტალინი).

ხანგრძლივმა დაუცხრომელმა შრომამ და არანაკლებ ხანგრძლივმა ქრონიკულმა ავადმყოფობამ დააუძლურა ივანე ჯავახიშვილის ორგანიზმი და 1940 წლის 18 ნოემბერს მრავალრიცხოვან მსმენელთა წინაშე ლექციის კითხვის დროს 9 საათსა და 40 წუთზე შეწყდა გულისცემა ამ დიდი ადამიანისა.

ძნელია კალმით ასწერო ის, რაც ლექციაზე დამსწრეებმა ვიგრძენით იმ წუთს.

ყველა დამსწრის გრძნობა გამოხატა აკადემიკოსმა ა. შანიძემ:

—„ყველა იქ მყოფთ ძარღვებში სისხლი გაუშრა, გონება დაებნა. ყველა შიშის ზარმა აიტანა. კარგად ვიცით, რომ ჩვენში ამ დროს სტიქიური კატასტროფა, ვთქვათ მიწისძვრა, არ ყოფილა, მაგრამ მთელი საზოგადოება შეშფოთდა და შეძრწუნდა, მღელვარებამ მოიცვა მთელი თბილისი, შორს გაისმა გლოვის ზარი“.[1]

თბილისელები ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდნენ და ერთმანეთს გადასცემდნენ ამ სამწუხარო ამბავს. ჯერ კიდევ გვამი არ გაცივებულიყო, რომ ფართო საზოგადოების წარმომადგენლები შემოვიდნენ დარბაზში, სადაც ივ. ჯავახიშვილი მისი მოწაფეების ხელებზე იყო გადასვენებული. არავის სჯეროდა, რომ ადამიანი, რომელმაც ამდენი იმოღვაწა, შეიძლებოდა ასე უცბად მოგვშორებოდა. ამბობენ, დიდი ადამიანების სიკვდილიც კი ჩვეულებრივი არ არისო.

როგორც ნათელა ივანეს ასულმა ჯავახიშვილმა გადმომცა, ივ. ჯავახიშვილი ახალგაზრდობისას დასწრებია ერთ ლექციას, ლექციის კითხვისას უეცრად გარდაცვლილა პროფესორი. ამ სურათს ისეთი შთამაგონებელი შთაბეჭდილება მოუხდენია ივანეზე, რომ თავისიანებისათვის წერილი მოუწერია. ამ წერილში აღწერდა თურმე მომხდარ ამბავს: უბედნიერესი კაცი ყოფილა, მან სამუდამო ძეგლი აიგო, ლექციის კითხვისას, თავისი საყვარელი საქმის შესრულებისას გარდაიცვალაო. ბედნიერი იქნება ის, ვინც ასეთ სიკვდილს ეღირსებაო.

რა იცოდა ივანე ჯავახიშვილმა, რომ მისი სიცოცხლეც ასევე დამთავრდებოდა!.

19 ნოემბერს რესპუბლიკის გაზეთები ჩვენი ქვეყნის მშრომელებს მწუხარებით აუწყებდნენ დიდი ქართველი მეცნიერის ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალებას: „საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მწუხარებით იუწყებიან გამოჩენილი მეცნიერის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის, აკადემიკოს ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილის უეცრად გარდაცვალებას.“ ასევე მწუხა-

---

1 აკ. შანიძე, აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ტ. XVIII, 1941, გვ. 16—17.

რებით აუწყებდნენ ჩვენს ხალხს ამ აუნაზღაურებელი დანაკლისის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სხვ.

20 ნოემბერს, ნაშუადღევს პირველ საათზე, ივ. ჯავახიშვილის ცხედარი სამკურნალო კომბინატის შენობიდან სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში გადაასვენეს. შავად შეიმოსა უნივერსიტეტი. იგი გლოვობდა თავის დამაარსებელს.

20 ნოემბერს ნაშუადღევის 4 საათიდან დაიწყო ივ. ჯავახიშვილთან გამოსათხოვარი სელა. ზღვა ხალხი მოდიოდა კუბოსთან. მოდიოდნენ მეცნიერები, მწერლები, მუშები, ჯარის ნაწილები, მოსწავლეები, ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონების წარმომადგენლები, მოძმე რესპუბლიკის წარმომადგენლები. ისინი უკანასკნელად ემშვიდობებოდნენ ადამიანს, რომელიც ასე საყვარელი, ასე მახლობელი, ასე მშობლიური და ძვირფასი იყო ყველასათვის.

21 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზო ადრე აივსო ხალხით. შეწყდა ქუჩებში მოძრაობა, უჩვეულო იერი ედო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზს. შავხავერდოვან ფარდაზე დაფნის ცოცხალ გვირგვინში ესვენა ივ. ჯავახიშვილის პორტრეტი. შუა დარბაზში, კვარცხლბეკზე იდგა კუბო განსვენებულის ნეშტით. ცოცხალი ყვავილები, გვირგვინები — სიყვარულისა და მწუხარების ემბლემები ჰფარავდნენ კუბოს და მის პოსტამენტს.

პანაშვიდი დასრულდა. ცხედართან გამოსათხოვებლად მივიდნენ განსვენებულის ოჯახის წევრები, სტუდენტებსა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკებს უხმოდ მიაქვთ დარბაზიდან მრავალრიცხოვანი გვირგვინები და თაიგულები.

კუბოს გარს შემოერტყნენ გარდაცვალებულის მოწაფეები და მეგობრები, გამოჩენილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები: ა. შანიძე, გ. ახელედიანი, ფ. გოგიჩაიშვილი, კ. კეკელიძე, დ. უზნაძე, ს. ჯანაშია, ი. ნიკოლაძე, ნ. კეცხოველი, გ. ხაჭაპურიძე, ნ. ბერძენიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი... პროფესორმა ალ. ჯანელიძემ გამოიტანა წითელი ბალიში, რომელზეც დამაგრებული იყო აკადემიკოს ივ.

ჯავახიშვილის მიერ საბჭოთა მთავრობისაგან მიღებული მაღალი ჯილდო — შრომის წითელი დროშის ორდენი და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის ნიშანი.

სამგლოვიარო მიტინგი დასრულდა ორკესტრის სამგლოვიარო ჰანგებში. საღამოს 6 საათსა და 15 წუთზე ცხედარი სამარეში ჩაასვენეს. იგი უნივერსიტეტის ფუძემდებელი იყო და უნივერსიტეტის ეზოშივე, თავის თანამებრძოლ პეტრე მელიქიშვილის გვერდით ჰპოვა უკანასკნელი საუკუნო თავშესაფარი.

გაითვალისწინა რა ივ. ჯავახიშვილის დიდი დამსახურება ჩვენი ხალხის წინაშე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის შუამდგომლობა და აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სახელი მიაკუთვნა თბილისის მე-18 საშუალო სკოლას.

აკადემიკოს ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილის ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა:

1. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში დაიდგას აკადემიკოს ი. ა. ჯავახიშვილის ბიუსტი, რის შესრულებაც დაევალა საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს.

2. დამტკიცდეს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის წინადადება ქ. თბილისში კოლხიდის ქუჩისათვის ი. ა. ჯავახიშვილის სახელის დარქმევის შესახებ.

3. დაწესდეს ი. ა. ჯავახიშვილის სახელობის ათი გაძლიერებული სტიპენდია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიული და ფილოლოგიური ფაკულტეტების ფრიადოსანი სტუდენტებისათვის.

4. დაევალოს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალს გამოსცეს ი. ა. ჯავახიშვილის შრომები ორ ენაზე — ქართულსა და რუსულზე.

5. ი. ა. ჯავახიშვილის მეუღლეს — ანასტასია ნიკოლოზის ასულ ჯავახიშვილს დაენიშნოს პერსონალური პენსია 1000 მანეთის რაოდენობით თვეში.

ივ. ჯავახიშვილმა დაგვიტოვა დიდი მეცნიერული მემკვიდრეობა, რომლის მიმოხილვა, ზოგადად მაინც, საჭიროდ და სასარგებლოდ მიგვაჩნია.

ივანე ჯავახიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობა

ქართული წყაროთმცოდნეობა

როდესაც ივ. ჯავახიშვილი სამეცნიერო ასპარეზზე გამოვიდა, საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა სავალალო მდგომარეობაში იყო. „მაშინ ქართული საისტორიო კვლევა-ძიებაც მეთოდოლოგიურად ძალიან დაქვეითებული იყო და არც წყაროების კრიტიკული შესწავლისა და არც ტექსტის აღდგენისა და წესიერად გამოცემისა და ფილოლოგიური თარგმანების აუცილებლობის შეგნება არსებობდა".

სიმონ ჯანაშიას სამართლიანი თქმით, საქართველოს ისტორიის მოყვარულთა წრეში გულუბრყვილო მოწიწებით, ნაციონალისტური განწყობილება იყო გაბატონებული მშობლიური წარსულის ყველა ძეგლისადმი, განურჩეველად. დიდმპყრობელური და შოვინისტური წრეები კი, პირიქით, ნერგავდნენ უარყოფითს, ნი-

ჰილისტურ დამოკიდებულებას ამ წყაროებისადმი, ცდილობდნენ რა მათი მნიშვნელობის გაბახებასა და გაქარწყლებას.[1]

საქართველოს ისტორიის შესწავლა წყაროების პირუთვნელი და სასტიკი კრიტიკით უნდა დაწყებულიყო.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, ყოველი წყარო, მათ შორის საბუთებიც, აუცილებლად ჯერ წინასწარ ყოველმხრივ უნდა იყოს შესწავლილ-შეფასებული და მხოლოდ ამის შემდგომ შეიძლება გამოყენებული იყოს და რომ არაფერი თავისდათავად ცხადად და დამტკიცებულად არ უნდა იქნას მიჩნეული. სანამ ასეთი სამუშაო არ გაკეთდება და წყაროებს კრიტიკულად არ განვიხილავთ, არავითარი მეცნიერული ისტორია არ გვექნებაო, ამტკიცებდა მეცნიერი. წყაროების კრიტიკულად შესწავლის დროს ივ. ჯავახიშვილი მეთოდოლოგიურ მითითებებს იძლეოდა. მისი აზრით, საჭიროა გამორკვეულ იქნას „როგორც თითოეული მემატიანისა და ისტორიკოსის პიროვნება, — თუ რა წრესა და მიმართულებას ეკუთვნოდა სახელდობრ იგი, რა მსოფლმხედველობისა და თვალსაზრისის კაცი იყო, — ისე აგრეთვე რა მიზანი ჰქონდა და რა სწადდა მას, როდესაც თავის თხზულების წერას შეუდგა".[2] საჭიროა აგრეთვე გამორკვეულ იქნას „რა და რა და რამდენად სანდო წყაროები ჰქონდა თითოეულ მათგანს და რა გზით და რა საშუალებით სურდათ და შესძლეს თავიანთი მიზნის განხორციელება?".[3]

„ქართლის ცხოვრების" შესწავლამ ივ. ჯავახიშვილი მეტად საგულისხმო დასკვნამდე მიიყვანა: „ქართლის ცხოვრების განხილვის დროსაც უფრო გარეგანი კრიტიკა იყო გამეფებული, ვიდრე წყაროების არსებითი და ყოველმხრივი შესწავლა. მკვლევართ განსაკუთრებით ის აწუხებდათ, თუ ვინ და როდის შეადგინა თვით კრებული და უცხოელ კრიტიკოსთა აზრისდა საწინააღმდეგოდ უნდოდათ დაემტკიცებინათ, რომ ქართლის ცხოვრების თითოეული ნაწილი თანამედროვის მიერ არის დაწერილი.

სამწუხაროა, რომ ჩვენში სრულებით შეგნებული არა აქვთ და არცა ჰქონდათ, რომ თითოეული ძველი საისტორიო თხზულების

---

[1] ს. ჯანაშია, იუანე ჯავახიშვილი, მნათობი, 1938, № 6, გვ. 97.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, I, 1945, გვ. 11.

[3] იქვე.

განხილვის დროს მკვლევარს მარტო ავტორის თანამედროვეობა კი არ უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული, არამედ მისი პიროვნებაც, განათლება, აზროვნება და მედასეობა, მისი წყაროების თვისება, ჟამთააღმწერლის წერის წესი და მეთოდები. საისტორიო ნაწარმოების ქრონოლოგიური განხილვა მხოლოდ თანამედროვეობის მხრივ მეტად მარტივი საშუალებაა იმიტომ, რომ მატიანე და ჟამთააღმწერელი შეიძლება თანამედროვეც იყოს, მაგრამ თუ ამასთანავე მოთხრობილის თანადამხდური არ არის, ან თუ მისი მოამბე სარწმუნო თანადამხდური და თვითმხილველი არ იყო, მის მოთხრობას დიდი ფასი და მნიშვნელობა არა აქვს.

თანამედროვე მკვლევარმა ისიც უნდა იცოდეს, რომ აღმწერელის თვალსაზრისი, წოდება და მედასეობა საისტორიო მოთხრობაზე თავისს ძლიერს დაღს ასვამს ხოლმე და ნებაუნებლიედ მიუდგომლობაზე მოქმედებს"[1].

როგორც უკვე ვთქვით, ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, ივ. ჯავახიშვილმა დაწერა გამოკვლევა „ანდრია მოციქულისა და წმ. ნინოს მოღვაწეობა საქართველოში". ახალგაზრდა მკვლევარმა ამ შრომაში დაამტკიცა, რომ „ნინოს ცხოვრება" არ ვარგა, როგორც მე-4 საუკუნის წყარო, რადგან მისი ცნობების უმრავლესობა გვიანდელ ხანაშია შეთხზული, რომ ძეგლის ისტორიულ-შემეცნებითი მნიშვნელობა სულ სხვა, მისი შემდგენელ-რედაქტორების დროისათვის უნდა ვივარაუდოთ.[2]

ივ. ჯავახიშვილის ასეთი რადიკალური შეხედულება თავის დროისათვის ქართულ ისტორიოგრაფიაში ნამდვილი რევოლუცია იყო. ეს შეხედულებანი პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა იმდროინდელი ოფიციალური ისტორიოგრაფიის შეხედულებებს.

საქართველოს ისტორიის წყაროების მეცნიერული შესწავლა ივ. ჯავახიშვილის უდიდესი დამსახურებაა და, როგორც განსვენებულმა ს. ჯანაშიამ მშვენივრად შენიშნა, „ამაშიეე ვპოვებთ ჩვენ საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლის საძირკველსაც"[3].

---

1 ივ. ჯავახიშვილი, „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-XVIII საუკუნეები)" I, 1945, გვ. 11-12.

2 ს. ჯანაშია, დასახ. შრომა, გვ. 97.

3 ს. ჯანაშია, დასახ. შრომა, გვ. 98.

ივ. ჯავახიშვილის ღვაწლი წყაროთმცოდნეობაში, უპირველეს ყოვლისა. იმაში მდგომარეობს, რომ მან პირველმა შეძლო ქართული ისტორიული წყაროების ნამდვილი მეცნიერული შეფასება. თუ მანამდე ერთნი მთლიანად უარჰყოფდნენ ქართული ისტორიული წყაროების ისტორიულ ღირებულებას, ხოლო მეორენი გადამეტებით აფასებდნენ მას, ივ. ჯავახიშვილმა ღრმა მეცნიერული შესწავლის საფუძველზე ნათელი გახადა, თუ რა უნდა იქნას მიღებული ამა თუ იმ წყაროდან და რა არის უარსაყოფელი; წყაროებისადმი კრიტიკული დამოკიდებულების შედეგად ივ. ჯავახიშვილმა ნათელჰყო, რომ „ქართლის ცხოვრება“ არის ნახევრად ოფიციალური კრებული, რომლის ავტორები ცენტრალური — მეფის ხელისუფლების ინტერესებს იცავენ; საქართველოს ისტორიის მეცნიერულად შესწავლის აუცილებლობამ აკად. ივ. ჯავახიშვილი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ საქართველოს ისტორია შესწავლილ უნდა იქნას გარკვეული ხალხებისა და ქვეყნების ისტორიასთან მჭიდრო კავშირში; ამიტომ საქართველოს ისტორიის წყაროებთან ერთად იგი სწავლობს მეზობელ ხალხთა სათანადო ისტორიულ წყაროებსაც; უცხო ენების (ძველი თუ ახალი) საფუძვლიანმა ცოდნამ (სომხური, სპარსული, ბერძნული, ლათინური, სირიული, ევროპული ენები) ივ. ჯავახიშვილს საშუალება მისცა უცხოურ მწერლობაში დაცული ცნობები საქართველოს ისტორიის მეცნიერული კვლევისათვის სათანადოდ გამოეყენებინა. უცხოური მწერლობის ისტორიიდან მან მხოლოდ ძველი სომხური საისტორიო მწერლობის ნაწილის გამოქვეყნება მოასწრო; საისტორიო წყაროებზე მუშაობის შედეგად ივ. ჯავახიშვილმა არა ერთი ისტორიული, მანამდე უცნობი, წყარო აღმოაჩინა და სათანადოდ შეაფასა: ა) „ქართლის ცხოვრების“ უძველესი ნუსხები („ანასეული“ და „ჰალაშვილისეული“), ბ) თამარ მეფის მეორე ისტორიკოსი — ბასილ ეზოსმოძღვარი, გ) ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე, დ) ე. წ. „ხანმეტი“ ტექსტები და მრავალი სხვა.

ყოველივე ამის შედეგად, „დიდი შემოქმედის სიმკაცრით გაწმინდა განსვენებულმა მეცნიერმა ქართველი ერის ისტორიის საშენი მასალა (ისტორიის წყაროების კრიტიკა ჩვენში აქამდის სრულიად არ არსებობდა და მეცნიერების ეს დარგი ქართულ ისტო-

რიოგრაფიაში განსვენებულმა ჯავახიშვილმა შემოიტანა). არა ერთი საისტორიო წყარო, რომლის სანდოობაში აქამდის ეჭვი არავის შესდიოდა, ულმობელი კრიტიკის სინათლეზე გამოიტანა და უკუაგდო, არა ერთი პატრიოტული გადმოცემა, ხალხური შემოქმედების ღამაზი ნაყოფი, როგორც ისტორიისათვის უვარგისი წყარო, შეუბრალებლად გასწირა; უზარმაზარი შრომის შედეგად სავსებით დაამსხვრია მის დრომდის არსებული შეხედულება ქართულს ისტორიოგრაფიაზე და სრულიად ახალი შეხედულება დაასაფუძვლა. ამავე დროს მან შემოიკრიბა უცხოური წყაროები ქართველი ხალხის წარსულის შესახებ. ყველაფერი ეს შედარებითი შესწავლის მკაცრი კრიტიკით გაცხრილა და აგრე დამზადებული სანდო საშენი მასალით ქართველი ერის ისტორიის წერას შეუდგა".[1]

ივანე ჯავახიშვილის კაპიტალური ნაშრომი „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა" ოთხი წიგნისაგან შედგება.

1. „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა" (V—XVIII სს.). გამოიცა სამჯერ, 1916, 1921 და 1945 წლებში.

2. „ქართული საფას-საზომთამცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია" (თბილისი, 1925).

3. „ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია" (თბილისი, 1926; მეორე გამოცემა, 1949 წ.).

4. „ქართული სიგელთამცოდნეობა ანუ დიპლომატიკა" (თბილისი, 1925 წ.).

ქართული საისტორიო მწერლობა ავტორს განზრახული ჰქონდა სამ წიგნად მოეცა. პირველ წიგნში ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V—XVIII სს.) არის განხილული. როგორც თვით ივ. ჯავახიშვილი აცხადებდა, მეორე წიგნი ორი ნაწილისაგან იქნებოდა შემდგარი; პირველ ნაწილში საქართველოსა და ქართველთა ისტორიის შესახებ დანარჩენი მასალები უნდა ყოფილიყო განხილული.

---

1 ნ. ბერძენიშვილი, აკად. ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების პირველი წლისთავისათვის, ენიმკის მოამბე, ტ. XIII, 1943, გვ. 266.

ხოლო მეორე ნაწილში უცხოეთის საისტორიო მწერლობის განვითარების მიმოხილვა იქნებოდა.

მესამე წიგნი განკუთვნილი იქნებოდა თანამედროვე ისტორიოგრაფიის საკითხებისადმი. მეორე წიგნიდან მხოლოდ ერთი ნაწილის — ძველი სომხური საისტორიო მწერლობის — გამოქვეყნება მოასწრო ავტორმა.

ძველი ქართული საისტორიო მწერლობის შესწავლა ივ. ჯავახიშვილმა გიმნაზიაში ყოფნის დროს დაიწყო. ეს შესანიშნაები ნაშრომი იწერებოდა „ქამითი-ქამად" და წინ უსწრებდა ქართველი ერის ისტორიის დამუშავებას. ძველი ქართული საისტორიო მწერლობის სისტემატური დამუშავება ავტორმა 1898 წელს დაიწყო. ცალკეულ თავებს იგი ხან ცალ-ცალკე აქვეყნებდა, ხან ლექციებისა თუ რეფერატების სახით მოახსენებდა ხოლმე საზოგადოებას, ასე რომ, 1898 წლიდან მოყოლებული 1915 წლამდე ეს წიგნი „მაინც იზრდებოდა და ღრმავდებოდა".

როგორც მოსალოდნელი იყო, ნაშრომმა დიდი გაელენა მოახდინა მკითხველზე. მოსე ჯანაშვილი ივ. ჯავახიშვილის ამ წიგნს ყამირის მხვნელ გუთანს უწოდებდა. „ამ მძლავრმა გუთანმა ბევრი „კაჭაჭი" ამოაგდო ძირიან-ფესვიანად და საისტორიო ყანობირი საკმაოდ გასწმინდა ღვარძლისაგან. შეუდგები ამ საკვირველ წიგნს და გინდა მწვერვალამდის მიაღწიო შეუსვენებლივ, დაეწაფო, ვით მოწყურებული ირემი წყაროს და ამოსწურო იგი ბოლომდის. ნამდვილი წმინდა გუთანივით შლის, არღვევს, აბრუნებს. გადადის „ბელტი ბელტზე". ცოცხლდებიან და მზის შუქზე ამოდიან უმეცრების გზით დამარხული მოღვაწეები და ისტორიკოსები".[1]

ძველი ქართული საისტორიო მწერლობის შესწავლისას ივ. ჯავახიშვილი არა მარტო წყაროთმცოდნეობითი მეთოდოლოგიური ხასიათის დებულებებს აყალიბებდა, არამედ სრულიად ახალ გაგებასაც იძლეოდა ამა თუ იმ წყაროსა თუ ისტორიკოსის განწილვისას.

ივ. ჯავახიშვილი უარყოფს „ქართლის ცხოვრებით" სარგებლობის გაბატონებულ წესს და მიუთითებს: „ქართლის ცხოვრებით"

---

[1] მ. ჯანაშვილი, უნივერსიტეტი, გაზ. „საქართველო", № 10, 1918 წელი.

სარგებლობის დროს საჭიროა გათვალისწინებული იყოს, რომ „ქართლის ცხოვრება“ ერთიანი ნაწარმოები კი არ არის, არამედ სხვადასხვა ავტორების საისტორიო თხზულებათა კრებულია და მკითხველმაც უნდა იცოდეს, რომელ მემატიანეს აქვს მოყვანილი ესა თუ ის ცნობა, „რომ ამისდა მიხედვით გაითვალისწინოს, თანამედროვეს ეკუთვნის ის ცნობა თუ არა. მემატიანეა მისი ავტორი, ისტორიკოსი, თუ უბრალო კომპილატორი?“.[1]

ივანე ჯავახიშვილის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ მან პირველმა მიუთითა იმ წყაროებზე, რომელთა მნიშვნელობა მანამდე უგულებელყოფილი იყო. ისტორიკოსები გატაცებული იყვნენ „ქართლის ცხოვრებით“ და სიგელ-გუჯრებით და ყურადღებას არ აქცევდნენ მარტვილთა და წმიდანთა ცხოვრებას. წყაროთა ასეთ ჯგუფს კი, როგორც ცნობილია, ამა თუ იმ ერის სამოქალაქო ისტორიის შესწავლისათვის ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობაც კი აქვს, მაგალითად, იაკობ ცურტაველის ნაშრომს შუშანიკის წამების შესახებ ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს აღმოსავლეთ საქართველოს V საუკუნის პოლიტიკური ისტორიის შესწავლისათვის. ივ. ჯავახიშვილის აზრით, წმიდანთა ცხოვრების შესწავლის გარეშე სამოქალაქო ისტორიის უშუალო ძეგლების შესწავლა ცალმხრივი იქნებოდა. ესეც რომ არ იყოს, „ქართული სამოქალაქო ისტორიის ისეთი ძეგლების, როგორც დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ისტორიკოსთა თხზულებებია, ნამდვილი ღირსებამნიშვნელობის გათვალისწინება შეუძლებელია, თუ კი თავდაპირველად ბასილი ზარზმელის, მეტადრე კი გიორგი მთაწმინდელის, გიორგი ხუცესმონაზონისა და ეფრემ მცირის საეკლესიო საისტორიო თხზულებები გულდასმით შესწავლილი არ გვექნება“.[2]

სანამ უშუალოდ საისტორიო ძეგლების განხილვას შეუდგებოდეს, იგი ადგენს ქართულს ისტორიოგრაფიაში არსებულ ისტორიის აღმნიშვნელ ტერმინებს. მისი აზრით, ძველად ისტორიის ცნების გამომხატველ ტერმინად იხმარებოდა „ცხორება“ ან „ცხოვრება“ და ამ დებულების დასამტკიცებლად არა ერთ ფაქტს

---

1 ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 12.
2 იქვე, გვ. 13.

იმოწმებს. იხმარებოდა „მატიანეც“, მაგრამ ძველად ამ სახელით დაბალხარისხოვანი, მხოლოდ მოვლენათა მარტივად აღმნუსხველი საისტორიო თხზულებები იწერებოდა. თუმცა ვახუშტის შრომებში „მატიანეს“ ზოგადი ისტორიის მნიშვნელობაც აქვსო, დაასკვნიდა ივ. ჯავახიშვილი[1].

თამარ მეფის ისტორიკოსმა შემოიტანა „ისტორია“ და ისტორიათა-აღმწერლობა“. აქ ნახმარი ორი ტერმინი მკვლევარმა სხვადასხვა მნიშვნელობისად მიიჩნია და პირველს ისტორიის ზოგადი ცნების გამომხატველი შინაარსი მიაწერა, ხოლო მეორეს — ისტორიოგრაფიისა. თამარ მეფის ისტორიკოსის ამ ტერმინებმა, ჩანს, მოქალაქეობრივი უფლება ვერ მოიპოვეს და ისინი მომდევნო ძეგლებში არ გვხვდება[2]. ისტორიის აღმნიშვნელ ტერმინად იყენებენ აგრეთვე „ჰამბავს“, ან „ამბავს“, („ამბავი ქართლისა“, „ამბავი მეფეთა“ და სხვ.).[3]

ამავე მეთოდით ივ. ჯავახიშვილი სხვა ტერმინებსაც ჩამოთვლის და მათ მნიშვნელობას ადგენს: „მოთხრობა“, „თხრობა“. „ქრონიკები“ და სხვა. ძველი ქართული საისტორიო მწერლობის შესწავლამ ივ. ჯავახიშვილი მიიყვანა მეტად საინტერესო დასკვნამდე: „ქართველი ისტორიკოსები საისტორიო მწერლობას მოწიწებით და თავიანთ მოვალეობას პასუხისმგებლობის სრულის შეგნებით ეპყრობოდნენ. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ საისტორიო თხზულებაში ყველაფრის და ყოველგვარი ცნობების შეტანა კი არ შეიძლებოდა, ყველაფერი არ იყო „ღირს ჴსენებისა“ (გიორგი ხუცესმონაზონი), არამედ მხოლოდ ისეთი ამბების აღნუსხვა მიაჩნდათ სასურველად, რომელნიც მემატიანეს „მოსაჴსენებლად, არა უჯერო“-დ ეჩვენებოდა (გიორგი ხუცესმონ.)“.[4]

ის ფაქტი, რომ იმდროინდელ ისტორიკოსებს შეგნებული ჰქონდათ თავიანთი მოვალეობა, არჩევდნენ ტყუილს მართლისაგან, იცოდნენ ისტორიული ნაწარმოების დანიშნულება („ჟამთა აღმწერლობა ჰეშმარიტების მეტყუელება არს“), მოწმობს ქართული ის-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 15.

[2] იქვე, გვ. 15.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 17.

ტორიული აზროვნების განვითარების მაღალ დონეს. ჩანს, არსებობდა გარკვეული აზრი საისტორიო ნაწარმოების წერის წესის შესახებ[1].

იოანე საბანისძის ნაწარმოების შესწავლის საფუძველზე ივ. ჯავახიშვილი დარწმუნდა, რომ უკვე მერვე საუკუნეში ქართველ მეცნიერ-მწერლებს ამა თუ იმ ნაწარმოების დაწერისათვის წინასწარ გეგმის შედგენა სცოდნიათ.[2] „იოანე საბანისძის სამაგალითო ნაწარმოები ამტკიცებს, — ამბობს ივ. ჯავახიშვილი, — რომ ქართულ საისტორიო მწერლობას უკვე VIII საუკუნეში ტექნიკის მხრივ თვალსაჩინო წარმატება ეტყობა და მარტივ, აღწერილობითი კილოთი მოთხრობილ ნაწარმოებებს გარდა წინასწარ შედგენილ გეგმაზე აგებული და შეთხზული შრომებიც მოიპოვებოდა!..[3]

მეცნიერმა სრული დამაჯერებლობით გვიჩვენა, თუ როდის დაიწყო და როგორ ვითარდებოდა ქართული ისტორიოგრაფია იაკობ ცურტაველიდან ომან ხერხეულიძემდე (V—XVIII სს.). ამ საკმაოდ დიდ, ცამეტსაუკუნოვან მანძილზე ქართული საისტორიო მწერლობის განვითარებაში შეიმჩნევა როგორც აღმავალი, ისე დაღმავალი ხაზიც. ივ. ჯავახიშვილმა განმარტა ქართული კულტურის აღმავლობა-აღზევებისა და დაქვეითება-დაცემის ნამდვილი მიზეზები, მან სამართლიანად მიუთითა, რომ ქართული კულტურა, საერთოდ, და ქართული ისტორიოგრაფია კერძოდ, უშუალო ნაწილია ქართველი ხალხის სახელმწიფოებრიობისა.

როგორც ცნობილია, VIII საუკუნეში ქართველი ხალხი ძალებს იკრებდა არაბთა მძლავრობის წინააღმდეგ; ფიზიკური წინააღმდეგობის გვერდით ჩნდება სხვა საშუალებებიც — პროპაგანდა. ბრძოლის ეს მეთოდი ცხოვრებამ მოითხოვა და გაჩნდა საამისო ნაწარმოებიც: იოანე საბანისძის „აბო თბილელის მარტვილობა".

მომდევნო ხანებში საქართველოს ცალკეული მხარეები დაწინაურდნენ. ქვეყნის საერთო მდგომარეობამ (კულტურულ-ეკონომიური დაწინაურება) მათი გაერთიანების საკითხიც დღის წესრიგ-

---

1. ივ. ჯავახიშვილი ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. გვ. 17.
2 იქვე, გვ. 19.
3 იქვე.

ში დააყენა. ქართველი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლები თავიანთ შემოქმედებაში ასახავენ ამ პროცესს. იწყება ჰიდილი პროგრესულ — გაერთიანების მომხრე დასსა და რეგრესულ — გაერთიანების მოწინააღმდეგე დასს შორის. ეს პროცესი საქართველოს გაერთიანებით მთავრდება. ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენლები მეფდებიან გაერთიანებულ საქართველოში, და აი, ივ. ჯავახიშვილმა შენიშნა, რომ „ყველა ისტორიკოსები, რომელთა ნაშრომებიც კი „ქართლის ცხოვრების“ კრებულშია შეტანილი, მეფეთა პოლიტიკის მომხრენი და დიდებულ აზნაურთა მოძულენი იყვნენ“.[1] მაგრამ, ივ. ჯავახიშვილის აზრით, იყვნენ მეფის მოწინააღმდეგე ისტორიკოსებიც, რომელთა ნაწარმოები „ქართლის ცხოვრების“ კრებულში არ შეიტანეს. ამდენად „ქართლის ცხოვრება“ ნახევრად ოფიციალური კრებულია და მისი გამოყენების დროს ეს უნდა იქნას მხედველობაში მიღებული. ამგვარად, ივ. ჯავახიშვილმა საისტორიო მწერლობაში, როგორც თვითონ ამბობს, მედასეობა შეამჩნია.

აღსანიშნავია ისიც, რომ ივ. ჯავახიშვილმა გაამახვილა ყურადღება ქართველი ისტორიკოსების ერთ დიდ მიღწევაზე — „ელინური საისტორიო მწერლობის ცოდნა ქართველებს გარდა ძველს მახლობელ აღმოსავლეთში თითქმის არავის ემჩნევა და არც არაბულმა, არც სომხურმა ძველმა საისტორიო მწერლობამ თითქმის არაფერი იცოდა ელინური ისტორიათა-აღმწერლობისა“.[2]

ქართული ისტორიული აზროვნება იქამდე განვითარდა მე-12 საუკუნეში, რომ პიროვნებას შესაფერისი როლი მიუჩინა ისტორიაში. ამ ხანის ქართველი ისტორიკოსის აზრით თითოეული სახელმწიფო მოღვაწე, „თვით უძლიერესი გვირგვინოსანიც კი, ყოვლად შემძლებელი არ არის და მისი მოქმედების ნაყოფიერება ქვეყნისა და ხალხის თანამედროვე მდგომარეობითა და საზოგადოებრივი პირობებით არის შეზღუდული“.[3]

---

1 ივ. ჯავახიშვილი ძველი ქართული საისტორიო მწერლობა გვ. 28.
2 იქვე, გვ. 29.
3 იქვე, გვ. 33.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, ჩვენამდის მოღწეული მთელი ქართული საისტორიო მწერლობა წარმოიშვა მარტვილობათა და წმიდანთა ცხოვრებიდან. ამ მოვლენას იმით ხსნიდა, რომ ქრისტიანობა თავდაპირველად აკრძალულ სარწმუნოებად ითვლებოდა და შემდეგში, როცა იგი სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადდა, ქრისტიანულმა მწერლობამ იწყო აღწერა ქრისტიანობისათვის წამებულთა ცხოვრებისა. ასევე ქრისტიანობის განმტკიცების შემდეგ წმიდანთა მოღვაწეობაც დაიწერაო.[1]

განსვენებულმა მეცნიერმა პირველმა მიაქცია ყურადღება, რომ მარტვილთა და წმიდანთა ცხოვრების ამსახველი პირველი წყაროები შემდგომ თაობებს გადაუკეთებიათ და დაასახელა მიზეზებიც.

1. პირვანდელი ძეგლები მარტივი ენით დაწერილი და გულუბრყვილოდ მოთხრობილი ფაქტების შემცველი თხზულებები იყო და ფილოსოფიურად განვითარებულ სწავლულთა გემოვნებას აღარ აკმაყოფილებდა;[2]

2. პირვანდელ წყაროებში მოთხრობილი ფაქტები გადაკეთებელთა მსოფლგაგებას აღარ შეეფერებოდა (მაგ., ათცამეტ მამათა ცხოვრებანი), და აკეთებდნენ ისე, როგორც მათი ეპოქა მოითხოვდა.

3. თუმცა ასეთ „გადაკეთებულ ცხოვრებებში" ქართული აზროვნების ისტორიისათვის ძვირფასი მასალები მოიპოვება „და მათი ჯეროვანი გადმოცემა და შესწავლა აუცილებლად საჭიროა, მაგრამ მაინც სრულებით ცხადია, რომ ისინი ვერასოდეს თავდა პირველი დედნების მაგივრობას ვერ გაგვიწევენ, ვერც იმ დანაკლისს აგვინაზღაურებენ, რომელიც საისტორიო მეცნიერებას ძველ მარტვლობათა და ცხოვრებათა დაკარგვით მოუვიდა იმიტომ, რომ უძველესი ხანის ისტორიის აღდგენად ჩვენთვის სწორედ თავდაპირველს საისტორიო ცნობებსა და მოთხრობას, იმდროინდელს რწმენასა და აზროვნებასა აქვს მნიშვნელობა"[3].

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 35.

[2] იქვე, გვ. 39—40.

[3] დასახ. ნაშრომი, გვ. 43—44.

როგორც ცნობილია, იაკობ ხუცესის (ცურტაველის) „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ“ ითვლება უძველეს ქართულ საისტორიო თხზულებად. ამ ძეგლის შესწავლისა და ინტერპრეტაციის დროს ივ. ჯავახიშვილი გაკვრით ეხება ძეგლის გამომცემელთა შეხედულებებს (ძეგლი გამოცემული იყო პირველად მიხეილ საბინინის, მეორედ — ს. გორგაძის მიერ, ხოლო მას შემდეგ, რაც ივ. ჯავახიშვილის „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“ გამოვიდა, 1938 წელს პროფესორმა ილ. აბულაძემ ძეგლი გამოსცა მესამედ), გადმოგვცემს ძეგლის მთავარ შინაარსს, არკვევს ავტორის ვინაობას, ძეგლის დაწერის თარიღს, ადარებს ქართულ ხელნაწერებს სომხურთან და სამართლიანად დაასკვნის, რომ სომხური ხელნაწერები ქართულიდან მომდინარეობენ, რომ ძეგლი იაკობ ხუცესის მიერ დაწერილი იყო ქართულად და ამდენად სომხური ვარიანტი მეორადია მხოლოდ.[1]

იძლევა რა ძეგლის ფილოლოგიურ განხილვას, დაასკვნის: „...იაკობ ხუცესის მიერ დაწერილი წმინდა შუშანიკის ვრცელი „წამება“ ჯერ-ჯერობით უძველესი ქართული საისტორიო ძეგლია და ვითარცა თანამედროვის, თანადამხდურისა და მონაწილის მიერ შედგენილი, ძვირფას და შინაარსიან საისტორიო წყაროდ უნდა ჩაითვალოსო“.[2]

ამის შემდეგ ივ. ჯავახიშვილი არჩევს VI საუკუნის უცნობი ისტორიკოსის თხზულებას „მარტვილობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ“. ამ ძეგლის შესწავლისათვის ავტორს დაუთმია თავისი შრომის 6 გვერდი[3]. ივ. ჯავახიშვილმა ამ ძეგლზე მუშაობა ჯერ კიდევ გერმანიაში ყოფნის დროს დაიწყო. მან საბინინის „საქართველოს სამოთხიდან“ 1901 წელს გერმანულად თარგმნა ევსტათი მცხეთელის მარტვილობა, ჰარნაკთან ერთად გამოკვლევა დაურთო და დაბეჭდა ბერლინის სამეცნიერო აკადემიის მოამბეში.

---

[1] დასახ. ნაშრომი, გვ. 53.

[2] იქვე, გვ. 54.

[3] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 55–60.

ამ ძეგლს, ისე, როგორც შუშანიკის წამებას, ივ. ჯავახიშვილი ფილოლოგიურად არჩევს და შემდეგ მის ისტორიულ შეფასებას იძლევა. მიუხედავად იმისა, რომ ძეგლი ერთგვარ გადაკეთება-განახლების კვალს ატარებს, მაინც ძვირფას ცნობებს შეიცავს VI საუკუნის საქართველოს პოლიტიკური ისტორიის შესწავლისათვის.

ივ. ჯავახიშვილი ამ წესით იხილავს მომდევნო ხანის სხვა ძეგლებსაც. მაგალითად, ძეგლი „წამებაჲ ყრმათა წმინდათაჲ რიცხვით ცხრათაჲ კოლაელთაჲ“ უცნობი ავტორისაა. ჩვენამდე მოაღწია X საუკუნის ხელნაწერმა. ნიკო მარმა შენიშნა, ეს ძეგლი ენობრივი მონაცემებით ძველია და ქრისტიანობის გავრცელების პირველ ხანებს ეკუთვნისო. ივ. ჯავახიშვილმა შეუძლებლად სცნო ძეგლის ნამდვილი თარიღის გამოკვლევა, ენობრივადაც მე-9 საუკუნეზე ადრინდელად არ მიიჩნია, რადგან აქ „დაბის“ აღმნიშვნელად უკვე „სოფელი“ გვხვდება, მაგრამ ნიკო მართან ერთად მაინც გაიზიარა ის აზრი, რომ „კოლაელ ყრმათა მარტვილობა საყურადღებოა როგორც ძეგლი, რომელშიაც წარმოდგენილია ის თავდაპირველი ხანა, როდესაც ქრისტიანობას საქართველოში ბრძოლა უნდა ჰქონოდა ადგილობრივ წარმართობასთან. ამ მარტვილობას გარდა ჩვენამდე სხვა ამავე ხანის დამსურათებელს თხზულებას არ მოუღწევია. მას საისტორიო მეცნიერებისათვის ის მნიშვნელობაც აქვს, რომ იქ, როგორც ნ. მარმაც აღნიშნა, შენახულია უტყუარი სურათი იმისა, თუ როგორის სიძლიერით ჰყვარებიათ ჩვენს წინაპრებსაც თავიანთი წარმართობა, მამაპაპური რწმენა, რომ ისინიც უბრძოლველად არ უთმობდნენ ასპარეზს ახალს სარწმუნოებას და ჩვენშიაც პირველ ხანებში გაუწარებით ეწინააღმდეგებოდნენ ქრისტიანობას“.[1]

ივ. ჯავახიშვილის აზრით, მარტო ნათქვამით არ ამოიწურება ამ ძეგლის მნიშვნელობა. მასში კაცი იპოვის მასალებს, როგორც ქრისტიანული და საწარმართო აზროვნების ისტორიის, ისე ქართული სამართლის ისტორიის შესახებაც.[2]

---

1 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 65.

2 იქვე. გვ. 65.

ამის შემდეგ. გარკვეული ქრონოლოგიური წესის დაცვით, ივ. ჯავახიშვილი არჩევს იოანე საბანისძეს[1]. შემდეგ განხილულია „ცხორებაჲ და წამებაჲ კონსტანტინე კახისაჲ" (ძეგლი დაწერილია 853—856 წლებს შორის)[2].

ეს ძეგლიც უცნობი ავტორის მიერ არის დაწერილი და, როგორც შინაარსიდან ჩანს, ავტორი მოთხრობილი ამბის თანამედროვე უნდა იყოს, თუმცა უფრო გაგონილ ამბებს ჰყვება, ვიდრე თვალით ნახულს.

ივანე ჯავახიშვილი დაწვრილებით იხილავს ამ ძეგლს, ცხრილავს მართალს ტყუილისაგან და სრულიად სამართლიანად აღნიშნავს, რომ ამ ძეგლში ბევრი საგულისხმო ცნობაა ჩვენი ისტორიისათვის შემონახული.

ზევით უკვე აღნიშნული იყო: როგორც უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის გარკვეული საშუალება, გაჩნდა წერილობითი პროპაგანდა, ამ სფეროდან არის ეს ძეგლიც.

ივ. ჯავახიშვილი ცალკე გამოყოფს ქართულ-სომხური ეკლესიის განხეთქილების პრობლემას და იხილავს მათი პაექრობის ისტორიას, პაექრობას ორი მთავარი საკითხი აინტერესებდაო, ამბობს იგი: 1. ქართულ-სომხური ეკლესიის განხეთქილების ნამდვილი მიზეზების გამორკვევა და 2. საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების პირველ მქადაგებელთა ვინაობის დადგენა.[3]

არსენ კათალიკოსის შრომის განხილვისას ივ. ჯავახიშვილმა შემდეგი დასკვნები მოგვცა:

1. პაექრობა დაიწყო VII საუკუნის დამდეგს და გრძელდებოდა თამარის მეფობის უკანასკნელ წლებამდე. არსენ კათალიკოსის (ივ. ჯავახიშვილის აზრით, ცხოვრობდა IX ს-ში და უნდა იყოს არა არსენ მეორე, როგორც თ. ჟორდანიას ეგონა, არამედ არსენ პირველი) თხზულება განხეთქილების მიზეზად სომხებს თვლის. სპარსთა მძლავრობამ აიძულაო სომხები ან მონოფიზიტობა მიეღოთ (აღმო-

---

1 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 67—76.

2 იქვე. გვ. 82.

3 იქვე. გვ. 77—81.

სავლურ-ქრისტიანული სექტა, რომელიც ქალკედონურ-ბერძნულ სექტას ეწინააღმდეგებოდა), ან მიწა-წყალზე აეღოთ ხელიო.

2. არსენ კათალიკოსი თავის თხზულების წერისას სარგებლობს ქართული, სომხური და ბერძნული წყაროებით, ამასთან სომხური ცნობებიდან ქალკედონური სექტის წარმომადგენელთა შრომებს იყენებს, სადაც მონოფიზიტების საწინააღმდეგო აზრია გატარებული;

3. დროთა განმავლობაში მონოფიზიტები იმარჯვებენ და ქალკედონისტების თხზულებებს სპობენ, ასე რომ, არსენ კათალიკოსის ნაწარმოებში შემონახული ცნობები ავსებს იმ ხარვეზებს, რომელიც დღემდის შემონახულ სომხურ ძეგლებს აკლია;

4. ყველა ამის გამო არსენ კათალიკოსის ნაწარმოები, შეიძლება ითქვას, ცალმხრივი და მიკერძოებითია, ამიტომ მისით სარგებლობა ერთგვარ სიფრთხილეს მოითხოვს.[1]

მკაცრი ინტერპრეტაციის მეთოდითაა განხილული აგრეთვე წმიდა ნინოს ცხოვრება[2] და „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატიანე.[3] აღიარებულია, რომ ამ ძეგლებს შუშანიკის წამებასა, ესტატე მცხეთელის მარტვილობასა და მსგავს ძეგლებთან შედარებით ნაკლები მნიშვნელობა აქვთ. ცნობები არეულია, მაგრამ კრიტიკული მიდგომით ამ თხზულებების გამოყენებაც აუცილებელიაო.

ქართლის მოქცევის მატიანის შემდეგ ივანე ჯავახიშვილი თანმიმდევრობით იხილავს სტეფანე მტბევარის („წამებაჲ წმინდისა მოწამისა გობრონისაჲ, რომელი განიყვანეს ყუელის ციხით“)[4], გიორგი მერჩულეს („შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად ცხოვრებისაჲ წმიდისა და ნეტარის მამისა ჩუენისა გრიგოლისი არიქმანდრიტისაჲ, ხანძთისა და შატბერდისა აღმაშენებლისაჲ და მისთანა ხსენებაჲ მრავალთა მამათა ნეტართაჲ“)[5], ბასილ ზარზმელის (ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ ღმერთშემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუ-

---

1 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი გვ. 83—93.
2 იქვე, გვ. 102.
3 იქვე, გვ. 103—107.
4 იქვე, გვ. 108—111.
5 იქვე, გვ. 112—123.

ენისა სერაპიონისი"),[1] გიორგი მთაწმიდლის („ცხორებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანესი და ეფთჳმესი და უწყებაჲ ღირსისა მის მოქალაქობისა მათისაჲ, აღწერილი გლახაკისა გიორგის მიერ ხუცეს-მონაზონისა"),[2] გიორგი ხუცესმონაზონის („ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისაჲ") ნაწარმოებებს.[3]

აქ ჩამოთვლილი ნაწარმოებები გვაცნობენ ცალკეულ პირებს, რომელთაც სამშობლო ქვეყნისათვის ისახელეს თავი: სტეფანე მტბევარისათვის გობრონი ღირსია ხსენებისა იმიტომ, რომ მან თავი დასდო სამშობლო ქვეყნის ღირსებებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. გიორგი მერჩულისათვის გრიგოლ ხანძთელი სამაგალითო და მისაბაძია, როგორც ტაო-კლარჯეთის სამონასტრო მოძრაობის მამამთავარი და აღმშენებელი, ბასილ ზარზმელი გაუტაცია სერაპიონ ზარზმელის „ყოველივე ნამუშაკევს". გიორგი მთაწმიდელი განცვიფრებაში მოუყვანია იოანე და ექვთიმე მთაწმიდლების მეცნიერულ-შემოქმედებითს ნამუშევარს, ხოლო გიორგი ხუცესმონაზონს თავისი მასწავლებლის, გიორგი მთაწმიდლის მოქალაქეობა შეუდგენია.

ყველა ეს ნაწარმოები ქრონოლოგიურად X — XI საუკუნეებში შეიქმნა და აქ ჩამოთვლილმა ავტორებმა სრულიად განსაკუთრებული საფეხური შექმნეს ქართული კულტურის ისტორიაში.

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ გიორგი მერჩულის — გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების, ან გიორგი მთაწმიდლის — იოანე და ექვთიმეს ცხოვრების მსგავსი ნაწარმოებები იმდროინდელ მსოფლიო ლიტერატურაში ბევრი როდი იყო. ამ შრომებში უხვად არის შემონახული ცნობები იმდროინდელი ქართული ყოფისა და კულტურის შესახებ.

ივ. ჯავახიშვილის უდიდესი დამსახურება ისაა, რომ აღნიშნული ნაწარმოებები შეისწავლა და გარკვეული ადგილი მიუჩინა მათ.

---

1 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 124—134.

2 იქვე, გვ. 135—144.

3 იქვე, გვ. 145—151.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, გიორგი მთაწმიდელი არა მარტო შესანიშნავი მთარგმნელია, არამედ დიდი ისტორიკოსიც.

მარტო ის რად ღირს, რომ მთაწმიდელმა გარკვეული მეთოდოლოგიური შეხედულებები გამოიმუშავა ისტორიის წერის შესახებ. მაგალითად, 1) თუ აღმწერელი თანამედროვე არ იყო, აწერილი ამბის ცნობები შეიძლება საეჭვოდ მიეჩნია; 2) ისტორიკოსი ვალდებული იყო წერის დროს აღენიშნა, როგორ და ვისგან გაიგო მოთხრობილი ამბავი; 3) მთხრობელი, რომლის ნაამბობსაც ისტორიკოსი ეყრდნობოდა თხზულების წერისას, სანდო პიროვნება უნდა ყოფილიყო; 4) გიორგი მთაწმიდელი წერის დროს იყენებს ზეპირი გადმოცემების გარდა ნივთიერ და წერილობით ცნობებსაც; 5) იგი ურთიერთისაგან ასხვავებს (ნდობის თვალსაზრისით) დედანს და ასლს. ივ. ჯავახიშვილის სამართლიანი შენიშვნით, „მეთერთმეტე საუკუნეში გიორგი მთაწმინდლის წყალობით საისტორიო თხზულებათა მეთოდოლოგიური მხარე იმდენად განვითარებული და დამთავრებული იყო უკვე, რომ თანამედროვე მკაცრ სამეცნიერო მოთხოვნილებასაც კი თითქმის დააკმაყოფილებდა“.[1]

გასაკვირველი როდია, რომ ისეთ განათლებულ ავტორს, როგორც გიორგი მთაწმიდელია, რომელსაც კლევითი მუშაობის საკუთარი მეთოდები აქვს გამომუშავებული, შეექმნა ნაწარმოები, რომელიც „უაღრესი ნდობის ღირსია, მრავალმხრივად შინაარსიანია, ღრმა და მაღალ საზოგადოებრივ და ეროვნულ აზრებით გამსჭვალულია. საუცხოო ქართულით და მომხიბლავ გულწრფელ კილოთი ნაწერი იგი სამართლიანად ძველ ქართულ საისტორიო მწერლობის საუკეთესო ძეგლად უნდა ჩაითვალოს“.[2]

დიდ ყურადღებას უთმობს ჯავახიშვილი ეფრემ მცირეს.[3]

ეფრემ მცირე, ზოგიერთი ცნობით, იოანე პეტრიწის მოწაფე იყო. მას არა ერთი თხზულება უთარგმნია, რომელიც მანამდე ქართულად არ ყოფილა თარგმნილი. ეფრემ მცირეს დიდი ღვაწლი დასდო საბა თუხარელმა, რომელსაც უსწავლებია თარგმნის ხე-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 140.

[2] იქვე, გვ. 144.

[3] იქვე, გვ. 152—170.

ლოვნება და წაუხალისებია ამ საქმეში. მის გაწვრთნაში დამსახურება აქვს აგრეთვე ანტონ ტბელს.

„ეფრემ მცირე შესანიშნავი მეცნიერი იყო და მისი ღრმა სწავლულობა თანასწორად ჩანს ყოველ დარგში, რომლისათვისაც კი მას ხელი მოუკიდია“.[1] თუმცა მისი ძირითადი მოღვაწეობა მთარგმნელობითი საქმიანობა იყო, „მაგრამ ამისდა მიუხედავად აქაც მისი ნამუშევარი იმდენად საყურადღებოა და თვალსაჩინო, რომ ძვირფას ცნობებს გვაძლევს იმდროინდელი მეცნიერების მდგომარეობის შესახებ“.[2]

ივ. ჯავახიშვილმა ეფრემ მცირე, როგორც მეცნიერი და მოაზროვნე, გულდასმით შეისწავლა და ისტორიული ნაწარმოების შესახებ მის შეხედულებაზე აღნიშნა: „ეფრემი საისტორიო თხზულებებს ოთხ უმთავრეს ჯგუფად ჰყოფდა: „ცხორებაჲ ანუ წამებაჲ, ანუ რაჲცა რაჲ ჰამბავი, გინა მოთხრობაჲ“. იგი იცნობს „მატიანეს“ და „ხრონოღრაფსაც“.[3]

ეფრემ მცირეს, გარდა თარგმნითი მოღვაწეობისა, დაწერილი აქვს საისტორიო გამოკვლევა „უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიკსენების“. ეს ნაწარმოები[4] დაუწერია ეფრემ მცირეს საგანგებო შეკვეთით. იოანე კვირიკეს დაუვალებია ეფრემისათვის ამოეკრიბა ცნობები ბერძნული წყაროებიდან ქართველთა მოქცევის შესახებ. ასეთი მოთხოვნილება გამოიწვია ქართველებსა და ბერძნებს შორის არსებულმა ბრძოლამ ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის კანონიერების საკითხებზე.

ეფრემ მცირის მოღვაწეობის ჯავახიშვილისეული ზოგადი შეფასება ასეთია: „...ეფრემ მცირე შესანიშნავი, სწორუპოვარი ქართველი მეცნიერი ფილოლოგოსი, ფილოსოფოსი და ისტორიკოსი იყო და ჩვენი ზნეობრივი მოვალეობაა მისი ნაღვაწი და ყველა ნაშრომი ისე გამოვცეთ და შევისწავლოთ, როგორც მის დიადს სულს, მაღალს გონებას და ღრმა სამეცნიერო ცოდნას და ნიჭს შეეფერება“.[5]

---

[1] იე. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 153.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 164.
[4] იქვე, გვ. 167.
[5] იქვე, გვ. 170.

ჟამთააღმწერელი ანონიმური ქართველი ისტორიკოსია, რომელიც XIV საუკუნეში ცხოვრობდა. მისი ისტორია ლაშა გიორგის დროიდან გიორგი ბრწყინვალემდე გარდასულ ამბებს შეიცავს და ერთი საინტერესო წყაროთაგანია აღნიშნული პერიოდის საქართველოს ისტორიის ნამდვილი სურათის აღსადგენად. სამწუხაროდ, ნაშრომს როგორც დასაწყისი, ისე დასასრული აკლია[1].

მიუხედავად იმისა, რომ ისტორიკოსი ყოველგვარ „სასწაულებს" გულუბრყვილოდ იმეორებს და ყველაფერი სჯერა. რაც დამახასიათებელი არ იყო XI—XII საუკ. ქართველი ისტორიკოსებისათვის, მაინც ქვეყნის დაკნინების ამბებს სწორად ხსნის და ამ მოვლენის მიზეზად მიაჩნია, როგორც საშინაო, ისე საგარეო პირობების გაუარესება (ხვარაზმელებისა და მონღოლების ბატონობა).

ჟამთააღმწერელი იყენებს როგორც ზეპირ გადმოცემებს, ისე წერილობითს წყაროებს. იგი საკმაოდ განსწავლული ისტორიკოსია, იცის ზოგადი ისტორია, ბერძნული ენა, მონღოლური ენა, მონღოლთა ისტორია, სპარსული ენა. ამასთანავე იგი წყაროებს უდგება გარკვეული კრიტიკული მეთოდით. აქვს წინასწარ შედგენილი გეგმაც. სხვა მრავალ ღირსებასთან ერთად აღსანიშნავია „მისი მიუდგომლობა და პირუთვნელობა". იგი არ მალავს მტრის ღირსებას და ამხელს თავისი ქვეყნის მესვეურთა სუსტ მხარეებს.

ასე რომ, ჟამთააღმწერლის თხზულება სანდო საისტორიო წყაროა. იგი „შინაარსიანი ნაწარმოებია და თვით მოთხრობის ასპარეზიც ფართოა: იქ საქართველოს მარტო პოლიტიკური თავგადასავალი კი არ არის აღწერილი. არამედ სახელმწიფო ცხოვრება და წესწყობილებაც ცოცხლად არის დახატული, მრავალი ძვირფასი ცნობა მოიპოვება მოხელეობისა და მართვა-გამგეობისა, გადასახადებისა და ბეგარისა, მეხარკეობისა და მელაშქრეობისა. მცხოვრებთა რაოდენობისა და მოძრაობის შესახებ, საეკლესიო საქმეებიც, ქვეყნის ზნეობრივი მდგომარეობაც, შინაური საცოლქმრო ვითარებაც საკმაოდ არის დასურათებული. ჩვენი ავტორის ისტორია აუარებელს ცნობებს შეიცავს და მისი ღირსება იმიტომ უფრო ორკეცდება,

---

[1] იხ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 246—263.

რომ XIII საუკ. საბუთები ცოტაა შერჩენილი და ბევრს შემთხვევაში ეს თხზულება მკვლევარისათვის ერთადერთი წყაროა."[1]

ვახუშტი ბაგრატიონი ქართული ისტორიოგრაფიის ერთი მაღალი საფეხურთაგანია. ბაგრატიონმა წამოაყენა დებულება, რომლის ძალით „მატიანე" საერთოდ „განიყოფების ორად: საეკლესიოდ და სამოქალაქოდ. საეკლესიო არს წმიდათა ცხოვრება და ქმნულება მათნი, ხოლო სამოქალაქო-ქმნულება სოფელსა შინანი დიდთა და მცირეთა".[2]

ამასთან ერთად სამოქალაქო ისტორია (მატიანე) მისი აზრით, იყოფა ოთხად: 1) ადგილის აღწერად; 2) ნათესავმეტყველებად, 3) წლის მრიცხველობად და 4) მოქმედების აღწერად.[3]

ისტორიის ასეთი დანაწილება ქართულს ისტორიოგრაფიაში პირველად ვახუშტიმ შემოიტანა. ასე რომ, ვახუშტის გაგებით საისტორიო თხზულება ისეთი ნაწარმოები იყო, რომელიც შეიცავდა გეოგრაფიული გარემოს აღწერას, გენეალოგიას, ქრონოლოგიას და მომხდარი ამბის თხრობას. ივ. ჯავახიშვილის ღვაწლი ვახუშტის შესწავლაში ისაა, რომ მან ყოველმხრივი ანალიზი გაუკეთა ვახუშტის მემკვიდრეობას და მისი ღვაწლი ღირსეულად შეაფასა. „ქართულ საისტორიო მწერლობაში, — ამბობს ჯავახიშვილი. — პირველმა მან შეჰქმნა მძლავრი კრიტიკული მიმართულება. წყაროებისადმი წინანდელ სრულ და განუსაზღვრელ ნდობის მაგიერ, იგი გაბედულად მათ კრიტიკულს განხილვას შეუდგა, მათი სხვა და სხვა გვარი ნაკლულევანება გამოააშკარავა და შეძლებისდაგვარად შეასწორა"[4].

ასეთი მეთოდის მომარჯვებით ვახუშტიმ „თავისი გეოგრაფია საქართველოს საისტორიო წყაროების შესწავლაზე დაამყარა და ამ გზით თავის ნაშრომს მკვიდრი სამეცნიერო საფუძველი მისცა".[5] ამიტომაა, რომ ვახუშტის ნაშრომი „მუდამ უკვდავების შარავან-

---

1. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 262.
2 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. 1941, გვ. 3.
3 იქვე.
4 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 351.
5 იქვე, გვ. 331.

დედით იქნება მოსილი და არას დროს მნიშვნელობა არ დაეკარგება“[1].

ამრიგად, ჯავახიშვილმა ძველი ქართული საისტორიო მწერლობის მეცნიერული შესწავლის შედეგად ნათელჰყო ქართული ისტორიული აზროვნების განვითარების მაღალი დონე და ქართულს ისტორიოგრაფიას მსოფლიო ისტორიულ მეცნიერებაში შესაფერისი ადგილი მიუჩინა.

ივ. ჯავახიშვილის შრომის „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა“ ნაწილია „ქართული დამწერლობათამცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“. წიგნი 1926 წელს გამოვიდა[2]. ნაშრომში მრავალმხრივ საინტერესო საკითხებია განხილული. პირველ თავში ავტორი არკვევს საგნის (პალეოგრაფიის) მიზანდასახულებას და განიხილავს ამ დარგის შესწავლის თანამედროვე მდგომარეობას. მეორე თავში სამწიგნობრო ხელოვნების საკითხია შესწავლილი. მესამე თავში ავტორი მიმოიხილავს დამწერლობათა მცოდნეობის ზოგად დებულებებს, მეოთხე თავი განკუთვნილია ქართული დამწერლობის განვითარების პერიოდიზაციის დადგენისათვის, ხოლო უკანასკნელი მეხუთე თავი ქართული ანბანის წარმოშობის საკითხებს არკვევს.

პალეოგრაფიაზე მუშაობა ივ. ჯავახიშვილმა 1914 წელს დაიწყო. 1918 — 1921 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ კურსის კითხვასთან დაკავშირებით ავტორმა კიდევ უფრო გაამდიდრა საკვლევი საგნის არე და ამ საფუძველზე შეიქმნა ეს წიგნიც.

ივ. ჯავახიშვილი დაწვრილებით სწავლობს პალეოგრაფიის წარმოშობის ისტორიას, ადგენს ამ საგნის კვლევის ობიექტს და სათანადო ქართული მასალების შეჯამება-შესწავლის შედეგად საფუძველს უყრის ქართულ დამწერლობათა მცოდნეობას ანუ პალეოგრაფიას, როგორც გარკვეულ სამეცნიერო დარგს.

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 331.

[2] ივ. ჯავახიშვილი, „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები“, III, ქართული დამწერლობათამცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, I გამოც. 1926 წ. II გამოც. 1949 წ.

ივ. ჯავახიშვილი აქ დაწვრილებით იხილავს ქართული ანბანის წარმოშობის პრობლემებს.

ქართული ანბანის წარმოშობის საკითხზე მრავალი შეხედულება არსებობს. ლეონტი მროველის აზრით, ქართული „მწიგნობრობა“ ფარნავაზს გამოუგონია. ჩვენ არ ვიცით, რა წყაროებით სარგებლობდა ლეონტი მროველი, როცა ასეთ აზრს ავითარებდა.

სომეხ ისტორიკოს კორიუნს სომხური, ალბანური და ქართული ანბანის გამომგონებლად მეხუთე საუკუნის მოღვაწე მესროპი მიაჩნია. მაშასადამე, თუ მესროპის მომხრეებს დავუჯერებთ, ქართული ანბანი მეხუთე საუკუნეში უნდა წარმოშობილიყო. ამ აზრს ადგა აკადემიკოსი კ. კეკელიძე. მან გამოთქვა მოსაზრება, რომ ქართველებს შეუქმნიათ კომისია ანბანის შესადგენად სომხური ენის მცოდნე ჯაღის მეთაურობით და სათანადო კონსულტაციისათვის სომხეთიდან მესროპი მოუწვევიათო. ამასთანავე მან კომისიის მოღვაწეობა 429 წლის ახლო ხანით დაათარიღა[1].

ივ. ჯავახიშვილმა სრულიად სამართლიანად უარყო ეს თეორია. მისი აზრით:

1. კორიუნის ნაწარმოები მესროპისაგან ქართული ანბანის შედგენის დამამტკიცებელ წყაროდ არ გამოდგება, რადგან საამისო ცნობები ამ ნაწარმოებში შემდეგ არის ჩამატებული;

2. სომხურ-ქართულ ასოთა მოხაზულობა და ანბანის რიგი სრულიად სხვადასხვაა. ერთ პირს რომ შეექმნა, მსგავსება უნდა ყოფილიყო;

3. ქართულ ასოთა სრულიად ჩამოყალიბებული (ჩამოკვეთილი) სახე იმის დამადასტურებელია, რომ ქართული ანბანი მეხუთე საუკუნეზე გაცილებით ადრეა გამოგონილი[2].

იყო თეორია ქართული ანბანის ბერძნულიდან წარმოშობის შესახებ (გარდტჰაუზენი).[3] ივ. ჯავახიშვილმა ეს თეორიაც უარყო და

---

1. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ I, გვ. 28 — 31. ივ. ჯავახიშვილი „ქართული პალეოგრაფია“, თბილისი, 1949, გვ. 195—197.

2 დასახ. ნაშრომი, გვ. 198—203.

3 V. Gardthausen. Veber der griechischen Versprung der armenischen Schrift. (ZDMG 1876 წ. 30, B. გვ. 73—80.ივ. ჯავახიშვილი. გვ. 203).

აღიარა ქართული ანბანის კავშირი ფინიკიურ-არამეულ დამწერლობასთან, ხოლო ქართული დამწერლობის წარმოშობა ძველი წელთაღრიცხვის VII საუკუნით დაათარიღა[1].

ამავე ნაშრომში ივ. ჯავახიშვილს მოცემული აქვს ქართული დამწერლობის განვითარების პერიოდიზაცია.

1923 წელს პალიმფსესტების აღმოჩენამ და არსებულმა წარწერებმა ივ. ჯავახიშვილს აფიქრებინა, რომ VI საუკუნეში ქართული დამწერლობის ერთადერთი სახე იყო ე. წ. „ასომთავრული". დამწერლობის ეს სახე ქართველებს საკმაოდ ადრე შეუმუშავებიათ. VII — VIII საუკუნეებში საბოლოოდ ჩამოყალიბდა და ასომთავრულიდან განვითარდა ე. წ. „ნუსხა-ხუცური". „ნუსხა-ხუცურიდან XI—XII საუკუნეებში ჩამოყალიბდა დამწერლობის ე. წ. „მდივან-მწიგნობრული ნუსხური" სახე, ხოლო XIV საუკუნეში საბოლოოდ გაფორმდა მხედრული დამწერლობა.

1926 წელს გამოვიდა ივ. ჯავახიშვილის „ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა"[2]. ეს ნაშრომი შვიდი თავისაგან შედგება და მრავალ საინტერესო საკითხს არკვევს. პირველ თავში ავტორი საკვლევი საგნის ისტორიას ეხება და მოკლედ მიმოიხილავს სხვადასხვა ქვეყნებში დიპლომატიკის შესწავლის ისტორიას (საფრანგეთი, იტალია, გერმანია, ბიზანტია, სპარსეთი, საქართველო, სომხეთი).

მეორე თავში სათანადო ტერმინოლოგიას ადგენს და იძლევა სიგელთა კლასიფიკაციას.

ივ. ჯავახიშვილი სიგელებს ჰყოფს შემდეგ ძირითად ჯგუფებად:

I ჯგუფი — სახელმწიფო სამართლის სიგელები.

II ჯგუფი — სამოქალაქო და სისხლის სამართლის საბუთები.

III ჯგუფი — კერძო ხასიათის საბუთ-წერილები.[3]

მომდევნო თავებში ივ. ჯავახიშვილი იხილავს საბუთების აღნა-

---

1. იხ. ივ. ჯავახიშვილი „ქართული პალეოგრაფია", 1949 წ. § 7, „დასკვნა" გვ. 232 — 238.

2 ივ. ჯავახიშვილი „ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა", ტფილისი, 1926.

3. იხ. დასახ. შრომის II თავი „საბუთების აღმნიშვნელი ტერმინები", გვ. 25 — 55.

გობას, დაწერა-გაცემის წესს, საბუთების სანდოობის საკითხს და სხვ.

ნაშრომის წინასიტყვაობაში ივ. ჯავახიშვილი წერდა: „ყოველ განათლებულ ადამიანს კარგად მოეხსენება ის უაღრესი მნიშვნელობა, რომელიც საბუთებს, როგორც პოლიტიკურ-კულტურულ, ისევე სამართლისა, ეკონომიური, თუ ხელოვნების ისტორიისათვის აქვს. წყაროთა არც ერთი დარგი არ შეიცავს იმოდენად უხვსა და მრავალმხრივ ცნობებს, რაოდენიც ჩვენ საბუთებში გვხვდება"[1].

საბუთებს ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის აღდგენისათვის ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. საქართველოში საბუთებს, როგორც წყაროს, უკვე XVII საუკუნეში იყენებდნენ. მაგრამ რამდენადაც სასარგებლოა საბუთის გამოყენება, იმდენად, წინასწარ კრიტიკული შესწავლის გარეშე, საზიანოც არის. თუ გამორკვეული არ იქნა საბუთის სანდოობის საკითხი, იგი სინამდვილეს მცდარად წარმოგვიდგენს. ამის არა ერთი მაგალითი იცის ქართველმა ისტორიოგრაფიამ.

ივ. ჯავახიშვილის უდიდესი დამსახურება ამ დარგში სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან გაითვალისწინა სიგელთმცოდნეობის საჭიროება და მოგვცა დამაჯერებელი მეცნიერული მოძღვრება დიპლომატიკაზე. შექმნა ისტორიის დამხმარე ახალი დარგი — ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, რომლის გარეშე მეცნიერული ისტორიის დაწერა გაძნელდებოდა.

1925 წელს ივ. ჯავახიშვილმა გამოსცა „ქართული საფას-საზომთამცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია"[2]. ისტორიის დამხმარე დისციპლინათა ეს დარგიც ივ. ჯავახიშვილის მიერ არის შექმნილი.

ეს წიგნი ორი განყოფილებისაგან შედგება. პირველ განყოფილებაში, რომელიც სამ თავს შეიცავს, განხილულია ფული. დაწვრილებით არის საუბარი ფულის სხვადასხვა სახეზე, მოჭრის ტექ-

---

1 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 3.

2 ივ. ჯავახიშვილი, „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა", წიგნი III, მონაკვეთი III, „ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა — მეტროლოგია".

ნიკაზე, ფულის ფასზე. ამავე დროს ყოველი საკითხი, რომელიც ფულთან არის დაკავშირებული, შესწავლილია ისტორიულ ასპექტში და ნაჩვენებია ყოველგვარი ცვლილება, რაც ამ სფეროში საუკუნეთა განმავლობაში ხდებოდა[1].

მეორე განყოფილებაში შესწავლილია საზომ-საწონის საკითხები. ავტორი დაწვრილებით ირკვევა საზომთა სახელებს, მათ წარმოშობას, მოქმედების ხანგრძლივობას, სადაურობას, საზღვრავს ოდენობას.[2] საზომების ისტორიის შესწავლის შედეგად ივ. ჯავახიშვილი საზომებს ჰყოფს სამ ჯგუფად:

I ჯგუფში აქცევს იმ საზომებს, რომლებიც გაერთიანებულ საქართველოში იხმარებოდა და ქართული სამწერლო ენისა და სახელმწიფოებრიობისათვის საერთო კუთვნილებას შეადგენდა;

II ჯგუფშია — საზომები, რომლებიც ქვეყნის დაშლის მიუხედავად მაინც ცალკეულ ქართულ სამეფო-სამთავროებში იხმარებოდა;

III ჯგუფს ეკუთვნის საზომები, რომლებიც მხოლოდ ცალკეულ სამეფო-სამთავროებში იხმარებოდა.

ზომა-წონის სხვადასხვა სახის შესწავლამ და ამ ზომა-წონის ისტორიული სახეცვალების გათვალისწინებამ ჯავახიშვილს საშუალება მისცა საზომ-საწონი საგნების ზრდის ნამდვილი მიზეზი დაედგინა. სამართლიანად შენიშნა, რომ ლიტრა პირვანდელთან შედარებით XVIII საუკუნეში 10.32-ჯერ იყო გაზრდილი. ასეთი ზრდა ფეოდალური ექსპლოატაციის ზრდის შედეგად მოხდა.

როგორც ვხედავთ, ამ ნაშრომში განხილულ საკითხებს დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობისა და სოციალური ურთიერთობის ისტორიის შესწავლისათვის.

ჩვენ ზოგადად განვიხილეთ ივ. ჯავახიშვილის კაპიტალური ნაშრომი „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა". ამ ნაშრომის (შედგება ოთხი ტომისაგან) საერთო მოცულობა 1069 გვერდს აღემატება.

აკადემიკოსი ს. ჯანაშია სამართლიანად ამბობდა: „ამ წიგნებით ივანე ჯავახიშვილმა საფუძველი დაუდვა საქართველოს ისტორიის

---

[1] დასახ. შრომა, გვ. 5—58, ამ განყოფილებას ეწოდება „საფასე".

[2] დასახ. შრომა, განყოფ. II, „საზომი", გვ. 59—140.

მეცნიერების დამხმარე დარგებს და ჩვენ ისტორიის წყაროთა მთელი მრავალფეროვანების შესწავლას, უჩვენა ამ წყაროების სიმდიდრე, მრავალმხრიობა, მნიშვნელობა და ფასი არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიო ისტორიის თვალსაზრისითაც"[1].

ივ. ჯავახიშვილი არანაკლებ ყურადღებას აქცევდა უცხო წყაროების შესწავლა-გამოყენებას. როგორც აღნიშნული იყო, მას განზრახული ჰქონდა საგანგებო წიგნი მიეძღვნა წყაროთა ასეთი ჯგუფების განხილვისათვის. თუ რამდენად საჭიროდ მიიჩნევდა უცხო წყაროების გამოცემას ივ. ჯავახიშვილი, ჩანს მისი ერთი წერილიდან.

1929 წლის 19 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის საგხობრივ კომისიას ივ. ჯავახიშვილი სწერდა: „საქართველოს ისტორიის ყოველ მკვლევარს კარგად მოეხსენება ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც რუსი დესპანების მოხსენებებს აქვთ იმდროინდელი საქართველოს კულტურული და სოციალ-ეკონომიური ისტორიის აღსადგენად". იგი მოითხოვს, რომ პროფ. მ. პოლიევქტოვს შეეწყოს ხელი, რათა „...ასე კარგად დაწყებული საქმის დამთავრება შეეძლოს და საქართველოს ისტორიის მკვლევართ ამ უხვი საყურადღებო მასალების გამოყენების საშუალება ჰქონოდეთ"[2].

1935 წელს გამოქვეყნდა ივ. ჯავახიშვილის „ძველი სომხური საისტორიო მწერლობა" (წიგნი პირველი). ეს ნაშრომი ხანგრძლივი მუშაობის ნაყოფია. სომხურ საისტორიო ძეგლებზე მუშაობა ივანე ჯავახიშვილმა ჯერ კიდევ 1898 წელს, სტუდენტობის დროს, დაიწყო. მან მხოლოდ პირველი ნაწილის გამოქვეყნება მოასწრო. პირველ წიგნში სომხური მწერლობის რამდენიმე დარგი განიხილა (აგიოგრაფიული მწერლობა და სომხური დამწერლობის შესახებ არსებული წყაროები). ამ ნაშრომს არა მარტო იმიტომ აქვს დიდი მნიშვნელობა, რომ ქართველი ისტორიკოსების ინტერესს ამახვილებს სომხური საისტორიო მწერლობის შესწავლაზე, არამედ იმიტომაც, რომ ივ. ჯავახიშვილმა, ამ შრომით სომხური ისტორიოგრაფიაც გაამდიდრა.

---

1 ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრომი, გვ. 97.

2 საქართველოს ცენტრარქივი, ფ. 471, საქ. 317.

ისე, როგორც ქართულ ისტორიოგრაფიაში, სომხურ ისტორიოგრაფიაშიც ივ. ჯავახიშვილმა პირველმა მიაქცია ყურადღება წყაროთა ისეთ ჯგუფებს, როგორიც არის წმიდათა ცხოვრება.

ივ. ჯავახიშვილი კატეგორიულად მოითხოვდა და ქართველი მეცნიერების ყურადღებას ამახვილებდა ისტორიული წყაროების მეცნიერულად გამოცემის აუცილებლობაზე. 1937 წელს სტატიაში — „ჩვენი ამოცანები ენათმეცნიერებისა და კულტურის ისტორიის სფეროში“ — ივ. ჯავახიშვილი წერდა: „აქამდის სტრაბონის, პლინიუსის, პტოლემაჲოსის და არიანეს თხზულებების ნამდვილი კრიტიკული, ადგილობრივი გეოგრაფიული სახელების მართლწერის აღდგენის მცდელი გამოცემა ჯერ არ არსებობს, რომ ლურსმული წარწერების გეოგრაფიული სახელების რეალური შესატყვისობა ხშირად სრულებით გამოურკვეველია, რომ ებრაელთა „დაბადების“ ცნობებსაც ამ თვალსაზრისით ძირიანად გადასინჯვა სჭირდება“ და სხვ.[1] ამ პირველხარისხოვანი სამუშაოს შესასრულებლად მას საჭიროდ მიაჩნდა სხვადასხვა დარგის მეცნიერთა გეგმიანი მუშაობის წარმოება.

ასეთსავე მოთხოვნას აყენებდა იგი 1938 წლის 9 მაისს ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე:

„თუ ჩვენ ეხლავე არ შევუდექით ისტორიული ძეგლების მეცნიერულ გამოცემას, შემდგომი საკვლევო მუშაობისას პირდაპირ გადაეულახავ დაბრკოლებას წავაწყდებით. ჩვენ ორიოდე ძეგლს გარდა არაფერი მოგვეპოვება წესიერად გამოცემული“.

ასევე დიდ ყურადღებას აქცევდა არქივებში დაცული ხელნაწერი სიგელ-გუჯრების აღწერის საქმეს. ის აღნიშნავდა, რომ დღემდის არა გვაქვს ხელნაწერების მეცნიერული აღწერილობა.

ისტორიული ძეგლების მეცნიერული გამოცემის საუკეთესო ნიმუშს თვითონ ივ. ჯავახიშვილი იძლეოდა, მან გამოსცა და წინასიტყვაობა დაურთო ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრებას“, გამოსაცემად დაამზადა გიორგი მთაწმიდლის ცნობილი ნაშ-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი. ჩვენი ამოცანები ენათმეცნიერებისა და კულტურის ისტორიის სფეროში, ენიმკის მოამბე, I, 1937, გვ. 3.

რომი „ცხორება იოვანესი და ეფთჳმესი“, აღმოაჩინა და გამოსცა ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე, ბასილი ეზოსმოძღვარის თამარის ისტორია და სხვა მრავალი.

ძველი ქართული საისტორიო მწერლობის პირველ წიგნს ივ. ჯავახიშვილმა წაუმძღვარა არსენი ამარტოლის სიტყვები: „ყოველი წერილი ძეგლი არს მეტყუელი, გამომაჩინებელი აღმწერელისაჲ საუკუნოდ, რომელისამე საქებელ-ყოფად, ხოლო სხჳსა განქიქებად“.

ივანე ჯავახიშვილის ნაშრომები ყოველთვის დარჩება მოწინავე საბჭოთა მეცნიერებაში დიდი ისტორიკოსის „საქებელ-ყოფად“.

ქართველი ერის ისტორია

ქართველი ხალხი ძირძველი კულტურის მქონე ხალხთა ოჯახს ეკუთვნის. კულტურულ ხალხს შესაფერისი ისტორიოგრაფიაც გააჩნია. ქართული ისტორიოგრაფიის სათავეები წინა ქრისტიანულ ხანაშია საძიებელი. ქართული ისტორიული აზროვნება განსაკუთრებით VIII საუკუნიდან განვითარდა და ეს ზრდა-განვითარება XIV საუკუნემდე არ შეწყვეტილა. იოანე საბანისძე, ლეონტი მროველი, ჯუანშერი, გიორგი მერჩულე, ბასილ ზარზმელი, გიორგი მთაწმიდელი, ეფრემ მცირე, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ისტორიკოსები, ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე; ჟამთააღმწერელი და სხვები ქართული ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან.

ამ ხანის ქართულმა ისტორიულმა აზროვნებამ საისტორიო თხზულებათა შედგენის ტექნიკა და მეთოდი შეიმუშავა: მოთხრობის საბუთიანობა, ნათხრობის მთლიანობა, ანალოგიის მეთოდი და სხვა, აღნიშნული პერიოდის ისტორიკოსებისათვის ჩვეულებრივი ამბავია.

ქართული ისტორიული მეცნიერება ქვეყნის ზრდა-დაწინაურებისას იზრდებოდა და წინაურდებოდა, ხოლო პოლიტიკური უკუღმართობის პირობებში (XV — XVI სს.) ქვეითდებოდა, ზოგჯერ სავსებით ქრებოდა (XVI — XVII ს. მეორე ნახევრამდე).

XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან თანდათან იღვიძებს ისტო-

რიისადმი ინტერესი. ამ პერიოდის თვალსაჩინო წარმომადგენელია ფარსადან გორგიჯანიძე.

XVIII საუკუნის დასაწყისს ვახტანგ VI სკოლამ დიდი კულტურული საქმიანობა წამოიწყო, დაწინაურდა ისტორიული მეცნიერებაც. ვახუშტი ბაგრატიონი და პაპუნა ორბელიანი XVIII საუკუნის ქართული ისტორიული აზროვნების სათაეში დგანან. ვახუშტი ბაგრატიონმა ქართულ მეცნიერულ აზროვნებაში მთელი ეპოქა შექმნა და საქართველოს ისტორიას, გეოგრაფიასა და მეცნიერების დარგებს მარად სახსოვარი ღვაწლი მოჰფინა.

დღემოკლე აღმოჩნდა ვახტანგის სკოლა. ქვეყნის „მშვიდობიანი" პერიოდი კვლავ ჟამთა სიავემ შეცვალა. საისტორიო აზროვნებაც თანდათან დაქვეითდა. ასე რომ, XIX საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწე ისტორიკოსები: დავით და ბაგრატ ბაგრატიონები, ალ. ჭავჭავაძე, ო. ხერხეულიძე, ნ. დადიანი, ალ. ორბელიანი, პ. იოსელიანი, სულხან ბარათოვი დიდად ჩამორჩნენ ვახუშტის და იმდროინდელი ისტორიოგრაფიის მოთხოვნილებათა დონემდე ვერ ამაღლდნენ.

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ქართულ ისტორიოგრაფიას ერთგვარი გამოცოცხლება დაეტყო. სამეცნიერო სარბიელზე დიმიტრი ბაქრაძე გამოდის. დიმიტრი ბაქრაძე მის წინამორბედ ისტორიკოსებზე თავისი მეცნიერული ცოდნითა და კვლევის მეთოდებით მთელი თავით მაღლა იდგა.

1845 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში აკადემიკოს მარი ბროსეს თაოსნობით დაარსდა ქართული ენის კათედრა. ქართული ენისა და ისტორია-ლიტერატურისადმი ინტერესი თანდათან იღვიძებდა. ალ. ცაგარელი, ალ. ხახანაშვილი, ნ. მარი ქართველოლოგიის მებაირახტრეებად გამოდიან.

მათი მეთაურობით არა ერთი ნიჭიერი ქართველოლოგი მომზადდა. ამ სკოლაში მიიღო მეცნიერული წრთობა ივ. ჯავახიშვილმაც.

როდესაც ივ. ჯავახიშვილი სამეცნიერო ასპარეზზე გამოვიდა, უკვე შექმნილი იყო მეცნიერული ისტორიისადმი მოთხოვნილება. ეს იყო 1905 წლის რევოლუციის პერიოდი.

ყველაფერი გადასინჯვას მოითხოვდა. ნამდვილი მეცნიერული ისტორიის დასაწერად საჭირო იყო, უპირველეს ყოვლისა, სათანა-

დო ნიადაგის შექმნა, გათავისუფლება ე. წ. „მამულიშვილური ქაოსისაგან“, რომლითაც იმდროინდელი თავადაზნაურული ინტელიგენცია იყო შეპყრობილი. საამისოდ ძნელი პირობები იყო. ცარიზმი თიშავდა და გზას უხშობდა ყოველივე ეროვნულს, პროგრესულს, გამათავისუფლებელ იდეას.

ივ. ჯავახიშვილმა საქართველოს ისტორიის კვლევა წყაროების კრიტიკით დაიწყო, მაგრამ ამ მიმართებით გზის გაკაფვისათვის ჯერ რევოლუცია იყო საჭირო. ქართველი ხალხისაგან მოწყვეტილს და წოდებრივად მომაკვდავს ქართველ თავადაზნაურობას საქართველოც მომაკვდავი ეჩვენებოდა. ისინი ქართველი ერის ხსნას მომავალში კი არ ხედავდნენ, არამედ წარსულში. თავადაზნაურული ინტელიგენცია ბრძოლას უცხადებდა ყოველივე კრიტიკულს, ყოველივე მეცნიერულს. ამდენად, ჯავახიშვილის მეცნიერული მოღვაწეობა ამ ჯგუფის წინააღმდეგ ბრძოლასაც ნიშნავდა.

1904 წელს ივ. ჯავახიშვილმა გამანადგურებელი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ანტიმეცნიერული თავადაზნაურული შეხედულებანი საქართველოს ისტორიაზე და სამეცნიერო კვლევის მეცნიერული დებულებანი წამოაყენა. ამ დებულების განხორციელებას შეალია მთელი თავისი შესაძლებლობანი. როდესაც ჯავახიშვილი საქართველოს ისტორიის მეცნიერულ კვლევას შეუდგა, ისტორიის მეცნიერული შესწავლა ჯერ კიდევ სათანადოდ არ დაწყებულიყო (გამონაკლისს შეადგენდა დ. ბაქრაძის შრომები). თვით ისტორიის, როგორც მეცნიერების, მნიშვნელობა ყალბად ჰქონდათ წარმოდგენილი; მათი აზრით, საჭირო იყო მხოლოდ იმის დამტკიცება, რომ ქართველებს ბრწყინვალე წარსული აქვთ და ყოველისშემძლე თვითმპყრობელობა წყალობის თვალით გადმოხედავდა მათ. ამ აზრის პატრონებისათვის ისტორია, ჯავახიშვილის ენით რომ ვთქვათ, „ადვოკატურ-გამოსარჩლებითი“ უნდა ყოფილიყო.

ივ. ჯავახიშვილმა სასტიკად დაგმო „მოწყალების“ მათხოვარი თავადაზნაურული ინტელიგენცია და ნათელჰყო მათი პოზიციის მავნე ხასიათი ქართველი ხალხისათვის. მისი აზრით, „მეცნიერული მათხოვრობა“ ჩვენ საზოგადოებრივ და ნაციონალურ საქმისათვის... „ფრიად მავნებლად უნდა ჩაითვალოს, იმიტომ რომ საზოგადოებაში ცრუ აზრი ვრცელდება, ვითომც საჭიროა მხოლოდ „ადვოკატურ

გამოსარჩლებით“ ჩვენმა მეცნიერებმა რუსეთის მთავრობას და ხალხს დაუმტკიცონ, რომ ქართველები ნიჭიერები არიან, საუცხოო კულტურა ჰქონდათ ოდესღაც, რომ საქმე გაიჩარხოს და გვითხრან, მოგვინიშნებია ყველა უფლებაო. ამნაირად, საზოგადოება წყალობის მოლოდინს ეჩვევა და ამის გამო თვითონ, როგორც მომლოდინეს შეეფერება, არას აკეთებს“[1].

ივ. ჯავახიშვილისათვის ნათელი იყო, რომ საჭიროა დაიწეროს არა „ადვოკატურ-გამოსარჩლებითი“ ისტორია, არამედ ისტორია ნამდვილი, მეცნიერული, წყაროების კრიტიკულად შესწავლის საფუძველზე დამყარებული, ე. ი. ისტორია, რომელიც გარდასული ამბების უბრალო მთხრობელი კი არ იქნება, არამედ მეცნიერული ისტორია, რომელიც ქართველ ხალხს დაეხმარება ეროვნული დამოუკიდებლობისა და უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში.

მისი აზრით, „ისტორიკოსი მოვალეა მხოლოდ მეცნიერულად შეისწავლოს და გამოიკვლიოს ამა თუ იმ ერის წარსული, გამოირკვიოს, რა და რა პირობებისა და მიზეზისაგან დამოკიდებული იყო სახელმწიფო. ან საზოგადოებრივ, ან არადა ზნეობრივ-გონებრივი განვითარებისა და წარმატების მიმდინარეობა“[2].

ისტორიის ასეთი კვლევის შედეგი ივანე ჯავახიშვილის გაგებით, „ქართველ საზოგადოებასაც სარგებლობას მოუტანს, იმიტომ რომ ყოველ განათლებულ ეროვნებისათვის, რომელსაც თვითშემეცნება მოეპოვება, აუცილებლად საჭიროა იცოდეს თავის წარსულ საზოგადოებრივ ცხოვრების ისტორია; უნდა იცოდეს, რასაკვირველია, უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორია და არა გაზვიადებული, ყალბი“[3].

ვისთვის არის საჭირო წარსულის გაზვიადება? ივანე ჯავახიშვილი სვამს კითხვას და თვითონვე უპასუხებს: „გაზვიადებულ ადვოკატურ ისტორიის საჭიროებას მხოლოდ ის უნდა ჰგრძნობდეს, ვინც წარსულში ეძებს ხსნას, ან ვისაც წარსულის შესწავლით ჰსურს თავისი ეროვნული შელახული გრძნობა დააკმაყოფილოს და დაამშვიდოს. ხოლო ამგვარი სურვილი აზრადაც არ უნდა მოუვიდეს იმ ეროვნების წარმომადგენელს, რომელიც სიცოცხლესა და

---

1 ივ. ჯავახიშვილი, მამულიშვილობა და მეცნიერება, თბილისი, 1904, გვ. 5.
2 იქვე, გვ. 9.
3 იქვე.

მოქმედებაზე ჰფიქრობს. საქართველოს წარსულის ცოდნა, მოგეხსენებათ, მისაბაძავად კი არაა საჭირო ჩვენთვის, შესასწავლად და გასათვალისწიებლად, თვითცნობიერების გრძნობის დასაკმაყოფილებლად"[1].

ასე ეხატებოდა ივ. ჯავახიშვილს ისტორიკოსის, როგორც მეცნიერის, მოვალეობა.

ივ. ჯავახიშვილს არ ეშინია, რომ „მამულიშვილები" მტრულად შეხედავენ მის კრიტიკულ მეთოდს და ასეთ „კრიტიკოსებს" ილ. ჭავჭავაძის ლექსით უპასუხებდა:

ჩემზედ ამბობენ, ის სიავეს ქართველისას ამბობს,
ჩვენს ცუდს არ მალავს — ეგ ხომ ცხადი სიძულვილია,
ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს,
ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია[2]

ამრიგად, ივ. ჯავახიშვილი ჰგმობს საქართველოში გაბატონებულ თავადაზნაურულ „მამულიშვილურ", ანტიმეცნიერულ შეხედულებებს საქართველოს ისტორიისადმი. კრიტიკულად სწავლობს ქართულ და არაქართულ ისტორიულ წყაროებს და საქართველოს ისტორიის კვლევა აჰყავს მეცნიერულ სიმაღლემდე.

ფლობს რა დიდძალ ფაქტიურ ისტორიულ მასალას, კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს რა ამ მასალას, ივ. ჯავახიშვილი წერს ქართველი ერის ისტორიას წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით, სრულიად განსაკუთრებული, მანამდის უცნობი მეთოდითა და შეუპოვრობით. ასე დაიწერა მისი კაპიტალური შრომა „ქართველი ერის ისტორია" 4 ტომად.

„ქართველი ერის ისტორიის" ბოლომდე მიყვანა ივანე ჯავახიშვილს არ დასცალდა. მისი ოთხი წიგნი მოგვითხრობს უძველესი დროიდან მხოლოდ XVI საუკუნემდე.

ამ ნაშრომის ვრცლად განხილვა შორს წაგვიყვანდა. მხოლოდ ზოგადი მიმოხილვით დავკმაყოფილდებით.

„ქართველი ერის ისტორიის" პირველი წიგნი ხუთჯერ გამოიცა (1908, 1913, 1928, 1951, 1960 წლებში).

---

1 ივ. ჯავახიშვილი მამულიშვილობა და მეცნიერება, თბილისი, 1904, გვ. 10.
2 იქვე, გვ. 52.

აქ ბევრი პრობლემა არის დასმული და ახლებურად გადაჭრილი. წიგნში დასმული საკითხები შეიძლება დაჯგუფებულ იქნას შემდეგნაირად: I პოლიტიკური ისტორია; II სოციალური ურთიერთობის ფორმები; III ქართველი ხალხის ვინაობისა და მიგრაციის საკითხები; IV სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმები; V მატერიალური კულტურა; VI იდეოლოგია-სარწმუნოება; VII კულტურა.

აღნიშნული საკითხების კვლევა ქრონოლოგიურად უძველესი დროიდან VII საუკუნემდე მოდის. დასმული საკითხების ჩვეულებრივი თხრობის მაგიერ ივ. ჯავახიშვილი თითოეულ საკითხზე არსებული გამოკვლევა-თეორიების განხილვა-გარჩევას ახდენს და აქვე იძლევა სათანადო წყაროების საჭირო ინტერპრეტაციას. ასე რომ, წიგნი უფრო მონოგრაფიას წარმოადგენს, ვიდრე სისტემატურ თხრობას. ამ მდგომარეობას ავტორი იმით ასაბუთებს, რომ „ადვილად წასაკითხი და ლამაზი დაუსაბუთებელი თეორიებისა და დებულების წამოყენებას... ყოველმხრივ დასაბუთებული ისტორიის წერა სჯობია. მეცნიერ ისტორიკოსს უნდა ახსოვდეს ის ზნეობრივი პასუხისმგებლობა, რომელიც მას აწევს და რომელიც მას ავალებს თავისი დაუსაბუთებელი ჰიპოთეზები ისტორიის სინამდვილედ არ წარმოიდგინოს“[1].

ივ. ჯავახიშვილმა იცის, რომ ასეთი ნაწარმოებები ფართო მკითხველისათვის ძნელად გასაგები იქნება, მაგრამ სხვანაირი კვლევისათვის საქართველოს ისტორიაში ჯერ პირობები არ არის შექმნილი და ამიტომ თვითონაც იძულებულია ჯერ ეს ყამირი გატეხოს.

რადგან ქართველი ერის ისტორიის პირველ წიგნში განხილული საკითხები, პირობით, ცალ-ცალკე დავაჯგუფეთ, საჭიროდ მიგვაჩნია ვიმსჯელოთ მხოლოდ ამ საკითხების ირგვლივ.

ქართველთა პირვანდელი საცხოვრებელი, ქართველთა ვინაობის საკითხი ივ. ჯავახიშვილის მიხედვით

1908 წელს გამოსულ „ქართველი ერის ისტორიის“ პირველ წიგნში ივ. ჯავახიშვილმა ვრცლად მიმოიხილა ქართველთა ვინაობის ირგვლივ არსებული ლიტერატურა და საბოლოოდ მხარი დაუ-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორია“, მე-5 გამოცემა, 1960, წინასიტყვაობა, გვ. 2.

ჭირა ნ. მარს, რომელიც მაშინ ქართველებს სემიტური მოდგმის ხალხებად თვლიდა. ივ. ჯავახიშვილი თვითონვე წერდა 1937 წელს, რომ, როცა იგი საქართველოს ისტორიის პირველ წიგნს წერდა, ნ. მარის ნაშრომებსა და თეორიებს ემყარებოდა და ეს თეორია შეუმცდარად ეჩვენებოდა, მაგრამ შემდეგში მუშაობამ დამარწმუნაო, — ამბობდა მეცნიერი, — „რომ ქართულის სემიურობის თეორიის დასაბუთება არც ასე მტკიცე იყო, როგორც წინათ მეგონა, და არა ერთი ფრიად დამაფიქრებელი გარემოება და მოსაზრება მას მეტად სათუოდა ხდიდა“[1].

1939 წელს ივ. ჯავახიშვილი საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიისა და ისტორიის განყოფილებათა საერთო სხდომაზე გამოვიდა მოხსენებით თემაზე: „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელ აღმოსავლეთის უძველესი ეპოქის ისტორიის ისტორიულ-ეთნოლოგიის ძირითადი პრობლემები“.

ეს მოხსენება წარმოადგენს მაშინ ჯერ გამოუქვეყნებელი შრომის („ქართველი ერის ისტორიის შესავალი“) ერთ-ერთ თავს[2].

როგორც ცნობილია, სკვით-სარმატების ვინაობის შესახებ არსებობდა სამი მთავარი მიმართულება. ერთნი ირანელებად თვლიდნენ მათ, მეორენი — ურალ-ალტაიდან მოსულებად, ხოლო მესამენი თურქ-თათრებად მიიჩნევდნენ. ნ. მარმა მეოთხე თეორია წამოაყენა და ისინი იაფეტიდებად გამოაცხადა.

ივ. ჯავახიშვილმა შესაძლებლად დაინახა სკვით-სარმატების გენეტიკური კავშირი ადიღეურ-ჩეჩენ-ლეკთა მოდგმასთან. ასეთი მოსაზრება მან საკუთარ და გეოგრაფიულ სახელთა ანალიზზე დაამყარა და ამავე საფუძველზე სკვით-სარმატებთან ქართველების გენეტიკური კავშირიც შესაძლებლად სცნო. იქვე სკვით-სარმატების პირვანდელ სამშობლოს საკითხსაც შეეხო და ისინი კავკასიაში სამხრეთიდან მოსულებად აღიარა.

---

1 ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბილისი, 1937, გვ. XI.

2. ივ. ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორიის შესავალი“, წიგნი I, „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავალეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები“, თბილისი, 1950.

ივ. ჯავახიშვილის თეორიის თანახმად თანამედროვე საქართველო ქართველების პირვანდელი სამშობლო არ არის. ქართველებს უცხოვრიათ სამხრეთით — ქალდეაში. როდის უნდა მოსულიყვნენ აქ, დადგენილი არ არის, მაგრამ მაინც აღნიშნავს ფაქტს, რომ ისინი ძველი წელთაღრიცხვით V საუკუნეში უკვე აქ არიან.

1908 წელს ივანე ჯავახიშვილი უარყოფდა ქვის ხანის არსებობას საქართველოში. ეს შეხედულება იმდროინდელ არქეოლოგიურ მონაპოვარს შეესატყვისებოდა. 1914 წელს შმიდტის, 1916 წელს კრუკოვსკის და 1926 წელს გ. ნიორაძის აღმოჩენებმა ძველი ქვის (პალეოლითის) ხანის იარაღები მოიპოვეს და ამ აღმოჩენათა საფუძველზე ივ. ჯავახიშვილის შეხედულებაც შეიცვალა. შემდგომმა აღმოჩენებმა ივ. ჯავახიშვილს საშუალება მისცა, ბევრი რამ გაეთვალისწინებინა და შეევსო თავისი ადრინდელი შრომები.

ქართველ ტომებში გვაროვნული წყობილების საკითხი ივ. ჯავახიშვილის მიხედვით

ივ. ჯავახიშვილამდე ქართულ ისტორიოგრაფიაში შეწყნარებული იყო ლეონტი მროველის კონცეფცია იმის შესახებ, რომ ქართველთა პირველი მამამთავარი ქართლოსი იყო თაობის ძმების „გამგე და უფალ“ და მის მერმინდელ მემკვიდრეთა ყოველ თაობაში უხუცესი შვილი უზენაესი უფლებით იყო მოსილიო.

მაშასადამე, ლეონტის გაგებით, საქართველოში მეფობა თავიდანვე არსებულა. ივ. ჯავახიშვილმა თავი მოუყარა ენობრივს, ეთნოგრაფიულსა და წერილობით მასალას, კრიტიკულად გადაამუშავა ეს მასალა და პირველმა გაბედულად უარყო ლეონტი მროველის შეხედულება. იგი წერდა: როგორც უკვე გამორკვეული მაქვს, მთელი ეს თეორია და სქემა ისტორიული ცხოვრების სინამდვილის ანარეკლი კი არაა, არამედ იმ დროს აღმოსავლეთში გაბატონებული თეორიების მიხედვით არის ლ. მროველისაგან შეთხზული და ყალბ ეფრემ ასურის თხზულების „განძთა ქვაბის“ მიმბაძველობას წარმოადგენს. ამიტომ ჩვენი ისტორიკოსის ეს ცნობები საქართველოს სახელმწიფო წესწყობილების სურათის აღსადგენად არ გამოდგებაო.

ივ. ჯავახიშვილის დამსახურება მარტო ის კი არ არის, რომ მან პირველმა უარყო ლეონტი მროველის ყალბი კონცეფცია, მისი დამსახურება, უპირველეს ყოვლისა, ის არის, რომ მან პირველმა მოგვცა ქართველი ხალხის ისტორიული განვითარების პროცესის მეცნიერული ახსნა და აღნიშნა, რომ ქართველი ტომების საზოგადოებრივი წყობილების პირველი ფორმა გვაროვნული წყობილება იყო. მთავარი ის კი არ არის, რომ ივ. ჯავახიშვილის მიერ მოცემული გვაროვნული წყობილების სქემა არ არის ზუსტი, ან გვაროვნული წყობილების არსებობის მის მიერ მოცემულ პერიოდს შესწორება სჭირდება, მთავარი აქ ის არის, რომ ივ. ჯავახიშვილმა სწორად გაიგო ისტორიული პროცესი და გვაროვნული წყობილების არსებობა რეალურ ფაქტად აღიარა.

ცნობილია, რომ ამ მიმართულებით შემდგომმა კვლევამ დაადასტურა ივ. ჯავახიშვილის თეორია ქართველ ტომებში გვაროვნული წყობილების არსებობის შესახებ და ივ. ჯავახიშვილის ნიჭიერმა მოწაფემ სიმონ ჯანაშიამ ბრწყინვალე ნაშრომები შექმნა ამ პრობლემებზე.

ქართველი ერის პოლიტიკურ ისტორიას ივ. ჯავახიშვილი მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობის ფონზე იხილავს. იყენებს წერილობითს, ეთნოგრაფიულსა და არქეოლოგიურ მონაცემებს და აღგენს ჩვენი ერის პოლიტიკური ცხოვრების ისეთ შტრიხებს, რომლებიც მანამ მკვლევართათვის შეუმჩნეველი ან მიუწვდომელი იყო.

შესავალში ივ. ჯავახიშვილი მოკლედ მიმოიხილავს პირველ საუკუნემდე ქართველთა ცხოვრების ძირითად მოვლენებს და პირველ თავში მსჯელობს კავკასიისა და საქართველოს ნივთიერი კულტურის რაობაზე.

არქეოლოგიური ფაქტებისა და წერილობითი წყაროების შესწავლით ჯავახიშვილმა ქართველი ტომების სამეურნეო საქმიანობა და კულტურის განვითარების დონე წარმოგვიდგინა და დაასკვნა: „ქართველ ტომებს მარტო თავიანთთვის კი არ უკეთებიათ მადნეული ჯურჭელი და იარაღი, არამედ ისეთ შორეულ ქვეყანაშიაც კი მიჰქონდათ ხოლმე გასასყიდად, როგორიც იყო ტვიროსი... უეჭვე-

ლია, რომ ქართველ ტომებს მადნეულობის შემუშავებაში საპატიო ღვაწლი მიუძღვით ძველ განათლებულ კაცობრიობის წინაშე"[1].

ივ. ჯავახიშვილმა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ „კალის" გარდა ყველა მადნის სახელი ქართულია, რაც იმის მაუწყებელია, რომ ქართველებმა პირველებმა ისწავლეს მადნის დამუშავება.

ბერძენი მწერლების, განსაკუთრებით სტრაბონის, ცნობათა საფუძველზე ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა: „ყურადღების ღირსი ის არის, რომ, სტრაბონის თქმით, იბერიაში კრამიტიანი სახურავები სცოდნიათ, ხოლო სახლებს ხუროთმოძღვრების რიგზე თურმე აშენებდნენ. საბაზრო ადგილებიც ჰქონიათ, ხოლო მოედნებზე საზოგადო დაწესებულებათა შენობები ჰქონდათ ხოლმე აგებული. აღმოსავლეთ საქართველო, მაშასადამე, პირველი საუკუნის დამდეგს მდიდარი, განვითარებული ქვეყანა ყოფილა"[2].

„ქართველი ერის ისტორიის" პირველი წიგნის მეორე თავი ივ. ჯავახიშვილმა მიუძღვნა ქართველების წარმართობის საკითხის გამოკვლევას. ანალიზი გაუკეთა მანამდე არსებულ მოსაზრებებს, გამოიყენა ეთნოგრაფიული მასალები და ამ საფუძველზე დაასკვნა, რომ ქართველთა პირვანდელი სარწმუნოებაჲ მნათობთთაყვანისცემა იყო. ამას გარდა დაადგინა, რომ მნათობთა შორის ქართველთა უპირველესი და მთავარი ღვთაება იყო მთვარე, რომელიც ქრისტიანულ სამყაროში წმინდა გიორგის კულტის სახით არის შერჩენილი. შემდეგ განხილულია საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების მიზეზები, პირობები და ამ მოვლენის შედეგები. წინააღმდეგ ქართველ „მამულიშვილ" მეცნიერთა შეხედულებისა, რომლებიც ამტკიცებდნენ, ქრისტიანულ სარწმუნოებაში საქართველოში არავითარი ბრძოლა არ იყოო, ივ. ჯავახიშვილმა დაამტკიცა, რომ ქრისტიანულ სარწმუნოებაში არსებობდნენ სხვადასხვა სექტები და ამ სექტებს შორის მუდმივი ბრძოლები იყო. ამ წიგნში განხილულია აგრეთვე ქართველი ხალხის საგარეო ურთიერთობის ისტორია. ამ საკითხის დამუშავებისას ავტორი უმთავრესად ი-

---

1 ივ. ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორია", წიგნი I, თბილისი, 1951, გვ. 23.

2 იქვე, გვ. 31.

დროინდელი ბერძენი ისტორიკოსების ცნობებს იყენებს. დადგენილია, რომ ქართველი ხალხი ნიადაგ იბრძოდა ბიზანტიელ და სპარს დამპყრობთა წინააღმდეგ.

სპარსეთისა და რომის იმპერიის საუკუნოვანი ბრძოლა მსოფლიო პირველობისათვის გავლენას ახდენდა საქართველოზე. ამ ორი მტაცებლის მიზანსწრაფვებისათვის საქართველოს სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომ ორივე სახელმწიფო ცდილობდა, საქართველოზე თავისი გავლენა გაევრცელებინა. ამ წიგნში დოკუმენტურად დადგენილია გავლენისათვის ბრძოლის მთელი ისტორია და სრულიად სამართლიანად აღნიშნულია, რომ **„ქართველების ნატვრისა და მისწრაფების ერთადერთ საგნად პოლიტიკური დამოუკიდებლობა და თავისუფლება იყო"**[1].

ამრიგად, ივ. ჯავახიშვილმა საქართველოს ისტორიის ამ პერიოდის უველა ძირითადი საკითხი ახლებურად დასვა და უოველი საკითხის გადაჭრა მდიდარ ფაქტიურ მასალაზე დააფუძნა. ამ შრომამ დასაწყისი მისცა საქართველოს ისტორიის მეცნიერულ კვლევას.

„ქართველი ერის ისტორიის" მეორე წიგნი მოიცავს პერიოდს არაბთა ბატონობის დამყარებიდან (VII ს. 50-იან წლები) თამარის მეფობის ჩათვლით (1184-1213).

ამ ნაშრომის პირველი თავი საქართველოს საისტორიო გეოგრაფიას იხილავს. მეორე თავში საუბარია არაბთა ბატონობის ფორმებზე. მესამე თავში შესწავლილია ქართველთა პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობა. მეოთხე თავი შეეხება საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის პირობებს. მეხუთე თავში დახასიათებულია საქართველოს საერთო მდგომარეობა VIII — X საუკუნეებში. მეექვსე თავში ლაპარაკია საქართველოს გაერთიანებაზე. მეშვიდე თავი მიეძღვნა საქართველოს გაერთიანების ხანის სოციალური და კულტურული მდგომარეობის შესწავლას. მერვე თავში მოცემულია ძლიერების ხანის საქართველოს ისტორია. მეცხრე თავი წარმოადგენს წინა თავში განხილული პერიოდის კულტურულ-საზოგადოებრივი მდგომარეობის დახასიათებას.

---

[1] ივ. ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორია", წიგნი I, თბილისი, გვ. 269. 1960 წ.

როგორც, ცნობილია, ამ წიგნში განხილული პერიოდი საქართველოს ისტორიის ყველაზე შესანიშნავი ხანაა. ეს არის ქართული ინდივიდუალობის ყოველმხრივი აყვავებისა და გაფურჩქვნის პერიოდი.

ქართველი ხალხის შემოქმედებითი ცხოვრება უძველეს ხანაში დაიწყო და აღნიშნულ პერიოდში უმაღლეს მწვერვალზე ავიდა. ამ პერიოდის შესახებ უფრო მეტი მასალებიც იყო, ამავე დროს, თუ წინა პერიოდისათვის, უმთავრესად, უცხო წყაროები და არქეოლოგიური მასალა იყო გამოყენებული, მეორე წიგნისათვის ძირითადი მასალა ქართული ისტორიულ-ფილოლოგიური წყაროებიდანაა მოტანილი; რა თქმა უნდა, არც უცხო წყაროებია უგულებელყოფილი.

„ქართველი ერის ისტორიის“ მეორე წიგნის პირველ თავში განხილულ საკითხთა შესახებ ცალკე გვექნება საუბარი.

აქ კი დანარჩენ საკითხებს შევეხებით.

VII საუკუნის მეორე ნახევარში არაბობის სახით საქართველოს ახალი დამპყრობელი მოევლინა.

ივ. ჯავახიშვილი თავის განთქმულ შრომაში იძლევა შესანიშნავ ანალიზს არაბთა ბატონობის ფორმებისას და აშკარას ხდის, რომ ქართველი ხალხი, რომელსაც საუკუნოვანი გამოცდილება ჰქონდა მომხდურ მტერთან ბრძოლისა, დაირაზმა საერთო ეროვნული დამოუკიდებლობის დასაცავად. ამ დროის ქართველები ბრძოლის საშუალებად იყენებენ არა მარტო იარაღს და ფიზიკურ ძალას, არამედ პროპაგანდა-მწერლობასაც. ამ მხრივ, საუკეთესო ნიმუშად იოანე საბანისძე გამოდგებოდა.

IX საუკუნისათვის საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა ხუთი პოლიტიკურ-ტერიტორიული ერთეული: ტაო-კლარჯეთის სამთავრო, აფხაზეთის, კახეთის, ჰერეთის სამეფოები და თბილისის საამირო.

საგარეო ურთიერთობა თანდათან უმჯობესდებოდა. არაბთა სახალიფოში შინაფეოდალური ომები დაიწყო. ამასობაში საქართველოს საერთო ეკონომიურ-კულტურული აღორძინება დაეტყო. ვაჭრობა-ხელოსნობა განვითარდა, ამას დაერთო ეროვნული შეგნების გამოღვიძება. ყველაფერმა ამან შექმნა სათანადო წინამძღვრები ცალკეული პოლიტიკური ერთეულების გაერთიანებისათვის.

სამთავრებს შორის გაიშალა ბრძოლა ქვეყნის გაერთიანების საქმეში პირველობისათვის.

ამ მოვლენებს ივ. ჯავახიშვილმა სპეციალური თავი უძღვნა და არა ერთი საპროგრამო დებულება წამოაყენა. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ერთ საინტერესო მოვლენას, რომელმაც განსაკუთრებული როლი შეასრულა ქართული კულტურის ისტორიაში. ეს მოვლენა იყო ე. წ. სამონასტრო მოძრაობა, რომელიც VIII საუკუნის დამლევს დაიწყო ტაო-კლარჯეთში. როგორც ცნობილია, აქ სამონასტრო მოძრაობის ფუძემდებლად გრიგოლ ხანძთელი გამოდის (759—861). ივ. ჯავახიშვილის სამართლიანი დახასიათებით, „ამ სამონასტრო მოძრაობას საქართველოსათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა იმიტომაც, რომ ქართველ ბერებს უდაბნო ადგილების ძებნაში ყურადღება უნებლიეთ საქართველოს აოხრებულ, უშენ და უღვაწ კუთხეებისათვის უნდა მიექციათ და მიაქციეს კიდეც, მათმა იქ დაშენებამ უდაბური ტყეებით მოცულსა და მტრისაგან განადგურებულს ადგილებში კვლავ სიცოცხლისა და კულტურის კერა შეჰქმნა; უგზო-უკვლო ადგილებში გზები გაკეთდა, გაუვალ ტყეებში მშვენიერი შენობები აიგო, დიდებული ნანგრევები, მიტოვებული ციხე-ქალაქები და ეკლესიები განახლდა"[1].

მონასტრები იქცნენ სწავლა-განათლების ცენტრებად, აქ ვითარდებოდა ქართული ფილოლოგიური და ისტორიულ-ფილოსოფიური მეცნიერებანი.

დამაჯერებელი სისრულით არის მოცემული საქართველოს გაერთიანების პროცესი (თავი მეექვსე). ეს საკითხი იმდროინდელი საერთაშორისო ვითარების განხილვასთან არის დაკავშირებული და ნაჩვენებია არა მარტო შინაფეოდალურ-კლასობრივი ბრძოლა, არამედ ბიზანტიის ცდა, ხელი შეუშალოს ქართველ სახელმწიფო მოღვაწეებს საქართველოს გაერთიანების საქმეში.

ქართულ ისტორიოგრაფიაში შინასოციალური ბრძოლის საკითხებს პირველად ივ. ჯავახიშვილმა მიაქცია ყურადღება. ამ საკითხებისადმი ყურადღების მიქცევა მით უფრო საჭირო იყო, რომ დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის წარმომად-

[1] ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია", ტ. II, 1965, გვ. 117.

გენლები საჯაროდ ამტკიცებდნენ, აზიამ არ იცის, რა არის კლასთა ბრძოლაო, ხოლო ჩვენი „მამულიშვილები“ ამაყობდნენ, სოციალური ბრძოლა არ ყოფილა ჩვენში, წოდებათა შორის „მამაშვილური“ განწყობილება იყოო.

ივ. ჯავახიშვილი ჩვენი „მამულიშვილებისა“ და გერმანელ მეცნიერთა ასეთ გაგებას ან განგებ მიყრუებით, ან უვიცობით ხსნიდა და აღნიშნავდა: „მეცნიერს, რომელსაც კრიტიკულად შესწავლილი აქვს ქართული საისტორიო მასალები, შეუძლიან დაამტკიცოს. რომ საქართველოს წარსული დიაღაც წოდებრივი ბრძოლის მაგალითებით არის სავსე“[1].

გარდა იმისა, რომ სოციალური ბრძოლის არა ერთი მაგალითი მოტანილი და განხილული აქვს ქართველი ერის ისტორიის მეორე წიგნში, ივ. ჯავახიშვილმა 1934 წელს გამოაქვეყნა მონოგრაფია „სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში IX — XIII საუკუნეებში“.

სოციალური ბრძოლის მიზეზებს აქ ივ. ჯავახიშვილმა ეკონომიური საფუძვლები მოუნახა და მისი ისტორიიდან არა ერთი კონკრეტული მაგალითი დაასახელა: მემამულისა და მონასტრის ქონების მითვისების ცდა სოფლის მოსახლეობისაგან, ან, პირიქით, 1218 წლის ანისის მრეელსა და სამღვდელოებას შორის წარმოებული ბრძოლა და სხვ.

ივ. ჯავახიშვილმა ღრმად შეისწავლა სოციალური ურთიერთობის ისტორია, და აღნიშნა: „გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფო ცხოვრების დამახასიათებელ მოვლენად... უნდა ჩაითვალოს სწორედ ეს მედგარი ბრძოლა მეფეთა და დიდგვაროვან აზნაურთა შორის. **სამეფოს სოციალურ-უფლებრივი წესწყობილების ქვაკუთხედად პატრონყმობა იყო**“.[2]

იმ ხანის ქართული სახელმწიფოებრივი ცხოვრების ღრმად შესწავლის საფუძველზე ივანე ჯავახიშვილმა აშკარა გახადა ქართველთა შემოქმედების მსოფლიო მნიშვნელობა და ქართულ კულტურასა და საზოგადოებრივ აზროვნებას შესაფერისი ადგილი მიუჩინა.

---

1 ივ. ჯავახიშვილი, მამულიშვილობა და მეცნიერება, გვ. 15.

2 ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, წიგნი II, გვ. 165.

ცნობილია, რომ დასავლეთ ევროპაში ეკლესია-მონასტრებში დემოკრატიული მიმართულება დაიწყო XIII საუკუნეში. ჩვენში კი ადამიანთა ღირსებისა და დემოკრატიული მიმართულების წინა პლანზე წამოწევა გიორგი მთაწმიდელმა (XI ს.) იქადაგა.

X — XI საუკუნის კულტურული ვითარების გასათვალისწინებლად,—ამბობდა ივ. ჯავახიშვილი,—კაცმა უნდა ნახოს იმდროინდელი ნახელავი და დარწმუნდება ჩვენი ხალხის შემოქმედებითი ნიჭის ყოვლისშემძლეობაში. „ვისაც მაშინდელი საქართველოს სულიერი და გონებრივი კულტურის წარმოდგენა სურს, მან უნდა გაიხსენოს ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელნი, საქართველოს საუკეთესო შვილნი, მისი ეროვნულის სინდისის და კეთილშობილურის თავმოყვარეობის და თვითშემეცნების გამომხატველნი. ხოლო ვისაც უნდა იმდროინდელი საქართველოს დაწინაურებული ცხოვრება გაითვალისწინოს, მან ქართული ხელოვნების იმდროინდელი ძეგლები ნახოს, მაგ. სამთავისის, ბოჭორმისა და სხვა ტაძრები, შესანიშნავი ბედიის საყდარი... მაგრამ ქართული ხუროთმოძღვრებისა და ქანდაკების ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად ყოველთვის იქნება განთქმული ბაგრატ III ტაძარი ქუთაისში“.[1]

დავით აღმაშენებლიდან (1089—1125 წწ.) მოყოლებული ხვარაზმელების შემოსევამდე (1225 წ.) საქართველო წარმოადგენდა წინა აზიის ერთ უძლიერეს ქვეყანას. დავით აღმაშენებელმა თავისი ქვეყნიდან განდევნა მტერი, საქართველოს გაერთიანება საბოლოოდ დაამთავრა და სამხედრო მოქმედების არე საქართველოს მიღმა გადაიტანა. ამიერიდან ქართველი ხალხის შინასახელმწიფოებრივი ცხოვრება სწრაფი ნაბიჯით ვითარდება, არაჩვეულებრივი აღმავლობა ეტყობა სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა დარგს.

ივ. ჯავახიშვილმა მისთვის დამახასიათებელი სისრულით აგვიწერა ძლიერების ხანის საქართველო და მოგვცა ყველა იმ მიღწევათა ნათელი სურათი, რომლითაც ქართველი ხალხი თავის კუთვნილ ადგილს იჭერს მსოფლიო ხალხთა ისტორიაში.

ივ. ჯავახიშვილმა წყაროთა მეცნიერული ინტერპრეტაციის საფუძველზე გამოაჩინა ქართველი ხალხის შემოქმედებითი შესაძ-

---

1 ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, წიგნი II გვ. 191—192.

ლებლობა და ამით მსოფლიო საისტორიო მეცნიერება დიდად გაამდიდრა.

ქართველი ერის ისტორიის მეორე წიგნის ორი უკანასკნელი თავი სწორედ ზემონათქვამს ეხება[1]. ივ. ჯავახიშვილი დაასკვნის: „XII საუკუნის საქართველომ აქტიური პოლიტიკის წარმოებას მიჰყო ხელი და ამდროინდელი მცირე აზიის ცხოვრებაში პირველი ადგილი დაიჭირა, საერთაშორისო მნიშვნელოვან ძალად იქცა"[2]. ქართველი ხალხის სახელმწიფოებრივი ძლიერება მარტო სამხედრო მიღწევებში როდი ჩანდა. „საქართველოს ძლიერების ხანა იმ მხრივ არის განსაკუთრებით საყურადღებო, რომ ამ დროს მოწინავე ქართველთა გონებრიემა სამფლობელო აზროვნების უმწვერვალეს ხარისხს მიაღწია და საფილოსოფიო მწერლობას დაეწაფა"[3].

ამ ფაქტის შეფასებას იძლევა დიდი მეცნიერი და ეთანხმება ნ. მარს „ქართველები სხვებზე, მაგ., ევროპელებზე უფრო ადრე ეწაფებოდნენ ხოლმე საფილოსოფიო აზრის ყოველს უახლესს მიმართულებას და იმდროისათვის სამაგალითო სამეცნიერო მეთოდებით აღჭურვილნი პირდაპირ ბერძნული დედნების შესწავლაზე ამყარებდნენ თავიანთ ნაყოფიერს მუშაობას".[4]

როგორც ვხედავთ, ელინიზმის შესწავლა საქართველოში XII საუკუნეში დაიწყო, მაშინ, როდესაც ევროპაში ელინიზმით გატაცება გაცილებით გვიან, რენესანსის ხანაში იწყება. ასევე საერთაშორისო მნიშვნელობას აძლევდა ივ. ჯავახიშვილი დავით აღმაშენებლის რეფორმებს, ყუთლუ-არსლანის მოძრაობას და სხვ.

ივ. ჯავახიშვილმა დაგვანახა, რომ ქართველი ხალხის შემოქმედებითმა ნიჭმა კულტურის ყველა სფეროში საკუთარი ინდივიდუალობა გვიჩვენა. „ყურადღების ღირსია, — წერდა ივ. ჯავახიშვილი, — რომ საქრისტიანო აღმოსავლეთში საშუალო საუკუნეებში ქართველებს გარდა არც ერთს ხალხს საერო პოეზია არ ჰქონია:

---

1 ახალ გამოცემაში (1965 წ.) ამაზე საკითხებს ეხება ორი დამატება. დამატება 1, გვ. 319 — 398, დამატება II, გვ. 398 — 409.

2 ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია", წიგნი II, გვ. 296.

3 იქვე, გვ. 298.

4 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 301, უთითებს ნ. მარი Иоанн Петрицкий. 61.

არც ასურებს, არც სომხებს, არც ბიზანტიელებს მაშინ მხატვრული სიტყვიერება არ მოეპოვებოდათ. ეს გარემოება, რაც არ უნდა იყოს, რა ხელშემწყობი მიზეზებიც უნდა გამოვძებნოთ მის ასახსნელად, მაინც თავისთავად ქართველი ერის ძლიერის მხატვრულის ნიჭისა და შემოქმედების დამამტკიცებელია"[1].

ასეთია ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის" მეორე წიგნში შესწავლილი საკითხების მნიშვნელობა. არ არის ჩვენი ხალხის ისტორიული ცხოვრების არც ერთი სფერო, რომელიც ღრმა მეცნიერული თვალსაზრისით არ იყოს გაშუქებული და შეფასებული ამ წიგნში.

„ქართველი ერის ისტორიის" მესამე წიგნი გამოქვეყნდა ავტორის გარდაცვალების შემდეგ, 1941 წელს.

რედაქციამ შემდეგი განმარტება დაურთო ამ გამოცემას: „წინამდებარე წიგნი, რომელიც წარმოადგენს შემოკლებულ რედაქციას ავტორის მიერ დამზადებული ვრცელი მეცნიერული გამოკვლევისას, ავსებს დღემდე არსებულ ხარვეზს აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ცნობილ ნაშრომში „ქართველი ერის ისტორია" (აქამდე წარმოდგენილი იყო, I, II, და IV წიგნებით), და **იგი ერთადერთი მეცნიერული გამოკვლევაა** საქართველოს ისტორიის ყველაზე რთული პერიოდის — მე-13 მე-14 საუკუნეების შესახებ".[2]

როგორც ცნობილია, XIII საუკუნის 20-იანი წლებიდან საქართველო რთულ საგარეო პირობებში მოექცა. უცხოელი დამპყრობლები (ჯერ ხვარაზმელები, ხოლო შემდეგ მონღოლები) საქართველოს მოევლინენ, როგორც რეაქცია, რომელმაც არა მარტო ფიზიკური განადგურება მოიტანა, არამედ კულტურულ-ეკონომიური დაცემაც. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნულ ნაშრომში დაწვრილებით სწავლობს დამპყრობელ-მონღოლებსა და დაპყრობილ ქართველთა ურთიერობის ისტორიას: მონღოლთა დაპყრობის შედეგად შექმნილ ვითარებას, მონღოლთა გავლენის შედეგებს, არკვევს დამპყრობელი ძალის წინააღმდეგ ქართველთა ბრძოლის ფორმებს, განიხილავს ქვეყნის შიგნით მომხდარ სოციალურ ცვლილებებს.

[1] ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია", წიგნი II. გვ. 307.

2. იხ ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია", წიგნი III (XIII — XIV სს.), თბილისი, 1941. გვ. V, „გამომცემლობისაგან".

მონღოლთა გადასახადებისათვის იშრიტებოდა ქართველთა დოვლათი. დამპყრობთა მძლავრობის შედეგად ქვეყანა აოხრდა ისე, რომ, როგორც XIII საუკუნის 80-იან წლების აღწერით ჩანს, ჰერეთი და კახეთი გაუკაცურებულა. ამ საერთო მდგომარეობის გაუარესებას ზედ დაერთო შინა-სოციალური ბრძოლები. ადგილობრივმა ფეოდალურმა ძალებმა „იწყეს ურთიერთას მძლავრებად და მიხუეჭად"[1], ამ დროს თურმე „არავინ იპოვებოდა სამართლის მყოფელი", „მთავართა იწყეს ჴელის შეხებად საყდართა და მონასტერთა, და იწყეს მიტაცებად სოფელთა და აგარაკთა"[2].

თვით მონღოლები არ მალავდნენ, რომ მონღოლთა მძლავრობის შედეგად ქვეყანა აოხრდა და მდაბიო ხალხი მიმოიფანტა.

დიდი ცვლილებები მოხდა ქართულ სახელმწიფოებრიობაში, ქვეყანა ერთ მთლიან მონარქიულ სახელმწიფოს აღარ წარმოადგენდა, XIII ს. 60-იან წლებში საქართველო ორ სამეფოდ და ერთ სამთავროდ დაიშალა. ცვლილებები მოხდა თვით სოციალურ შემადგენლობაში; ფეოდალთა კლასში ცალკეული ფენები წარმოიქმნა (აზნაურობას დიდებულობა გამოეყო). სათანადო მასალის ანალიზის შედეგად ივ. ჯავახიშვილი მიიდა იმ დასკვნამდე, რომ „მე-13-14 ს. განმავლობაში საქართველოს სოციალურს წესწყობილებაშიცა და შედგენილობაშიც დიდი და ღრმა ცვლილება მოხდა. ბევრი ძველი საგვარეულო ან სრულებით ამოწყდა, ანდა ჩამომცრობის გამო, პოლიტიკურ ცხოვრებაში და საისტორიო ასპარეზზე გაქრა, სამაგიეროდ-კი ბევრი ახალი აღზევებულ-დაწინაურებული, ჯერ ცალკეული პირები, შემდეგ მთელი მათი შთამომავლობა და საგვარეულობანიც-კი იკავებდნენ განთავისუფლებულ ადგილს და პოლიტიკურსა და საისტორიო ფართო ასპარეზზე გამოდიოდნენ".[3] მაშასადამე, საქართველოს ისტორიის მე-13 ს. ხანის სახელმწიფოებრიობის თავისებურებას **მთავართა** წოდებულების გაჩენა და მათი უაღრესი გაძლიერება შეადგენს. ეს მოვლენა ივ. ჯავახიშვილმა, ერთი მხრივ, ქვეყნის შინაგანი განვითარებით და, მეორე მხრივ, მონღოლთა ბატონობის გავლენით ახსნა.

---

1 ჟამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 277.

2 იქვე გვ. 276.

3 ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია," წიგნი III, 1941, გვ. 159.

ამავე ნაშრომში საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი გიორგი ბრწყინვალის ხანას, როცა საქართველომ, თუმცა დროებით, ერთხელ კიდევ მიაღწია მთლიანობას და საერთაშორისო ავტორიტეტი მოიპოვა.

შემდეგ, წიგნში ვრცლად არის საუბარი თემურ-ლენგის ლაშქრობათა შესახებ და ახსნილია ამ ლაშქრობათა დამღუპველი შედეგები. ივ. ჯავახიშვილმა პირველმა მიაქცია ყურადღება, რომ თემურ-ლენგმა ქართველ ხალხს ეკონომიური ომი გამოუცხადა, და ამ ეკონომიური ომის შედეგად ხსნის ქართულ ენაში ამ დროიდან გაჩენილ სიტყვებს: „ნაფუძარი", „ნაქალაქევი", „ნავენახარი" და სხვ.

ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის" მესამე წიგნის გამოსვლით ქართულმა ისტორიულმა მეცნიერებამ კიდევ ერთი ძვირფასი საჩუქარი მიიღო დიდი მეცნიერისაგან, 1949 წელს ამ წიგნის ვრცელი რედაქციაც დაიბეჭდა.[1]

ქართველი ერის ისტორიის მეოთხე წიგნის მხოლოდ პირველი ნაწილი გამოვიდა ივ. ჯავახიშვილის სიცოცხლეში, 1924 წელს. იგი XV საუკუნის ამბების მიმოხილვას წარმოადგენს[2]. ავტორის გეგმით მეოთხე ტომში განხილული უნდა ყოფილიყო საქართველოს ისტორიის XV — XVI ს. ამბები. 1948 წელს ს. ყაუხჩიშვილის და ალ. ჯავახიშვილის რედაქციით გამოქვეყნდა მეოთხე წიგნი სრული სახით.[3]

თუ გავითვალისწინებთ, რომ XV—XVI საუკუნის შესახებ ყველაზე უფრო მცირე ცნობებია შემონახული, ხოლო საერთაშორისო თუ ქვეყნის შიგნით მომხდარი მოვლენები ერთობ დიდია, მაშინ თავისუფლად გასაგები გახდება ამ წიგნის მნიშვნელობა.

XV საუკუნის ისტორიიდან ორი მთავარი მოვლენა იქცევს ყურადღებას. ერთი საქართველოს მეზობელ ქვეყნებში მომხდარი ცვლილებები, ხოლო მეორე — ქვეყნის ფეოდალურ სამეფო-სამთავროებად დაშლა.

როგორც ცნობილია, 1453 წელს ოსმალეთმა ბიზანტიის არსებობა, კონსტანტინეპოლის აღებით, საბოლოოდ და სამუდამოდ შეწყვიტა

---

1 ქართველი ერის ისტორიის III ტომი მესამედ 1966 წელს გამოვიდა.

2 ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია", ტფილისი, 1924.

3 1967 წელს გამოვიდა IV ტომის ახალი გამოცემა სხვადასხვა დამატებებით.

და მალე საქართველოსაც უშუალო საფრთხე შეუქმნა. იმ საუკუნის დამლევს ირანიც ახერხებს გაერთიანებას და სეფიანთა საგვარეულოს წარმომადგენლები საქართველოს დაპყრობას ლამობენ: ამიერიდან ქართველებს ნიადაგ საზრუნავ საქმედ გაუჩნდათ ამ ორ აგრესორისგან თავდაცვა.

მაშინ, როდესაც საქართველოსადმი მტრულად განწყობილი სახელმწიფოები რაზმავდნენ თავიანთ შინაგან ძალებს, საქართველოში საწინააღმდეგო ამბავი ხდებოდა. XV საუკუნის 90-იანი წლებისათვის საქართველო უკვე სამეფო-სამთავროებად დაშლილი ქვეყანა იყო და საერთო მტრის წინააღმდეგ ერთიანი ბრძოლის მაგიერ ისინი (ე. ი. სამეფო-სამთავროები) ცალ-ცალკე იცავდნენ თავს, ხოლო ხშირად თვით ესხმოდნენ ერთიმეორეს.

ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის" მეოთხე წიგნი ამ მოვლენებს ეხება და მანამდე არსებულ მოსაზრებებს კრიტიკულად იხილავს. მცდარ მოსაზრებებს ასწორებს და ქვეყნის გარდასულ ამბებს სწორად წარმოგვიდგენს.

„ქართველი ერის ისტორიის" მეოთხე წიგნი ალექსანდრე პირველის ცხოვრება-მოღვაწეობის მიმოხილვით იწყება, ავტორი არკვევს ალექსანდრე პირველის ვინაობას და მის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას იხილავს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიურ ვითარებასთან კავშირში.

თემურ-ლენგისაგან აოხრებული ქვეყნის აღდგენით დაიწყო ალექსანდრემ თავისი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა. ალექსანდრე აღზრდილი იყო თავისი ბებიის რუსას მიერ. ეს მანდილოსანი ივ. ჯავახიშვილის თქმით „არაჩვეულებრივი პიროვნება, დიდი მხნეობისა და ნებისყოფის პატრონი, ნამდვილი სახელმწიფოებრივ-აღმაშენებლობითი უნარითა და თაოსნობით დაჯილდოვებული **ადამიანი უნდა ყოფილიყო**".[1] მას სხვა მრავალ ღირსებასთან ერთად „თავისი შვილიშვილისათვის, — ალექსანდრე მეფისთვის პირადი მაგალითით თუ სიტყვით და აღზრდით ქვეყნის კეთილდღეობაზე და აღმაშენებლობაზე ზრუნვის წყურვილი და მოვალეობის გრძნობა ჩაუნერგავს"[2].

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია", ტფილისი, 1924, გვ. 22.
[2] იქვე, გვ. 22-23.

ალექსანდრე პირველმა თავისი სახელმწიფოებრიეი მოღვაწეობის სამი ათეული წლის მანძილზე ჩვენი ქვეყნის მრავალი საჭირბოროტო საკითხი მოაგვარა, ერთხელ კიდევ შესძლო ფეოდალური დაშლის გზაზე შემდგარი სახელმწიფო მთლიანობის აღდგენა. საგანგებო გადასახადების შემოღებით მან ბევრი საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა შეაკეთა და ააგო, შემოიერთა ჟამთა სიავისას გამდგარი პროვინციები, ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის დაწინაურებას. ერთი სიტყვით, „ალექსანდრე მეფემ საქართველოს დაუბრუნა ყველაფერი, რაც მას ეკუთვნოდა, შიგნით ქვეყნის ერთობა და მთლიანობა განამტკიცა. ზოგი მოსაზღვრე ქვეყანანიც. რომელნიც წინათ საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებში შედიოდა, კვლავ საქართველოსვე შემოუერთა“[1].

მაგრამ თუ ალექსანდრე ის იღბლიანი მეფე იყო, რომელმაც მოახერხა ქვეყნის თუნდაც ზედაპირული-ადმინისტრაციული გაერთიანება, მისი მემკვიდრენი უკვე თავს ვეღარ ართმევენ მთავრობის ჟინიანობას და მისი ვაჟისა და მემკვიდრის გიორგის დროიდან იწყება საქართველოს დაშლა ცალკეულ სამეფო-სამთავროებად.

ივ. ჯავახიშვილმა ვრცლად მოგვითხრო საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების მთავარი მოვლენები და პირველმა მიაქცია ყურადღება ერთ დეტალს, რომელიც საერთო ქართული სახელმწიფოების დაქვეითების გამომხატველი იყო. უკვე ალექსანდრე პირველიდან მოყოლებული ქართველი მეფეების უფლება იმდენად შეიზღუდა, რომ ამა თუ იმ სიგელს გასცემდნენ ხოლმე მეფეები თავიანთი ოჯახის წევრთა დასტურით. „ეს გარემოება, თუ ადამიანი ქართული სიგელთმცოდნეობის წინანდელ წესებს გაითვალისწინებს, ძლიერს შთაბეჭდილებას სტოვებს და საუცხოოდ გვისურათებს მაშინდელი ჩვენი სახელმწიფოებრიობის ერთს დამღუპველ ნაკლთაგანს. ცხადად ეტყობა, რომ სახელმწიფოს მართვა-გამგეობის დროს მეფე უკვე ერთადერთი ბატონ-პატრონი აღარ ყოფილა: მის საქმეებში დედოფალიც, შვილები და ძმებიც იღებდნენ მონაწილეობას და ერეოდნენ. მეფე უკვე ისეთს მდგომარეობაში და პირობებში იმყო-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტფილისი, 1924. გვ. 36.

ფებოდა, რომ ქალებისა და ოჯახის სხვა წევრთა სურვილისა და გავლენისათვის ანგარიში უნდა გაეწია, უნდა ცდილიყო, რომ მათი პატივმოყვარეობა შელახული არ ყოფილიყო"[1].

მეოთხე წიგნის მეორე ნაწილი, როგორც აღნიშნული იყო, მხოლოდ 1948 წელს გამოქვეყნდა. იგი ძირითადად XVI საუკუნის ისტორიას შეიცავს და მხოლოდ გაკვრით არის საუბარი XVII საუკუნის პირველი ოცეულის ამბებზე. ამასთან ერთად, როგორც ამ წიგნის რედაქტორები შენიშნავენ, ავტორს არ დაუმთავრებია ამ ნაწილის წერა. „ალაგ-ალაგ მხოლოდ წყაროებიდან ამოწერილი მასალაა, ზოგიერთი თავი და პარაგრაფი, მათი დაუმთავრებლობის გამო, ერთმანეთს გადაბმული არაა, მაგრამ, ეპოქის ძირითადი საკითხები კარგად არის დამუშავებული და, რაც მთავარია, აუარებელი მასალა, ქართული და უცხოური, სათანადოდ შეკრებილი და შეფასებულია, თუმცა ყველა მასალის შეფასება ავტორს ვერ მოუსწრია."[2]

მეორე ნაწილი იწყება დავით კონსტანტინეს ძის მეფობის ხანით და მთავრდება შაჰ-აბასის ლაშქრობათა მიმოხილვით. ავტორი აქ არა ერთ მანამდე სადაო თარიღსა და ფაქტს ადგენს, იხილავს ქვეყნის საგარეო თუ საშინაო ვითარებისათვის დამახასიათებელ მოვლენებს, ცდილობს ამა თუ იმ მოვლენის შინაგანი პროცესი დაგვანახოს.

ასე რომ, მეოთხე წიგნის სრული სახით გამოსვლამ ძირითადად დაამთავრა „გაუტეხავი ყამირის" გატეხა და ამდენად დიდი პირველადი სამუშაოები ჩატარდა. მომდევნო ხანის დამუშავება მეცნიერმა ვერ მოასწრო, მაგრამ XVII—XVIII სს. საქართველოს ისტორიის დამუშავება შედარებით „იოლია", რადგან ამ ხანის დამახასიათებელ მოვლენებზე უხვი მასალა მოიპოვება.

ასეთია მოკლე მიმოხილვა ივ. ჯავახიშვილის კაპიტალური ნაშრომის „ქართველი ერის ისტორიის" ოთხტომეულისა. ამ ტომთა საერთო სიდიდე 1368 გვერდს აღემატება და, როგორც დავინახეთ, ქართველი ხალხის სახელმწიფოებრივი ცხოვრების მრავალ მხარეს აშუქებს.

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია", ტფილისი, 1924, გვ. 179.
[2] იქვე, გვ. 7.

ქართული საისტორიო გეოგრაფიის შესწავლა ისე, როგორც სხვა სამეცნიერო დარგებისა, ივ. ჯავახიშვილმა სტუდენტობის დროს დაიწყო. მისივე აზრით, გეოგრაფიული ვითარების გათვალისწინება აუცილებელია. უნდა შესწავლილ იქნას ის მიწა-წყალი, გეოგრაფიული თაეისებურება, რომლის ისტორიასაც სწავლობს მკვლევარი. „ვისაც ჰსურს მომხდარი ამბების მნიშვნელობა და ქართველთა ცხოვრების განვითარების მიმდინარეობა ნათლად წარმოიდგინოს, მას ჯერ საქართველოს იმდროინდელი გეოგრაფია შესწავლილი უნდა ჰქონდეს“[1].

საქართველოს ისტორიული გეოგრაფია ივ. ჯავახიშვილს, ძირითადად თავის ორ წიგნში აქვს მოცემული:

1. „ქართველი ერის ისტორიის“ მეორე წიგნში (თავი პირველი)[2] და 2. „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით“[3]. გაკვრით, ამა თუ იმ მოვლენის შესწავლასთან დაკავშირებით, ივ. ჯავახიშვილი საისტორიო გეოგრაფიის საკითხებს ეხება „ქართველი ერის ისტორიის“ I, III, IV ტომებში, „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ ორივე ტომში, „სამართლის ისტორიაში“ და სხვ.

„ქართველი ერის ისტორიის“ მეორე ტომის პირველი თავი ავტორს მიძღვნილი აქვს VII — XII სს. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისადმი.

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ საქართველოს ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონს აქვს თავის დროზე შესწავლილი, მაგრამ ამჟამად მისი ისტორიული გეოგრაფიით დაკმაყოფილება აღარ შეიძლება, თუნდაც იმიტომ, რომ საქართველოს ძველი ხანის შესახებ ჩვენ უფრო მეტი ცნობები მოგვეპოვება, ვიდრე ვახუშტის[4].

---

1 ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, ტ. II, 1965, გვ. 5.

2 იქვე, გვ. 71.

3 ივ. ჯავახიშვილი „საქართველოს საზღვრები ისტორიული და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“, ტფილისი, 1919.

4 ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, ტ. II. 1965 წ. გვ. 5.

სანამ საისტორიო გეოგრაფიის კვლევას შეუდგებოდეს, ივ. ჯავახიშვილი, უპირველეს ყოვლისა, ადგენს შესაფერის ტერმინებს[1].

ამის შემდეგ საუბარია საქართველოს ადგილმდებარეობაზე. დადგენილია საქართველოში არსებული მთების მდებარეობა და მათი სახელდება, აქვეა მსჯელობა საქართველოში არსებულ ველებსა და ჭალებზე, შემდეგ შესწავლილია ზღვები, ტბები და მდინარეები[2].

ცალკე პარაგრაფად არის გამოყოფილი მოსახლეობის გეოგრაფიული განლაგება. აღნიშნულია, რომ „საქართველო შედგებოდა რამდენისამე „ქვეყანისა"-გან, რომელთაც თავიანთი სახელები და თავ-თავიანთი საზღვრები ჰქონდათ"[3].

როგორც ცნობილია, თითოეული ასეთი „ქვეყნის" მნიშვნელობა შეიძლებოდა შემცირებულიყო, ან გაზრდილიყო, მაგ., „ეგრისი" თავის დროზე მოელი დასავლეთ საქართველოს მნიშვნელობით იხმარებოდა, ასევე იყო „აფხაზეთიც", ხოლო „ქართლი" ერთ ხანს მთელს საქართველოს უდრიდა. ამ მოვლენებს ნაშრომში საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი და მოცემულია როდის, როგორ იცვლება ქვეყნის მნიშვნელობა, მაგრამ ამასთან ერთად არსებობდა ამა თუ იმ „ქვეყნის" მუდმივი, „მყარი" საზღვრებიც.

ცალკეული მხარის საზღვრების დადგენისათვის ივ. ჯავახიშვილს შესაძლებლად მიაჩნია ლეონტი მროველის ცნობების გამოყენება.

ლეონტი მროველის აზრით, საქართველოს ტერიტორია დანაწილებული იყო ქართველ ტომთა წინაპრებზე მათი მშობლების მიერ და თითოეულის სახელის მიხედვით ქვეყნებსაც სათანადო სახელები შეერქვა.

ლეონტი მროველი, ამასთან ერთად, თითოეულის წილის საზღვრებსაც ჩამოთვლის. ივ. ჯავახიშვილის აზრით, „იქ, სადაც. მაგ., ქართლოსის, კახოსის, კუხოსის, ეგროსის და სხვათა ხვედრი ქვეყნების რაოდენობა არის აღწერილი, იქ ჩვენა გვაქვს ჩამოთვლილი ქართლისა, კახეთისა, კუხეთისა და სხვათა საზღვრები, რა საზღვრე-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორია" ტ. II, 1965, გვ. 6—16.
[2] იქვე, გვ. 16—28.
[3] იქვე, გვ. 28.

ბიც თითოეულს ამ ქვეყანათაგანს ავტორის დროს (X—XI საუკ. ქ. შ.) და წინათაც მიკუთვნებული ჰქონია. ამგვარის ხერხით, მე მგონია, შეიძლება მკვლევარმა გამოარკვიოს საქართველოს თითქმის ყველა ქვეყნების საზღვრები".[1]

ივ. ჯავახიშვილი ლეონტი მროველის ცნობებს ავსებს იმდროინდელ წყაროებში გაბნეული ცნობებით და ადგენს ქართლის, კახეთის, ეგრისის, ტაო-კლარჯეთის საზღვრებს, აგრეთვე თითოეულის შემადგენელ ნაწილებზე საუბრობს და ჩვენი ქვეყნის ყოველი მხარის ისტორიულ გეოგრაფიულ სურათს წარმოგვიდგენს. შრომის ამავე თავში შესწავლილია გზები. „საქართველოს სხვადასხვა კუთხეების აღდგენისა და გაერთიანებისათვის ბრძოლის დროს, რასაკვირველია, მიმოსვლაცა და ურთიერთ გავლენაც გაცხოველდა. მიმოსვლისა და აღებმიცემობის გზები იყო აგრეთვე ის თვალსაჩინო ძალა, რომელიც, ერთის მხრივ, საქართველოს მრავალს კუთხეს ერთი ერთმანეთს უახლოებდა და აერთებდა, მეორე მხრივ უცხოეთის გავლენა, პოლიტიკური თუ სულიერი, შემოჰქონდა. რომლითაც სამაგიეროდ საქართველოს გავლენაც ვრცელდებოდა მეზობელს და შორეულს ერებსა და სამეფოებზე"[2]. ამიტომ ამ გზების მიმართულებისა და მდებარეობის ცოდნა საჭირო არისო, დაასკვნიდა ავტორი.

ივ. ჯავახიშვილი ადგენს ძირითად საგზაო მაგისტრალებს.

გზების შეკეთება-მოვლა-პატრონობაზე სახელმწიფო ზრუნავდა. საჭირო არ არის იმის მტკიცება, რომ საგზაო მიმოსვლის გაუმჯობესება ერის საერთო მაღალი კულტურის მაჩვენებელია.

როგორც აღნიშნული იყო, ივ. ჯავახიშვილის სხვა შრომებში ხშირად არის ხოლმე საუბარი საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხებზე. იმასთან დაკავშირებით, თუ ქვეყნის ამა თუ იმ პოლიტიკურ წარმატება-წარუმატებლობასთან ერთად როგორ იცვლებოდა საზღვრები, უფრო ფართოდ მოცემული აქვს ზემოდასახელებულ წიგნში. ამიტომ სხვა ნაშრომებს აღარ შევეხებით და უშუალოდ ამ წიგნს გავარჩევთ.[3]

---

1 ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია", ტ. II, 1965, გვ. 28.

2. იქვე, გვ. 68.

3 იგულისხმება ივ. ჯავახიშვილის „საქართველოს საზღვრები", 1919 წ. გვ. 3.

შესავალშივე ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „საუკუნეთა განმავლობაში საქართველოს სახელმწიფოს სამზღვრები ტომობრივ მოსახლეობის სამზღვრებს არა ერთხელ გასცილებია და ძლიერების ხანაში XI—XIII საუკუნემდე, განსაკუთრებით XII საუკუნეში დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროს საქართველოს მთელი ამიერკავკასიასაც კი ეკუთვნოდა". მაგრამ საქართველოს მაინც ჰქონდა ბუნებრივ-ისტორიული გეოგრაფიული საზღვრები და ამ წიგნში სწორედ მასზეა საუბარი. საქართველო თავისებურ შემოზღუდულ ქვეყანას წარმოადგენს.

„თითქოს თვით ბუნებას შეუქმნია ქართველ ერისათვის ბუმბერაზი დარაჯი კავკასიონის მთავარი უღელტეხილი ჩრდილოეთით და მაღალი მთების ზღუდე სამხრეთით, დასავლეთით კი მის ტერიტორიას შავი ზღვის, ხოლო აღმოსავლეთით მდინარეების ზოლი აქვს შემოვლებული".[2] მართალია, გეოგრაფიული გარემო არ არის გადამწყვეტი ფაქტორი ამა თუ იმ ისტორიული პროცესის მსვლელობაში, მაგრამ გეოგრაფიული ფაქტორი მაინც რჩება ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორად ქვეყნის თავდაცვისა თუ სამეურნეო საქმიანობაში. ამ თვალსაზრისით საქართველოს გეოგრაფიულმა თავისებურებამ მცირე როლი როდი შეასრულა ჩვენი ხალხის ფიზიკურად გადარჩენის საქმეში. როდესაც რიცხვმრავალი მტერი ჩვენს ქვეყანას შემოადგებოდა, ხალხი მთა-ხევებში შეიხიზნებოდა და ძნელად სავალ ადგილებში შეტყუებულ მტერს მუსრს ავლებდა.

საქართველოს ისტორიული საზღვრები ასეთი იყო:

I. ჩრდილოეთის საზღვარი. სასაზღვრო ხაზი დასავლეთიდან (აფხაზეთიდან) მიიმართებოდა ჩრდილოეთით, იწყებოდა იქ, სადაც კავკასიონის მთავარი ქედი იწყება. მოსაზღვრე ხაზად მდინარე ყუბანის შესართავი და კავკასიონის წვერი ითვლებოდა. მაშინ (XI ს.) ჯიქეთი და ალანთა (ოსთა) ქვეყანა აფხაზეთს ეკუთვნოდა. ტუაფსე საქართველოში (აფხაზეთში) შემოდიოდა. ჩრდილოეთის საზღვარი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიემართებოდა, სვანეთს ჩრდი-

---

[1] ივ. ჯავახიშვილის „საქართველოს საზღვრები", 1919 წ. გვ. 3.

[2] იქვე, გვ. 3.

ლოეთით გაჰყვებოდა, რაჭა და დვალეთი საქართველოს უკიდურესი სანაპირო ქვეყნები იყვნენ. დვალეთიდან აღმოსავლეთით თრუსო და ხევი მდებარეობდა, ესენიც საქართველოში შემოდიოდნენ. ამათ გაგრძელებას წარმოადგენდა „მყინვარის კავკასი და ახოტის კავკასი" და ჯარიახის ხეობამდე. ცოტა უფრო სამხრეთით, გრძელდებოდა. ასე, რომ, აფხაზეთის უკიდურესი დასავლეთიდან კავკასიის მთავარი ქედის მწვერვალით ჯარიახის ხეობამდე გადაჭიმული იყო საქართველოს ჩრდილოეთის საზღვარი[1].

II. **აღმოსავლეთის საზღვარი.** საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეს ძველ დროს ჰერეთი ეწოდებოდა. ამ კუთხის ჩრდილო-აღმოსავლეთით დაღესტნის მთები იყო. ჩრდლოეთით მას არეშის წყალი, სამხრეთით კი ჯერ ალაზნისა და იორის შესართავი საზღვრავდა, ხოლო შემდეგ საზღვარი ალაზნის პირას ჩრდილოეთისკენ მიდიოდა იმ ადგილამდე, სადაც გიშის წყალი ალაზანს ერთვის. შემდეგ მოსაზღვრე ხაზი ამ გიშის წყალს სამხრეთით მდინარის გასწვრივ მისდევდა მის სათავემდე (სათავე კავკასიონის უღელტეხილში იყო).

საზღვარზე საქართველოდან გადადიოდა გზა შაქსა და დაღესტანში („ლეკის გზა"); ამ გზით შედიოდა ქართული კულტურა დაღესტანსა და შაქში.[2]

III. **სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვარი.** სასაზღვრო ხაზი იწყებოდა გიშისა და ალაზნის შესართავთან, მიემართებოდა სამხრეთით ალაზნის გასწვრივ იორ-ალაზნის შესართავამდე. გადალახავდა მტკვარსა და აქედან საქართველოს სამხრეთის საზღვარი მოჰყვებოდა მტკვარს ჩრდილო-დასავლეთისაკენ და თავდებოდა იქ, სადაც მდინარე აღსტაფურა მტკვარს ერთვის.[3]

ქვემო ქართლის სასაზღვრო ხაზი იმავე დროს გარდაბნის სასაზღვრო ხაზი იყო, მას საზღვრავდა „აღმოსავლეთით მტკვარი და ხუნანის გამართებით ბერდუჯის აღმოსავლეთის მცირე მთა" (ვახუშ-

---

[1] იხ. ჯავახიშვილის „საქართველოს საზღვრები", 1919 წ. გვ. 4—13.

[2] იქვე, გვ. 10—13.

[3] იქვე, გვ. 13—15.

ტი). სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვარი ყველაზე უფრო ცვალებადი იყო. ყაზახი, შამშადილი, შამქორი, განჯა, მეტ წილად საქართველოში შემოდიოდნენ.[1]

საქართველოს სამხრეთის საზღვარი, როგორც აღნიშნული იყო, იცვლებოდა ისტორიული პირობების ცვლასთან ერთად, ჩვეულებრივ კი ერევნის მთებამდე აღწევდა (იგივე „ზამბაკის მთები").

ამის შემდეგ ივ. ჯავახიშვილი ზემო ქართლის საზღვრებს ეხება და აღნიშნავს, რომ ზემო ქართლს ისტორიულად მესხეთი ერქვა. მესხეთად იგულისხმებოდა: სამცხე, ჯავახეთ-აბოცი, არტაჰან-კოლა. კლარჯეთი, ტაო-ოლთისი და თორთუმ-ისპირი. კლარჯეთის სამხრეთ-დასავლეთით ზღვის პირას ტრაპიზონამდის და იმის იქითაც ლაზისტანი ანუ ჭანეთი იყო.

ამრიგად, ივ. ჯავახიშვილი განსაზღვრავს ამა თუ იმ ტერიტორიული ერთეულის ადგილმდებარეობას, მის სახელდებას, შემდეგ არკვევს ამ კუთხის მნიშვნელობას საერთო ქართული სახელმწიფოებრიობისათვის. მაგ., ქვემო ქართლის შესახებ იგი წერს: მას შემდეგ, რაც ქვეყანა დაიშალა, „ქვემო ქართლის ანუ ლორე-ტაშირ-სომხითის" საქართველოსთვის გარეშე მტრისაგან თავდაცვის დროს უაღრესი მნიშვნელობა უფრო ცხადი და თვალსაჩინო გახდა... საქართველოს მტრებსაც ამ ქვეყნის უდიდესი მნიშვნელობა მშვენივრად ჰქონდათ გათვალისწინებული. მათ ესმოდათ, რომ მისი დაპყრობა აღმოსავლეთ საქართველოსა და ტფილისში შემყვანელ კარების ხელში ჩაგდებას უდრიდა".[2] იგი ამ კუთხის ეკონომიურ დახასიათებასაც იძლევა და განსაზღვრავს ამ მხარის ეკონომიურ მნიშვნელობას საქართველოსათვის.[3] ამავე თვალსაზრისით იხილავს ის სხვა მხარეებსაც.

ივ. ჯავახიშვილის შრომებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის შესწავლის საქმეში.

ქართული არქეოლოგია

საქართველოს არქეოლოგიური შესწავლა ივ. ჯავახიშვილამდე დაიწყო. გასული საუკუნის 70-იან წლებში არქეოლოგიურმა გათხ-

---

[1] ივ. ჯავახიშვილის „საქართველოს საზღვრები", 1919 წ. გვ. 16.

[2] იქვე, გვ. 24.

[3] იქვე, გვ. 27.

რამ მცხეთა-სამთავროში ფართო ხასიათი მიიღო, მაგრამ ამ გათხრებს აწარმოებდნენ არასპეციალისტები, (ბაიერნი და სხვები). გათხრების შედეგად მოპოვებულ ნივთებზე მათ არასწორი წარმოდგენა ჰქონდათ და ხშირად უმართებულო დასკვნებიც გამოჰქონდათ.

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „არქეოლოგია, ვითარცა თავისი საკუთარი მეთოდების მქონე მეცნიერების დარგი, სათანადო სპეციალისტთა კვლევა-ძიების სარბიელს შეადგენს და ჩვეულებრივ ისტორიკოსი მისი მონაპოვრით სარგებლობს ხოლმე თავისი მიზნებისათვის. მაგრამ ასეთ ხელსაყრელ პირობებში ქართული ისტორიის მკვლევარი ჯერ არ ჩავარდნილა, რადგან კავკასიის არქეოლოგია თავის სპეციალურ საგნად ჯერ არავის აურჩევია და ყველა ის მნიშვნელოვანი მონაპოვარი, რომელიც კავკასიის ნივთიერი კულტურის გასათვალისწინებლად უკვე არსებობს, სასხვათაშორისო კვლევა-ძიების შედეგს წარმოადგენს და უფრო ზოგადი პრობლემებით დაინტერესებულ, მაგრამ თავისი კვლევა-ძიების მუდმივი ასპარეზით დაშორებულ გამოჩენილ მეცნიერთა მონაწილეობით არის შეძენილი. ამ გარემოების წყალობით კავკასიის არქეოლოგიურ შესწავლას სისტემატური გეგმიანი მუშაობის თვისებების მაგიერ შემთხვევითი ხასიათი აქვს".[1]

მეცნიერი გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ არ არსებობს დაწესებულება, რომელიც არქეოლოგიურ მონაპოვარს თავს მოუყრის და შეისწავლის. ამ საკითხებზე ცალკეული სპეციალისტებიც კი არ მუშაობენო. „ასეთ პირობებში გასაკვირველი არაფერია, თუ რომ გუშინ უცილობლად მიჩნეული დებულება პირველივე ახალი გამოკვლევით სრულებით შემცდარი გამოდგება. ამავე მიზეზის წყალობითვე ისტორიკოსს ჯერ უფლება არა აქვს არქეოლოგიურ თეორიებს სრული რწმენით დაემყაროს"[2].

ივ. ჯავახიშვილი ასპარეზზე გამოდის მეცნიერული კვლევის მოწინავე მეთოდებს დაუფლებული, იგი შეიარაღებულია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ღრმა ცოდნით. კარგად იცნობს მსოფლიო არქეოლოგთა მიღწევებს და ერთი პირველთაგანია ქართველთა შორის, რომელიც თავისი მეცნიერული მიზნისათვის მოხერხებულად იყენებს არქეოლოგიურ მემკვიდრეობას.

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია", წიგნი პირველი, მეხუთე გამოცემა, 1960, გვ. 7.

[2] იქვე, გვ. 7.

ხშირად, განსაკუთრებით უძველესი პერიოდისათვის, არავითარი წერილობითი წყარო არ გაგვაჩნია. ამ ეპოქის შესახებ შეგვიძლია მსჯელობა მხოლოდ არქეოლოგიური მონაცემების საშუალებით, ამ მონაცემებზე დაყრდნობით. ჩვეულებრივ, ადამიანები მიცვალებულს იმ იარაღებს და საყოფაცხოვრებო ნივთებს ატანდნენ, რომელიც ცხოვრებაში იხმარებოდა.

საქართველოს ტერიტორიაზე მრავლად არის ნახული სხვადასხვა სამეურნეო იარაღები და საყოფაცხოვრებო ნივთები. ეს ნივთები სხვადასხვა პერიოდისაა, დაწყებული პალეოლითით (ძველი ქვის ხანა) და გათავებული საშუალო საუკუნეებით. სამეურნეო იარაღების აღმოჩენით მეცნიერებას საშუალება ეძლევა დაადგინოს, თუ როგორი იყო საწარმოო იარაღების განვითარების დონე ამა თუ იმ ეპოქაში. ამის გარკვევით საშუალება გვეძლევა გავითვალისწინოთ თვით ადამიანთა ურთიერთობის ფორმებიც. ყოველივე ეს კარგად იცოდა ჯავახიშვილმა და, ამიტომაც იგი მაყურებელი როდი იყო არქეოლოგიაში, არამედ ერთი ხელმძღვანელთაგანი, წამყვანი მეცნიერი. მას შემდეგ, რაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქართული კულტურის კვლევის სათავეში ჩადგა, ბუნებრივია, რომ არქეოლოგიური მუშაობისათვის თანდათან შეიქმნებოდა პირობები; არქეოლოგიურ გათხრებს ამიერიდან უნივერსიტეტის სწავლულნი აწარმოებდნენ.

ქართულ საბჭოთა არქეოლოგიაში საგრძნობი გარდატეხა მოხდა. განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც 1936 წ. ჩამოყალიბდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი. ამ ინსტიტუტს სათაეში ჩაუდგა ივ. ჯავახიშვილის აღზრდილი ნიჭიერი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე სიმონ ჯანაშია, ხოლო მეცნიერ-კონსულტანტად ივ. ჯავახიშვილი დაინიშნა.

ამიერიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გვერდში ამოუდგა მძლავრი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ცენტრი, ხოლო არქეოლოგიაში წამყვანი ადგილი ამ ინსტიტუტმა დაიკავა.

1936 წელი ერთი სამახსოვრო პერიოდთაგანია ქართული საბჭოთა არქეოლოგიის განვითარების ისტორიაში. უგეგმობა და შემთხვევითობა აღარ აწუხებდა ივ. ჯავახიშვილს. იგი პირადად იღებს ხელ-

ში არქეოლოგიური მუშაობის ხელმძღვანელობას. ამავე პერიოდში დაიწყო სამზადისი დიდი ეროვნული ზეიმისათვის. ეს ზეიმი დაკავშირებული იყო, „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავის აღსანიშნავ იუბილესთან.

საიუბილეო სამუშაოთა შორის გათვალისწინებული იყო შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურის გამოფენა. აგრეთვე დაარსდა შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურის მუზეუმი, რომლის დირექტორად დაინიშნა ივ. ჯავახიშვილი.

მუზეუმში ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით მოწყობილმა გამოფენამ, სადაც ასახული იყო საქართველოს XI—XIII ს. ს. სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყოველი მხარე, წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა მნახველებზე. ეს გამოფენა ბრწყინვალე დემონსტრაცია იყო არა მარტო დიდი ქართული კულტურის წარმოჩენისა, არამედ იმ მეცნიერული ცოდნისაც, რომელმაც ეს ძველი კულტურა გამოავლინა.

შოთა რუსთაველის ეპოქის საქალაქო ცხოვრების შესწავლის მიზნით ივ. ჯავახიშვილის ინიციატივით, ლ. მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით, რომელსაც კონსულტაციას უწევდა პროფესორი გ. ჩუბინაშვილი, დაიწყო **დმანისის** გათხრა. რაკი „ვაჭრობა-მრეწველობისა და ხელობა-ხელოსნობის კერა უმთავრესად ქალაქებში იყო, ამიტომაც მაშინდელი საქართველოს ქალაქის გეგმისა და ყოფა-ცხოვრების ცოდნა და წარმოდგენა იყო საჭირო“.[1] დმანისის გათხრებმა მოლოდინი გაამართლა და ამ ქალაქის გეგმისა და ყოფა-ცხოვრების დასადგენად ძვირფასი მასალები მოგვცა.

1937 წელს გათხრები ჩატარებულ იქნა აგრეთვე ბოლნისში. ამ გათხრების შედეგად აღმოჩენილ იქნა წარწერა, რომელიც ივ. ჯავახიშვილმა ამოიკითხა.

ამავე წელს დაიწყო გეგუთის გათხრები, რომელსაც ივ. ჯავახიშვილის საერთო ხელმძღვანელობით ლ. მუსხელიშვილი და ვ. წილოსანი მეთაურობდნენ. აღმოჩენილ იქნა წყალსადენი არხები. ივ. ჯავახიშვილმა მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა მთელი კოლექტივი დარაზმა შოთა რუსთაველის ეპოქის

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, 1956. გვ. 55.

ქართული ყოფის წარმოჩენისათვის და მოაწყო შესანიშნავი გამოფენა.

1937 წელს ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის „მოამბის“ პირველ ტომში ივ. ჯავახიშვილი აქვეყნებს წერილს — „ჩვენი ამოცანები ენათმეცნიერებისა და კულტურის ისტორიის სფეროში“. ამ წერილში ივ. ჯავახიშვილი ქართველი მეცნიერების წინაშე აყენებს აქტუალურ საკითხებს: „მსოფლიო მეცნიერება უაღრესად დაინტერესებულია ქართველური და კავკასიური ენების ბუნებითა და მათი სხვა ენებთან, მათ შორის ხალდურ, ხეთურ და სუმერულთანაც, ნათესაობის საკითხებით, მათი თავდაპირველი სამშობლოსა და მერმინდელი გადმოსახლების ისტორიით ისევე, როგორც საკვები მცენარეებისა და შინაური ცხოველების სადაურობისა და შერჩევის, დასასრულ ლითონის კულტურის ისტორიის ამოცანებითაც“.[1] ამ პრობლემების გადაჭრის კონკრეტულ ვალდებულებებს ჯავახიშვილი ქართველ მეცნიერებს აკისრებს და თან ამ საკითხების გადაჭრის გზებზეც მიუთითებს. ამავე წერილში, აძლევს რა არქეოლოგიას დიდ მნიშვნელობას, ის წერს: „აუცილებლად საჭიროა, რომ ამიერითგან არქეოლოგიური კვლევა-ძიება გარკვეული გეგმისდა მიხედვით, ისტორიული სააღებმიცემო გზების მიმართულებითა და გზათა შესაყრების გათვალისწინებით, ძველი ყველა ისტორიული ცნობების ცოდნითა და კულტურის ისტორიის მთავარი ამოცანების გადასაჭრელად ყველა მასალებისადმი ჯეროვანი ყურადღების მიპყრობით სწარმოებდეს“.[2]

ივ. ჯავახიშვილი მეცნიერთა იმ წრეს ეკუთვნოდა, რომელიც მარტო მითითებებს კი არ იძლევა, მარტო საპროგრამო დებულებებს კი არ აყალიბებს, არამედ თვითონ უჩვენებს მაგალითს ამ პრობლემების გადაწყვეტაში. და როცა 1938 წელს მცხეთა-არმაზში დიდი საველე არქეოლოგიური მუშაობა გაიშალა, ივ. ჯავახიშვილი ამ დიდი წამოწყების სათავეში იყო.

მცხეთის დიდ არქეოლოგიურ კამპანიას წინ უსწრებდა არმაზის-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ჩვენი ამოცანები ენათმეცნიერებისა და კულტურის ისტორიის სფეროში, ენიმკის მოამბე, № 1, 1937, გვ. 1.

[2] იქვე, გვ. 5.

ხევში წარმოებული გათხრები (ს. ჯანაშია, გ. ნიორაძე, ა. კალანდაძე). ამ გათხრებმა ცხადჰყვეს, რომ მცხეთის რაიონში იბერიის სამეფოს რეზიდენციაში მოსალოდნელია მნიშვნელოვანი აღმოჩენები.

მალე საგანგებო დაზვერვისა თუ შემთხვევითი თხრის შედეგად აღმოჩენილმა მასალებმა ერთხელ კიდევ დაადასტურეს სპეციალისტების ვარაუდი. შეიქმნა ექსპერტთა კომისია ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით. მცხეთაში შემდგომი მუშაობის ხელმძღვანელობისათვის საქ. სახკომსაბჭოსთან შეიქმნა განსაკუთრებული კომისია. ექსპედიციის საერთო ხელმძღვანელობა და ექსპერტთა კომისიის თავმჯდომარეობა დაეკისრა ივ. ჯავახიშვილს. ექსპერტთა კომისიის დადგენილებით სამუშაო ორ ნაწილად გაიყო. ერთს ბებრისციხისაკენ მდებარე ნაწილში უნდა ეწარმოებინა არქეოლოგიური კვლევა-ძიება, იქ, სადაც საფლავები უკვე ნაპოვნი იყო, მეორეს, სამხრეთის ჯგუფს კი სამთავროს მიდამოებთან უნდა დაეწყო მუშაობა და თანდათან ჩრდილოეთისაკენ წაწეულიყო.

მუშაობაში ჩაბმულ იქნა საქართველოში მომუშავე ყველა არქეოლოგი სპეციალისტი. მუშაობა 29 ოქტომბერს (1938 წ.) დაიწყო 14 ჰექტარ ფართობზე. „ეს 14 ჰექტრიანი არე მთლიანად მცხეთის ძველისძველი ნეკროპოლი აღმოჩნდა, რომელსაც იმ დროს უეჭველია **მკვდრეთი** უნდა ჰრქმეოდა სახელად", — წერს ივ. ჯავახიშვილი.[1]

გათხრებმა მალე შესანიშნავი შედეგები მოგვცა. დადგინდა, რომ ძველად აქ სამ-ოთხგვარი დასაფლავების წესი სცოდნიათ:

1. მიწის ორმოში, ან ამოყრილ მიწაში დასაფლავება;

2. ქვევრჭურში დასაფლავება;

3. ლოდებისაგან შემზადებულ სამარხში, ე. წ. ქვაყუთში დასაფლავება;

4. აგურ-კრამიტისაგან გაკეთებულ სამარხში დასაფლავება.

აღმოჩენილი სამარხები ქრონოლოგიურად სხვადასხვა პერიოდისა იყო (ბრინჯაოს, რკინა-ბრინჯაოს და ელინისტურ-რომაული ხანი-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია", წიგნი 1, 1960, დამატება III, გვ. 447.

სა). ამ სამარხებში აღმოჩენილ ნივთებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისათვის.

უკვე დაწყებული მუშაობის შედეგად მოპოვებული მასალებით ივანე ჯავახიშვილს საბუთს აძლევდა დაბეჯითებით ეთქვა: „თუ 300-მდე გათხრილმა სამარხმა ამდენად საყურადღებო სამეცნიერო მასალა შეგვძინა, ადვილად წარმოსადგენია, თუ რამდენად დიდი შენაძენი ექნება მეცნიერებას, როდესაც მთელი ეს ფართობი მთლიანად გათხრილი და შესწავლილი იქნება... ამ მოსალოდნელი უამრავი არქეოლოგიური მასალით მეცნიერება საქართველოს და მსოფლიოს ამ ერთი უძველესი ქალაქთაგანის მთელი მატერიალური კულტურის ისტორიის აღდგენას შესძლებს. დიდი და ფართო-სამეცნიერო პერსპექტივები იშლება".

ამ გათხრების შედეგად ივ. ჯავახიშვილი შესაძლებლად მიიჩნევდა დაესკვნა, რომ მცხეთა ძველთაძველი ქალაქია, იგი ბრინჯაოს ხანაშიც საკმაოდ დიდი და ხალხმრავალი ქალაქი უნდა ყოფილიყო. ამავე დროს მეცნიერი ქალაქის განვითარების მიმოხილვას აკეთებს და მცხეთას გარკვეულ როლს აკუთვნებს საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. აქვე აღნიშნულია, რომ მე-V საუკუნის ბოლოდან მცხეთა თანდათან უნდა შემცირებულიყო იმასთან დაკავშირებით, რომ თბილისი ხდება ქვეყნის პოლიტიკურ ცენტრად.

1940 წლის შემოდგომაზე არმაზისხევში ასფაგურ პიტიახშის აკლდამის აღმოჩენამ მანამდე აღმოჩენილ ნივთებს ერთგვარად გადააჭარბა. ამ აღმოჩენის წყალობით, როგორც აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, პირველად მოგვეცა საშუალება გავცნობოდით ძველი, III საუკ. იბერიის უმაღლესი თანამდებობის პირის, აგრეთვე მისი ოჯახის წევრების დაკრძალვის ინვენტარს, ამასთანავე ხელისუფალთა ნიშნებს და სამკაულებს, რაც დაკრძალულსა და მისი ოჯახის წევრებს ეკუთვნით. აღმოჩნდა ხელისუფლების ყველა ატრიბუტი, მორთულობა, შემკულობა და სხვ., რომლის მფლობელნიც: ყოფილან პიტიახში და მისი ოჯახის წევრები.

მაშინდელი ქართული კულტურისა და ელინისტური კულტურის მჭიდრო ურთიერთობას, რის შესახებაც მხოლოდ ლიტერატურული ცნობები მოგვეპოვებოდა, ახლა მატერიალური კულტურის ნაპოვნი ძეგლებიც ადასტურებენ.

ივ. ჯავახიშვილს სწამდა: მცხეთა-არმაზში აღმოჩენილი გათხრების შემდეგ ბევრი რამ მანამდე ნათქვამი შესწორდება, ქართველთმცოდნეობა, კერძოდ, ქართული ისტორიოგრაფია არა ერთი ფასდაუდებელი მონაცემით შეიესება და ამის საფუძველზე მრავალი ახალი სიტყვა ითქმისო. დღეს ყველასათვის ცნობილია მისი შეხედულება პიტიახშის ინსტიტუტის არსებობაზე. ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული იყო აზრი, რომ პიტიახშობა საქართველოში IV—VI საუკუნეებში არსებობდა, ისიც როგორც სპარსული ხელისუფლების ზეგავლენით წარმოშობილი ხელისუფლება. და, აი ახლა აღმოჩნდა ნივთიერ-წერილობითი საბუთი, რომლითაც გამოირკვა ამ ინსტიტუტის ადრეულობა. ბევრმა ერთგვარი „უკმაყოფილება“ გამოთქვა, პიტიახშობა მესამე საუკუნეში, როგორ შეიძლებოდაო. ივ. ჯავახიშვილმა, როგორც იქ მყოფნი გადმოგვცემენ, მათ უპასუხა: „თუ აქამდე არ გაგვიგონია ჩვენში ასე ადრე პიტიახშის თანამდებობის არსებობა, მერე რა, ახლა ხომ გვესმის?“

ივ. ჯავახიშვილს ქართული არქეოლოგიური მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის არა ერთი სახელმძღვანელო დებულება მოუცია. 1936 წლიდან დაწყებული სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე სათავეში ედგა ქართველ არქეოლოგებს და თავისი მეცნიერული კონსულტაციებითა და მდიდარი პრაქტიკული გამოცდილებით, პროფ. გ. ნიორაძესთან ერთად, ზრდიდა ახალგაზრდა არქეოლოგთა კადრებს.

ივ. ჯავახიშვილს, როგორც არავის, შეეძლო დაეფასებინა არქეოლოგიური მონაცემები და იგი, როგორც ყოველთვის ახლისმძებნელი, მზად იყო ახალი მონაცემებით გაემდიდრებინა თავისი შეხედულებანი.

სამწუხაროდ, მას არ დასცალდა ენახა ის დიდი არქეოლოგიური მონაპოვარი, რომლის ჭიება მისი ხელმძღვანელობით დაიწყო. რამდენი რამ გააკეთა, მაგრამ მუდამ ნატრობდა: თუნდაც ათიოდე წელი ვიცოცხლო, რაც გასაკეთებელი მრჩება, ნაწილი მაინც მოვასწროო. უეჭველია, რომ დასცლოდა, არქეოლოგიაშიც ისეთსავე სრულყოფილ კაპიტალურ ნაშრომებს მოგვცემდა, როგორიც მოგვცა ქართველოლოგიის სხვა დარგებში.

როგორც ცნობილია, ივ. ჯავახიშვილს აგრონომიული განათლება არ მიუღია. იგი უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ მეცნიერებას (ისტორიას, ფილოლოგიას, სამართალს, ფილოსოფიას, უცხო ენებს) სწავლობდა. მიუხედავად ამისა, მან საქართველოს ეკონომიურ ისტორიაში, სოფლის მეურნეობის ისტორიაში კაპიტალური ნაშრომები შექმნა. აკადემიკოს ნ. კეცხოველის თქმით, მისი ნაშრომები ყოველი სპეციალისტისათვის, ვინც კი საქართველოს სოფლის მეურნეობაში მუშაობს, მაგიდის წიგნებად ითვლება.

საქართველოს სოფლის მეურნეობის შესწავლა ივ. ჯავახიშვილს, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ისტორიის, ქართველი ერის ისტორიის მრავალმხრივი შესწავლისათვის სჭირდებოდა. იმის გასაგებად, თუ რატომ დაიწყო მან ეკონომიურ ისტორიაზე მუშაობა, საჭიროა თვალი გადავაყოლოთ მის ნაშრომს — „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“.[1]

ამ ნაშრომში ავტორი აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ ილიამ პირველმა წამოაყენა საქართველოს ეკონომიური საფუძვლის ღრმად შესწავლის აუცილებლობა, როგორც ერის პოლიტიკური ისტორიის გაგების ქვაკუთხედი.

ივ. ჯავახიშვილი წერდა: **„თუ რა გარემოებას აქცევდა ყურადღებას ილ. ჭავჭავაძე ისტორიული პროცესის დროს და რა საფუძვლის გამორკვევა მიაჩნდა საჭიროდ მოვლენათა გასაგებად,** ამას მისი ერთი საყურადღებო წერილი გაგვაგებინებს.“

„1880 წელს დაბეჭდილს წერილში ილ. **ჭავჭავაძე საქართველოს ისტორიას მანამდე სრულებით უცნობი თვალსაზრისით მიუდგა.** მან აღნიშნა, რომ ჩვენი ხალხის და ქვეყნის წარსულში „არის ერთი იმისთანა ისტორიული მოვლენა, რომელსაც ვერავინ უარს ვერ ჰყოფს და რომელიც დღესაც უკვირს ყველას, ვისაც კი ამ მოვლენისათვის თვალი დაუკვირვებია“. ყველამ იცის, „რომ ჩვენს ხალხს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია თავისის ცხოვრებითა და

[1] ივ. ჯავახიშვილი, „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“, ტფილისი, 1938 წ.

[2] დასახ. ნაშრომი, გვ. 8.

თვითმოქმედებითა, უეჭველია, რომ ამ ორი ათას წელს იმისთანა ხანა ისტორიისა არ დასდგომია, რომ მტრისაგან მოსვენებული ყოფილიყოს ზედმიყოლებით და განუწყვეტლივ ასი წელიწადი მაინც ერთად". თითქმის მთელი თავისი ისტორიული არსებობის დროს საქართველო „იარაღით ხელში იდგა", რადგან „მტერი თითქმის ყოველმხრიდამ მოწოლილი იყო". ყველანი აქ მხოლოდ გულადობითა და გრძნობით იყვნენ აღტაცებულნი, მაგრამ არავის ფიქრად არ მოსვლია ამ საგულისხმო მოვლენას ღრმად ჩაჰკვირვებოდა. ილ. ჭავჭავაძე-კი აქაც საქართველოს ისტორიას სულ სხვა თვალსაზრისით მიუდგა და საჭიროდ სცნო სულ სხვა მხრით გაეშუქებინა"[1].

„ვთქვათ, მკლავმა და გულმა შესძლო ეს გოლიათობა"-ო, ნათქვამი აქვს მას ჯერ კიდევ ამ ნახევარი საუკუნის წინათ, ეს კიდევ თუნდაც არაფერი იყოს, უმთავრესად „საკვირველი ეს არის, — რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფასა? რა ჰკვებავდა ხალხსა, რა ქონებით უძღვებოდა ამოდენა ომებსა და სისხლის ღვრასა?" „როგორც ვხედავთ, — განაგრძობს ივ. ჯავახიშვილი,—საქართველოს ისტორიის ასეთს გაშუქებაშიც ილ. ჭავჭავაძეს პირველობა ეკუთვნის და ამ მხრითაც ის დიდი ღვაწლი მიუძღვის, რომ მან პირველმა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი წარსულის ეკონომიური საფუძვლის გამორკვევის აუცილებლობა აღიარა"[2].

ივ. ჯავახიშვილისათვის ნათელი იყო, რომ ქვეყნის ეკონომიური მხარე საფუძველია ერის სულიერი ცხოვრებისათვის და არავითარი ისტორიული პროცესი არ გაიგება, თუ სათანადოდ არ იქნა შესწავლილი და გათვალისწინებული ქვეყნის ეკონომიკა.

სწორედ აქედან გამოდიოდა მეცნიერი, როცა მან უზარმაზარი მუშაობა გასწია და ფასდაუდებელი კაპიტალური შრომები მოგვცა საქართველოს სოფლის მეურნეობის ისტორიაში.

საქართველოს ეკონომიური ისტორიის კვლევას ივ. ჯავახიშვილმა რა თქმა უნდა, ქართველთმცოდნეობის სხვადასხვა საკითხებთან ერთად თითქმის ოთხი ათეული წელი მოანდომა. პირველი მისი ნაშრომი ამ დარგში „საქართველოს ეკონომიური ისტორია" 1907 წელს

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია", ტფილისი, 1938, წ. გვ. 8.

[2] იქვე, გვ. 8—9.

გამოქვეყნდა.[1] როგორც თვითონ ამბობს, ამ წიგნის დაწერისას იგი ჯერ კიდევ სრულყოფილად არ იცნობდა ყველა იმ წყაროს, რომელიც ეკონომიური ისტორიის დაწერისათვის აუცილებელია. ამიტომ ზიფრთხილემ მიკარნახა და ეკონომიური ისტორიის დაწერა მხოლოდ XI საუკუნით დავიწყეო. ამავე დროს მხოლოდ ერთი მთავარი საკითხი განვიხილე — მიწისმფლობელნი და მიწისმოქმედნი.[2]

მიუხედავად ასეთი თავმდაბლური განცხადებისა, ამ ნაშრომში დასმული და გადაჭრილი საკითხები (ქვეყნის სოციალური დიფერენციაცია, ქონების მფლობელობის წესები, ვაჭრობა-ხელოსნობა და მრეწველობა-აღებ-მიცემობა, სახელმწიფოს საფინანსო შემოსავალი და სხვ.) დღესაც თავის მნიშვნელობას არ ჰკარგავენ.

1923 წელს ახალი მასალები აღმოჩნდა. ხანმეტი პალიმფსესტების აღმოჩენამ და ამასთან დაკავშირებით დაბადებისა და ოთხთავის ქართული თარგმანების ხნიერების გამორკვევამ სათანადო ტერმინების დადგენის შესაძლებლობა მისცა მკვლევარს და ამიერიდან იგი უძველესი ხანის სასოფლო მეურნეობის ეკონომიკის შესწავლასაც შეუდგა.

„საქართველოს ეკონომიური ისტორია“ ოთხ წიგნად არის დაწერილი.

ეკონომიური ისტორიის პირველი წიგნი, მეორე ახლად დაწერილი გამოცემა, 1930 წელს გამოვიდა. ავტორის განმარტებით, საქართველოს ეკონომიური ისტორიის დაწერისათვის საჭირო იყო თვით ეკონომიური ისტორიის ასპარეზის მოხაზვა, ე. ი. საჭირო იყო, უპირველეს ყოვლისა, საგნის განსაზღვრა. „ამ საკითხზე მსჯელობის დროს, — ამბობს ივ. ჯავახიშვილი, — ჩემთვის ცხადი შეიქმნა, რომ სასოფლო მეურნეობის ეკონომიკის გარდა, სამეურნეო ტექნიკისა და ცოდნის განვითარება და დონეც უეჭველად უნდა ყოფილიყო გამორკვეული, რომ მეურნეობის ვითარება, მისი დროთა განმავლო-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, „საქართველოს ეკონომიური ისტორია“, წიგნი პირველი, ტფილისი, 1907 წ.

[2] ივ. ჯავახიშვილი „საქართველოს ეკონომიური ისტორია“, წიგნი პირველი, მეორე, ახლად დაწერილი გამოცემა. ტფილისი, 1930, გვ. 3.

ბაში წარმატება, თუ დაქვეითება ადამიანს უფრო მკაფიოდ წარმოსდგომოდა".[1]

პირველი წიგნი ორი კარისაგან შედგება.

პირველი წიგნის პირველი კარი (გვ. 1—128) წყაროების დახასიათება-განხილვას შეიცავს, ხოლო მეორე კარში (გვ. 129—422) სასოფლო მეურნეობაზეა მსჯელობა. საკითხების ასეთ დალაგებას თავისი გამართლება აქვს: ავტორის განმარტებით „უპირველესად წყაროების განხილვისათვის უნდა მიმექცია ყურადღება, რომ ერთი მხრით შემდეგში ამ საკითხზე სხვადასხვა ალაგას მსჯელობა აუცილებელი არ გამხდარიყო, მეორე მხრით რომ ყველას, ვინც ამ საგნის საფუძვლიანად შესწავლას მოისურვებდა, წყაროებით სარგებლობა გაადვილებული ჰქონოდა".[2]

ივ. ჯავახიშვილს თავისი ეკონომიური ისტორიის დაწერისას გამოყენებული აქვს, როგორც ზოგად ისტორიული, ისე, უმთავრესად, ეკონომიური ხასიათის ძეგლები.

ეკონომიურ-ფინანსურ წყაროებს ივ. ჯავახიშვილი სამ მთავარ ჯგუფად ჰყოფს: I დემოგრაფიული წყაროები (ხალხის აღწერის დავთრები);* II — საფინანსო უწყების ძეგლები (გადასახადებისა და ბიუჯეტის საბუთები); III — საკორპორაციო და კერძო მეურნეობის შემოსავალ-გასავლის ყოველნაირი საბუთები.[3]

ხალხის აღწერის სათანადო დოკუმენტების შესწავლისას ივ. ჯავახიშვილი ადგენს აღწერასთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიას, იძლევა აღწერის ისტორიას, მოგვითხრობს დავთრების სანდოობის საკითხზე. სათანადო ისტორიული წყაროების დამოწმებით დაასკვნის, რომ ხალხის აღწერას „აღრიცხვა" და „აღწერა" ეწოდებოდა. ხოლო იმ წიგნს, რომელშიც მოსახლეობა აღირიცხებოდა, „დავთა-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, „საქართველოს ეკონომიური ისტორია", წიგნი პირველი, მეორე ახლად დაწერილი გამოცემა, გვ. 4.

[2] იქვე.

* დემოგრაფიული წყაროები ანუ ხალხის აღწერის დავთრები, რომელიც ნაწყვეტების სახით ჰქონდა ივ. ჯავახიშვილს დამოწმებული, 1967 წელს გამოსცეს დ. მეგრელაძემ და ნ. ჯავახიშვილმა, ნ. ბერძენიშვილის წინასიტყვაობით — ხაქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, I.

[3] დასახ. ნაშრომი, გვ. 3.

რი" ერქვა. ასეთი „დავთარი", ყოველ შემთხვევაში, საშუალო საუკუნეებიდან, გვიანფეოდალურ ხანაში ეს უეჭველია, 4 იყო. აღწერა „სადროშოების" (სადროშო იყო გარკვეული სამხედრო ტერიტორიული ერთეული) მიხედვით წარმოებდა. ასეთი სადროშო, როგორც ცნობილია. ქართლის სამეფოში XVI საუკუნიდან 4 იყო[1].

ნორმალურ პირობებში ყოველ შვიდ წელში ერთხელ ქვეყანა აიწერებოდა სადროშოების მიხედვით.[2]

დავთარში მოსახლეობის მხოლოდ გარკვეული ნაწილი მოხვდებოდა ხოლმე, აღრიცხული იყო მხოლოდ მამრობითი სქესის სრულასაკოვანი მოსახლეობა. აღწერის დროს სახელმწიფო ხელისუფლებას ორი მთავარი საკითხი აინტერესებდა: 1) ლაშქრად გასაწვევ მამაკაცთა რაოდენობის გამორკვევა და 2) სახელმწიფო გადასახად-შემოსავლის ოდენობის დადგენა. ვისაც მიწა-წყალი არ გააჩნდა, ისინი დავთარში, როგორც წესი, არ მოხვდებოდნენ.

ამავე წესით იხილავს ივ. ჯავახიშვილი საფინანსო ძეგლებს. არკვევს ამ ხასიათის ძეგლების შინაარსს და იძლევა შესანიშნავ დებულებებს იმის შესახებ, თუ რა უნდა გაითვალისწინოს მკვლევარმა, როდესაც ასეთ საბუთებს იყენებს. შემდეგ მსჯელობს მესამე ჯგუფის — საკორპორაციო და კერძო მეურნეობის შემოსავალ-გასავლის საბუთებზე (ალაპები, მზითვის წიგნები და სხვ.)[3].

ივ. ჯავახიშვილს ცალკე თავად აქვს გამოყოფილი ე. წ. აღწერილობითი წყაროები. ამ ხასიათის წყაროებს ორ მთავარ ჯგუფად ჰყოფს.[4]

პირველ ჯგუფში იგი გეოგრაფიულ-აღწერილობითს წყაროებს ათავსებს, ხოლო მეორე ჯგუფში — მოგზაურ-ელჩების ცნობებს. გეოგრაფიულ წყაროთა პირველ რიგში ივ. ჯავახიშვილი სამართლიანად ასახელებს ვახუშტი ბაგრატიონის შრომას — „აღწერა სამეფოსა საქართველოსა." „არსად ჩვენი ქვეყნის ბუნება, თვისებები, მოსახლეობა და ეკონომიური მდგომარეობა ისეთი სივრცე-სიღრმით

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, „საქართველოს ეკონომიური ისტორია" ,წიგნი 1, გვ. 4-6.
[2] იქვე, გვ. 6—7.
[3] იქვე, გვ. 49—50.
[4] დასახ. ნაშრომი, გვ. 113.

არ არის განხილული და დახასიათებული, როგორადაც ამ შრომაშია“, — დაასკვნის ივ. ჯავახიშვილი.[1]

აქვე განხილულია უცხოელ მეცნიერ-გეოგრაფების ცნობები, მოყოლებული სტრაბონიდან, და აგრეთვე უცხოელ მოგზაურთა ჩანაწერები და დღიურები. იმ დიდ მნიშვნელობასთან ერთად, რომელიც უცხოელ გეოგრაფ-ელჩ-მოგზაურთა ცნობებს აქვთ, მკვლევარი ვალდებულია, მათი გამოყენებისას სათანადო კრიტიკული სიფხიზლის გამოჩენა არ დააკლდეს.

როგორც აღნიშნული იყო, პირველი წიგნის მეორე კარში განხილულია სასოფლო მეურნეობა.

ამ კარის პირველ თავში შესწავლილია მიწა-წყლის ზოგადი დანაწილების პრინციპები და აქვე მოცემულია სათანადო ტერმინოლოგია.

შემდეგ ავტორი გადადის უშუალოდ სოფლის მეურნეობის შესწავლაზე და ამ საკითხს იკვლევს ცალკეული დარგების მიხედვით. რადგან ივ. ჯავახიშვილის აზრით, ადამიანმა მესაქონლეობის შემდეგ მემინდვრეობას მიჰყო ხელი, ამიტომაც იგიც სოფლის მეურნეობის ისტორიას მემინდვრეობით იწყებს. მიწის დამუშავების სხვადასხვა საშუალებათა ტერმინოლოგიას ადგენს და სახნავ-უხნავი ადგილების სახელწოდებებს ჩამოთვლის, შემდეგ გადადის სახნავი იარაღების შესწავლაზე.

საწარმოო იარაღების განვითარების ისტორიის დადგენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. როგორც ცნობილია, საწარმოო საშუალებათა განვითარების დონე განსაზღვრავს ადამიანთა ურთიერთობის ფორმებს; განვითარების რა დონეზეც არის საწარმოო საშუალებანი, იმავე დონეზეა, საბოლოო ანგარიშში, ადამიანთა ურთიერთობის ფორმებიც.

საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მრავალი სახის სახვნელი იარაღების არსებობა (ამ საკითხს არა ერთი გამოკვლევა უძღვნა პროფესორმა გ. ჩიტაიამ) ბევრი რამის მთქმელია. 1. ჩუთ-კავი, 2. აჩაჩი, 3. არონა ანუ არუნაი. 4. ჯილღა, 5. ერქვანი და გუთანი, 6. ოქოქა და სხვ. იმის მაუწყებელია, რომ ქართველები საუკუნეთა

[1] ივ. ჯავახიშვილი, „საქართველოს ეკონომიური ისტორია“, წიგნი I, გვ. 113.

ვანმაელობაში მეურნეობის მუდმივ განვითარებას აწარმოებდნენ და იმისდა მიხედვით, თუ რომელ ადგილზე რა სამეურნეო იარაღი ივარგებდა, იმას ხმარობდნენ, სახნავი იარაღების განვითარება-გაუმჯობესებას დიდ ყურადღებას აქცევდნენ.

ბერძენთა გადმოცემითა და წარმოდგენით ძვ. წ. V საუკუნეში საქართველოში ლითონის სახვნელი პრეისტორიულ ხანაშიც კი ჰქონიათ. სტრაბონის დროს „იბერიასა და კოლხეთში იმ დროს გავრცელებული იარაღი და მიწის დამუშავების წესი ბერძნულისაგან არსებითად განსხვავებული არ უნდა ყოფილიყო: რთული შედგენილობისა და აგებულების, რკინის სახნისიანი სახვნელი, მაშასადამე, უნდა სცოდნოდათ".[1]

სახვნელი იარაღების ზოგადი სახელი V—XI საუკუნეებში „ერქვანია",[2] ხოლო შემდეგ, მე-12 საუკუნიდან, „გუთანი" შემოდის.[3]

სახვნელ იარაღებს — ერქვან-გუთანს წინ თოხი უსწრებდაო, ამბობდა ივ. ჯავახიშვილი.

ამრიგად, ქართველმა ხალხმა სახვნელი იარაღების მრავალი სახე შექმნა, განავითარა ეს სახეები, დაწინაურდა მეურნეობრივად და მეზობელმა ქვეყნებმა ქართულ სახვნელ იარაღთაგან მრავალი სახე ისესხეს და გამოიყენეს. მაგალითად, ოსებმა ქართველებისაგან აითვისეს გუთანი (გუთნის ოსური შესატყვისია „გუთონი", სომხური სახნავი „ვესქი" ქართული „ერქუანიდან" მომდინარეობს. ასევე სახვნელი იარაღი „ჯილღი" სომხებსა და ოსმალებს ქართველებისაგან აქვთ შეთვისებული. „არონაი" სომხებს ქართველებისაგან შეუთვისებიათ. გუთანიც ქართველებისაგან შეისწავლეს არა მარტო ოსებმა, არამედ სომხებმა და ოსმალებმაც.

სახნავი იარაღების განვითარებაში „საკვეთლის" გამოყენება ერთი მთავარი საფეხურთაგანია. ივ. ჯავახიშვილი მიმოიხილავს საკვეთლის წარმოშობის ისტორიას, შეისწავლის ამ ტერმინის ეტიმოლოგიას და იმ დასკვნამდე მიდის, რომ საკვეთლის სამშობლო საქართველო უნდა იყოს.

---

1 ივ. ჯავახიშვილი, „საქ. ეკონომიური ისტორია", წიგნი I, გვ. 203.

2. იქვე, გვ. 158—160.

3 იქვე.

ამთავრებს რა სასოფლო-სამეურნეო იარაღების მიმოხილვას, ივ. ჯავახიშვილი იწყებს იმის გამორკვევას თუ რა დონეზე იყო ძველ საქართველოში ე. წ. მცენარეთმცოდნეობა ანუ ბოტანიკა. „სოფლის მეურნეს რომ დასახული მიზნისათვის სასურველად მიეღწია და მისი ნამუშევარი უხვად ყოფილიყო დაჯილდოებული, მას უნდა ბევრი რამე სცოდნოდა და ყოველგვარი გარემოებისათვის გაეწია ანგარიში.

საუკუნეთა განმავლობაში წარმოებულმა მუშაობამ და თაობითი თაობამდე შეძენილმა გამოცდილებამ მიწისმოქმედს საშუალება მისცა ბუნებისმეტყველების ზოგიერთი, მისთვის აუცილებლად საჭირო, მოვლენის თვისება ისე შეესწავლა, რომ მისი სამეურნეო მიზნისათვის გამოყენება შესძლებოდა“.[1]

ამ საერთო მოსაზრების შემდეგ ივ. ჯავახიშვილი კონკრეტულ საკითხზე გადადის და ადგენს სასოფლო-სამეურნეო მცენარეების გვარობათა ტერმინოლოგიას, იხილავს „მცენარეს“, „ნერგს“, „თივას“, „მწვანილს“, „მსხალს“ და სხვა. ამასთან ერთად არ ივიწყებს თვით მცენარეთა ორგანოებს, წყაროებში ჴრსებულ ტერმინებს ერთად უყრის თავს და ყველას შესაფერის განმარტებას აძლევს.

ივ. ჯავახიშვილი ფიქრობს, რომ მცენარეთა ტერმინოლოგიისა და კლასიფიკაციის გარდა „მცენარეთმცოდნეობის ზოგადი მოძღვრების ჩანასახიც ყოფილა საქართველოში უძველეს ხანაშივე, ხოლო შემდეგში ბოტანიკურ-გეოგრაფიული ზონების არსებობის მოძღვრებაც ჩამოყალიბებულა ისევე, როგორც ამ მნიშვნელოვანი გარემოების საგულისხმო განმარტებაც მოუძებნიათ“[2].

იმ ღვაწლის ნათელსაყოფად, რაც ქართველ მეცნიერებს სოფლის მეურნეობის მეცნიერული შესწავლის საქმეში მიუძღვის, ივ. ჯავახიშვილმა მიუთითა ვახუშტი ბაგრატიონზე, რომელმაც მსოფლიოში პირველმა მოგვცა ბოტანიკურ-გეოგრაფიული არეების შესახებ მეცნიერული დაკვირვება.

პირველი წიგნის მეორე კარში განხილულია მემინდვრეობის კულტურა, მისი შემადგენლობა, რაობა და გავრცელების არე. აღ-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 269.

[2] იქვე, გვ. 287.

ნიშნულია, „ყველა საკვები მცენარეების მარცვლეულის აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად ძველ ქართულში „ხუარბალი“ იხმარებოდაო“.[1] დამოწმებულია აუარებელი წყარო ასეთი მოსაზრების დასამტკიცებლად, მაგრამ შემდეგში ამ სიტყვას მნიშვნელობა შესცვლია და მხოლოდ პურეულის ჯგუფის ზოგად ტერმინად დარჩენილაო. ამავე თავში ავტორი ვრცლად იხილავს მარცვლეულის სახეებსა და სახესხვაობებს: ი ფ ქ ლ ს, დ ი კ ა ს, დ ო ლ ი ს პ ურ ს, ა ს ლ ს, თ ა ვ თ უ ხ ს. დადგენილია თითოეული კულტურის გავრცელების არე, ისტორია, ღირსება და სხვა. ხორბლეულის შემდეგ განხილულია ქრთილეული. მეცნიერი ადგენს ამ ჯგუფში შემავალ სახეებს და განსაზღვრავს მათ მნიშვნელობას. თანმიმდევრობით იხილავს სხვა კულტურებსაც: ბრინჯს, ჭვავს, სიმინდს და შემდეგ საუბარია ფეტვზე, ღომზე, ჯიქურზე, სელზე, კენაფზე, ბამბაზე და სხვა.

შეისწავლის რა მარცვლეული კულტურის სხვადასხვა სახეებს თუ სახესხვაობებს, ივ. ჯავახიშვილი დაასკვნის: **საქართველოში სხვადასხვა ხორბლეულისა და საერთოდ მარცვლეულის თვალსაჩინო სიმრავლე უოფილა, რაც, რა თქმა უნდა, მეურნეობის ამ დარგში დიდი და ხანგრძლივი მუშაობის შედეგი უნდა იყოს.**

დღეს აგრონომიული მეცნიერება ისე განვითარდა, რომ შესაძლებელი გახდა დადგენა, რომელი კულტურული მცენარე რომელმა ერმა მოაშინაურა და ვის კუთვნილებას წარმოადგენს იგი. სხვადასხვა მკვლევართა მოსაზრების დამოწმებით (ნ. კეცხოველი, ვ. მენაბდე, ლ. დეკაპრელევიჩი და სხვა) და ამა თუ იმ მცენარის სახელწოდების ლინგვისტური ანალიზით ივ. ჯავახიშვილი დაასკვნის, რომ რიგი პურეული მცენარეების („ზანდური“, „დიკა“, „იფქლი“ „დოლის პური“, „ასლი“, „მახა“) სამშობლო საქართველოა.

ასეთია პირველი წიგნის მოკლე მიმოხილვა. ეს წიგნი მრავალ საინტერესო საკითხს შეიცავს და თითქმის ყველა ძირითადი საკითხი პირველად არის დასმული.

საქართველოს ეკონომიური ისტორიის მეორე წიგნი დაიბეჭდა 1934 წელს. იგი საერთო მოცულობით 716 გვერდს აღემატება. მას-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 319.

ში განხილულია პარკოვანი მცენარეები, ბოსტნეული და მევენახეობა.*

აქვე მოცემულია პირველი და მეორე წიგნის საძიებლები.

მეორე წიგნში განხილული საკითხები წმინდა ბოტანიკოს-აგრონომის კვლევის საგანია. ივ. ჯავახიშვილი ამის გამო ამბობდა: „სპეციალური მწერლობისა და წყაროების შესწავლა დამჭირდა, იძულებული ვიყავი აუარებელი დრო და ენერგია შემელია ისეთი საკითხების გამორკვევისათვის, რომელიც ბოტანიკოს-აგრონომების მოვალეობას შეადგენს“.[1] მოვალეობის გრძნობამ უკარნახა მეცნიერს თავს ედვა ეს დიდი საქმე, რადგან „ჩვენში სასოფლო მეურნეობის ისტორიის მკვლევარი არსადა სჩანს და ამისათვის აუცილებელი წყაროების ენათა ცოდნაც ჯერ არავის გააჩნია“.[2]

ჯავახიშვილის აზრით პარკოვან-მარცვლეულის მოყვანას ადამიანები ძველთაგანვე მისდევდნენ, რადგან ხანგრძლივმა გამოცდილებამ ადამიანს დაანახვა, თუ რაოდენი სინოყიერე ჰქონდა ამ მარცვლეულობას და რამდენად მნიშვნელოვანი იყო იგი ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

ივ. ჯავახიშვილი ადგენს პარკოსან-მარცვლეულთა სახეებს (მუხუდო, ლობიო, ოსპი, ცერცვი, საკადრისი, ძაძა, მაშა, უგრეხელი და სხვ.). იხილავს ამ მცენარეების გავრცელების არეს, სადაურობას, წარმოშობის ისტორიას. მისი აზრით, ცერცვი, ცერცველა, ხაჯი, ხანჭკუალა და ხანდური, სვანური „როგუ“ და „ღვედარი“ საქართველოში უძველეს დროიდან არსებობენ.

სათანადო სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავებისა და ქართული და უცხოური წყაროების შესწავლის შემდეგ ივ. ჯავახიშვილი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „უძველეს ხანაში ქართველ მიწისმოქ-

---

* 1964 წელს გამოვიდა ივ. ჯავახიშვილის „მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის“, წიგნი I, ნაკეთი IV და V. ამ მასალებში თავმოყრილია ივ. ჯავახიშვილის დაკვირვება მეღვინეობასა და მეხილეობაზე საქართველოში. იგი ბუნებრივ გაგრძელებას შეადგენს მისი კაპიტალური ნაშრომისა — საქართველოს ეკონომიური ისტორიის II ტომისას.

[1] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი II, 1934, გვ. 5.

[2] იქვე.

მედს პარკოსანთა სამივე მთავარი ჯგუფის, ცერცვნაირთა, ოსპისა და ქანდურების მარცვლეული ჰქონია. მერმინდელ ქართველ მეურნეთა უურადღება უმთავრესად ხანდურნაირთა ჯგუფისა და ნაწილობრივ აგრეთვე ცერცვნაირთა ჯიშების გამრავლებისაკენ ყოფილა რიპყრობილი".[1]

დასახელებულ მცენარეთა განვითარების ტენდენცია XVI საუკუნემდე ემჩნევა, ამიერიდან დასავლეთიდან შემოტანილი ლობიო იკერს პირველ ადგილს.

აქვე შესწავლილი და განზოგადოებულია მოსავლის აღებასთან დაკავშირებული მუშაობა და სამუშაო იარაღების რაობა და ისტორია.

შემდეგ თავში ივანე ჯავახიშვილი იხილავს, მებოსტნეობისა და მევენახეობის საკითხებს. ამ საკითხებზე მსჯელობისას ის დაწვრილებით სწავლობს ყველა ქართულ თუ არაქართულ წყაროს, ჰკრებს ხალხში დარჩენილ ტერმინებს.

როგორც ცნობილია, მევენახეობა-მეღვინეობა ერთ-ერთი ძველი დარგია საქართველოს სოფლის მეურნეობაში. დაბადებაში მოცემული ერთი ებრაული გადმოცემის თანახმად მევენახეობის სამშობლოდ ამიერკავკასია უნდა მივიჩნიოთ. ეს გადმოცემა თითქოს არ უნდა იყოს საფუძველს მოკლებული, თუ გავითვალისწინებთ, რომ სიტყვა „ღვინო", როგორც დღეს მეცნიერებისათვის ცნობილია, მსოფლიოს ბევრ ენაში ქართულიდან უნდა იყოს შესული. საქართველოში მრავალი სახელწოდების ვაზია დღეს. დიდი უმრავლესობა ამ ვაზთაგანისა ადგილობრივია. ქართველმა ხალხმა საუკუნეთა განმავლობაში მრავალი დაკვირვების შედეგად გააუმჯობესა მევენახეობის საქმე, შეჰქმნა საუკეთესო ჯიშები და თავისი შემოქმედებითი ნაყოფი მეზობელსაც გაუზიარა. დამტკიცებულია, რომ „რქაწითელი," „საფერავი" და „თავკვერი" განჯასა და სომხეთში გავრცელდა. სომხეთში არსებული „ქახეთუ" იგივე კახურია, კახეთიდან შესული. ასევე საქართველოდან შესულია სომხურში „ვირენი", „მელინკუტი" — ქართულად „მელისკუდა" და სხვა. ვაზის ქართული ჯიშები

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი მეორე, 1934, გვ. 71.

გავრცელდა იმიერკავკასიაში და, რაც უფრო საინტერესოა, დასავლეთ ევროპაშიც.

მაგალითად, ქართული „დონდღლაბი“ გავრცელებულ იქნა ინგლისსა და ბელგიაში. ავსტრიასა, უნგრეთსა და შტირიაში გავრცელდა ქართული „ხარისთვალა“.

ინგლისელი მეცნიერი ჰორტვისი საჯაროდ აღიარებდა, წითელი ღვინის დასაყენებლად საფერავი ყველა არსებულ ყურძნის ჯიშს სჯობიაო.

ამ ფაქტების მნიშვნელობა თავისთავად გასაგებია. ქართველთა სამეურნეო შემოქმედების ნაყოფი მეურნეობის ყველა დარგს ემჩნევა. ევროპულ ენებში ბალი „კერასუნტის“ სახელითაა ცნობილი. ეს იმით აიხსნება, რომ კოლხეთის ქალაქ კერასუნტიდან რომაელებმა ბალი ევროპაში შეიტანეს.

როგორც ზოგადი მიმოხილვიდანაც ჩანს, ივ. ჯავახიშვილმა თავისი ამ დიდი გამოკვლევების სახით უკვდავი ნაწარმოები შეჰქმნა, სინათლეზე გამოიტანა ის დიდი სამეურნეო შემოქმედებითი მუშაობა, რომელიც ქართველ ხალხს საუკუნეთა განმავლობაში უწარმოებია და საკაცობრიო კულტურა გაუმდიდრებია.

ამ წიგნების გამოქვეყნებით ივანე ჯავახიშვილმა ნათელყო, რომ „ქართველი ერის მოღვაწეობა მარტო პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ასპარეზით არ განისაზღვრებოდა, არამედ მეურნეობაშიც მას დაუცხრომელი მუშაობა უწარმოებია და იმ ხანაში, რომელსაც ეს წიგნი ეხება, მისი საქმიანობა ამ დარგში საკმაოდ ნაყოფიერი ყოფილა. თუ აქამდის ჩვენ უცხოელებთან უმთავრესად ბრძოლის ამბები ვიცოდით, ახლა უკვე ვრწმუნდებით, რომ ამას გარდა მეურნეობის სფეროში მათთან ურთიერთობაც ყოფილა და, პოლიტიკური ბრძოლისდა მიუხედავად, მარტო მეზობელთა კი არა, არამედ მოწინააღმდეგეთა ქვეყნებისაგანაც მეურნეობის სფეროში გამოსადეგი მონაპოვარი და მნიშვნელოვანი გამოცდილებაც გამოუყენებია ისევე, როგორც ქართულ სასოფლო მეურნეობასაც სხვათა მეურნეობაში თავის წვლილი შეუტანია“.[1]

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი მეორე, 1934 წ. გვ. 6.

ბუნებრივია, რომ განხილულ ნაშრომებში წამოყენებული დებულებები, ახალი მასალების აღმოჩენასთან დაკავშირებით, შემდეგში გაფართოვდება და დაზუსტდება, მაგრამ ივ. ჯავახიშვილის ღვაწლი საქართველოს სოფლის მეურნეობის ისტორიის კვლევაში მუდამ დარჩება, როგორც ამ დარგის კვლევის ერთი მაღალი საფეხურთაგანი.

ქართული სამართლის ისტორია

ქართველი ხალხის სახელმწიფოებრივი ცხოვრება გარკვეულ კანონზომიერებას შეიცავდა. ქართველი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლები ცდილობდნენ ადამიანთა ურთიერთობა სათანადო ნორმებით მოეწესრიგებინათ. თუმცა ჩვენამდე მოღწეული უშუალო საკანონმდებლო ძეგლები მხოლოდ XIV საუკუნისაა, მაგრამ არაპირდაპირი წყაროები საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ქართველი ხალხი, ისე, როგორც კულტურის სხვა სფეროში, სამართლის დარგშიც ნაყოფიერად მოღვაწეობდა.

„ხელმწიფის კარის გარიგება" XIV საუკუნის სამართლის ძეგლია. იგი იმის უტყუარი მაგალითია, რომ სამართლის მეცნიერებას ჩვენში ყურადღებას აქცევდნენ და ამ დარგის განვითარებას ხანგრძლივი ისტორია უნდა ჰქონდეს. სპეციალისტების აზრით, „ხელმწიფის კარის გარიგების" მსგავსი სამართლის ძეგლი იმ დროს არც აღმოსავლეთს და არც დასავლეთს არ შეუქმნია.

XIV ს. საქართველოდან სამართლის სამი ძეგლია შემონახული („ხელმწიფის კარის გარიგება", „ძეგლის დება", გიორგი ბრწყინვალისა და ბექა-აღბუღას კანონები).

ამ დარგში მოღვაწეობა ქართველებს არც შემდეგში შეუწყვეტიათ. ამ მხრივ ვახტანგ VI-ს (XVIII საუკ.) ვერავინ შეედრება. ვახტანგ მეექვსემ შეკრიბა მანამდე არსებული სამართლის ძეგლები, ისარგებლა ბერძნულ-ებრაულ-სომხური სამართლის ძეგლებით და შეადგინა თავისი ეპოქისათვის სახმარი კანონთა კრებული. მანვე შეადგინა აგრეთვე „დასტურლამალი". არც შემდეგში შეჩერებულა ამ

დარგში შემოქმედებითი მუშაობა და თავისებურ სამართლის ძეგლებს წარმოადგენდნენ: ვახტანგ ბაგრატიონის არაგვის საერისთაოს 1782 წ. განჩინება, ქალაქის მოურავის სარგო და სხვა. სამართლის მოწესრიგებას ცდილობდნენ აგრეთვე იოანე ბაგრატიონი, დავით ბაგრატიონი და სხვანი. თუმცა ქართული სამართლის ძეგლები ყველა ჯერ სათანადოდ დადგენილი და გამოცემული არ არის, მაგრამ ქართველი მეცნიერები ამ საკითხებით დაინტერესებულნი იყვნენ. ამ მხრივ აღსანიშნავია ვახუშტი. ვახუშტი ბაგრატიონმა თავის ნაშრომში სამართალს საგანგებო ადგილი დაუთმო და ვახტანგ VI სამართლის მთავარი დებულებები გადმოგვცა. მანვე მოგვითხრო ქართული სახელმწიფო ინსტიტუტების აღნაგობა-წარმოშობისა და ფუნქცია-დანიშნულების ისტორია.

XIX საუკუნეში ქართული სამართლის ისტორიის შესწავლის საქმეში ერთგვარი ღვაწლი მიუძღვით მარი ბროსეს, დ. ბაქრაძეს, დ. ფურცელაძეს, ბაგრატიონ მუხრანსკის, განსაკუთრებით კი ნ. ხიზანიშვილს (ურბნელს). საგანგებოდ თუ გაკვრით საქართველოს სამართლის ისტორიას ეხებოდნენ სხვა მკვლევარებიც, მაგრამ შეიძლება გადაუჭარბებლივ ითქვას, რომ ქართული სამართლის ისტორიას, როგორც მეცნიერებას, საფუძველი ივ. ჯავახიშვილმა ჩაუყარა.

ქართული სამართლის ისტორიის შესწავლა მან ამ საუკუნის დამდეგს დაიწყო. იგი უნივერსიტეტში ყოფნისას (1895—1899) ემზადებოდა იურისპრუდენციაში.

1905 წელს ივ. ჯავახიშვილი ბეჭდავს ნაშრომებს ქართული სახელმწიფო სამართლის ისტორიიდან: „საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია" და «Государственный строй древней Грузии и древней Армении». ეს უკანასკნელი მისი სამაგისტრო დისერტაცია იყო. 1909 წლის 27 და 28 მაისს მან წაიკითხა ორი ლექცია თემაზე: „ქართული სამართლის ისტორია". და ამავე წელს ქართულ პერიოდიკაში („ერი", „ჩვენი ერი", „საქართველოს მოამბე") დაბეჭდა „ქართული სამართლის ისტორია", რომელიც VII—XII საუკუნეების ქართული იურიდიული აზროვნების მიმოხილვას შეიცავდა.

1919 წელს გამოაქვეყნა „ქართული სამართლის ისტორიის“ პირველი წიგნი. იგივე წიგნი მეორედ გამოიცა 1928 წელს. ამავე წელს გამოვიდა „ქართული სამართლის ისტორიის“ მეორე წიგნის პირველი ნაკვეთი, ხოლო 1929 წელს — „ქართული სამართლის ისტორიის“ მეორე წიგნის მეორე ნაკვეთი.

რობესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაარსდა, ივ. ჯავახიშვილი თავის სტუდენტებს უკითხავდა ლექციებს ქართული სამართლის ისტორიიდან.

ასე რომ, ხანგრძლივი მუშაობის შედეგად ივ. ჯავახიშვილმა შექმნა კაპიტალური შრომები ქართული სამართლის ისტორიაში და თუ მანამდე მეცნიერების ამ დარგში შემთხვევითი ხასიათის შრომები არსებობდა, ივ. ჯავახიშვილმა ქართული სამართლის ისტორია მეცნიერულ სიმაღლემდე აიყვანა.

ისე, როგორც სხვა შრომები, ივ. ჯავახიშვილის ქართული სამართლის ისტორია შეიქმნა სათანადო წყაროების კრიტიკული შესწავლის საფუძველზე. საქართველოს ისტორიისათვის, საერთოდ, და ქართული სამართლის ისტორიისათვის, კერძოდ, დიდი მნიშვნელობა აქვს მეზობელი ქვეყნების შესაფერისი წყაროების შესწავლას. ამის გამო ივანე ჯავახიშვილი საგანგებოდ სწავლობდა ბიზანტიის, სპარსეთის, არაბეთის, სომხეთისა და სხვა ქვეყნების სამართალს და ამ საფუძველზე ცდილობდა დაედგინა გარკვეული ინსტიტუტის ადგილობრივი ხასიათი.

ქართული მეცნიერების ამ სფეროში მუშაობითაც ივ. ჯავახიშვილი იმავე მიზანს ისახავდა, რასაც სხვა დისციპლინებზე მუშაობისას; მას სურდა დაენახვებინა, „თუ რაოდენი შემოქმედებითი მუშაობა გაუწევია ქართველ ერს საუკუნეთა განმავლობაში სოციალური ცხოვრების ასპარეზზე სამართლის სფეროშიაც“.[1]

„ქართული სამართლის ისტორიის“ პირველი წიგნი სამი კარისაგან შედგება. პირველ კარში განხილულია საგნის ზოგადი ცნებები, სამართლის ძეგლის აღმნიშვნელი ტერმინები. მეორე კარში შესწავლილია ქართული სამართლის წყაროები.

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. I, 1928, გვ. 9-10.

ამავე კარში საუბარია ადამიანის ბუნებისა და კანონმდებლობის ზოგად მოძღვრებაზე.

მესამე კარი ექვსი თავისაგან შედგება და მასში ძველი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნიდან ახალი წელთაღრიცხვის მეშვიდე საუკუნემდე არსებულ საქართველოს სახელმწიფოსა და სოციალური წესწყობილების საკითხებზეა საუბარი.

როგორც ვხედავთ, ამ წიგნში უაღრესად აქტუალური საკითხებია წამოჭრილი. შეიძლება იქ ბევრი სადაო საკითხი იყოს, ბევრ რამეში არ დაეთანხმო ავტორს, განსაკუთრებით სახელმწიფოებრივი ფორმებისა და სოციალური წყობილების გაგებაში, მაგრამ ქართული სამართლის ისტორიის ის საფეხური, რომელიც ივ. ჯავახიშვილმა შექმნა, აუცილებელი იყო ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოშობის მარქსისტულად ახსნისათვის. და თუ ეს საკითხი მარქსისტული მეთოდოლოგიის მომარჯვებით ივ. ჯავახიშვილის უნიჭიერესმა მოწაფემ, აკადემიკოსმა სიმონ ჯანაშიამ ბრწყინვალედ გადაჭრა, ამ პრობლემის დამუშავების ყველა პირობა პირველად ივ. ჯავახიშვილმა მოამზადა.

„ქართული სამართლის ისტორიის“ მეორე წიგნის პირველი ნაკვეთი ერთი კარისაგან შედგება და მასში განხილულია სახელმწიფო სამართლის საკითხები. აქ ავტორი იხილავს საქართველოს სახელმწიფოს მიწა-წყალს, მოსახლეობის ერთეულებს, საზოგადოებრივ და წოდებრივ დანაწილებას, პატრონ-ყმობას, მოხელეთა ფუნქცია-უფლება-მოვალეობას და სხვ.

ქრონოლოგიურად მეორე წიგნში განხილული საკითხები IX—XII საუკუნეებით ისაზღვრება ძირითადად; ასე რომ, ამ მხრივ ეს წიგნი პირველი წიგნის ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენს და სრულიად საქართველოს სახელმწიფოს ეხება.

ვისაც სურს ქართული სახელმწიფოებრივი წყობილება წარმოიდგინოს და ამ სახელმწიფოს მმართველობის სისტემა შეისწავლოს, იგი გვერდს ვერ აუვლის ამ ფრიად საინტერესო გამოკვლევას.

აქ, ისე როგორც პირველ წიგნში, დადგენილია მიწა-წყლისა და მოსახლეობის აღმნიშვნელი ტერმინები და ნაჩვენებია, თუ როგორ იცვლება ესა თუ ის ქართული იურიდიული ტერმინი ცხოვრების განვითარებასთან ერთად. მაგალითად, თუ უძველეს ქართულში მი-

წა-წყლის აღმნიშვნელი ცნების გამომხატველი იყო „სოფელი“, VIII საუკუნიდან ამ ცნების აღმნიშვნელი ხდება „ქვეყანა“, „სამეფო“, „ყოველი ქართლი“, „ერთობილი ქართლი“, „ყოველი საქართველო“ და სხვ. ასევე მოცემულია ეროვნულ-განმასხვავებელი ტერმინების დადგენა-განმარტება.

ამავე წიგნში ვრცლად არის საუბარი საქართველოს მოსახლეობის სოციალურ აღნაგობაზე. შესწავლილია ყოველი სოციალური ფენის დამახასიათებელი და განმასხვავებელი ნიშანი. დადგენილია, რომ სოციალურად აღზევებული პირები „მეფის გვერდით სახელმწიფოს სათავეში იდგნენ“. აღებული ხანისათვის, ავტორის აზრით, საქართველოს სახელმწიფოს სოციალურ საფუძველს პატრონყმობა წარმოადგენს.

ამავე წიგნში მოცემულია სამოხელეო თანამდებობის კლასიფიკაცია მათი საქმიანობისა და უფლებრივი მხარის მიხედვით. დადგენილია, რომ „ხელისუფალი“ და „საქმის მოქმედი“ მოხელეობაში ერთმანეთისაგან განსხვავდება. „ხელისუფალი“, ივ. ჯავახიშვილის აზრით, ის მოხელეა, რომელსაც ბრძანება-განკარგულების გაცემა შეუძლია, ხოლო „საქმის მოქმედი“ კი ბრძანების აღმასრულებელია. აქვე საუბარია მოხელეთა ქვეჯგუფებზე.

მოქმედების ასპარეზის მიხედვით, ავტორის აზრით, მოხელენი ორ ჯგუფად იყოფოდნენ. ერთნი „დარბაზის კარს“ მყოფნი იყვნენ, რომელნიც ცენტრალურ დაწესებულებაში — „დარბაზში“ ისხდნენ („ვაზირები“ — მინისტრები), ხოლო მეორენი — „საქვეყნოდ გამრიგენი“, რომელნიც ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მოღვაწეობდნენ (ერისთავნი, ციხისთავნი და სხვ.).

ამის შემდეგ ივ. ჯავახიშვილი სწავლობს ვაზირთა უფლება-მოვალეობას (სავაზიროში ყველა ვაზირი არ შედიოდა, არც უფლება-მოვალეობა იყო მათი თანასწორი, პირველი ადგილი ეკავა. მეფის შემდეგ. მწიგნობართუხუცესს — ჭყონდიდელს, მეორე — ათაბაგს. მესამე — ამირსპასალარს, მეოთხე — მანდატურთუხუცესს. მეხუთე — მეჭურჭლეთუხუცესს, მეექვსე — მსახურთუხუცესს). თითოეული ამ ხელის წარმოშობის ისტორიას, ადგენს სავაზირო ფურცლებს, საზღვრავს საქვეყნოდ გამრიგე მოხელეების ადგილს საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში.

„ქართული სამართლის ისტორიის“ მეორე წიგნის მეორე ნაკვეთი, როგორც აღნიშნული იყო, 1929 წელს გამოვიდა. მასში ავტორს განხილული აქვს: საეკლესიო მსახურებასთან და სამეფო ხელისუფლებასთან დაკავშირებული საკითხები, საკორპორაციო საკითხები. სამოქალაქო საქმის ორგანიზაცია და სხვ.

როგორც ვხედავთ, ავტორს უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლა დაუწყია და საკვლევი საკითხები მისთვის ჩვეული სიფრთხილითა და სიფაქიზით არის გადაჭრილი. ამ წიგნში დასმული საკითხების არა მარტო მიმოხილვა, ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანდა...

ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ გამოსული შრომები

სანამ ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ გამოსული შრომების განხილვას შევუდგებოდეთ, საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ პროფესორ სიმონ ყაუხჩიშვილის დიდი ღვაწლი ივ. ჯავახიშვილის გამოუქვეყნებელი შრომების გამოცემის საქმეში. ჰეშმარიტად მის მხრებზე გადაიარა (და ამ საქმეს აგრძელებს დღესაც) იმ მძიმე შრომამ, რომელიც მათ გამოცემასთან არის დაკავშირებული. რიგი შრომების გამოცემის მომზადებასა და რედაქტირებაში ღვაწლი მიუძღვით პროფესორ გიორგი ჩიტაიას, პროფესორ ილია აბულაძეს, ნათელა ჯავახიშვილს, დარეჯან მეგრელაძეს და სხვებს.

მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნებული შრომების განხილვას ორი სანიმუშო ლექციიდან დავიწყებთ, რომლებიც ივ. ჯავახიშვილმა სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების შემდეგ წაიკითხა, რათა მაშინდელი წესის თანახმად, პეტერბურგის უნივერსიტეტის სათანადო კათედრაზე პრივატ-დოცენტად მიეღოთ. პირველი — 1902 წლის პირველ ნოემბერს, მის მიერვე არჩეულ თემაზე — „ქართული ეკლესიის რეფორმა მეთერთმეტე საუკუნეში“, ხოლო მეორე — იმავე წლის 18 ნოემბერს, ფაკულტეტის მიერ მიცემულ თემაზე — „სტეფანოზ ორბელიანის ისტორია, როგორც წყარო ადგილობრივი ისტორიისათვის“.

1960 წელს გამოვიდა ივანე ჯავახიშვილის ქართველი ერის ის-

ტორიის პირველი წიგნის მეხუთე გამოცემა. ამ ტომის რედაქტორი პროფესორი სიმონ ყაუხჩიშვილი გვამცნობს: „ქართველი ერის ისტორიის“ პირველი ტომის წინამდებარე მ ე ხ უ თ ე გ ა მ ო ც ე მ ა 1951 წლის გამოცემის განმეორებაა, ხოლო მას დამატებული აქვს (იხ. გვ. 389-400) ივ. ჯავახიშვილის შესავალი ლექცია, წაკითხული პეტერბურგის უნივერსიტეტში 1902 წლის 18 ნოემბერს, როდესაც მან მოიპოვა პრივატ-დოცენტის წოდება და პირველად შეუდგა „საქართველოს ისტორიის“ კურსის კითხვას. ეს ლექცია, დაწერილი რუსულ ენაზე, აღმოჩნდა ივ. ჯავახიშვილის არქივში“.[1]

ასე რომ, პირველი ლექციის შესახებ ჩვენ ახლაც არაფერი ვიცით, ხოლო მეორე ლექციას სათაური შეცვლილი აქვს დაბეჭდილ ტექსტში და ასე ეწოდება: „აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია და საქართველოს და სომხეთის ისტორიის მონაცემები“. ივ. ჯავახიშვილი თავის ამ შესავალ ლექციას ასე იწყებს:

„შესავალ ლექციას ჩვეულებრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ხოლმე: იგი თვითოეულ ახალგაზრდა სწავლულის, რომელიც უნივერსიტეტში ერთ-ერთ კათედრის წარმომადგენლად გამოდის, სამეცნიერო საზოგადო პროგრამის გამომხატველია, ამასთანავე იგი იმ მიმართულების დამახასიათებელია, რომელსაც ადგია თავის სპეციალურ საგანში, რომელიც მის სამეცნიერო მოღვაწეობის მიმართულების არსებითი დამახასიათებელი იქნება“.[2]

ამ შესავალ ლექციაში ახალგაზრდა მკვლევარმა-პედაგოგმა არა მარტო კვლევის მაღალი ნიჭი და პედაგოგიური მომზადება გამოამჟღავნა, არამედ სათანადოდ შეაფასა მსოფლიო ისტორიული მეცნიერების იმდროინდელი დონე და მიდრეკილება აღმოსავლეთის ხალხების მიმართ. მან ხაზი გაუსვა. რომ „აღმოსავლეთის წარსულის და განსაკუთრებით საქართველოსა და სომხეთის ისტორიის სამეცნიერო შესწავლას დიდი ხანი არ არის რაც შეუდგნენ მკვლევარნი“.[3]

საერთოდ კი ამ ქვეყნების მკვლევარებმა „ვერ შეჰქმნეს განსაკუთრებული ახალი მიმართულება, ვერ შესცვალეს არსებითად ის

---

[1] ს. ყაუხჩიშვილი, რედაქტორისაგან, ივ. ჯავახიშვილი ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, მეხუთე გამოცემა, 1960 წ. გვ. 10-11.

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, დასახ. გამოცემა, გვ. 289.

[3] იქვე.

თანამედროვე შეხედულება, რომელსაც ჩვენ დასავლეთის ისტორიის მკვლევარები გვთავაზობენ ხოლმე".[1]

მართლაც, მაშინ დასავლეთ ევროპის ისტორიკოსთა უმრავლესობისათვის აღმოსავლეთი ჩამორჩენილობის სინონიმად ითვლებოდა და დიდ მოვლენად იქნა მიჩნეული ის ამბავი, რომ ბიზანტოლოგმა კრუმბახერმა აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ბიზანტია მაინც სცნო უურადღების ღირსად.

ისტორიის ფილოსოფოსთა ეს მიმართულება რომლის წარმომადგენლებიც, რასობრივი უპირატესობის კონცეფციას მისდევდნენ, ივ. ჯავახიშვილმა უველაზე უფრო საშიშ მიმართულებად აღიარა. ამ მიმართულების უველაზე უფრო რეაქციული წარმომადგენლები რასას, ანუ მოდგმის თავისებურებებსა და რასის სულს ანუ რაობას ასე განსაზღვრავენ: კაცობრიობა სამ დიდ მოდგმად იყოფა: ინდოევროპულ, სემიტურ და მონღოლურ მოდგმად. „მოდგმათა გამასხვავებელი ნიშნების გამორკვევისას, საოცარი სურათი წარმოგვიდგება: დადგენილია სხვადასხვა მოდგმისათვის ათვისების, შემოქმედებითი უნარის და გონებრივი ნიჭის გარკვეული ზღვარი და ზღუდე, დადგენილია ამ მოდგმათა მორწმუნეობის ხარისხი და ხასიათი, გარკვეულია ამა თუ იმ მოდგმის ხალხების ბუნებრივი, თანდაყოლილი მიდრეკილება ერთ წერტილზე გაყინვისა, უძრაობისა ან კიდევ მათი ლტოლვა-მისწრაფება პროგრესისა და სოციალური განვითარებისაკენ"[2].

ასეთი შეხედულებიდან რა გამოდის? ივანე ჯავახიშვილი ამ კითხვას ასეთ პასუხს აძლევს: „გამოდის ხალხთა ბედისწერის წინდაწინვე დადგენის მსგავსი რაღაცა: ერთნი რატომღაც დაჩაგრულნი არიან განგებისაგან, მეორენი ვერა სცილდებიან საზოგადოებრივი ცხოვრების პრიმიტულ ფორმებსა და გონებრივი განვითარების უსუსურ ყოფა-მდგომარეობას; მაშინ როდესაც ერთნი ყოველთვის გულგრილნი არიან რელიგიის მიმართ, მეორეთა ხვედრია, ბედისწერისაგან დადგენილი, შეუქმნან კაცობრიობას რელიგიები, მესამენი ბედისაგან გალაღებულ-გათამამებულნი არიან და მარტო მათ აქვთ

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, დასახ. გამოცემა, გვ. 389.

[2] იქვე, გვ. 390—391.

მინიჭებული ძალა და ღონე, მიაღწიონ უმაღლეს, ყოველმხრივ განვითარებას".[1]

ეს სტრიქონები იწერებოდა 1902 წელს, 1905 წლის რევოლუციის წინა დღეებში. ამ დროის ევროპის იმპერიალიზმი აღმოსავლეთის დაპყრობას კულტურის გავრცელების დროშით აპირებდა და იმპერიალიზმის სამსახურში ჩამდგარი ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია ცდილობდა იმპერიალიზმის მიზანსწრაფვა თეორიულად დაესაბუთებინა. ამ მაქინაციების მხილება ივ. ჯავახიშვილის ლექციის შინაარსის ქვაკუთხედი იყო და ამაშია მეცნიერის უდიდესი დამსახურება.

იმის გამო, რომ დასავლეთ ევროპის ისტორიოგრაფიის მამები აღმოსავლეთის ქვეყნების ხალხებს დაბალი კულტურის მქონე ხალხად თვლიდნენ, რომელთა დამახასიათებელი თვისებაა „სულიერი და სოციალური უძრაობა", და მათი „ამოძრავება" ინდოევროპელთა ისტორიულ მისიად მიაჩნდათ, ივ. ჯავახიშვილი თავის შესავალ ლექციაში აყენებს გარკვეულ ამოცანას — გამოვლენილი და შესწავლილი იქნას აღმოსავლური (ამ შემთხვევაში ქართულ-სომხური) კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა, რაც საშუალებას მოგვცემს დასავლეთ ისტორიოგრაფიის ცრუმეცნიერულ შეხედულებებს დავუპირისპიროთ ნამდვილი ისტორიული, მეცნიერული დებულებები. აი, როგორ ესმის ივ. ჯავახიშვილს მეცნიერული ორიენტალისტიკის მოვალეობა: „არავითარი საფუძველი არ მოიპოვება იმის ვარაუდისათვის, რომ აღმოსავლეთის შემდგომი შესწავლა მსგავს ფაქტებს არ გაზრდის და არ გაამრავლებს (აქ ლაპარაკია დასავლეთ ევროპის იმ თითო-ოროლა ორიენტალისტის შეხედულებებზე, რომლებიც სწორად წარმოგვიდგენენ აღმოსავლურ კულტურის მიღწევებს, — დ. გ.). ამრიგად ორიენტალისტ-ისტორიკოსს არ შეუძლია იხელმძღვანელოს, არ ძალუძს გაიზიაროს დიდ არსებით შესწორება-დამატებათა გარეშე ის დებულებანი, რომელნიც წამოყენებული აქვს ისტორიის ფილოსოფიას. პირიქით, მის ამოცანას სწორედ ის შეადგენს, რათა მან აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია შეისწავლოს ყოველგვარი წინდაწინვე აკვიატებულ-აჩეჩებულ აზრ-შეხედულებათა გარეშე და სავსებით უეჭველ მონაცემ-

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, დასახ. გამოცემა, გვ. 291.

თა მიხედვით, რაც კი მოპოვებულია მეცნიერული კვლევა-ძიების გზით".[1]

როგორც ვხედავთ, ევროპის ოფიციალურ ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიას, ანუ როგორც ივ. ჯავახიშვილი უწოდებს, ისტორიის ფილოსოფიას, რომელიც აღმოსავლეთის ხალხების უმოძრაობას, ჩამორჩენილობას ამტკიცებდა, ივ. ჯავახიშვილმა დაუპირისპირა სწორი, მეცნიერული, წინასწარ აკვიატებულ აზრ-შეხედულებათა გარეშე შესწავლის მეთოდოლოგია. აღმოსავლეთის ქვეყნების კულტურული მემკვიდრეობის ეს მეთოდოლოგია ერთადერთი სწორი მეცნიერული მეთოდოლოგია იყო. ამა თუ იმ ქვეყნის მეცნიერული შესწავლის ეს გზა დღესაც არ კარგავს მნიშვნელობას.

მაშასადამე, ნამდვილი ორიენტალისტიკის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ „გაარკვიოს იმ ჰიპოთეზათა სისწორე თუ მცდარობა, რაც მიღებული აქვს ისტორიის ფილოსოფიას; შეიტანოს ახალ მონაცემთა ანკარა ნაკადი, რათა უფრო მართებულად იყოს ჩამოყალიბებული ამ დისციპლინის ესა თუ ის ძირითადი საკითხები, როგორიცაა დადგენა და განსაზღვრა ეროვნებისა, რასობრივი და ნაციონალური გამასხვავებელი ნიშნებისა, სახელმწიფოსი და სხვა მისთანათა".[2] არის თუ არა იმედი იმისა, რომ ასეთი შესწავლის გზით დადებით შედეგს მივაღწევთ და გავაქარწყლებთ ისტორიის ფილოსოფიის ჰიპოთეზათა მცდარობას? ივ. ჯავახიშვილი ამ კითხვას დადებითად უპასუხებს. იგი წერს: „აღმოსავლეთის რომელიმე ხალხის ისტორიის გულდასმით შესწავლა ნამდვილად შესძლებს მოგვცეს მრავალი საამისო ფაქტი, მაგრამ კიდეეაც რომ დავჯერდეთ ჩვენი სპეციალობის ფარგლებს, შეიძლებოდა, დეტალებსა და გამოწვლილვას რომ არ გამოვეკიდოთ, საქართველოსა და სომხეთის ისტორიის მონაცემთა მიხედვითაც გვეჩვენებინა თუ სრული სიმცდარე არა, ყოველ შემთხვევაში გაზვიადება მაინც იმ დახასიათებისა, რომელიც ეძლევა აღმოსავლეთის ხალხთა კულტურას, არაინდოევროპულ მოდგმათა წარმომადგენლების თავისებურებას".[3]

ეს ზოგადთეორიული მოსაზრება ივ. ჯავახიშვილმა სცადა კონ-

---

1 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, დასახ. გამოცემა გვ. 391.

2 იქვე, გვ. 391—392.

3 იქვე.

ჯერეტული მონაცემებით დაედასტურებინა საქართველოს მაგალითზე. მას ჯერა, რომ სტრაბონის დროს იბერიის მოსახლეობა ჯერ კიდევ დაფუძნებულია სათემო-გვაროვნულ წყობილებაზე. მაშინ „ეს ქვეყანა ჯერ კიდევ არ იცნობდა ჩამოყალიბებულ წოდებებს, არ არსებობდა მიწის კერძო საკუთრება, ადგილ-მამულები საზიარო იყო გვარების მიხედვით და ყველა საქმეს განაგებდა თითოეული გვარის უფროსი კაცი“.[1]

გადიოდა წლებიც, საუკუნეები და მდგომარეობა შეიცვალა, არა „უძრაობა“, როგორც დასაელეთის ისტორიის ფილოსოფია ამტკიცებს, არამედ „მოძრაობა“, წინსვლა შეიმჩნევა საქართველოშიც და ეს თავის გამოხატულებას ჰპოვებს საზოგადოებრივი ცხოვრების ცვლილებებში.

სახელდობრ, აი რა: „VI საუკუნის დამდეგისათვის მკვლევარს საქართველოში საქმე აქვს უკვე ფეოდალურ წყობილებასთან, იგი უკვე მკვეთრად არის ცხოვრებაში ასახული და მას გარკვეულ იერს აძლევს“.[2]

ივ. ჯავახიშვილის აზრით, თუნდაც ეს ფაქტი, განა იმას არ ნიშნავს, რომ „რაღაც ოთხი, ხუთი საუკუნის მანძილზე მოხდა საქართველოს სოციალური წყობილების ასეთი რთული ევოლუცია, მერვე საუკუნისათვის ფეოდალიზაცია უკვე სავსებით მომთავრებულია“.[3]

ამ პროცესის თანამგზავრია კლასთა ანტაგონიზმი, არსებული წყობილების შესაფერისი სახელმწიფოებრივი ფორმები და მისთვის დამახასიათებელი წინააღმდეგობანი.

ფეოდალიზმის გამარჯვების დროს „გამოდის და განმტკიცებას იწყებს მეფის ხელისუფლება, თვითონ იგიც ფეოდალურ პრინციპზეა დამყარებული; მაგრამ რაც უფრო მეტად ძლიერდება ის, მით უფრო მეტი და ხშირია შეჯახება გვაროვნულ არისტოკრატიასთან, დიდკაცობასთან; მარტო მასთან კი არა აქვს შეჯახება, სასულიერო წოდებაც, ეკლესიის წარმომადგენლებიც, — ეკლესიამაც აითვისა

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, დასახ. გამოცემა, გვ. 392.
[2] იქვე.
[3] იქვე.

ფეოდალური წესწყობილებანი, — არა ერთხელ შესჯახებიან მთავრობას".[1]

ივანე ჯავახიშვილმა არა ერთი კონკრეტული ფაქტი დაიმოწმა თავისი მოსაზრების დასამტკიცებლად და დაასკვნა: „მეოთხე საუკუნიდან მოკიდებული მეთოთხმეტემდე საქართველოს სამღვდელოებამ შეძლო ეკლესია ეროვნულ ინსტიტუტად გარდაექმნა, კანონიკური რეფორმები მოეხდინა და სამღვდელო დასის დემოკრატიზაცია განეხორციელებინა უფრო ადრე, ვიდრე ეს გატარდა დასავლეთ ევროპის ეკლესიაში".[2]

რომ თავის ლექციას ცალმხრივი ხასიათი არ მისცეს, ლექტორი ქვეყნის ცხოვრების სხვა მხარესაც ეხება და აღნიშნავს: „გარნა ბრძოლა არ იზღუდებოდა მარტო სასულიერო წოდებით. საქართველოს მატიანემ მრავალსაუკუნოვანი ისტორიიდან იცის უამრავი საინტერესო ფაქტი ფეოდალ დიდკაცობის ბრძოლისა როგორც ეკლესიის მესვეურებთან, ისე განსაკუთრებით მეფის ხელისუფლებასთან. ეს ბრძოლა წარმოებდა პოლიტიკური უფლებებისათვის ცვალებადი წარმატებით, ხან ერთისა და ხან მეორე მხარის სასარგებლოდ. იგი ბრძოლა არას დროს არ დამცხრალა, ის ყოველთვის მიმდინარეობდა, ვიდრე საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის უკანასკნელ წლებამდე".[3]

შესავალ ლექციაში ივანე ჯავახიშვილმა არა ერთი უტყუარი ფაქტით დაუმტკიცა მსმენელებს, რომ საქართველოს „სახელმწიფო ცხოვრობდა ინტენსიური ცხოვრებით და სწორედ წოდებათა ბრძოლა არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი საქართველოს წარსულის უამრავი მოვლენისა".[4]

საქართველოში ცოტანი როდი იყვნენ მაშინ ისეთი მეცნიერები, მათ შორის სახელმოხვეჭილიც კი, რომლებიც ამტკიცებდნენ, საქართველოში კლასთა ბრძოლას ადგილი არ ჰქონია, რომ საქართველოში ფეოდალური ურთიერთობა სხვა არა იყო რა, თუ არა ყმასა და ბატონს შორის მამაშვილური ურთიერთობაო.

---

1 ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, დასახ. გამოცემა, გვ. 394.
2 იქვე, გვ. 394.
3 იქვე.
4 იქვე, გვ. 396.

მაგალითისათვის დავიმოწმებთ ცნობილი ქართველი ისტორიკოსის თედო ჟორდანიას შეხედულებას. მისი აზრით, საქართველოში „ბატონსა და გლეხს შუა მჭიდრო ზნეობრივი ოჯახური კავშირი მეფობდა... ქართული ბატონყმობა ანუ დამოკიდებულება გლეხსა და ბატონებს შორის ნებაყოფლობითი იყო, უფრო ზნეობრივი ოჯახური კავშირი ორისავე მხრისათვის სასარგებლო".[1]

ცხადია საქართველოს ისტორიის ასეთ გაგებას არავითარი მეცნიერული ღირებულება არა აქვს და წყალს ასხამს დასავლეთ ევროპის იმ მეცნიერთა წისქვილზე. რომლებიც აღმოსავლეთში „უძრაობის" თეორიას ასაბუთებდნენ.

წინააღმდეგ ასეთი გაგებისა, ივ. ჯავახიშვილმა თავის შესავალ ლექციაზე დამაჯერებელი ფაქტებით ნათელჰყო. რომ კლასთა ბრძოლა იყო ქართველი ხალხის პოლიტიკური ისტორიისა და ეკონომიური ისტორიის ქვაკუთხედი. იგი დაბეჯითებით არწმუნებს თავის აუდიტორიას: „სიგელ-გუჯრებისა და ერთობ საინტერესო საბუთების გულისყურით წაკითხვისას არ შეიძლება კაცმა არ შენიშნოს, რომ მეთვრამეტე საუკუნეშიც კი, როდესაც მთელი საქართველო თითქოს ღონემიხდილი იყო მტერთან უთანასწორო ბრძოლაში, ძლიერი მოძრაობა მიმდინარეობდა ქართველი საზოგადოების დაბალ ფენებში. გლეხთა მოძრაობა საგრძნობლად შეიმჩნეოდა".[2]

ლექტორი ,საქართველოს მაგალითებიდან სომხეთის მაგალითებზე გადადის, ასახელებს უტყუარ წყაროებს, საიდანაც ჩანს, რომ „სომხეთის ძველი ისტორიაც აგრეთვე საკმაო რაოდენობით გვაწვდის ფაქტებს იმის დასამტკიცებლად, რომ აღმოსავლეთში არსებობდა წოდებათა შორის ბრძოლა და ინტენსიური პოლიტიკური და სოციალური ცხოვრება. ძლიერი გვაროვნული დიდკაცობა. ნახარარები, მათი გამუდმებული მტრობა ურთიერთ შორის და მეფის ხელისუფლებისადმი, სანამ მას მოსპობდა სასანიანთა მთავრობა. ამ გვაროვნული დიდკაცობის მოსპობა და გაჭრობა, საზოგადოებრივ ასპარეზზე ახალი გვარების გამოსვლა. ქალაქებისა და მათთან ერთად ფულიანი არისტოკრატიის არაჩვეულებრივი აღზევება, სა-

[1] თ. ჟორდანია, ბატონყმობა საქართველოში, ახალი ქართლი. 1915 წ., № 31, 33.

[2] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 396.

ხელმწიფოებრივი ძალების კონცენტრაცია ქალაქში, მისი ავტონომია, ქალაქ-სახელმწიფოს ანისის გაჩენა, ფულიანი არისტოკრატიის მმართველ კლასად გარდაქმნა და ეკლესიის იერარქიის აღზევება, — აი როგორი რთული ფორმები გაიარა სომხეთის საზოგადოებრივმა ცხოვრებამ, სანამ დადგებოდა მეთოთხმეტე საუკუნე".[1]

ამრიგად. ივ. ჯავახიშვილმა საქართველოსა და სომხეთის ისტორიული პრინციპების ანალიზით გააქარწყლა ისტორიის ფილოსოფიის ჰიპოთეზების მთელი მანკიერება.

საჭირო იყო ასეთივე დასაბუთებული მეცნიერული კრიტიკა ისტორიის ფილოსოფიის მეორე შეხედულებისა, სახელდობრ, იმის მტკიცებისა. რომ თითქოს აღმოსავლეთის სულიერი კულტურისათვისაც დამახასიათებელი იყო უძრაობა-კარჩაკეტილობა.

ივ. ჯავახიშვილმა ნათელჰყო, რომ „სხვადასხვა საკითხები — უფლებრივი, თეოლოგიური თუ ლიტერატურული — აზიურ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს ისევე აინტერესებდათ, როგორც იმათ, ვინც გაიარა დასავლეთ ევროპის შუასაუკუნეობრივი კულტურა".[2]

არა ერთი უტყუარი ფაქტის დამოწმების შემდეგ, ივ. ჯავახიშვილი დაასკვნიდა: „ისტორიული ფაქტები გვარწმუნებენ, თუ რაოდენად ძლიერი იყო ქრისტიანული საქართველოს კულტურული კავშირი არაქრისტიან, მაჰმადიან ხალხებთანაც. უკვე მარტო ის, რაც ცნობილია არაბი ისტორიკოსის გადმოცემით, რომ მეფე დავით აღმაშენებელმა საოცრად ბევრი რამ იცოდა ისლამის შესახებ და ხშირად განჯის ყადის ეკამათებოდა კიდეც ყურანის წარმოშობის თაობაზე. აი მარტო ესეც კი გვიჩვენებს, თუ რამდენად ამგვარი თეოლოგიური საკითხები. რომელნიც არც კი შეეხებოდა ქრისტიანულ სარწმუნოებას ან კიდევ პირდაპირ ისლამს შეეხებოდა, აინტერესებდა იმდროინდელ საზოგადოებას, და რამდენად სახალისოდ ითვლებოდა მისთვის ამგვარი კითხვები".[3]

ერთი სიტყვით, ივ. ჯავახიშვილმა თავის პირველ ლექციებშივე ჩამოაყალიბა მეცნიერული კვლევის ის ხაზი, რომელიც შემდეგ მთელი სიცოცხლის განმავლობაში განაგრძო და აღმოსავლეთის

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 396.

[2] იქვე. გვ. 397.

[3] იქვე. გვ. 399.

ისტორიას და კულტურას (განსაკუთრებით ქართულს და სომხურს) მსოფლიო ისტორიაში თავისი ადგილი მიუჩინა.

ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის" მეორე ტომი მესამედ გამოქვეყნდა 1965 წელს. ამ გამოცემაში მეორე დამატებად (გვ. გვ. 395—435) დაბეჭდილია ივ. ჯავახიშვილის არქივში დაცული ორი ზოგადი მიმოხილვა: 1. „სახელმწიფო და სოციალური წყობილება და კულტურა X—XI სს. საქართველოში და 2. საქართველოს მიღწევათა მოკლე მიმოხილვა პოლიტიკურს, სოციალურსა და კულტურულ სფეროში XI საუკუნის ბოლოდან XIII ს. დასაწყისამდე".

პროფესორი სიმონ ყაუხჩიშვილი შენიშნავს, რომ „მიმოხილვები ამ სახით პირველად ქვეყნდება".[1]

ს. ყაუხჩიშვილი ფიქრობს, რომ ეს „მიმოხილვა" „დაწერილი უნდა იყოს განსვენებულის სიცოცხლის უკანასკნელ წელს. ეს მიმოხილვა თავისებურ შეჯამებას წარმოადგენს XI—XII საუკუნეთა ამბებისას, ამიტომ საჭიროდ ვცანით მისი მოთავსება აქ დამატების სახით".[2]

სიმონ ყაუხჩიშვილმა მიაკვლია, რომ ივ. ჯავახიშვილის ეს „მიმოხილვა" დაწერილია საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის შეკვეთით «Очерки истории СССР»-ისათვის. «Очерки»-ს პირველი ტომი გამოვიდა 1953 წელს და ივ. ჯავახიშვილის „მიმოხილვის" ნაწილი, ერთგვარი შესწორებით, შესულა მასში.

„მიმოხილვაში" ივანე ჯავახიშვილი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ქართველ მეფეთა ტიტულატურის ევოლუცია ანარეკლია ქვეყნის ზრდა-განვითარებისა. აი რას წერს განსვენებული მეცნიერი: „სახელმწიფოს სათავეში იდგა მ ე ფ ე, რომელიც ბაგრატ III-ის დროიდან იწოდება მეფეთმეფე. ხელმწიფის სრული სახელწოდება დროთა განმავლობაში უფრო და უფრო ვრცელი ხდება: იგი არეკლავდა საქართველოს თანდათანობითი პოლიტიკური ზრდის და სახელმწიფო საზღვრების გაფართოების ისტორიას. ამიტომ თავის მეფობის დასაწყისში ბაგრატ III იწოდებოდა მხო-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია; წიგნი II, გამოცემა მესამე, 1965, გვ. 3.

[2] იქვე, გვ. 395.

ლოდ „მეფე აფხაზთა და ქართველთა“, ხოლო უფრო გვიან, როდესაც მან შემოიერთა აგრეთვე კახეთის სამეფო და ჰერეთი, წინანდელ სახელწოდებას მიემატა შესატყვისი ნაწილი და მას ეწოდებოდა „მეფე აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა“.[1]

ივ. ჯავახიშვილი განაზოგადებს თავის მრავალწლიან მეცნიერულ დაკვირვებებს საქართველოს მმართველობის სისტემაზე, სოციალურ დანაწევრებაზე... იგი ამტკიცებს, რომ საქართველოს მთელი მოსახლეობა გაყოფილი იყო ოთხ წოდებად, აქედან უმაღლეს წოდებას აზნაურები ეკუთვნოდნენ, ესენი თავის მხრივ რამდენიმე კატეგორიებად იყოფოდნენ.

მეორე წოდებად ივ. ჯავახიშვილს ვაჭართა წოდება მიაჩნია. ვაჭრები ორ ფენად იყოფოდნენ, ესენი იყვნენ — „დიდ ვაჭარნი“ და „მცირე ვაჭარნი“.

რადგან, ეს „მიმოხილვა“ რუსი მკითხველისათვის იყო დაწერილი, ივ. ჯავახიშვილი გამოკვეთილად განსაზღვრავდა თითოეული სოციალური ფენის უფლებრივსა და ეკონომიურ მხარეს. მისი აზრით, „აზნაურთა წოდებაში ყოფნა დაკავშირებული იყო გარკვეულ ქონებრივ სიუხვესთან“.[2]

დიდ ვაჭრებზე შენიშნავს: „დიდ ვაჭართა კატეგორიას პრივილეგიები ჰქონდა არა მარტო საქალაქო და სავაჭრო ორგანიზაციებში და სასამართლოში, არამედ ისინი მონაწილეობას ღებულობდნენ სახელმწიფო საქმეების განხილვაში“.[3]

ისე, როგორც თავის სხვა კაპიტალურ გამოკვლევებში, ივ. ჯავახიშვილი აქაც ხაზს უსვამს, რომ „წოდებები საქართველოში არ შეადგენდნენ კასტებს: ერთი წოდებიდან უფრო მაღალ წოდებაში აღზევება არ წარმოადგენდა უჩვეულო მოვლენას“.[4]

ივ. ჯავახიშვილი ვრცლად ჩერდება ქართული ფეოდალური ურთიერთობის თავისებურებაზე, ეკლესიის უფლება-მოვალეობაზე, სამონასტრო მოძრაობაზე და სხვ.

ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა ერთ ასეთ მომენტზე: „სამო-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, გამოცემა მესამე, 1965. გვ. 398.

[2] იქვე, გვ. 399.

[3] იქვე.

[4] იქვე.

ნასტრო ძმობის სოციალური შემადგენლობა IX საუკუნეში ჯერ კიდევ ემყარებოდა ბერად აღსაკვეც პირთა წოდებრივი წარმოშობის განურჩევლობას. ჯერ კიდევ დაცული იყო კერძო საკუთრების სრული უარყოფის პრინციპი: შეიძლებოდა არსებულიყო მხოლოდ საერთო-სამონასტრო საკუთრება და მეურნეობა".[1] ხოლო შემდეგში თანდათან „რაც უფრო მეტად მტკიცდებოდა წოდებრიობა და ფეოდალიზმი და იჭრებოდა მაშინდელი საქართველოს სოციალურ სტრუქტურაში, სამონასტრო ორგანიზაციის წესწყობილებასაც ფართოდ ეხეთქებოდა ეს ტალღა: ახლად აღკვეცილ აზნაურ ბერებს სამონასტრო ცხოვრებაში შემოჰქონდათ თავისი წოდების ფსიქიკა, რომლისაგანაც თავის დაღწევას ვერ ახერხებდნენ".[2]

ამ ნიადაგზე განვითარებული საეკლესიო წყობილება XI საუკუნისათვის გაბატონებული წოდების — აზნაურების ხელში აღმოჩნდა.

ივ. ჯავახიშვილმა ყურადღება მიაქცია სამონასტრო ცხოვრების ერთ მეტად საინტერესო მომენტს. კერძოდ იმას, რომ 1032 წელს საზღვარგარეთულ ქართულ მონასტრებში გააუქმეს სამონასტრო წესწყობილების ერთპიროვნული მართვის სისტემა და, ამის ნაცვლად, შემოიღეს მმართველობის რესპუბლიკური წესი, რომლის ძალით, სავანის ყოველგვარი თანამდებობა, დაწყებული წინამძღოლით, არჩევითი იქნებოდა.[3]

საზღვარგარეთ მომხდარი ეს გარდაქმნა იმავე საუკუნეში საქართველოში არსებულ მონასტრებშიც გავრცელდა.

ივ. ჯავახიშვილი დიდ ადგილს უთმობს გიორგი ათონელის მოღვაწეობას საქართველოში; ეპოქის დიდი სწაელული. ათონის სკოლის ერთ-ერთი დიდი წარმომადგენელი. როგორც ცნობილია. ბაგრატ IV-ის მოწვევით საქართველოში ჩამოვიდა 1060 წელს. ამ დროს საქართველო რთულ საგარეო და საშინაო პირობებში იმყოფებოდა. განიცდიდა სელჩუკ თურქთა მუდმივ შემოსევებსა და დიდგვარიან აზნაურთა აღვირახსნილობას ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა უკიდურესობამდე მიეყვანა. ეკლესიებში აზნაურები

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. წიგნი II, გამოცემა მესამე, 1965 გვ. 401.

[2] იქვე.

[3] იქვე. გვ. 403.

ისხდნენ და ქვეყნის ფართო მასებზე ზრუნვის მაგიერ თავიანთი კლასობრივი ნაკუწის გარეთ არ იხედებოდნენ. „ამ მძიმე განსაცდელის წლებში ეს შეძლებული ფენები ზრუნავდნენ მხოლოდ იმაზე, რომ თავიანთი სახელი უკვდავეყოთ და ამ მიზნით დიდძალ თანხებსა სწირავდნენ მონასტრებს; ისინი ზრუნავდნენ იმაზე, რომ დაეწესებინათ თავისთვის საუკუნო მოსახსენებელი; დიდ თანხებს ხარჯავდნენ აგრეთვე შენობათა ასაგებად და ძვირფას საეკლესიო ჭურჭლის შესაძენად, იმ დროს, როდესაც სამწყსო გმინავდა, შიმშილისაგან სულს ღაფავდა. გიორგი ათონელისათვის ცხადი იყო, რომ კარგი არაფერი იყო მოსალოდნელი მაშინდელი მაღალი სამღვდელოებისაგან, რომელიც მთლიანად მდიდართა პრივილეგიურ წოდებას ეკუთვნოდა, იმ წოდებას, რომელიც უმაღლეს პატივსა და თანამდებობას ღებულობდა არა პირადი დამსახურების მიხედვით, არამედ... პროტექციითა და აზნაურული შთამომავლობით („მამულობით").[1]

ამ არანორმალური და მახინჯი მდგომარეობის წინააღმდეგ „გიორგი ათონელმა მიმართა განმაჩიქებელ ქადაგებას... და გაბედულად გაილაშქრა როგორც მაშინდელი საქართველოს მეთაურის წინააღმდეგ, ისე ამ ბოროტების გამომწვევი სისტემის მოსასპობად".[2]

გიორგი ათონელმა ხრავინ არ დაინდო, მან ბაგრატ IV-ს, საქართველოს მეფეს, პირში უთხრა ის, რასაც სხვა ვერ უბედავდა. ბაგრატი საეკლესიო თანამდებობებს ჰყიდდა, ამის გამო ამ თანამდებობაზე უღირსნი ხვდებოდნენ, ასეთ მდგომარეობას კი, ბუნებრივია, კარგი არაფერი მოსდევდა. „თვით მღვდელმთავრებსაც მოუხდათ გამკიცხავი სიტყვების მოსმენა: ის მათ მოუწოდებდა ძალზე მეტად არ გატაცებულიყვნენ დაგროვებული სიმდიდრით და ეფიქრათ, უპირველეს ყოვლისა, სამწყსოზე, მოწყალენი ყოფილიყვნენ საწყალ და უძლურ მოძმეთა მიმართ".[3]

მართლაც დიდი ამბავი იყო გიორგი ათონელის დოქტრინა — მღვდლად კურთხევა მიკერძოებით არ შეიძლება, მღვდლად კურთხეული უნდა ყოფილიყო მხოლოდ ღირსეული.

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, გამოცემა მესამე, 1965 გვ. 404—405.

[2] იქვე, გვ. 405.

[3] იქვე.

ივ. ჯავახიშვილი აღფრთოვანებული წერს გიორგი ათონელის მოქმედების ერთ დეტალზე. აი ეს დეტალიც: „თავის მრისხანე განჩიქებაში გიორგი ათონელი იქამდისაც კი მივიდა, რომ ერთ ასეთ ეპისკოპოზს, რომელიც ფიქრობდა მხოლოდ ეკლესიათა აშენებაზე და მათ შემკობაზე, თავისი სახელის უკვდავყოფის მიზნით, სრულიად არ ზრუნავდა თავისი სამწყსოს საზარელ მდგომარეობაზე, აღშფოთებით უთხრა: ეს ეშმაკისაგან არის, რომელსაც მიზნად აქვს დასახული შენი დაღუპვა, იმან ჩაგინერგა უწყალოება ღარიბთა მიმართო; ღმერთს ხომ არ უთქვამს ჩვენთვის — ეკლესიები შეამკეთო, არამედ გვითხრა: „მშიოდა და არა მეცით მე ჭამადიო".[1]

გიორგი ათონელის ამ დოქტრინაზე ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს: „ამაზე უფრო გაბედული და რადიკალური ქადაგება, ამაზე უფრო მგზნებარე რევოლუციური გალაშქრება იმ დროისათვის, ვიდრე ამ გამოჩენილი ქართველი მოღვაწის სიტყვებია, წარმოუდგენელია: ამ სიტყვებით მან დაუპირისპირა ერთიმეორეს სოციალური მორალის მოვალეობის შეგნება ადამიანის მიერ და ეკლესიის მღდელმთავართა აღმაშფოთებელი უსულგულობა".[2]

დამახასიათებელია, რომ გიორგიმ ისარგებლა თავისი, როგორც წინამძღვრის, მდგომარეობით, და მღვდლად აკურთხა დაბალი სოციალური ფენიდან გამოსული პირები, ყოფილი ყმები, რომელთაც განათლება მიეღო და მღვდლობის წოდების ღირსად ჩანდნენ.[3]

ივ. ჯავახიშვილი გიორგი ათონელის მოღვაწეობას ასეთ შეფასებას აძლევს: „გიორგი ათონელის ღვაწლი სწორედ იმაშია, რომ მან თავისი გაბედული მოქმედებით შეარყია წოდებრივ პრივილეგიათა საფუძვლები და წინ წამოსწია პირადი ღირსების უპირატესი როლი; მან საფუძველი ჩაუყარა საქმეს, თესლი დათესა და უხვი ნაყოფის მომკა მხოლოდ ნახევარი საუკუნის შემდეგ მოუხერხდა დავით აღმაშენებელს".[4]

რათა გიორგი ათონელის მოძღვრება-საქმიანობის მსოფლიო

---

1 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, გამოცემა მესამე, 1965 წ. გვ.405.

2 იქვე.

3 იქვე.

4 იქვე, გვ. 406.

ისტორიული მნიშვნელობა შეაფასოს, ივ. ჯავახიშვილი იქვე დასძენს: „მაგრამ იმისათვის, რომ ნათლად გავითვალისწინოთ გიორგი ათონელის რეფორმატორული მოღვაწეობის სიდიადე, უნდა გავიხსენოთ, რომ ეკლესიისა და მონასტრის დემოკრატიზაცია დასავლეთ ევროპაში დაიწყო მხოლოდ XIII საუკუნეში, სადაც, როგორც ცნობილია, პირველად წმ. ფრანცისკემ სცადა შეერყია რომის კათოლიკეთა ეკლესიის არისტოკრატიული ტრადიციები. ამგვარად, გიორგი ათონელის მოღვაწეობის მნიშვნელობა სოციალურ ასპარეზზე სცილდება საკუთრივ საქართველოს ისტორიის ფარგლებს და სოციალურ რეფორმათა სოციალური ისტორიისათვისაც წარმოადგენს ძვირფას განძს".[1]

ამ „მიმოხილვაში" ჩვენ ვეცნობით ქართველთა მოღვაწეობის სხვა მხარესაც. აღნიშნულია ეფრემ მცირის ღვაწლი სამართლის სფეროში; ივ. ჯავახიშვილი ვრცლად მიმოიხილავს კულტურულ სფეროში გაშლილ მუშაობას და აღნიშნავს იმ ქართული კულტურის ცენტრების ღვაწლს, რომლებიც საზღვარგარეთ მდებარეობდნენ. ამ ცენტრებში „მოღვაწეობდა მთელი პლეადა გამოჩენილ ქართველ მთარგმნელთა, ფილოსოფოსთა და სხვა მეცნიერთა, რომლებიც თავიანთი შრომების მეშვეობით საშუალებას აძლევდნენ ქართულ განათლებულ საზოგადოებას ზედმიწევნით სცოდნოდა, რაც ბიზანტიასა და მახლობელი აღმოსავლეთის საქრისტიანო სამყაროში ახალი ფუნდამენტალური რამ იქმნებოდა".[2]

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ განსვენებული მეცნიერის ამ დებულებას: „საქართველოს ახლო ურთიერთობამ არაბულ-სპარსულ კულტურულ მიმდინარეობებთან და მათი სალიტერატურო ძეგლების გაცნობამ საქართველო ერთგვარად აქცია შუამავლად მაჰმადიანურ აღმოსავლეთსა და ქრისტიანულ ბერძნულ-რომაულ დასავლეთს შორის, ამ ორ, სარწმუნოებრივად განსხვავებულ სამყაროს შორის".[3]

ივანე ჯავახიშვილი ასახელებს იმ ფაქტს, რომ „საშუალო საუკუნეებში საქართველოს წყალობით მიეცა ევროპას საშუალება გასც-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II. გამოცემა მესამე, 1965 წ. გვ. 406.

[2] იქვე, გვ. 407.

[3] იქვე.

ნობოდა პირველ ქრისტიანულ რომანს, ამ უაღრესად პოპულარულ თხზულებას, ვარლამისა და იოასაფის შესახებ, რომელიც ბერძნულ ენაზე თარგმნა და დაამუშავა სახელგანთქმულმა ქართველმა მწერალმა და მეცნიერმა ექვთიმე ათონელმა".[1]

ივ. ჯავახიშვილი ამავე „მიმოხილვაში" მოკლედ ეხება სააღმშენებლო ხელოვნების, საისტორიო მეცნიერების, ფერწერის და სხვა დარგების მიღწევებს.

მეორე დამატებას, როგორც აღვნიშნეთ, ეწოდება — საქართველოს მიღწევათა მოკლე მიმოხილვა პოლიტიკურს, სოციალურსა და კულტურულ სფეროში IX საუკუნის ბოლოდან XIII ს. დასაწყისამდე.

ამ მიმოხილვაში შეჯამებულია ქართველი ხალხის ყველა ის წარმატება, რაც მან მოიპოვა საგარეო თუ საშინაო სფეროში. აღნიშნულია, რომ „XII ს. ბოლოში და XIII ს. დასაწყისში საქართველოს სახელმწიფო საზღვრები მოიცავდნენ გარდა საქართველოს ძირითადი ტერიტორიისა, მთელ კავკასიასაც, ჩრდილო კავკასიის ყველა ტომსა და პოლიტიკურ გაერთიანებას; სამხრეთით კი საქართველოს ვასალური სამფლობელოები ვრცელდებოდა ირანის აზერბაიჯანზედაც, და აღწევდა გილანს, ხოლო სამხრეთ დასავლეთით ეს სამფლობელოები მიდიოდა არზრუმამდე და ერზინჯანამდე, სადაც ნიშნად ვასალური დამოკიდებულებისა ფრიალებდა საქართველოს სახელმწიფო ალამი".[2]

ივ. ჯავახიშვილმა განსაკუთრებით ხაზი გაუსვა იმ მდგომარეობას, რომ XII საუკუნის საქართველო მრავალეროვან სახელმწიფოს წარმოადგენდა, მაგრამ ქართველები თავის ვასალებს არასოდეს არ უყურებდნენ ქედმაღლურად. „არც ქართულ საისტორიო ძეგლებში და არც უცხო მწერალთა მიერ გადმოცემულ ცნობებში არ არის ლაპარაკი ეროვნულ ჩაგვრაზე და ენის დევნაზე საქართველოს ქვემდებარე უცხო ერთა ქვეყნებში და საქართველოში უცხო ერების დევნის, ქსენოფობიის სრული არარსებობა აღნიშნულია ყველა ისტორიკოსის მიერ, არავითარი ცნობები არ არსებობს, რომ ოდეს-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 407.

[2] იქვე, გვ. 409.

მე საქართველოში ებრაელების დევნა ყოფილიყო, ის რაც საშუალო საუკუნეებში ასე ხშირია სხვა ქრისტიანულ ქვეყნებში".[1]

ივანე ჯავახიშვილმა არა ერთი ისტორიული წყაროს მეცნიერული ანალიზის შემდეგ ასეთი დასკვნა გააკეთა: „თუმცა საქართველოს მთავრობა ამ ეპოქაში მთელს მახლობელ აღმოსავლეთში ქრისტიანთა მფარველად გამოდიოდა, მიუხედავად ამისა, თავის სახელმწიფოებრივ საქმიანობასა და პოლიტიკაში ის შეუდრეკლად იცავდა სარწმუნოებრივი მომთმენობის პრინციპს. ის იმის საბუთს იძლეოდა, რომ არა სარწმუნოებრივი მიზნებით ხელმძღვანელობდა, როდესაც ებრძოდა მაჰმადიან მფლობელებს, არამედ ებრძოდა მათ, როგორც მტრულ პოლიტიკურ ძალას და არა როგორც ისლამის სამყაროს წარმომადგენლებს".[2]

ამავე ნარკვევში, მოკლედ მაგრამ დამაჯერებლად, საუბარია საქართველოს მაშინდელ ეკონომიურ მდგომარეობაზე და დასაბუთებულია ქართველი კაცის ის შემოქმედებითი მიღწევები, რომლის შედეგად არა ერთი ჯიში თუ ჯიშთა სახესხვაობა დაინერგა.

1956 წელს გამოქვეყნდა ივ. ჯავახიშვილის შრომა — ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები.

ეს ნაშრომი წარმოადგენს ავტორის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილ მეცნიერულ სტატიათა კრებულს. მათი ნაწილი (მოთავსებულია 15 სტატია) სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში იყო გამოქვეყნებული, ნაწილი პირველად დაიბეჭდა. შევჩერდებით მხოლოდ ერთ-ერთ პირველ დაბეჭდილ სტატიაზე: „ადამიანი ძველ ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში".

ამ სტატიას შემდეგი დასათაურება აქვს:

I

მოძღვრება ადამიანზე,

II

ადამიანის სოციალ-ეთიკური იდეალები,

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 415.

[2] იქვე, გვ. 419.

III

ადამიანი ვითარცა მოღვაწე.

როგორც ვხედავთ, განსვენებულ მეცნიერს საყურადღებო პრობლემებისათვის მიუქცევია ყურადღება.

როგორც საერთოდ მას სჩვეოდა, არც ერთი მოსაზრება მრავალსაბუთიანობის გარეშე წამოყენებული არა აქვს.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, „ადამიანის სიცოცხლე ორ მთავარ ნაწილად იყოფოდა. პირველს ნაწილს ყრმობა ეწოდებოდა, მეორეს ჰასაკს ეძახდნენ. „ჰასაკი“ ქართულში სქესობრივი სიმწიფის ხანითგან იწყებოდა და „ჰასაკად მოსვლა“ ამ სქესობრივ სიმწიფეს ეწოდებოდა“.[1] ჰასაკი ქალისათვის 12 წლიდან იწყებოდა, ვაჟისათვის კი 15 წლიდან. ამაზე უფრო უმცროსს უჰასაკო ანუ ყრმა ეწოდებოდა. ჰასაკი სამად იყოფოდა წლოვანების მიხედვით. „პირველი წლოვანების ადამიანს „ჭაბუკი“ ერქვა, მეორე წლოვანებისას „შუა-კაცი“, უკანასკნელს ხანში-შესულობისას „ბერი“.[2]

ღრმა მოხუცებულს „დღეთა სიმრავლითა მიმხცოვნებული“ ეწოდებოდა.

„სრულწლოვანება ანუ „ჰასაკი სისრულისა“ სხვადასხვაგვარი არსებობდა: სამოქალაქო იყო, პოლიტიკური და სამხედრო. ეს სამი ცნება ერთიერთმანეთს არ უდრიდა და არ ეთანასწორებოდა. ვინც სამხედრო მოქმედების მონაწილეობისათვის მომწიფებული იყო, იმას ეწოდებოდა „სრული დღეთა ბრძოლათათჳს“.[3]

„სრული დღეთა ბრძოლათათჳს“ ადამიანი ხდებოდა 21—22 წლიდან.

ადამიანის სულიერსა და გონებრივ ნიჭს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. მართალია, ყოველ ადამიანს ჰქონდა „საჩინონი

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, გვ. 130.

[2] იქვე, გვ. 131.

[3] იქვე, გვ. 132.

სასმენელნი", ე. ი. სმენის ორგანო — ყურები, ამასთანავე მას უნდა ჰქონოდა „ყურნი გულისა და გონებისანი". ყოველ ადამიანს ჰქონდა აგრეთვე „გონების თუალნი" და „სააჩინო თუალნი".

„ყურნი გულისა და გონებისანი" უდრის აწ გავრცელებულ „გულის-ყურს". გულის-ყური სულხან-საბა ორბელიანს განმარტებული აქვს, როგორც „მოსწავლეთაგან სწრაფად სმენა, სწრაფად სწავლა, მიჯდომა და ქმნა".[1]

ივ. ჯავახიშვილი მიმოიხილავს სათანადო წყაროებს და ასკვნის: „ძველი ქართული მოძღვრებისდა თანახმად ადამიანს აბადია თვალისა, ყურისა და ენის ორგანოები და ამას გარდა გონებისა თვალი, ყური და ენაც აქვს".[2]

ძველი წარმოდგენით „გონება" ადამიანის მთელ მოქმედებას „განაგებს ფარულად და უხილავად". მეტყველების ნიჭიც „შობილ არს გონებისაგან". თურმე „სიტყვა" მხოლოდ იმას „თარგმანებს, რაჲცა იყოს გონებასა შინა".

რადგან ამ ცნებების შინაარსი ასე ესმოდათ, ხოლო ადამიანის სიცოცხლეს ასაკებად ყოფდნენ, ისიც კარგად სცოდნიათ, თუ რომელ ასაკში რა გონების პატრონია ადამიანი. „ადამიანს გონების ნაყოფიერება, ნიჭი და ბრძნული სიდინჯე ჩვეულებრივ შუახანში და ხანშიშესულობისას ემჩნევა ხოლმე, როდესაც მას ის „კეთილი მოხუცებულობაჲ გონებისაჲ" ამშვენებს, რომელიც სწორედ რომ „არს გონებაჲ კაცისაჲ".[3]

ძველად დიდ პატივში იყო „სიმახჳლჱ გონებისაჲ", ამის პატრონი ითვლებოდა „ბრძენი და გონიერი გონებითა და გულისჴმის ყოფითა".

ძველ საქართველოში ადამიანის სოციალ-ეთიკურ იდეალებზე გარკვეული შეხედულებები არსებობდა.

„ძველ დროს ადამიანის პიროვნება მრავალგვარი გარემოებით იყო შეზღუდვილი და შებორკილი: ჯერ საგვარეულო წესწყობი-

---

1 სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, IV, 1965, გვ. 180.

2 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 134.

3 იქვე, გვ. 134—135.

ლება და ზნე-ჩვეულებანი, შემდეგ წოდებრიობა, პატრონყმობა, სარწმუნოებრივი მცნებანი და კანონი — წესები კაცის პიროვნების თავისუფალ განსახიერებას ზღუდავდნენ და მის მოქმედებას საზღვრებს უდებდნენ. ასე იყო ყველგან და ყველა ერთა წარსულში, ასევე იყო ძველად საქართველოშიაც".[1]

ივ. ჯავახიშვილმა ყურადღება მიაქცია ერთ გარემოებას: სახელდობრ იმას, რომ წოდებრიობა ჩვენში რაღაც ერთხელ და სამუდამოდ კარჩაკეტილი კასტა არ იყო და რადგან წოდებრიობას საფუძვლად ქონებრივ-ეკონომიური მდგომარეობა ედვა, ამ საფუძვლის გამოცვლასთან ერთად პიროვნების წოდებრივ-უფლებრივი მდგომარეობაც იცვლებოდა. ხდებოდა როგორც აღზევება — დაბალი სოციალური ფენიდან მაღალ სოციალურ ფენაში გადასვლა, ისე დამცრობა-დაქვეითებაც — მაღალი სოციალური ფენიდან დაბალ სოციალურ ფენაში გადასვლა.

ამ პროცესის ხანდაზმულობა სამი თაობით განისაზღვრებოდა.

სოციალურ-ეთიკურ იდეალებზე გავლენას ახდენდა სხვა გარემოებაც. სახელდობრ ის, რომ „ძველ საქართველოში მცხოვრებნი ორ მთავარ ბანაკად იყოფოდნენ: ერთს და უმთავრეს ბანაკს „ერის კაცნი" შეადგენდნენ, მეორეს, შედარებით უფრო მცირე რიცხვანს ჯგუფს, „მოწესენი" ეკუთვნოდნენ".[2]

ასეთი დაყოფა ამ ორი ბანაკის წარმომადგენელთა შეგნება-მოქმედებას აპირობებდა.

„ერის კაცი" ამქვეყნიური ყოფაცხოვრების მიმდევარი იყო და სიმდიდრესა და კეთილშობილებას შეტრფოდა, „მოწესენი" სასულიერო პირნი იყვნენ და ბედნიერებას იმ ქვეყანაში ელოდნენ.

„ერისკაცი ჩვეულებრივ ოჯახის პატრონი უნდა ყოფილიყო, მას „საბლეულნი" ჰყავდა და ცოლ-შვილნი, „დედაწულნი". იმაზე მეტი უბედურების წარმოდგენა შეუძლებელი იყო, თუ მას შვილი არ ეყოლებოდა და მას შთამომავლობა არ დარჩებოდა".[3]

მაგრამ ერისკაცი მაინც გარკვეულ საზოგადოებრივ სისტემაში

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 138.

[2] იქვე, გვ. 140.

[3] იქვე.

ცხოვრობდა და სრულფასოვანი იყო მაშინ, როცა სიმდიდრესთან ერთად ზნეობრივი მხარეც გააჩნდა. „სიმდიდრესა თანა საღმრთოჲსა მოქალაქობისასა კორციელიცა სიმდიდრე უხუებით აქუნდა“, ასეთი ადამიანი „საღმრთო-საკაცობოთა შინა სრული“ იყო.

„ყოველი ადამიანის მოქმედება სიტყვითა და საქმით გამოიხატება. მისი მოღვაწეობის შედეგი ერთის მხრით თვით მის მოქმედებასა, მეორეს მხრით იმ გარემოებაზეა დამოკიდებული, რომელშიაც მას მოღვაწეობა უხდება“.[1]

რაკი ადამიანის მოქმედება სიტყვითა და საქმით გამოიხატებოდა, სიტყვისა და საქმის შეფასებაც არსებობდა. ის ვინც კარგად ლაპარაკობდა, სიტყვიერად გამოთქმის ნიჭი ჰქონდა, მას „სიტყუიერი“ „სიტყჳთა მარჯუე“, „ენა კეთილი“, „ქეთილ-მეტყველი“, „მოსწრაფე ენამჭევრობისა“-ის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. ვინც ამ ნიჭს მოკლებული იყო და ლაპარაკი უჭირდა, მას „ენა-მძიმე“. „ენა-ბრგუნილი“-ს რეპუტაცია ჰქონდა.

„მეტყველების ნიჭიც შინაარსისადა გვარად სხვადასხვანაირი იყო: ზოგნი დინჯი მოუბარნი იყვნენ, ჭკვიანი და შინაარსიანი საუბარი იცოდნენ ისე. რომ „ენაჲ მათი მეტყუელებისაგან ცუდისა უტყჳ“ იყო, ზოგს პირიქით, სწორედ ეს „მეტყუებაჲ ცუდი“ ემარჯვებოდათ „სიტყუაჲ დამპალი“ და „უქმსიტყუობაჲ“ უყვარდათ და ლაპარაკად იყვნენ ჭკუულნი, „ენაჲ მანქანა“-ს წოდების ღირსნი იყვნენ“.[2]

ერთი სიტყვით, მაშინდელ მოაზროვნეებს კარგად ჰქონდათ შეგნებული, რომ „ბრძნად მეტყუელებაჲ ვეცხლი არს წმიდაჲ, ხოლო დუმილი ოქროჲ რჩეული“.

ყველაფერი ეს ასე იყო, მაგრამ მთავარი მაინც ისაა; რომ ახლაც ასე ესმით და მაშინაც ასე ესმოდათ: „ყოველი მოღვაწის ღვაწლის სიდიდე მისი „განზრახვითა“, ამ აზრის განხორციელებისა-

---

[1] იე. ჯავახიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 146.

[2] იქვე, გვ. 147.

თვის გამოჩენილი „სიმკნითა“ და დასასრულ „თვთ საქმითა“-ს, შედეგით განიზომებოდა“.[1]

ამიტომ იყო, რომ ვისაც ერისათვის დიდი შრომა, ამაგი და თავდადება გამოუჩენია, ვისაც დიდი დამსახურება ჰქონდა, „თანამედროვენი მათ სახელს საპატიო წოდებულებით ამკობდნენ და მათი მნიშვნელობისა და ღვაწლის გამომხატველ სხვადასხვა სახელს უწოდებდნენ ხოლმე“.[2]

ასე, მაგალითად, დიდი ავტორიტეტით მოსილი მოღვაწის სახელს წინ უმატებდნენ „დიდი“: დიდი არსენ, დიდი ეფრემ, დიდი ილარიონ. ხშირად უწოდებდნენ „მოძღვარს“, „მოძღუარი განუკითხველი“. „მოძღუარი და განმანათლებელი ქუეყანისა ჩუენისა“, „ვარსკულავი მნათობი“, „გვრგვნი დაუჭკნობელი“, „დიდი მნათობი ნათესავისა ჩუენისაჲ“, „მთიები“, „სამკაული ნათესავისა ჩუენისაჲ“, „წყაროსთვალი სიბრძნისაჲ“, „სწავლული“, „სწავლული ფრიად“, „მეცნიერი“ და სხვ.

პოლიტიკურ მოღვაწეებსაც, რომელთაც ბევრი რამ გაუკეთეს სამშობლოს, შთამომავლობა განსხვავებული სახელით იხსენებს და უწოდებს „აღმაშენებელს“, „ბრწყინვალეს“, „თავდადებულს“ და სხვ. ერთი სიტყვით, ძალაში იყო დებულება: „საქმემან შენმან გამოგაჩინოს შენ“.

ეს კეთილშობილი ტრადიცია დღესაც ცოცხლობს და მარად იცოცხლებს იმ ხალხში, რომელსაც სიცოცხლე უწერია. შემოქმედების უნარი არ დაუკარგავს.

ივ. ჯავახიშვილის შრომაში — ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები — მოთავსებულია მანამდე გამოუქვეყნებელი გამოკვლევა — ნიკოლოზ კათალიკოზი.

როგორც ცნობილია, ივ. ჯავახიშვილი კაპიტალურ გამოკვლევაში — ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, მრავალი ქართველი

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 151.

[2] იქვე, გვ. 152.

(იაკობ ცურტაველიდან მოყოლებული ომან ხერხეულიძემდე) ისტორიკოსის თხზულებას იხილავს. ამ გამოკვლევაში ნიკოლოზ კათალიკოსზე არაფერია ნათქვამი. ამიტომ ივ. ჯავახიშვილის შეხედულება ნიკოლოზ კათალიკოსის ისტორიულ-ფილოსოფიური კონცეფციის შესახებ ძალიან საინტერესოა.

ნიკოლოზ კათალიკოსის მხოლოდ ერთი ნაწარმოებია ჩვენამდე მოღწეული. მას ეწოდება — „საკითხავი სუეტისა ცხოველისაჲ, კუართისა საუფლოჲსა და კათოლიკე ეკლესიისა“.

ეს შრომა „ორ მთავარ ნაწილად იყოფა: პირველში ისტორიული ცნობებია საუფლო კვართისა და ქართველთა გაქრისტიანების შესახებ წ≈ა ნინოს მიერ (47—74), მეორეში აღწერილია სვეტიცხოველის ძველი და ახალი სასწაულთმოქმედება (75—118), რომელსაც ბოლოში „გიხაროდენ“-ად წოდებული შესხმა აქვს დართული (119—127)“.[1]

ეს უკანასკნელი ნაწილი — „გიხაროდენ“ — შეიძლება ნიკოლოზს არ ეკუთვნოდესო, — დასძენს ივ. ჯავახიშვილი.

ივ. ჯავახიშვილი მიმოიხილავს ნიკოლოზ კათალიკოსის თხზულებას, არკვევს ამ თხზულების დაწერის მიზეზებსა და მიზნებს და ვრცლად ჩერდება ნიკოლოზ კათალიკოსის კვლევის მეთოდებზე.

ნიკოლოზი მკითხველს ამცნობს, თუ რა ჰქონდა მას მიზნად, როცა თავის თხზულებას წერდა. მას მიზნად ჰქონდა შეემკო დღესასწაული „წმიდისა კათოლიკე ეკლესიისაჲ და ცხოველისა სვეტისაჲ“.

ის ასე სვამს კითხვას: თუ ყოველი ადამიანი, „უკეთუ არა თუ მთავარნი და კელმწიფებანი შინანი და დიდ-დიდთაგანი ვინმე, გარნა მდაბიურნიცა და უსახურონი“ იხდიან თავიანთ დღესასწაულებს — ნათლობა იქნება ეს თუ ქორწინება, მით უმეტეს, „რაოდენ უფროჲსღა და უმეტეს საჭიროდ სათანადო არს ჩუენდა ბრწყინვალედ შემკობაჲ დღესასწაულისა წმიდისა კათოლიკე ეკლესიისაჲ“.[2]

---

1 ივ. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, 1956, გვ. 98.

2 იქვე, გვ. 98. აქაც და ქვემოთაც ნიკოლოზ კათალიკოსის თხზულებიდან. ციტატები მოგვაქვს ივ. ჯავახიშვილის დასახ. შრომიდან.

ნიკოლოზ კათალიკოსი ამ თხზულებით მრავალმხრივ განვითარებულ-განსწავლილ სწავლულად და დახელოვნებულ მწერლად გვევლინება. იგი ბუნების სიმშვენიერესაც კი არ ივიწყებს და ცისა და ქვეყნის მშვენიერებას ასე აგვიწერს: რომელმანმე ენამან გამოთქუას ცისა იგი შუენიერებაჲ, რაჟამს ვარსკულავებითა ფერად-ფერადითა შემკობილობდეს ორთა მათ მთავართა შორის მნათობთასა, აელვებულთა შორის ცისა და ქუეყანისა, და მათ მიერ შეერთებითა ცეცხლებრ მგზნებარეცა იგი სამყაროჲ განკჳრვებით ჰკრთებოდის, რომელთა სხივნი ელვებრ განტევებულობენ კიდიდ კიდემდე ქუეყნისა. ამათ თანა კუალად ქუეყნიერნიცა იგი ფერად-ფერადნი მცენარენი ყუავილთა და ნერგთანი შინაურთა და ველურთანი, რომელნიმე საგემებლად, ხოლო რომელნიმე სასურნებელად, დამატკბობელად სასათა, და სურნელმყოფელად საყნოსელთა შეუმზადებიან ყოვლისა სიბრძნით განმგებელსა".[1]

ნიკოლოზ კათალიკოსი უწონებს ბერძნებს იმას, რომ ისინი არაფერს, მცირესაც კი, არ დატოვებენ აუწერლად და არაფერს „მისცემენ უფსკრულსა დავიწყებისასა". ჩვენ კი ამის მსგავსი არაფერი გვაქვსო, გულისტკენით აღნიშნავს იგი.

ნიკოლოზ კათალიკოსი თავის შემოქმედებას „ქელოვნებითს ნასიბრძნს" უწოდებს. მართლაც, როგორც აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, ნიკოლოზის „შემოქმედება არსებითად მოთხრობელობითი თვისებისა არ არის".[2] მისი თხზულება უმთავრესად „მეძიებლობითი" თვისებისა იყო და რაც ძიებით მოიპოვა იმის „გამომაცხადებელ"-ად ითვლებოდა.

ნიკოლოზის თხზულება დაწერილია არა ისე, როგორც ჩვეულებრივი ისტორიული ნაწარმოებები იწერებოდა ხოლმე, ე. ი. არა „თხრობისა" და „მოთხრობის" მსგავსად, არამედ მას აინტერესებდა საძიებელი პრობლემის „წარმოჩენა", „საცნაურ-ყოფა", „სახის გამოცხადება".

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და ისტორიის საკითხები, 1956 წ. გვ. 98—99.

[2] იქვე, გვ. 101.

ივ. ჯავახიშვილი მართალი იყო, როცა ასეთ მოსაზრებას გამოთქვამდა „უეჭველია, ნიკოლოზ კ≈ზის მიერ თავისი საისტორიო მოღვაწეობის დასახასიათებლად ზემოაღნიშნული საგანგებო ტერმინების დაჟინებითი ხმარება ცხადყოფს, რომ მას თავისი შემოქმედება ისტორიკოსთა ჩვეულებრივი მუშაობის შესადარისად არ მიაჩნდა და თანაც უნდოდა მკაფიოდ და ხაზგასმით აღენიშნა, რომ ქართულს საისტორიო მწერლობაში იგი განსაკუთრებულს, ახალ მიმართულებას იწყებდა და ქმნიდა“.[1]

ნიკოლოზ კათალიკოსის დამსახურება ისაა, რომ მან სცადა ახალი ისტორიულ-ფილოსოფიური მიმართულება შეექმნა ქართულ ისტორიოგრაფიაში, რომელიც „აღწერას“ შეცვლიდა „კელოვნებითი ნასიბრძნით“.

ნიკოლოზ კათალიკოსმა საკუთარი კონცეფცია შექმნა სხვადასხვა ხალხის თანდაყოლილი ნიჭისა და მიდრეკილების შესახებ. მისი აზრით, როგორც ადამიანთა შორის „მრავალნი რაჲ ჴელოვნებანი იპოებიან“ და თითოეულს კაცს განსხვავებული ნიჭი და მიდრეკილება აქვს, „კაცად-კაცადსა თჳს-თჳსად მიუჩნს ყოველთავე თჳსი საქმრობაჲ“, ამნაირადვე „ესრე სახედვე უკუე იხილვების ნათესავთაცა შორის“, ეროვნებანიც ნიჭითა და მიდრეკილებით ერთიმეორისაგან განსხვავდებიან: „რამეთუ რომელნიმე ნათესავნი ესევითარნი არიან ბუნებით, ხოლო რომელნიმე ეგევითარნი“.[2]

ნიკოლოზ კათალიკოსმა სხვა პრობლემებიც დააყენა. კერძოდ, როგორ მოხდა, რომ ქართველთა მოქცევის ესოდენ რთული საკითხი ქალს მიენდოთ და არა კაცს.

ნიკოლოზ კათალიკოსი წერს „პირველად ესე საძიებელ არს, თუ რაჲსათჳს უკუე დედაკაცი აჩინა და წარმოავლინა ღმერთმან ჩუენდა მომართ“?.[3]

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და ისტორიის საკითხები, 1956 წ. გვ. 102.

[2] იქვე. გვ. 103.

[3] იქვე, გვ. 105.

ამ კითხვაზე ის ორგვარ პასუხს იძლევა:

იესო ქრისტემ ამაღლების უწინარეს თავისი მოწაფეები დედამიწის ყველა კუთხეში გაგზავნა, სწორედ მაშინ „დედაჲ ღმრთისაჲ ცა სურვიელ იყო და მეცადინებდა წარსვლად ქადაგებად". მას უნდოდა „აღმოსავლეთით კერძოთა მათ წარმოსვლად", მაგრამ სწორედ იმ დროს, როცა ღვთისმშობელი გამზადებული იყო აქ წამოსასვლელად, ქრისტე მოვიდა და აქ აღარ გამოუშვა, ამიტომ მის მაგიერ „დედაკაციე წარმოავლინაო". ეს თვით ღვთის მშობლის შუამდგომლობით მოხდაო. ამასთან ერთად ქალის აქ წარმოგზავნის მეორე მიზეზი ის იყო, რომ ნათესავნი ქართველთანი მაშინ „უმძჯნვარესნი და უველურესნი იყუნეს". კაცი მათ ვერ მოაქცევდა და ამიტომ „უძლურისა ბუნებისა დედაკაცისა მიერ მოალბო ქედ-ფიცხელობაჲ ულმობელთა მათ და უგლიმთა ნათესაეთაჲ ქართველთაო".[1]

მთავარი ის კი არ არის, რომ ნიკოლოზ კათალიკოსის ეს განმარტება არარეალურია, მთავარი ის არის, რომ ასეთი ხასიათის მტკიცებანი არავის მოეპოვება და იგი თავისებური და ორიგინალურია.

ნიკოლოზ კათალიკოსი მრავალმხრივ საინტერესო პირია, მისი მსჯელობა რთულ საკითხებს ეხება, იგი კვლევის ინდივიდუალურ მეთოდს მიმართავს. მისი მოღვაწეობის შესახებ. ივ. ჯავახიშვილი სამართლიანად შენიშნავს: „ნიკოლოზ კ≈ზი ნიჭიერი და ღრმააზროვანი ისტორიკოსი იყო. მისს მკვეთრს დაკვირვებასა და წყაროთა ცნობების შედარების უნარს ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ წყაროების ცნობათა წინაუკმოობა და წინააღმდეგობა სხვებსავით არ გამოპარვია".[2]

ივ. ჯავახიშვილი კვლავ იმეორებს: „საზოგადოდ ნიკოლოზ კ≈ზს დაკვირვებისა და ღრმა აზროვნების ნიჭი ჰქონია. ჩვეულებრივს, უფერულს მოთხრობაშიაც კი მას საგულისხმო და საყურადღებო გარემოების შემჩნევის უნარი შესწევს".[3]

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და ისტორიის საკითხები, 1956 წ. გვ. 105.

[2] იქვე, გვ. 107.

[3] იქვე, გვ. 108.

ივ. ჯავახიშვილი დიდ ყურადღებას აქცევდა ქართული ლიტერატურის ძეგლების შესწავლას და მხატვრულ ნაწარმოებებს მოხერხებულად იყენებდა ამა თუ იმ პრობლემის კვლევის დროს.

მის მოხსენებებსა და ცალკეულ წერილებს შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

დამახასიათებელია, რომ მისი უკანასკნელი მოხსენებაც, რომლის კითხვის დროს, მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე მოულოდნელად გარდაიცვალა, ქართული ფილოლოგიური მეცნიერების ამოცანებს შეეხებოდა.

ქართული ლიტერატურა და ქართული ენა ივ. ჯავახიშვილის კვლევის სფეროდან არასოდეს გამორიცხულა და თითოეული ამ ხასიათის ძეგლის აღმოჩენა და გამოქვეყნება უდიდეს სიხარულს ჰგვრიდა ხოლმე მეცნიერს.

როცა ივანე ჯავახიშვილმა პალიმფსესტების კვალს მიაგნო და ხანმეტი ძეგლების მთელი წყება აღმოაჩინა, ისე აღელდა სიხარულისაგან, რომ ვერ დამალა და განაცხადა: „ამ აღმოჩენისაგან გამოწვეული სიხარულისა და მღელვარებისაგან მუშაობა აღარ შემეძლო“.[1]

ივ. ჯავახიშვილი განაგრძობს: „მღელვარებისაგან ცოტა ხნით შეწყვეტილი მუშაობის განახლების დროს ვცდილობდი დავრწმუნებულიყავი, რომ თვალი არ მატყუებდა და შეცდომა და მოჩვენება არ იყო რასაც ვკითხულობდი“.[2]

როდესაც გადაწყდა შოთა რუსთაველის დაბადების 750 წლისთავის საზეიმოდ აღნიშვნა და სათანადო კომისიაც შეიქმნა, რომლის შემადგენლობაში ივ. ჯავახიშვილიც შედიოდა, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. იგი წერდა: „ყოველი ჩვენგანის გული სიხარულითა და კმაყოფილებით აივსებოდა, როდესაც შოთა რუსთაველის დაბადებიდან 750 წ. შესრულების აღსანიშნავად, 1937 წ. ოქტომბერში, მთელს საქართველოში საყოველთაო სახალხო ზეიმის

---

1 ციტირებულია ს. ჯორბენაძის შრომიდან — ივანე ჯავახიშვილის თანამოსაგრე. ცაღკე ამონაბეჭდი, 1967, გვ. 21.

2 იქვე, გვ. 21—22.

მოწყობისა, მასთან დაკავშირებული წინასწარი სამზადისისა და ღონისძიების შესახებ საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1934 წ. 20 აგვისტოს დადგენილებას წაიკითხავდა. ამ დადგენილებას, უეჭველია, უდიდესი მნიშვნელობა აქვს".[1]

ივ. ჯავახიშვილი აქტიურად ჩაება კომისიის მუშაობაში და შოთა რუსთაველის პრობლემის შესახებ თავის მოხსენებებში, წერილებში არა ერთი საყურადღებო მოსაზრება და დებულება წამოაყენა.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, „კულტურის ასპარეზზე მოღვაწესა და საზოგადოებას შორის ურთიერთი ვალდებულება მყარდება. მოღვაწე ქმნის და ამით თავისი მშობელი ერისადმი ვალდებულებას იხდის; მაგრამ, თუ მის შემოქმედებას და მოღვაწეობას იმდენად დიდი ღირებულება აქვს, რომ თანამედროვეთათვის კი არა, არამედ შემდეგდროინდელ და მომდევნო საუკუნეთა თაობათათვისაც ძვირფას განძად რჩება, მაშინ მათაც, თავიანთ მხრივ, ამ მოღვაწის ხსოვნისადმი ზნეობრივი მოვალეობა უჩნდებათ, რომ მისი ქმნილება, მისგან დატოვებული განძი, ისევე შეურყეველად დაიცვან, როგორც თავის დროზე ავტორს ჰქონდა შექმნილი".[2]

რადგან შოთას ღვაწლი მთელი ქართველი ერის წინაშე განუზომელია და მისი სახელი სამარადისო უკვდავებით არის შემოსილი, ივ. ჯავახიშვილის აზრით, საჭიროა, შოთა რუსთაველის მემკვიდრეობა შევისწავლოთ, სათანადო შეფასება მივცეთ და დავიცვათ.

ივ. ჯავახიშვილი ვრცლად ჩერდება შოთას წინააღმდეგ ბრძოლის ეპიზოდებზე, სამარცხვინო ბოძზე აკრავს კლერიკალურ წრეებს, განსაკუთრებით კი ანტონ პირველს, რომელმაც სიტყვიერი შეურაცხყოფა არ აკმარა და ვეფხისტყაოსანი ცეცხლს მისცა. მეცნიერი კმაყოფილებით აღნიშნავს: „მაინც ქართველი ხალხის საღი აზროვნებისა და მხატვრული გემოვნებისათვის სასახელოა, რომ ჩვეულებრივმა მკითხველმა და მსმენელმა ამ ბრძოლაში გამარჯვება შოთას არგუნა და მისი ქმნილება უკვდავების შარავანდედით შემოსა".[3]

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის საკითხები, 1956, გვ. 5.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 6—7.

რატომ არის, რომ შოთას „ვეფხისტყაოსანს“ ვერაფერი დააკლეს და რაც დრო გადიოდა, კიდევ უფრო მეტ ღირებულებას იძენდა იგი? იმიტომ, რომ ქართველ ხალხს ლხინსა თუ ჭირში „ყოველთვის „ვეფხისტყაოსნის“ დაუშრეტელი სიბრძნე აგონდებოდა ხოლმე. ცხოვრების ყოველი მნიშვნელოვანი შემთხვევისათვის ადამიანის გულისნადების ამ დიდი მესაიდუმლის გასაოცარ შემოქმედებაში ან წამახალისებელს ან გამამხნევებელს პოულობდა, სიცოცხლის ყოველ მოვლენაში ღრმად ჩაჭვრეტასა და ჩაკვირვებასაც იგივე ასწავლიდა. ქართველი ხალხისათვის ლხინსაც კი ურუსთაველოდ შნო არა ჰქონდა“.[1]

შემდეგ ივ. ჯავახიშვილი მოკლედ მიმოიხილავს შოთა რუსთაველის შესახებ არსებულ ლიტერატურას და მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ დაიწერა და გაირკვა, მაინც როცა დავსვამთ საკითხს „მოხდილი ჰქონდა თუ არა საქართველოს ის ზნეობრივი მოვალეობა. რომელიც თავისი დიდებული მგოსნის წინაშე აწევს, დაცული აქვს თუ არა თვალისჩინივით ის ხელისხელ საგოგმანები მარგალიტი, რომელიც შოთა რუსთაველმა მას შესძინა, სცადა თუ არა ამ მარგალიტისათვის ის მაინც მოეშორებინა, რაც ამ ძვირფას განძს საუკუნეთა განმავლობაში შეუგნებელ მოყვარულთა და მოძულეთა წყალობით მოეცხო, — ცხადია, რომ ყველა ზემონათქვამი უარყოფის გარდა, სხვის არაფრის თქმის უფლებას არ გვაძლევს. ქართულ მეცნიერებას თავისი გენიოსი მგოსნის წინაშე ზნეობრივი მოვალეობა მოხდილი არა აქვს“.[2]

ივ. ჯავახიშვილის ამ დასკვნის შემდეგ მრავალი წელი გავიდა. არა ერთი და ორი პირველხარისხოვანი გამოკვლევა დაიწერა შოთა რუსთაველისა და მისი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. შოთას სახელი მთელს მსოფლიოს გასწვდა, 800 წელი იზეიმეს „ვეფხისტყაოსნის“ დაწერისა, მაგრამ ივ. ჯავახიშვილის დებულება, რომ ქართველი მეცნიერები ვალში არიანო შოთას მიმართ, ეფიქრობთ, ძალაში რჩება.

კრებულში — ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკი-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის საკითხები, 1956, გვ. 7.
[2] იქვე, გვ. 11.

თხები მოთავსებულია ივ. ჯავახიშვილის ორგვერდნახევრიანი წერილი რუსულ ენაზე — «Личность и мировозрение».

ამ წერილში აღძრული საკითხები ეხება ეპოქის საერთო ვითარებას, პოემის ძირითად არსს, პოეტის ვინაობას. პოემა გამოცხადებულია სარაინდო პოეზიის უმაღლეს მწვერვალად. ივ ჯავახიშვილი წერს: «Все его симпатии, весь его талант посвящены рыцарству, вся его поэма представляет гимн рыцарской любви и самоотверженности, и это обстоятельство свидетельствует о том, что именно эта среда была ему самой дорогой и самой близкой».[1]

რელიგიისადმი შოთას დამოკიდებულების საკითხი, ქალის პრობლემა და სხვა, ამ წერილში ახლებურად არის დასმული და გადაწყვეტილი.

ამ რუსულ წერილს მოსდევს ასევე მოკლე (ოთხგვერდიანი). მავრამ საინტერესო სტატია — რუსთაველის ეპოქის სოციალური კულტურა და პოემა „ვეფხისტყაოსანი".

ავტორი იმ აზრისაა, რომ რუსთაველის ეპოქის სოციალური სტრუქტურა დახასიათებული უნდა იქნას იმ ეპოქის საერთო მოვლენების გათვალისწინების შუქზე.

ივ. ჯავახიშვილი მოკლედ მიმოიხილავს დიდგვაროვანთა წინააღმდეგობას ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ, დაწყებული ბაგრატ III-ის მეფობიდან თამარის ჩათვლით. აღნიშნავს ამ ბრძოლის სოციალურ შინაარსს, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ქალის გამეფების პრობლემას და წერს: გიორგი III-ის დროს „საქართველოს წინაშე დადგა პრობლემა, შეეძლო თუ არა ქალს, რომელსაც მანამდე არავითარი პოლიტიკური უფლებები არ ჰქონია, დაეკავებინა უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობა. ასულიყო სამეფო ტახტზე".[2]

ეს საკითხი დადებითად გადაწყდა, ტახტზე ავიდა თამარი. „თამარის მეფობის დროს სახელმწიფო წყობილება საქართველოში ინტენსიური პოლიტიკური ბრძოლის შემდეგ საბოლოოდ ჩამოყალიბდა და შეიქმნა შეზღუდული, კონსტიტუციური მონარქია".[3]

---

1 ივ. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის საკითხები, 1956, გვ. 14.
2 იქვე. გვ. 17.
3 იქვე.

თამარის დროინდელი საქართველოს საზღვრები გადაჭიმული იყო ნიკოფსიით დარუბანდამდე, ჩრდილოეთ კავკასიის პოლიტიკური გაერთიანებები საქართველოს ვასალურ სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ. მთელი ჩრდილოეთი სპარსეთი ყაზვინამდე და რამტურამდე იმყოფებოდა ვასალურ დამოკიდებულებაში. დასავლეთითაც არზრუმში საქართველოს სახელმწიფო დროშა ფრიალებდა.

ერთი სიტყვით, მაშინდელი საქართველო მრავალეროვან სახელმწიფოს წარმოადგენდა. თავისთავად ცხადია, დაისვა სხვა ხალხებისადმი ქართველების დამოკიდებულების საკითხი.

ამ კითხვაზე ივ. ჯავახიშვილმა ასეთი პასუხი გასცა: „ქართველი ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ თამარ მეფე პატივს სცემდა საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში შემავალი სახელმწიფოებისა და ერების უფლებებს და უარყოფითად ეკიდებოდა ინკოალიციას, ამყარებდა მხოლოდ ვასალურ დამოკიდებულებას. ისტორიკოსის ცნობით, იგი ამ პოლიტიკას ეწეოდა საკუთარი შეგნებულად, ფიქრობდა რა, რომ საქართველოს სახელმწიფოს კონსოლიდაციის ამოცანა საკუთარი განხორციელებული იყო“[1].

რა დამოკიდებულებაშია საქართველოს ამ პოლიტიკურ ვითარებასთან შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანი? ივანე ჯავახიშვილი უპასუხებს: „მე მგონია, ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ ჩვენ უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ პოემაში აისახა ის პოლიტიკური ტენდენციები, რომლებიც იმ დროს საქართველოში არსებობდა“.[2]

ივ. ჯავახიშვილი უფრო აკონკრეტებს თავის დებულებას და დასძენს: „შოთა რუსთაველის ნაწარმოებში ასახულია ქართველი საზოგადოების პროგრესული ფენების იდეები, საზოგადოების, რომლის უბადლო მებაირახტრეც ის იყო: ხალხთა ძმობა — განურჩევლად სარწმუნოებისა და ეროვნებისა. ეს ძმობის იდეა გენიალური პოეტის ნაწარმოებში აბსტრაქტული წინადადება როდია, ეს არის მწვავე საკითხი, რომელსაც საქართველოს ისტორიისათვის, საქართველოს სახელმწიფოსათვის დიდი და პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა“[3].

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის საკითხები, 1956, გვ. 17.

[2] იქვე, გვ. 18.

[3] იქვე.

სრულიად ნათელია ივ. ჯავახიშვილის დებულების უდიდესი მნიშვნელობა: „ამ პოემაში გადმოცემულია ცხოვრების ზოგიერთი ისეთი პირობები, ისეთი ჩვეულებანი, რომლებიც მაშინდელ საქართველოში არსებობდა. თუმცა იქ დასახელებულნი არიან არაბები, სპარსები, ინდონი, ხატაელნი, მაგრამ ისინი აზროვნებენ, ცხოვრობენ, იბრძვიან სრულებითაც არა ისე, როგორც ეს იქნებოდა იმ ქვეყანაში, რომლებიც იქ დასახელებულია. შოთა რუსთაველის გმირებში ქართველის გული ძგერს, მის გმირებს მაშინდელი საქართველოს საკითხები აღელვებს".[1]

კ. ჰიჰინაძის მიერ გამოცემული „ვეფხისტყაოსნის" ირგვლივ დიდი შეხლა-შემოხლა გაიმართა. ამ გამოცემასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილმა 1934 წელს დაწერა მოხსენებითი ბარათი, სადაც არა ერთი საინტერესო მოსაზრება წამოაყენა.

როგორც ცნობილია, დღემდე არაა დადგენილი „ვეფხისტყაოსნის" ავტორისეული ტექსტი. საკამათოდაა მიჩნეული, ვახტანგმა ძველი ხელნაწერი აირჩია და დაბეჭდა, თუ სრულიად ახალი, კრიტიკულად გადამუშავებული ტექსტი. „ვეფხისტყაოსნის" შესწავლის დღევანდელი მდგომარეობა მოწმობს, რომ ვახტანგის გამოცემა არ არის რომელიმე ძველი ხელნაწერის გამეორება. იგი კრიტიკულად გადამუშავებული სრულიად ახალი ტექსტია. ამ აზრს მაშინ არ იზიარებდა ივ. ჯავახიშვილი, არც ახლა იზიარებს პაელე ინგოროყვა.

ივ. ჯავახიშვილი წერდა; „ვინც ძველი ქართული მწერლობისა და ისტორიის დარგის წესები იცის და მაშინდელ მეცნიერთა მეთოდებიცა და მიზნებიც გათვალისწინებული აქვს, ის, ცხადია, ვერასგზით ვერ დაიჯერებს, რომ ვახტანგ VI-ს შოთას ქმნილების ტექსტის აღდგენა თვითნებურად ეცადნა. ვახტანგ VI-ისა და მის დროინდელ მეცნიერთა მუშაობა წერილობითს ძეგლებზე იყო ყოველთვის დამყარებული. ხელნაწერთა ტექსტის შეცვლას ისინი ვერ ბედავდნენ მაშინაც, როდესაც შეცდომა ცხადი იყო. მის საზრუნავს ძველი ძეგლის შეურყვნელად და სისრულით დაცვა შეადგენდა. ამისათვის ის საუკეთესო ხელნაწერებს ეძებდა და უმჯობესი მათგანნი ჰქონდა ამ მიზნით გამოყენებული".[2]

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის საკითხები, 1956, გვ. 19.
[2] იქვე. გვ. 22.

იმ მკვლევარებს, რომელთაც მაშინ ეს არ ჯეროდათ, ივ. ჯავახიშვილი ურჩევდა, გაეთვალისწინებინათ შემდეგი მდგომარეობა: „როდესაც ამა თუ იმ ნაწარმოების მერმინდელი, შეგნებული, რედაქტორული შეცვლილობისა და შეკვეცილობის ეჭვი, თუ რწმენა არსებობს, უნდა წინასწარ გამორკვეულ იქნას, თუ რა მოსაზრებით შეეძლო რედაქტორს, თუ გამომცემელს ტექსტის შემოკლების, თუ შეცვლის დროს ეხელმძღვანელა და რა გარემოებამ აიძულა ისინი ასე მოქცეულიყვნენ".[1]

ივ. ჯავახიშვილი კატეგორიულად მოითხოვდა: „ის პირნი, რომელნიც ვახტანგ VI-ს ბრალსა სდებენ და ამტკიცებენ, ვითომც მას შოთას თხზულებისათვის მისი განუყოფელი ნაწილი თვითნებურად ჩამოეშორებინოს და ამით „ვეფხისტყაოსნის" მთლიანობაც და ლოგიკური კავშირიც დაერღვიოს, ვალდებულნი არიან, ის მაიძულებელი მიზანი მაინც დაასახელონ, რომელმაც ქართული კულტურული განძეულობის ეს სწორეპოვარი მოამაგე აიძულა ასეთი უმართებულო საქციელი ვითომცდა ჩაედინა".[2]

ივ. ჯავახიშვილი აქ გვევლინება, როგორც მოკამათე, მაგრამ მისი მსჯელობა და ინტერესთა სფერო ჩვეულებრივ მოკამათის როლს სცილდება და არა ერთ საინტერესო პრობლემაზე ამახვილებს ყურადღებას.

განსაკუთრებით საინტერესოა ქალის პრობლემა „ვეფხისტყაოსანში". ივ. ჯავახიშვილი ამტკიცებდა, რომ საქართველოში ქალის უფლებრივი მდგომარეობის პრობლემა თამარის გამეფების შემდეგაც არ გადაჭრილა და დიდგვარიან ფეოდალთა წინააღმდეგობა თამარის მეფობის დროსაც და შემდეგაც გრძელდებოდაო. ამის საილუსტრაციოდ ის ასახელებს გიორგი რუსის ორგზის აჯანყებას და რუსუდანის გამეფებისა და მისი მემკვიდრის ნარინ დავითის გამეფების დროს ატეხილ დავას.

აი ეს გარემოება გაითვალისწინა განსვენებულმა მეცნიერმა და დაასკვნა: „ქალის მეფობის პრობლემა შოთას დროს სრულებითაც დრომოჭმული საკითხი არ ყოფილა. ჩვენი მგოსანი ამ უფლებამოსილობის საუკეთესო მომხრე მებრძოლთაგანი ჩანს. უეჭველია

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის საკითხები, 1956, გვ. 22—23.

[2] იქვე, გვ. 23.

ამითი უნდა აიხსნებოდეს მისი რომანის ორი რკალის სრული ანალოგიურობა: იქაც და აქაც ქალის გამეფების საკითხია გადაწყვეტილი. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ შოთას ქალის მეფობის კანონიერების პრობლემის გადასაწყვეტად მაჰმადიანთა ქვეყნები აქვს არჩეული, სადაც ქალი უფლებრივად ქართველ ქალზე შეუდარებლივ დაბლა იდგა. მით უფრო ძლიერი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა ამ გარემოებას ქართველ მკითხველ საზოგადოებაზე! ამითვე უნდა აიხსნებოდეს, რომ ორთავე შემთხვევაში ქალები აქტიურ პიროვნებად და მმართველი ნებისყოფის პატრონებად არიან გამოყვანილნი, მამაკაცები კი მათი სურვილისა და გეგმების აღმსრულებელნი არიან".[1]

ივ. ჯავახიშვილს დაწერილი აქვს სპეციალური გამოკვლევა „ვეფხისტყაოსანი".

ეს გამოკვლევაც მისი სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნდა კრებულში — ქართული ენისა და მწერლობის საკითხები. იგი პოლემიკური ხასიათისაა. მეცნიერი არა მარტო არჩევს აკადემიკოს ნ. მარის დებულებებს და მტკიცებებს, თავის მხრივ არაერთ საყურადღებო მოსაზრებასა და დებულებას გვთავაზობს.

საერთოდ, ივ. ჯავახიშვილი, რა თქმა უნდა, არ უარყოფს ნიკო მარის დამსახურებას „ვეფხისტყაოსნის" კვლევის საქმეში. პირიქით, იგი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის" გენიოსი ავტორის მსოფლმხედველობისა, მიზნისა და პოეტური მრწამსის შესახებ პირველი მშვენივრად დაწერილი მონოგრაფია აკად. ნიკო მარის კალამს ეკუთვნის. მისმა ამ გამოკვლევამ „ვეფხისტყაოსნის" შესწავლის ახალი ხანა შექმნა, ხოლო მსოფლიო ლიტერატურასთან პარალელების წამოყენებამ შოთა რუსთაველის მნიშვნელობის წინანდელი ვიწრო, მხოლოდ საქართველოთი შემოფარგლული, საზღვრები გადალახა და ცხადჰყო ის ადგილი, რომელიც შესაძლებელია ქართველი მგოსნის უკვდავ ქმნილებას კაცობრიობის პოეტური და გონებრივი კულტურის ისტორიაში მიეკუთვნოს".[2]

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის საკითხები, 1956, გვ. 28. ივ. ჯავახიშვილს მხედველობაში აქვს ნ. მარის ნაშრომი «Вступительные и заключительные строфы Витязя в барсовой коже Шоты из Рустава, с этюдом «Культ женщины и рыцарство в поэме» (ТР, XII, 1910).

[2] იქვე, გვ. 10.

მაგრამ ამასთან ერთად, როგორც ცნობილია, ნ. მარმა არა ერთი მცდარი მოსაზრებაც გამოთქვა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ ივ. ჯავახიშვილი დიდ პატივს სცემდა ნიკო მარს, მან, როგორც გულმართალმა მეცნიერმა, ნ. მარის მცდარი მოსაზრებები გააკრიტიკა.

ივ. ჯავახიშვილი საერთო შენიშვნას აკეთებს და წერს: „ჩვენში უფრო იმით იყვნენ გატაცებულნი, რომ სპარსულობის მომხრეთ თავიანთი აზრი გაეტანათ და ამის მოწინააღმდეგენი ცრუ მამულიშვილობის ბრალდებით ჩაეჩუმებინათ, ხოლო ორიგინალურობის მომხრეებს გააფთრებითვე მოპირდაპირეებისათვის ქართული შემოქმედების დამცირების იდუმალი ზრახვის დაწამებით ღელოს გატანა სურდათ. ამ ვნებათაღელვით აღსავსე ბრძოლის დროს არც ერთი მხარე მაინცდამაინც თავიანთი შეხედულების დამშვიდებით დასაბუთებასა და საკითხის საფუძვლიან შესწავლას არ შესდგომია".[1]

ივ. ჯავახიშვილმა ერთგვარი ისტორიული ექსკურსი გააკეთა, მიმოიხილა ინდოეთის გამაჰმადიანების ისტორია, შეეხო „ვეფხისტყაოსანში" სპარსეთისა და ხვარაზმის ადგილს და ამ ფონზე სცადა დაემტკიცებინა, რომ „ვეფხისტყაოსანი" არ შეიძლება სპარსული სამყაროდან მომდინარეობდესო.

რა თქმა უნდა, ეს ხერხი ერთ-ერთი საბუთიანობა იყო და სხვა არგუმენტებიც საკმაოდ ბევრი დაიმოწმა.

როგორც ცნობილია, „ვეფხისტყაოსანი" ქართულ ორიგინალურ ნაწარმოებად პირველად ვახტანგ VI-მ აღიარა. მან გაბედულად განაცხადა: „ეს ამბავი სპარსშიდ არ არის და სპარსთ კაი მელექსობა იცოდნენ და თამარ მეფე კარგი და ძალიანი ხელმწიფე რომ იყო, ვითამ ეს ამაზედ მოინდომა: ასეთი საქმე სხვაშიდ რატომ იყოსო, რომე ქართლშიაც არ იყოსო, და უბრძანა მის მდივანს რუსთველს ქართულის ენით კაი ლექსები თქვიო. აწე ამას ამბობს, სპარსულის მიბაძვით, რადგან ათქმევინა თამარ მეფემ, რომ სპარსთაგან ვსთარგმნეო, თვარემ სპარსშიდ ეს ამბავი არსად იპოება. ამბავიც თვითონ

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის საკითხები, 1956 წ., გვ. 32.

გააკეთა და ლექსადაც იმისთვის უბნობს, რომ სპარსის ლექსის ბაძზედ რომ სთქვა, სპარსული ამბავი ქართულად ვსთარგმნეო".[1]

ივ. ჯავახიშვილმა ეახტანგ VI-ის ეს მოსაზრება გაიზიარა. ყურადღება მიაქცია იმასაც, რომ პოემაში სპარსელები (ხვარაზმელები) აუგად არიან მოხსენებული („ეგე ამბად არ ეგების, რომე სპარსნი გაგვიხასდენ!" „სპარსთა ვერა ვიქმ ინდოეთისა ჭამასა") და დაასკვნა: „რაკი „ვეფხისტყაოსანში" სპარსეთსა და სპარსთა სამეფოს სახლს ასეთი მეორე ხარისხოვანი და დამამცირებელი ადგილი აქვს დათმობილი და პოემა სპარსელებისადმი ცხადი პოლიტიკური სიძულვილით არის გამსჭვალული, საეჭვო და შეუძლებელიც კია, რომ იქ მოთხრობილი ამბავი სპარსული იყოს. დედააზრითა და პოლიტიკური მრწამსით მას სპარსული არაფერი აქვს".[2]

როგორც ცნობილია, მარი ხშირად იცვლიდა თავის შეხედულებას საერთოდ და შოთა რუსთაველის ვინაობაზე, კერძოდ; მას ერთხანს შოთა რუსთაველი და ჩახრუხაძე ერთი და იგივე პირი ეგონა (1902 წ.), შემდეგ (1917 წ.) ნ. მარმა ჩახრუხაძეს ჩამოაშორა შოთა, XIV საუკუნის მწერლად აღიარა და „მესხობა" დაუტოვა, თუმცა გაკვირვებული იყო, რომ ასე ცოტა პრისო „ვეფხისტყაოსანში" თურქული სიტყვები.

ივ. ჯავახიშვილი ხედავდა რა ნ. მარის მცდარობას, აღნიშნავდა: „ვეფხისტყაოსნის" ენის ლექსიკური შედგენილობის თვისებაზე დამყარებული მსჯელობა ლოგიკურად უნდა იყოს დაბოლოვებული. ამ ძეგლის ენას მარტო თურქული სიტყვების მეტისმეტი სიმცირე კი არ ახასიათებს, არამედ ისიც, რომ მონღოლურიდან შემოხიზნული სიტყვები იქ სრულებით არ მოიპოვება. ეს გარემოება მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ქართული მწერლობის XIV ს. ყველა ძეგლების ენას უკვე მონღოლური სიტყვები შერეული აქვს. შოთას ქმნილებას კი ეს თვისება არ ეტყობა. ამიტომ „ვეფხისტყაოსნის" XIV ს. დამლევის ნაწარმოებად მიჩნევა შეუძლებელი ხდება. ხოლო თვით თურქული სიტყვების სიმცირეც-კი ამ ძეგლის ენას

---

[1] ციტირებულია ივ. ჯავახიშვილის შრომიდან „ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები", გვ. 35.

[2] იქვე, გვ. 36.

ქართული კლასიკური ხანის ენას უახლოვებს და XII ს. უფრო მჭიდროდ უკავშირებს".[1]

ასეთი იყო ივ. ჯავახიშვილის შეხედულება შოთა რუსთაველზე და მის უკვდავ ქმნილებაზე — „ვეფხისტყაოსანზე". რუსთაველოლოგია დღეს ძალიან დაწინაურდა. ახლა უკვე აღარავინ აღიარებს „ვეფხისტყაოსნის" არაქართულობას, ივ. ჯავახიშვილის წინასწარხედვა გამართლდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ივ. ჯავახიშვილი საჯარო ლექციის კითხვის დროს გარდაიცვალა. მისი უკანასკნელი ლექციის თემა იყო „ქართული ფილოლოგიისა და ძველი ქართული მხატვრული ეპოსის ისტორიის ამოცანები". მე ბედნიერება მქონდა ამ ლექციას დავსწრებოდი.

ლექციის ტექსტი პირველად გამოქვეყნდა 1956 წელს ივ. ჯავახიშვილის ნაშრომში — ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები. გამომცემელი შენიშვნას უკეთებს ამ ლექციის ტექსტს — „დაუმთავრებელია. ბეჭდურად პირველად ქვეყნდება".

მიუხედავად მისი დაუმთავრებლობისა, იქ ბევრი საინტერესო დებულებაა წამოყენებული, რომელთა მოკლე მიმოხილვა საჭიროდ მიგვაჩნია.

როგორც ცნობილია, X—XI საუკუნეებში ქართველ მთარგმნელთა მთელი პლეადა მოღვაწეობდა. ამ პლეადის დიდი წარმომადგენლები იყვნენ ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები, შემდეგში ეფრემ მცირე და სხვანი.

თარგმნილი ლიტერატურა პირველ ხანებში უმთავრესად სასულიერო ხასიათისა იყო და ბერძნულიდან სიტყვა-სიტყვით არ თარგმნიდნენ.

თუ რატომ მიმართავდნენ ასეთ ხერხს, ამაზე ეფრემ მცირემ ასეთი პასუხი გასცა: მაშინ ჩუენი ნათესავი ლიტონ იყო და ჩჩჳლ... ამიტომაც ნუმცა (ვის) უკჳრს უკუეთუ წ≈ა მამაჲ ჩუენი ეფთჳმე ამათგანსა რასმე თანაწარჴდა და სიჩჩოებასა ჩუენსა ნათესავისასა სძითა ზრდილა და მხლითა".[2]

[1] ციტირებულია ივ. ჯავახიშვილის შრომიდან ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები", გვ. 37.

[2] ციტირებულია ივ. ჯავახიშვილის დასახ. შრომიდან, გვ. 61.

ივ. ჯავახიშვილმა ეფრემ მცირის ამ დებულებას ასეთი ახსნა მისცა: „ამრიგად, ეფრემ მცირე ფიქრობდა, რომ ეფთვიმე მთაწმინდელის ნათარგმნ ნაშრომებში დანართ-ჩანართი ადგილები ამ გამოჩენილი მოღვაწის სრულებით შეგნებული და მიზანშეწონილი მოქმედების ნაყოფს წარმოადგენდა, მისი ერთგვარი პედაგოგიური ღონების შედეგი იყო. ექვთიმე მთაწმინდელს გათვალისწინებული ჰქონდა, რომ მისდროინდელი ქართველი ფართო მკითხველი რთული შინაარსის თხზულებებისათვის ჯერ საკმაოდ მომზადებული არ იყო და ამიტომ აუცილებლად საჭიროდ სცნო, რომ დედნის ავტორის აზრთა მიმდინარეობა თავისი საკუთარი დანართი და ჩანართი განმარტებებითურთ უფრო გასაგები და ადვილი შესათვისებელი გაეხადაო“.[1]

ლექციაზე ივ. ჯავახიშვილი ერცლად შეჩერდა შუა საუკუნეების ისეთ ნაწარმოებებზე, როგორიცაა: „ამირანდარეჯანიანი“, „ვისრამიანი“, „შაჰნამე“ და სხვ.

ამ ძეგლების შესახებ არსებული ლიტერატურა ივ. ჯავახიშვილმა ვრცლად მიმოიხილა და სცადა აეხსნა იმ უთანხმოების მიზეზი, რომელიც არსებობს მკვლევართა შორის ამა თუ იმ ძეგლის დაწერის თარიღის, ავტორის ვინაობის, ძეგლის წარმომავლობისა და სხვა საკითხებზე.

მართლაც ყველა აქ ჩამოთვლილ ძეგლებს დიდი ხანია ირკვევენ და მოსაზრებაც სხვადასხვა არსებობს. ა. გრენი „ამირანდარეჯანიანს“ რაინდულ რომანად თვლიდა და XIII საუკუნის დამლევით ათარიღებდა. პ. ინგოროყვა „ამირანდარეჯანიანს“ „სარაინდო რომანს“ უწოდებდა, ნ. მარიც „რომანს“ უწოდებდა. კ. კეკელიძე ერთის მხრით ეპოსს უწოდებდა, მეორე მხრით „სადევგმირო ხასიათის“ ნაწარმოებად თვლიდა. შემდეგში კ. კეკელიძემ „ამირანდარეჯანიანს“ „სადევგმირო რომანი“ უწოდა; ზოგჯერ „სადევგმირო მოთხრობების“ კრებულადაც ასახელებდა. პროფ. ალ. ბარამიძისათვისაც „ამირანდარეჯანიანი“ სარაინდო ნაწარმოებია.

მკვლევარები „ამირანდარეჯანიანის“ სადაურობასაც შეეხნენ და ამ საკითხზეც განსხვავებული შეხედულებები ჩამოაყალიბეს.

---

[1] ციტირებულია ივ. ჯავახიშვილის დასახ. შრომიდან, გვ. 61.

კ. კეკელიძის აზრით. „ამირანდარეჯანიანი" არის ქართული რედაქცია მაჰმადიანთა, კერძოდ სპარსთა, სადეგმირო კრებულისა, რომელსაც ყისაჲ ჰამზა ეწოდება".[1] მისივე აზრით ეს ნაწარმოები ქართულად XI საუკუნეში ითარგმნა.[2]

ივ. ჯავახიშვილმა მიმოიხილა რა არსებული მოსაზრებანი, ყურადღება გაამახვილა კვლევის დროს ისტორიზმის გათვალისწინების აუცილებლობაზე. იგი შენიშნავდა: „ძველი ქართული თხზულებებისათვის თანამედროვე მეცნიერებამ უნდა უპირველესად მათთვის შესაფერისი სახელები მოუძებნოს, უნდა მკვლევარს ახსოვდეს, რომ თანამედროვე და წინანდელს აზროვნებასა და მხატვრულ გემოვნება-მოთხოვნილებას შორის ბევრ რამეში დიდი განსხვავება იყო და ამიტომაც თხზულებათა ჯგუფებისათვის აწ მიღებული ზოგადი ტერმინ-სახელები ყოველთვის ვერ აღმოჩნდება გამოსადეგი. ძველი თხზულებების ჯგუფებისათვის თანამედროვე სახელების მიკერების ანდა ხელოვნურად შეთხზული სახელების ხმარების მაგიერ, მკვლევარი ჯერ უნდა ეცადოს მიუხვდეს ამ თხზულებების დამწერთაგან თაკიანთი ქმნილებისათვის დასახულს მიზანსა და დედააზრს".[3]

რადგან ასეთი მოთხოვნილება წამოაყენა, ივ. ჯავახიშვილი შეეცადა გაერკვია, მართლაც სარაინდო რომანია თუ არა „ამირანდარეჯანიანი".

რომ „ამირანდარეჯანიანი" სარაინდო რომანად მივიჩნიოთ, საჭიროა გავითვალისწინოთ ორი რამ: 1. ან იქ რაინდებზე უნდა იყოს უმთავრესად საუბარი, ანდა მისი შინაარსი რაინდებისათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. 2. რომანის სახელი მისთვის შესაფერისი იქნება, თუ რომ მისი მთელი შინაარსის მთავარ ნაწილს მართლაც სამიჯნურო ამბავი შეადგენს.[4]

ივ. ჯავახიშვილმა სათანადო ადგილი დაიმოწმა „ამირანდარეჯანიანიდან", საიდანაც ჩანს, რომ ამ ნაწარმოებში რაინდს, რომელიც

---

[1] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 54—55.
[2] იქვე, გვ. 55—56.
[3] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 62—63.
[4] იქვე.

მხოლოდ ერთხელ არის მოხსენებული, ცხენის გახედვნის ფუნქცია აქვს და მეტი არაფერი.

პროფ. ალ. ბარამიძემ ყისაჲ ჰამზას თხზულება „დასტან ამირ-ჰამზა" შეადარა „ამირანდარეჯანიანთან" და ნათელი გახადა, რომ ამ ორ ნაწარმოებს შორის არავითარი საერთო არ არსებობს, თუმცა მან დასაშვებად მიიჩნია, რომ „ამირანდარეჯანიანი" სპარსული წარმოშობისაა.

პროფ. ს. კაკაბაძემ „ამირანდარეჯანიანი" ქართულ ორიგინალურ ნაწარმოებად აღიარა.

როგორც დავინახეთ, ამ შესანიშნავი ძეგლის ირგვლივ მრავალი სხვადასხვა აზრია გაბატონებული. არც დაწერის თარიღზეა შეთანხმება, ზოგი XI საუკუნისად (კაკაბაძე, კეკელიძე) თვლის, ზოგი XII საუკუნისად (მარი, ბარამიძე), ზოგი XIII საუკუნისად (გრენი).

ივ. ჯავახიშვილი აქაც ისტორიულ რეალიებს იშველიებს და ყურადღებას მიაქცევს იმ ფაქტს, რომ „ამირანდარეჯანიანში" იხსენება ისეთი სიტყვები, რომელიც მონღოლთა ბატონობის დროს ჩნდებიან ქართულში. ასეთებია თათარნი და ყარაული. ყარაული თუმცა თურქული სიტყვაა, მაგრამ ის მონღოლთა ბატონობის დროს შემოდის ქართულში და ჟამთააღმწერელი ხმარობს პირველად.

იმასთან დაკავშირებით, რომ თათარი და ყარაული არის ნახსენები, თანაც მონღოლთაგან ეგვიპტის აოხრების ამბავია მოთხრობილი მესამე კარში, რაც „ამირანდარეჯანიანში" მონღოლთა ხანის ანარეკლზე მიგვითითებს, ასე, რომ „XIII ს. მეორე ნახევრის ცხოვრების ვითარების კვალი ამ თხზულებაში მკაფიოდ მოჩანს და ამ გარემოების ასე ადვილად მოშორება არც შეიძლება და არც მიზანშეწონილი იქნებოდა, ამ საკითხს ყოველმხრივი გულდასმითი განხილვა და აწონდაწონა სჭირდება".[1]

ამ კონცეფციით განიხილავს ჯავახიშვილი „ვისრამიანსა" და „შაჰნამესაც" და სინანულს გამოთქვამს, რომ „ძეგლების ფილოლოგიური და რეალიების თვალსაზრისით გაღრმავებული შესწავლისა და კვლევა-ძიების... მაგიერ ჩვენში უცნაური მდგომარეობაა: ის-

---

1 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 68.

ტორიკოსები მხატვრული მწერლობის თხზულებებს ბეჭდავენ, მხატვრული მწერლობის ისტორიკოსები კიდევ საისტორიო თხზულებების გამოცემას ანდომებენ თავიანთ დროსა და ცოდნას, თითქოს მათ თავთავიანთ დარგში ყველაფერი გაკეთებული ჰქონდეთ და სამუშაო იქ გამოლეული იყოს. ამავე დროს ვერც ერთი ამ დარგთაგანი, მეტადრე კი ისტორიული, ჩვენში ვერ დაიკვეხებს, რომ ტექსტების გამოცემა თანამედროვე ფილოლოგიის სამეცნიერო დონეს შეეფერებოდეს".[1]

ამ საყვედურს გამოსთქვამდა იგი 28 წლის წინათ, მას შემდეგ ბევრი რამ გაკეთდა და გამოსწორდა, მაგრამ დიდი ივანეს ამ ანდერძის მსგავსი დავალება მაინც მთლიანად არ შესრულებულა.

ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა მისი რამდენიმე ნაშრომი ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიის საკითხებზე.

1946 წელს გამოვიდა ივ. ჯავახიშვილის „მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის".

1

მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში

ეს ნაშრომი 283 გვერდს შეიცავს და შვიდი კარისაგან შედგება. პირველ კარში განხილულია საერთო ნაგებობათა სახეობანი. სახელდობრ:

1. საცხოვრებელი ნაგებობანი საშენებელი მასალის მიხედვით.
2. საცხოვრებელი ადგილები და ნაგებობანი ზოგადად,
3. სასახლეების ტერმინები,
4. სასახლის ნაწილების ტერმინები.
5. საერო ნაგებობანი დანიშნულებისდა მიხედვით,
6. საცხოვრებელ ნაგებობებთან დაკავშირებული შენობები.

მეორე კარში საუბარია ქალაქსა და მის ნაგებობებზე, შესწავლილია:

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, დასახ, შრომა, გვ. 74.

1. ქალაქის დამახასიათებელი ნიშნები,
2. ქალაქის მთავარი ნაგებობანი,
3. ქალაქის სავაჭრო და საზოგადოებრივი ნაგებობანი,
4. გზები და ხიდები.

მესამე კარში საუბარია საკულტო ნაგებობათა აღმნიშვნელ ტერმინებზე. მეცნიერის მიერ განხილულია:

1. საკულტო ნაგებობანი ზოგადად,
2. ქრისტიანული საღვთისმსახურო ნაგებობანი,
3. ტაძართა სახეები,
4. მონასტრები და მათი ნაგებობანი,
5. მონასტრების სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი,
6. საკულტო დანიშნულების სხვა ნაგებობანი.

მეოთხე კარში ავტორი არკვევს საკულტო ნაგებობათა ნაწილებს. კერძოდ, გარკვეულია:

1. სააღმშენებლო ხელოვნების ზოგად ცნებათა ტერმინები.
2. შენობის ნაწილები,
3. საკულტო ნაგებობათა შინაგანი ნაწილები.

მეხუთე კარში სასახლის შინაგან ნაწილებზეა მოთხრობილი და გვირკვევს თუ რას წარმოადგენდა:

1. დარბაზი ანუ სამეფო სასახლე.
2. სახუროთმოძღვრო ამოცანები სასახლის აგების დროს.
3. სასახლის შინაგანი მოკაზმულობა.

მეექვსე კარს ასე ეწოდება: „ნაგებობათა მასალა და მშენებლობისათვის განკუთვნილი ტექნიკური საშუალებანი“. ამ კარის პარაგრაფებია:

1. ხუროთმოძღვრის ამოცანები შენობის ასაგები ადგილის შერჩევისას.
2. მშენებლობის საქმე,
3. ქვით ხუროობა,

4. ნაგებობის ტექნიკური თვისებების დამახასიათებელი ტერმინები.

უკანასკნელ მეშვიდე კარში საქართველოში ხით ხუროობაზეა საუბარი.

ამ ტომს სამი დამატება აქვს დართული:

I. **Термины искусств и главнейшие сведения о памятниках искусства и материальной культуры в древнегрузинской литературе.**

II. ძველი ქართული კულტურული მემკვიდრეობის ათვისებისა და თანამედროვე ქართული ხელოვნების ამოცანები.

III. ტერმინებისათვის (მოწმობანი).

ამ ტომის წინასიტყვაობაში, რომელსაც ხელს აწერს პროფესორი ილია აბულაძე, ვკითხულობთ: „წინამდებარე ნაშრომი ერთი იმათთაგანია, რომელიც მისმა ავტორმა, აკად. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ მ ა, თავის სიცოცხლეში ვერ მოასწრო გამოექვეყნებინა. მუშაობა მასზე ჯერ კიდევ პეტერბურგში მოღვაწეობისას ჰქონია დაწყებული და ერთი ნაწილი, რომელიც აქ დამატებაშია მოთავსებული, რუსულ ენაზე იქვე გამოუქვეყნებია «Христианский Восток»-ში“.

ჩვენ ჩამოვთვალეთ ყველა ის ძირითადი საკითხი, რომელიც კვლევის საგნად გაუხდია განსვენებულ მეცნიერს. ერთი შეხედვით თითქოს ისტორიკოსის საქმე არ იყო ამგვარი საკითხების კვლევა. ის სათანადო სპეციალისტმა უნდა იკვლიოს, მაგრამ, ჰართლაც რომ ერთი შეხედვით. სინამდვილეში მაშინ აკად. ივ. ჯავახიშვილი იყო ერთადერთი კაცი, რომელსაც შეეძლო ამგვარი საკითხებისათვის მეცნიერული პასუხი გაეცა. მიუხედავად ამისა, ივ. ჯავახიშვილი მისთვის ჩვეული მოკრძალებით აცხადებს: „წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ კვლევის იმ საფეხურზე, რომელზედაც ამჟამად ჩვენ ვიმყოფებით, არა ერთი საკითხი რჩება გაურკვეველი. მომავალში მხოლოდ, როდესაც მრავალრიცხოვანი მკვლევარები აიღებენ ამ საგანს თავისი შესწავლის ობიექტად, სულ სხვა მდგომარეობა იქნება. ამჟამად ჩვენ მხოლოდ იმას გადმოვცემთ, რის გაკეთება შეუძლია ერთ ადამიანს და ისიც არასპეციალისტს - ამ დარგში. ამ

საკითხზე ვმუშაობ და ვმუშაობდი მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისტორიკოსმა უნდა იცოდეს წარსული ცხოვრების ხორცშესხმული სინამდვილე, რასაც მარტო სიტყვიერი მასალით ისე კარგად ვერ წარმოიდგენს კაცი, როგორც ნივთიერი მასალით".[1]

წინასწარვე უნდა განვაცხადოთ, რომ ის საკითხები, რომლებიც განსვენებულმა მეცნიერმა წინა პლანზე წამოსწია ამ შრომაში, საჭიროა და აქტუალურია. აი, თუნდაც ზოგიერთი მათგანი: პირველ კარში გარკვეულ საკითხთა წრე შეეხება საცხოვრებელი ადგილებისა და ნაგებობათა სახეებს, სახელწოდებებს, წარმოშობისა და განვითარების თუ სახეშეცვლილობის პრობლემებს.

მეცნიერის გამოკვლევით: „საცხოვრებელი ადგილის აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად ჩვენ ძველად რამდენიმე სიტყვა მოგვეპოვება. პირველი იყო ს ა ყ ო ფ ე ლ ი და ს ა მ ყ ო ფ ი".[2]

ს ა ყ ო ფ ე ლ ი სახლს ნიშნავს და უფრო ძველია. შემდეგში იგი ს ა მ ყ ო ფ ი თ შეიცვალა, მნიშვნელობა ძველი დარჩა.

მკვლევარი სათანადო ძეგლების შესწავლის საფუძველზე იმ დასკვნამდე მიდის, რომ „საცხოვრებელ ადგილსა და ნაგებობას ს ა დ გ ო მ ი-ც ეწოდებოდა და ს ა დ გ უ რ ი ც".[3]

მეცნიერი ფიქრობს, რომ ამ ორ ცნებას (სადგომსა და სადგურს შორის, დ. გ.) მაინც განსხვავება უნდა ყოფილიყოო და თუმცა კატეგორიულად არ ამტკიცებს, მაინც დასძენს: „ს ა დ გ ო მ ი, საფიქრებელია, ადამიანისათვის განკუთვნილს საცხოვრებელს წარმოადგენდა, ს ა დ გ უ რ ი-კი უფრო ან ცხოველთან დაკავშირებულს, ან საგნებთან დაკავშირებულს, სადაც ან სდგამდნენ რაიმეს, ან ჰყავდათ საქონელი".[4]

საცხოვრებელი ადგილისა და ნაგებობის გამოსახატავად უძველეს ძეგლებში იხმარებოდა ე ა ნ ი ც. ეს ტერმინიც სახლის შესატყვისია.

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I. 1946, გვ. 4.

[2] იქვე, გვ. 6.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 7.

ვანი IX საუკუნის და მომდევნო ხანის ძეგლებში უკვე აღარა გვხვდება და მას გეოგრაფიულ სახელადღა ეხვდებით.

თუმცა ვანი სახლის შესატყვისი იყო, მაგრამ მაინც სახლი „უფრო ფართო მნიშვნელობის მქონებელია, ვიდრე ვანი. იმ დროს, როდესაც ვანი მხოლოდ ბინისა და სახლის, ე. ი. ნივთიერი ნაგებობის აღმნიშვნელი იყო, სახლი გულისხმობდა როგორც თვით ნაგებობას, ისე ნაგებობაში მცხოვრებ მოსახლეობას, ოჯახს და საგვარეულოსაც კი".[1]

სახლი მოზრდილ, უფრო დიდ საცხოვრებელ ბინას ერქვა, პატარას კი სახლაკი ეწოდებოდა.

სახლი თავისი დანიშნულებისა და შემადგენლობის მიხედვით რთული კონსტრუქციისა იყო. ძეგლებში დამოწმებულია (ასეთ ძეგლებს უხვად ასახელებს ივ. ჯავახიშვილი) შინაგანი სახლი, შუა სახლი, ალაყაფის შუა სახლი, ალაყაფის აივნის შუასახლი, ახალი სასახლე. კასრი და სხვ.

სახლები დანიშნულების მიხედვითაც განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან: იყო სახლი სადედოფლო, რომელსაც გალიაკიც ეწოდებოდა, იყო სახლი სამეფო, სახლი სალხინო, საქვრივო სახლი, სამდივნო სახლი.[2] მაგრამ ყველაფერი ნათქვამით არ ამოიწურებოდა.

„ნაგებობის გარკვეული სახეობის აღსანიშნავად მეხუთე საუკუნის ძეგლებში გვხვდება — ტაძარი ანუ ტაზარი. ტაძარი წარჩინებული მოხელის სახლს ეწოდებოდა V ს-ის საქართველოში".[3] მომდევნო VIII, IX და X საუკუნეების ძეგლებშიც აზნაურთა სასახლეებს ტაძარი ეწოდებოდა.

შემდეგში ტაძარი თანდათან კარგავს თავის ძველ მნიშვნელობას და XI—XII საუკუნეებში „ტაძარი უკვე საეკლესიო ნაგებობად იხმარებოდა".[4]

---

1 ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, 1, 1946, გვ. 9.

2 იქვე, გვ. 10—12.

3 იქვე, გვ. 12.

4 იქვე, გვ. 13.

ტაძარი შეცვალა პალატმა, მაგრამ პალატი შედარებით დღემოკლე აღმოჩნდა, იგი განდევნა დარბაზმა.

თუმცა სახლიც ქართულია და სასახლეც, მაგრამ სასახლემ ქართულ სიტყვათა ლექსიკონში ძალიან გვიან მოიპოვა მოქალაქეობრივი უფლება. პირველად სასახლე გვხვდება გიორგი ბრწყინვალეს „ძეგლის დადებაში“ (XIV ს.).[1]

სასახლეები მეფესა და თავად-აზნაურებს ჰქონდათ. სასახლე იყო როგორც საზამთრო, ისე საზაფხულო.

ივ. ჯავახიშვილი ჩერდება სასახლის ნაწილების ტერმინების ჩამოთვლა-ახსნაზეც. მან გამოირკვია, რომ „ქორი უძველეს ქართულ ძეგლებში გვხვდება. ქორი ეწოდებოდა შენობის იმ ნაწილს, რომელიც მეორე სართულად, ზოგ შემთხვევაში-კი მესამე, მეოთხე და მეხუთე სართულადაც კი იყო აგებული. ქორი თუმცა ზევითი სართულის სახელი იყო, მაგრამ მისი აგებულება განსხვავდებოდა იმ სართულის აგებულებისაგან, რომელზედაც ის იდგა. ჩვეულებრივ ამ ქორში ზაფხულში იმყოფებოდნენ ხოლმე. შესაძლებელია წინა კედელი მას სრულებით ღია ჰქონოდა და წინითგან სვეტებზე იყო დამყარებული“.[2]

სასახლესა, სახლსა თუ ტაძარში სენაკები იყო, სენაკი ოთახის შესატყვისი იყო. ცალკე არსებულ პატარა სახლსაც ეწოდებოდა სენაკი.

შემდეგ ივ. ჯავახიშვილი არკვევს საერო ნაგებობათა დანიშნულებას და დასძენს: „სახლის მნიშვნელობა ქართულში მრავალგვარი იყო. უძველეს დროითგანვე მოყოლებული გვაქვს ეს ტერმინი დღევანდლამდე შერჩენილი. მაგრამ, თუ ვინმე იფიქრებს, რომ ამ სიტყვას ყოველთვის ერთი და იგივე მნიშვნელობა ჰქონდა, ძალიან შესცდება. სახლი ჩვენ ეხლა მთლიან ნაგებობად გვესმის, ძველად კი ამ ტერმინის მნიშვნელობა სხვანაირად ესმოდათ“.[3]

ივ. ჯავახიშვილი ამტკიცებს, რომ ძველად სახლი ნაგებობის ერთ ნაწილსაც ეწოდებოდა და რაც მთავარია, „სახლის დანიშნულება:

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართული ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, 1946, გვ. 15.

[2] იქვე, გვ. 16—17.

[3] იქვე, გვ. 19.

განსხვავდებოდა იმისდა მიხედვით, თუ რისთვის იყო განკუთვნილი"[1].

მართლაც, ძეგლებში მოიხსენება: „სახლი სამამასახლისო", „სახლი სახუცო", „სამეჯლეო სახლი", „სახლი სამზარეულო", „სახლი სასტუმრო".

სახლის შემადგენლობაში შედიოდა: „საჯდომი ოთახი, საწოლი, საკუჭნაო, სალარო, სამზარეულო, მარანი".

„ყოველნაირად დამაკმაყოფილებელსა და მოწყობილს სახლს ეწოდებოდა „სახლი სრული ყოველითა ფერითა".[2]

საქართველოში სახლები შენდებოდა ერთ, ორ და სამ სართულიანი; იყო, უმთავრესად ქალაქებში, უფრო მეტსართულიანი სახლებიც. თითოეულ სართულს თავისი დანიშნულება ჰქონდა.

სახლი, როგორც წესი, სხვადასხვა მასალისაგან შენდებოდა; იყო: ქვითკირისა, მუხისა, ნაძვისა, ცილოფისა.

სასახლეებს ჰქონდათ ე. წ. მცველთა სახლიც — დარაჯაგა, აგრეთვე სამეურნეო ნაგებობანი: ბოსელი, თავლა, საჯინიბო და სხვ.

ივ. ჯავახიშვილმა შეისწავლა სათანადო წყაროები იმის შესახებ, თუ რას, როგორ დასახლებულ ადგილს უწოდებდნენ ქართველები ქალაქს. რა ატრიბუტები გააჩნდა ქალაქს ისეთი, რომლითაც ის სოფლისაგან განსხვავდებოდა.

ივ. ჯავახიშვილმა ყურადღება მიაქცია ატენის სიონის კედლის წარწერის იმ ადგილს, სადაც ნათქვამია: „მე... ატენისა ციხისთავმან ავაგენ სახლნი და ქოლბაგი მას ჟამსა, ოდეს მეფეთა მეფემან ბაგრატ უბრძანეს... მირიანს პატრონსა ჩემსა, სეფესა ზუარსა შიდა ქალაქისა შენებად... ვითა სწადდა ზეფობასა მათსა, ეგრე ავაშენეთ დარბაზი და ქალაქი შეგვწყალნა მეფობამან მათმან: სასახლენი ადგილნი და საქოლბაგენი მკვდრად ნებიერობით გვბოძნა მირიანს და ყმათა მისთა, რომელთაცა შენებად შეეძლო"[3].

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, 1946,

[2] იქვე, გვ. 22.

[3] იქვე, გვ. 33.

ამ ცნობასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი დაასკვნიდა: „ზემომოყვანილი წარწერითგან ირკვევა, რომ ქალაქის შენება, ანუ დაბის ქალაქად ქცევა, მარტო სტიქიური და ბუნებრივი, თანდათანი ზრდის შედეგი კი არ იყო ხოლმე, არამედ შესაძლებელია ქალაქი ერთდროულადაც, მთავრობის განკარგულებით, მეფის ბრძანებითაც ყოფილიყო შექმნილი. ამასთანავე ზოგი ქალაქი, შესაძლებელია, იმდენად მომცრო ყოფილიყო, რომ სეფე-ზერის ფართობზეც კი დატეულიყო“.[1]

რა თქმა უნდა, ასეთი რამ შეიძლებოდა და შემდეგშიც ხდებოდა, მაგრამ ისმის კითხვა, რა არის ისეთი ამ ცნობაში, რომელიც გვისურათებს ატენის ქალაქად გადაქცევის ამბავს. აქ ლაპარაკია საქულბაქე და დარბაზის ადგილის გამოყოფის შესახებ. ქულბაქი (სავაჭრო შენობა, დუქანი) ერთ-ერთი ის ატრიბუტი იყო, რომელიც ქალაქისათვის იყო დამახასიათებელი. აი, ამას მიაქცია ყურადღება ივ. ჯავახიშვილმა და დასძინა: „ქალაქს, როგორც სავაჭრო ცენტრს, უეჭველად სათანადო ნაგებობანიც უნდა ჰქონოდა. იქ ქალაქის დარბაზიც უნდა ყოფილიყო, ქალაქის მოხელეთათვის განკუთვნილი შენობებიც; რასაკვირველია, საბაჟოც, რომ ქალაქში საქონლის შემოტანისა და გატანის დროს ბაჟი გადაეხდევინებინათ. შემდეგ საკოშრე დაწესებულება, სადაც სახელმწიფო სასწორი იდგა და გასაყიდ სხვადასხვა საგნებს სწონიდნენ“.[2]

რა თქმა უნდა, ქალაქი მარტო დასახელებული ატრიბუტებით არ განსხვავდებოდა სოფლისა თუ დაბისაგან და ივ. ჯავახიშვილიც ჩამოთვლის ყველა იმ ძირითად ნიშნებს, რომელიც ქალაქისათვის იყო დამახასიათებელი: უბნები, ქუჩები, ციხე-სიმაგრეები, კედელგალავნები, ადმინისტრაციული დაწესებულებანი, მოსახლეობის დასახლების წესი, შესასვლელ-გამოსასვლელი კარები, აბანოები, წყალსადენები, გარეუბნები, საკანალიზაციო გაყვანილობები, პარკები, ბაზრები, მოედნები, ხიდები, წისქვილები, სახელოსნოები, საპატიმროები, სასტუმროები, საავადმყოფოები, „საგლახაკო ქალაქისა“.

---

1 ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, 1946, გვ. 34.

2 იქვე, გვ. 35—36.

როგორც აღნიშნული იყო, მესამე კარში საკულტო ნაგებობებზე არის საუბარი.

ცნობილია, რომ ჩვენში სხვადასხვა დროს სხვადასხვა სარწმუნოება იყო გავრცელებული. პირველად ქართველნი წარმართნი იყვნენ, IV საუკუნეში ქრისტიანობა ვრცელდება. ქრისტიანობის დროს პირველობისათვის იბრძვის ჯერ მაზდეანიზმი, ხოლო შემდეგ ისლამი ანუ მაჰმადიანური სარწმუნოება.

გასაგებია, რომ სარწმუნოებათა ყველა ეს მიმდინარეობანი თავის დაღს ასვამს საკულტო ნაგებობებზე, თავის გავლენას ახდენს ამ დარგის სააღმშენებლო ხელოვნებაზე.

წარმართობის დროს ამ სარწმუნოების გამოსახატავად იხმარებოდა ბაგინი. „ბაგინი საერთოდ, წარმართების, არაქრისტიანების სამლოცველოს ნიშნავდა".[1]

ამავე დროს ბაგინი საკერპოს სინონიმიც იყო. საკერპოს გარდა არსებობდა ამის შესატყვისი ტერმინი საზორველიც.

ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად ჩვენში შემოდის ბერძნული, ამ მოვლენის შესატყვისი სიტყვა, ეკლესია.

უკვე V საუკუნის ქართულ ძეგლში იხმარება ეკლესიაც და სამართველიც.

ივ. ჯავახიშვილის აზრით „ეკლესიასა და ჯამარტვილეს შორის არსებითი განსხვავებაა. ეკლესია საერთო სამლოცველო, სამარტვილე კი მარტვილთათვის ანუ წამებულთათვის განკუთვნილს პატარა ნაგებობას წარმოადგენდა".[2]

ასე, რომ სამლოცველოების აღსანიშნავად ქრისტიანობის ხანაში სამი სხვადასხვა წარმოშობის ტერმინი არსებობდა: ბაგინი (უძველესი), ეკლესია, ამის პარალელურად ტაძარიც იხმარებოდა.

ასეთი ტერმინების თუ ცნებების არსებობა ივ. ჯავახიშვილს უფლებას აძლევდა დაესკვნა, რომ „იმ საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში, რომელიც ჩვენში გაჩნდა, უეჭველად წარმართული ხანის ხუროთმოძღვრების წვლილი უნდა იყოს შეტანილი. სხვაგანაც ასე იყო, ყველგან წარმართობამ უანდერძა ქრისტიანობას ის ხუროთ-

[1] ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, 1946, გვ. 72.

[2] იქვე, გვ. 74.

მოძღვრება, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანას ჰქონდა ქრისტიანობამდე".[1]

ივ. ჯავახიშვილი არ უარყოფს, რომ საეკლესიო-საკულტო ნაგებობებზე დიდი გავლენა იქონია საერო ნაგებობებმა. ასეთი დასკვნის უფლებას, სხვა ამბებთან ერთად, მას აძლევს ტაძრის (ძველად სასახლის) გადაქცევა საკულტო ნაგებობად.

ივ. ჯავახიშვილი ვრცლად მიმოიხილავს ქრისტიანულ საღვთისმსახურო ნაგებობათა დანიშნულებას, ტაძრის სახეებს, მონასტრებსა და მათ ნაგებობებს, საკულტო დანიშნულების სხვა შენობებს და ადგენს თითოეული ნაგებობის არა მარტო დანიშნულებას, არამედ მისი წარმოშობის ისტორიასაც. ასე მაგალითად, მეცნიერის დასკვნით „საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში უმთავრესი ადგილი ღვთის მსახურების ტაძრებს უჭირავს, შემდეგ მონასტრებსა და სამონასტრო სხვადასხვა შენობას".[2]

რადგან ასეთ ნაგებობათა დანიშნულება თუ ადგილი განსაზღვრა, მეცნიერმა საჭიროდ დაინახა საუბარი ჩამოეგდო საკულტო ნაგებობათა სახეობებზეც. კერძოდ, რას უწოდებდნენ ამა თუ იმ შენობას საქართველოში. მან დაადგინა, რომ ღვთისმსახურების ტაძრებს საქართველოში „ე კ ლ ე ს ი ა" და „ს ა ყ დ ა რ ი" ეწოდებოდა. ამასთან ერთად „მთავარ ეკლესიას კ ა თ ო ლ ი კ ე ე კ ლ ე ს ი ა ეწოდებოდა, რომელშიც, ჩვეულებრივ, ეკლესიის სათავეში მდგომი საჭეთმპყრობელი სწირავდა ხოლმე".[3]

ივ. ჯავახიშვილს შეუმჩნევია, რომ დღეს „ეკლესია" და „საყდარი" ერთი მნიშვნელობისანი არიან, ძველად კი მათ შორის განსხვავება იყო. „ეკლესია" საღვთისმსახურო ტაძრის ზოგადი სახელი იყო, „საყდარი" კი განსაკუთრებული მნიშვნელობით იხმარებოდა. „ს ა ყ დ ა რ ი ე წ ო დ ე ბ ო დ ა ი ს ე თ ე კ ლ ე ს ი ა ს, რ ო მ ე ლ ი ც ე პ ი ს კ ო პ ო ს ი ს ან ქ ო რ ე პ ი ს კ ო პ ო ს ი ს ს ა ჯ დ ო მ ა დ ი თ ვ ლ ე ბ ო დ ა".[4]

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I. 1946, გვ. 74.

[2] იქვე, გვ. 75.

[3] იქვე.

[4] იქვე.

ამ შინაარსის მატარებელი იყო ეკლესია და საყდარი (საყდარი პირდაპირი გაგებით ძველ ქართულში ტახტს ნიშნავდა) X-IV საუკუნემდე. ამიერიდან საყდარი და ეკლესია უკვე სინონიმებად არიან ქცეული.

ივ. ჯავახიშვილი ტაძრის სახეებსაც ჩამოთვლის და გეგმის მიხედვით ერთმანეთისაგან ანსხვავებს „ჯვარს", „სიონს". მისი აზრით „ჯ ვ ა რ ი ეწოდებოდა ჯვრის გეგმაზე აგებულ ეკლესიას... ჯვარის გეგმის ეკლესიებს გარდა საქართველოში გავრცელებული იყო ეკლესიების „ს ი ო ნ ად" აშენება. სიტყვა ს ი ო ნ ი-ც გეგმის განსაკუთრებული სახის დამახასიათებელი სახელია. „ს ი ო ნ ი" ქართულად „ბაზილიკასა" ჰნიშნავდა"[1].

ამ სახის საკულტო ნაგებობის დანიშნულების დადგენის შემდეგ ივ. ჯავახიშვილი გადადის სამონასტრო ნაგებობათა ტიპების დახასიათებაზე, ლაპარაკობს სამონასტრო მოძრაობაზე საერთოდ და ჩამოთვლის იმ შენობათა სახელებს, სადაც ბერები ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ.

თუ რატომ არის, რომ ივ. ჯავახიშვილი ასე დაწვრილებით ჩერდება ყველაფერზე, ის ასეთ განმარტებას გვაძლევს: „ჩვენ უნდა ვიცოდეთ ყველა ის სახელები, რომლებიც ძეგლებში მოგვეპოვება, რომ მომავალში, როდესაც არქეოლოგიური კვლევა-ძიება და ხუროთმოძღვრული ძეგლების ნაშთების შესწავლა დაწინაურდება, უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავვარდეთ ხოლმე — შევძლოთ იმის გაგება, თუ რა ნაგებობაა და რა დანიშნულება შეიძლება ჰქონდეს მას"[2].

ივ. ჯავახიშვილი ვრცლად ლაპარაკობს სააღმშენებლო ხელოვნების ზოგად ცნებათა ტერმინებზე. იგი აღნიშნავს, რომ ასეთი ტერმინების ცოდნას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. „მოგვეპოვება წარწერები და ძეგლებში დაცული აღწერილობა იმ შენობების შესახებ, რომლებიც ეხლაც არსებობს. ხშირად ამ წარწერებისა და ცნობების შინაარსი არ გვესმის, რადგან ტერმინების მნიშვნელობა ჩვენთვის უცნობია. ქართულ ნაგებობათა ტერმინოლოგია ძალიან

---

1 ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, 1946, გვ. 77.

2. იქვე, გვ. 85.

მდიდარია და ამ მხრივ უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ქართულ სპეციალურ ტერმინოლოგიაში თუ სიღარიბე ჩანს, ამაში ბრალი, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ წინაპრებს არ მიუძღვის, არამედ თვით ჩვენ"[1].

ივ. ჯავახიშვილი გულწრფელი მეცნიერი იყო და არასოდეს არ მალავდა იმ შეცდომებს თუ ხარვეზებს, რომელიც ჩვენი მეცნიერების თანამედროვე დონეს ახასიათებდა. მას სჯეროდა, რომ ხალხში ბევრი რამ იყო დღესაც შემორჩენილი, რომლის შესწავლა წარსულის გასაღებს მოგვცემდა და ამიტომ მთელი სულითა და გულით მოითხოვდა ხალხური საუნჯის შესწავლა-გათვალისწინებას. წარსულის გაუთვალისწინებლობა, იმის გაუთვალისწინებლობა, რაც ხალხმა შემოგვინახა, საბედისწერო შეცდომამდე მიგვიყვანსო, გვიმტკიცებდა განსვენებული მეცნიერი. აი, რა კატეგორიული ტონით აცხადებდა ის: „მთელი ჩვენი შეცდომა, როდესაც ახალ ქართულ ტერმინოლოგიას ვქმნიდით მეცნიერების ყველა დარგში, უმთავრესად ტექნიკური დარგებისათვის, იმაში მდგომარეობდა, რომ ჩვენ ანგარიშს არ ვუწევდით მას, რაც ხალხშია მემკვიდრეობით დარჩენილი ძველი ქართული ტერმინების მარაგის სახით, და ხელოვნურად ვსაზღვრავდით და ვთარგმნიდით (უმეტეს ნაწილად რუსულიდან) სრულიად მექანიკურად, მაშინ როდესაც მრავალი საუკუნეების განმავლობაში მოგვეპოვებოდა ქართულად. სრულებით არავითარი საჭიროება არ არსებობდა, რომ ან ჩვენი თავი შეგვეწუხებინა ამ შეთხზვით, ან ხალხი შეგვეწუხებინა ახალი, მათთვის სრულებით გაუგებარი ტერმინების ათვისებით. ამჟამად ისეთი მდგომარეობაა შექმნილი, რომ განათლებული ხალხი ხმარობს ერთ სამეცნიერო ტერმინოლოგიას, ხალხისათვის გაუგებარს, ხოლო ხალხი კიდევ თავისას, რომელიც გაუგებარია განათლებული ხალხისათვის. ამოცანას წარმოადგენს, ცხადია, რომ ერთიანი, მთლიანი, ძველ მარაგზე დამყარებული ტერმინოლოგია შეიქმნეს ჩვენში".[2]

რადგან ასეთი კატეგორიული წინადადება წამოაყენა ივ. ჯავახი-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, 1946, გვ. 93.

[2] იქვე. გვ. 94.

შვილმა, ცხადია, მას უნდა დაემტკიცებინა, რომ ძველს ქართულ სათანადო ძეგლებში არის შესაფერისი და შესატყვისი ტერმინოლოგია სააღმშენებლო ხელოვნების ყველა ძირითადი დარგისათვის. მანაც აღარ დააყოვნა, შეისწავლა ყველა ძირითადი წყარო და ასეთი მტკიცებანი შესთავაზა მკითხველს: „სააღმშენებლო ხელოვნებას ძველ ქართულში ხუროობა ეწოდებოდა. იგი ორ დარგად იყოფოდა; იყო ქვით-ხუროობა და ხით-ხუროობა. ამ ორგვარი დარგის არსებობასთან დაკავშირებით ორგვარი ტერმინოლოგია არსებობდა. ქვითკირის ნაგებობისათვის ცალკე ტერმინოლოგია იყო, ხის ნაგებობისათვის კი განსხვავებული. მათ შორის საერთო ტერმინებიც არსებობდა, მაგრამ ბევრი რამ არის, რაც ხის ხუროობაში მოიპოვებოდა და ქვით ხუროობისათვის სრულებით უცნობი და გამოუსადეგარი იყო“.[1]

მაშ, ვინც დაინტერესდება ქართული სააღმშენებლო ხელოვნებით, მან უნდა შეისწავლოს ხუროთმოძღვრების ორივე დარგი — ქვით ხუროობაც და ხით ხუროობაც. ამ საკითხით დაინტერესებულ პირს ბუნებრივად დაებადება კითხვა: რომელ მათგანს მიეკუთვნება პრიმატი? რომელი რომლისაგან წარმოიშვა? გაითვალისწინა რა მკითხველის ეს სურვილი, ივ. ჯავახიშვილმა განმარტა: „ქართულ სააღმშენებლო ხელოვნების საფუძველს ხით ხუროობა წარმოადგენდა და ქვით ხუროობის ტრადიცია იქითგან მომდინარეობს“.[2]

ამ ზოგადი თეორიული მოსაზრების ჩამოყალიბების შემდეგ განსვენებულმა მეცნიერმა განმარტა და დაადგინა, თუ რას ეწოდებოდა შენება, აგება, რა განსხვავება იყო საძირკველსა და საფუძველს შორის, რა იყო ქვაკუთხედი, ბალავარი, ხარისხი, სვეტი, თავი სვეტისა, საბურავი, მულაური, შენადგამი, კამარა, თაღი, სტოა, ბჟე, სარკმელი, ფანჯარა, ჩარჩო, კარები, დაბურვა, სამწრონი, გუმბათი, კუთხე, უურე, საცვრე ანუ საცვარე, გვრგვინი და სხვა ტერმინი თუ ნაწილი სააღმშენებლო ხელოვნებაში რომ იხმარებოდა.

---

1 ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, 1946, გვ. 93.

2 იქვე.

ივ. ჯავახიშვილი საგანგებოდ გამოჰყოფს საკულტო ნაგებობათა შინაგანი ნაწილების დანიშნულებას: განმარტავს რა არის საკურთხეველი, საკურთხევლის კონქი, კანკელი, ტრაპეზი, სალხინებელი, ჩარდახი, სადიაკვნო, არდაბაგი და სხვ.

მეხუთე კარში ავტორი უბრუნდება კვლავ საერო ნაგებობათა კომპლექსს და ამტკიცებს, რომ „სამოქალაქო ნაგებობათა აღმნიშვნელი ზოგიერთი ტერმინის საეკლესიო ხუროთმოძღვრების დარგში გამოყენება, როგორიცაა, მაგალითად, ტაძარი, იმის მაჩვენებელია, რომ საეკლესიო ხუროთმოძღვრება სამოქალაქოსაგან წარმოდგება“[1].

ამ კარში განხილულია დარბაზი კუთვნილებისა და დანიშნულების მიხედვით, აგრეთვე ვრცლად არის საუბარი სასახლის შემადგენელ ნაწილებზე.

ამავე კარის მეორე პარაგრაფი სახუროთმოძღვრო ამოცანებს განმარტავს სასახლის აგების დროს.

ივ. ჯავახიშვილმა ყურადღება მიაქცია შავთელისა და რუსთაველის პოეზიაში იმ ადგილს, სადაც სამეფო სასახლეების ქებათა ქებაა მოცემული.

შავთელი ამბობს:

„თუ უკო სრანი
მე ამას რანი?
გალავანისა
შემკულობანი,
მტილ-სამოთხენი,
თვალთ სამოთ ხენი,
ზედ ავაზანთა
შექმნულობანი,
კართა სტოვანი,
ერთა სტოვანი,
იპოდრომისა განხმულობანი“[2]

ამ ტაეპს ასეთ კომენტარს უკეთებს ივ. ჯავახიშვილი: „შავთელის თხზულების ზემომოყვანილ ნაწყვეტში საქართველოს მე-

[1] ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, 1946, გვ. 120.

[2] იქვე, გვ. 129—130.

ფის სასახლეზეა საუბარი. უკვე პირველივე მისი სტრიქონია საყურადღებო. სასახლის სახელს, სრას ის მხოლობითად-კი არა, არამედ, მრავლობითად ხმარობს, — „თუ უქო სრანი“, — ცხადია, რომ საქართველოში მაშინ არა ერთი სამეფო სასახლე ყოფილა“.[1]

სასახლეს, როგორც წესი, გალავანი ერტყა ხოლმე ირგვლივ და გალავნის შიგნით, ეზოში, მრავალ სხვადასხვა ჯიშის მცენარეთაგან გაკეთებული სამოთხე ანუ პარკიც იყო გაშენებული. „სასახლის წინ გაშენებულ დიდ ბაღს „ზედ ავაზანთა შექმნულობანი“ და წყლის საცავებიც ჰქონია ტურფად ნაგებ-შემკული“.[2]

გაითვალისწინა რა წყაროთა ასეთი ჩვენებანი. ივ. ჯავახიშვილმა ასეთი ზოგადი დასკვნა გამოიტანა: „მაშინდელ საქართველოში სასახლეების აგების დროს მარტო თვით ნაგებობაზე კი არ უზრუნავთ, არამედ პატრონსაცა და ხუროთმოძღვარსაც ჯეროვანი ყურადღება მთელი გარემოს ზოგადი შესახედაობის სილამაზისათვისაც მიუქცევიათ, რაც, რა თქმა უნდა, იმდროინდელი საერო ხუროთმოძღვრების მაღალი დონის მაუწყებელია“[3].

სასახლის ახლოს იპოდრომიც იყო.

სასახლის შიგნითა ნაწილი მოპირკეთებული იყო ფერადი მარმარილოთი, ხოლო კედლები დასურათხატებული — ისტორიული და სასწაულმოქმედ პირთა სურათებით.

„XVI საუკუნის შუამდის გრძელდებოდა სასახლეების ისტორიული სურათებით მოხატვა. XVII ს-დან, კერძოდ როსტომ მეფის დროიდან, ეს მოჩატვა უკვე სპარსთა „ყიზილბაშთა“ რიგით მიიმართება“[4].

სასახლის აგებისა თუ სხვა ხასიათის მშენებლობის დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შესაფერისი ადგილის შერჩევას. ჩანს, ქართველ კაცს ამისი გემოვნებაც ჰქონია და ამიტომ იყო, რომ „როდესაც ადამიანი რაიმე ნაგებობის აშენებას განიზრახავდა, მაშინ, თუ ეს ნაგებობა ოდნავად მაინც საყურადღებო და მნიშვნელოვანი იყო, საცხოვრებელი სახლიც რომ ყოფილიყო, პირველად შესაფერისი

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, 1946, გვ. 130.

[2] იქვე, გვ. 131.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 137.

ადგილის მოძებნას შეუდგებოდა. ამ შესაფერისობის გამორკვევის დროს ორი მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ, ჯერ ერთი, რომ ნაგებობა გამოსადეგი ყოფილიყო და, მეორეც, შესახედავადაც ლამაზი და სასიამოვნო სანახავი გამოსულიყო. ნაგებობის მშვენიერებას, სილამაზეს განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული საქართველოში"[1].

შენობის ასაგებად წინასწარ სათანადო გეგმა დგებოდა და ამ გეგმის მიხედვით შენდებოდა ეკლესია თუ სასახლე.

ივ. ჯავახიშვილი საკმაოდ დაწვრილებით ჩამოთვლის იმ მასალათა სახელწოდებებს, რომლითაც ესა თუ ის ნაგებობა შენდებოდა. საუბრობს მასალის მოპოვების წესზე, ხელოსნებზე, შენობის ნაწილებზე და სხვ.

ივ. ჯავახიშვილის ამ „მასალებს" დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ქართული სააღმშენებლო ხელოვნების შემსწავლელთათვის, სათანადო ტექნოლოგიაზე მომუშავისათვისაც ის ყოველთვის სამაგიდო წიგნად დარჩება.

როგორც აღვნიშნეთ, „მასალების" ამ წიგნში ორი დამატებაა მოთავსებული: ერთი მათგანი — «Термины искусств и главнейшие сведения о памятниках искусства и материальной культуры в древнегрузинской литературе» დაბეჭდილი იყო 1914 წელს «Христианский Восток»-ის მესამე ტომში. ამ სტატიაში გარკვეულია სააღმშენებლო ხელოვნების 10 ტერმინი. რადგან ყველა ეს ტერმინი უფრო ღრმად და საფუძვლიანადაა განხილული ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნულ ნაშრომში, ამიტომ მათზე აქ აღარ შევჩერდებით და გადავალთ მეორე დამატებაზე.

ამ დამატებას ეწოდება — „ძველი ქართული კულტურული მემკვიდრეობის ათვისებისა და თანამედროვე ქართული ხელოვნების ამოცანები".

ეს წერილი თავისებური პროგრამაა იმისა, თუ როგორ უნდა ათვისოს თანამედროვე ხელოვნებამ წარსულის მდიდარი მემკვიდრეობა.

აი როგორ ესმოდა მას ეს ამოცანა:

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, 1946, გვ. 138.

„ქართულ ძველ ნაგებობათა ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებას პორპორციულობა და სიმეტრია წარმოადგენს, აღნაგობის ნაწილების გასაოცარი მიზანშეწონილობა და მხატვრული თვალსაზრისითაც მომხიბლველი შესწორებულობა შეადგენს. გამოუცდელი მაყურებლის თვალიც კი ამჩნევს შენობის სიმაღლისა და სიგანის ურთიერთშორისი შეფარდების მოხდენილობას, კამარებისა და სვეტების სიმაღლისა და სვეტის ზროს, ხ ა რ ი ს ხ ი ს ა დ ა თ ა ე ი ს შ ნ ო ი ა ნ პროპორციულობას“[1].

ივ. ჯავახიშვილის აზრით, თანამედროვე ქართული ხელოვნების მთავარ ამოცანას „სწორედ ძველი ქართული ხელოვნებისაგან მემკვიდრეობით ნაანდერძევი მრავალნაირობითგან ქართული ხუროთმოძღვრებისათვისაც ზოგად ეროვნული თვისებების გამომხატველად და თანამედროვე ახალი ხუროთმოძღვრებისათვისაც საუკეთესოდ გამოსადეგი სვეტის თავ-ხარისხების შერჩევა და დაკანონება შეადგენს“[2].

ივ. ჯავახიშვილი კატეგორიულად მოითხოვს, რომ თანამედროვე სააღმშენებლო ხელოვნებამ გაითვალისწინოს ქართველ ხალხში საუკუნეობით დამკვიდრებული ტრადიცია და შემოქმედებითად გამოიყენოს ის. „ჩვენი ახალი ხუროთმოძღვრების მოვალეობაა ქართველი მშრომელი ხალხის ესთეტიკური გრძნობის განვითარება-ამაღლებას ხელი შეუწყოს. ამიტომაც სოფლურ ნაგებობათა და ხით ხუროობის საკითხები ქართულ თანამედროვე ხუროთმოძღვრებას უნდა გაახსენდეს და ჯეროვანი ყურადღებით ჰქონდეს შესწავლილი და გადაშრილი“[3].

ივ. ჯავახიშვილი წარსულის მარტივ გამეორებას კი არ მოითხოვს, არამედ იმის ათვისებას, რაც წარსულმა საუკეთესო და მისაბაძი შექმნა.

იგი წერს: „წარსული მდიდარი მხატვრული კულტურის გაცნობისა და გონივრული ათვისებისადმი ის სრული გულგრილობა, რომელსაც თანამედროვე ქართული მხატვრობა იჩენს, სწორედ რომ

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, 1946, გვ. 191.

[2] იქვე, გვ. 194.

[3] იქვე, გვ. 195.

გაუგებარია. მართალია, ჩვენში გავრცელებულია აზრი, თითქოს ზოგიერთ მხატვარს ძველი ქართული ფრესკული და მინიატურული მხატვრობის გავლენის ანარეკლი ემჩნეოდეს, მაგრამ ეს აზრი გაუგებრობაზეა დამყარებული: ფიგურების გაშეშებული, პერსპექტიულად მცდარი მდგომარეობისა და ხელების პირობითი მდებარეობის ძველი, უკვე დაქვეითების ხანის ძეგლებითგან თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში გადმოტანასა და შეთვისებას არც რაიმე გამამართლებელი საფუძველი მოეძებნება და ვერც პროგრესულ, გამანაყოფიერებულ მოვლენად ჩაითვლება. წარსულის კულტურაში საუკეთესო და საქებური თვისებებია მისაბაძი, ისეთი თვისებები, რომელთა ღირსებაც საუკუნეთა განმავლობის განსხვავებისდა მიუხედავად ეხლაც ცხადად მოჩანს, თორემ რა აზრი აქვს დაქვეითების ხანის ფიგურათა გაშეშებულ მდგომარეობის, დაპრანჭულობისა და ნახატის ტექნიკურ უმწეობის ძველი ქართული მხატვრობის მისაბაძავ მაგალითად ან მიჩნევას, ანდა მის ნიშანდობლივ თვისებად გასაღებას. როდესაც ქართული ხელოვნების აყვავების ხანის ძეგლებში ნახატის ტექნიკის სრული ცოდნაცა და ფიგურების მოძრაობისა და სულიერი გრძნობების ცხოველი გამოხატულობა მოგვეპოვება"[1].

ასე ესმოდა განსვენებულ მეცნიერს წარსული ხელოვნების ათვისების საკითხები.

1965 წელს გამოვიდა ივ. ჯავახიშვილის — მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, მეორე წიგნი.

მეორე წიგნში განხილულია: საფენელ-საგებელი, ავეჯი და ჭურჭელი.

ივ. ჯავახიშვილი დაასკვნის: „ქართული ნივთიერი კულტურის განვითარება, ამ დარგის ისტორიის თვალსაზრისით, ორ პერიოდად იყოფა. ერთი — უძველესი ხანა — ავეჯის შემცველი ხანაა. გარკვეული დროიდან მოყოლებული ავეჯი თანდათან ქრება და ჩნდება მოფენილობა — ხალიჩები, ფარდაგები და სხვ. ესაა მეორე პერიოდი"[2].

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, 1946, გვ. 204.

[2] ივ. ჯავახიშვილი, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, წ. II, გვ. 9.

ვინც ივ. ჯავახიშვილის ამ წიგნს გულდასმით გადაიკითხავს, დარწმუნდება, რომ ქართველი კაცის გემოვნება ისე, როგორც სხვა რამეში, აქაც ძლიან მაღალი ყოფილა.

ივ. ჯავახიშვილს აურაცხელი ქართული და უცხოური მასალა შეუსწავლია და ამ მასალების შესწავლა-განხილვის საფუძველზე არა ერთი საყურადღებო დასკვნა გამოუტანია.

ივ. ჯავახიშვილი წერს: „სახლისათვის სამგვარი სამკაული არსებობდა. ერთის მხრივ იყო ის, რასაც ჩვენ შემდეგი დროის ტერმინით ფარდასა და ფარდაგს ვუწოდებთ. მეორე ზოგადი სახელი საფენი ანუ საფენელი იყო. ხოლო მესამე დარგის სამკაულის სახელი საგებელი იყო“[1].

ყველა აქ ჩამოთვლილ საგნებს თავისი დანიშნულება ჰქონდა. ფარდას დამოსაკიდებელი ეწოდებოდა, საფენი ეწოდებოდა დასაფენად განკუთვნილ ნივთს. საფენი ორი სახისა იყო: ერთს იატაკზე აფენდნენ, მეორე — სახლის ავეჯის გადასაფარებელი იყო. მესამე დარგის სამკაული — საგებელი — ლოგინისათვის გამოყენებულ საგანს წარმოადგენდა[2].

X — XI საუკუნეებში შემოდის სპარსული ფარდა და ფარდაგი. ძველად კარის ნაცვლად ფარდაგის მსგავს ჩამოსაკიდებელს ხმარობდნენ, რომელსაც კრეტ-საბმელი ეწოდებოდა. კრეტ-საბმელი შემდეგში ფარდაგით შეიცვლა და მას კარის ფარდაგი ეწოდა.

„ფარდაგით ან სხვა რაიმე საფენით სახლის დარბაზის მორთვას „მოფარდაგება“ ეწოდებოდა“[3].

საფენელის ზოგადი სახელი ძოლო იყო. X — XI საუკუნიდან ძოლო ქრება და მის ადგილს იჭერს ნოხი, ხალი, ხალიჩა.

ნოხი იხმარებოდა იატაკზე დასაგებად და საგებელად. ნოხი იხმარებოდა აგრეთვე სუფრად და მას ტაბლის ნოხი ეწოდებოდა. „რადგან ნოხი სხვადასხვა დანიშნულებისა იყო, შემზადების წესიც ამის მიხედვით უნდა განსხვავებული ყოფილიყო ისევე, როგორც

---

1 ივ. ჯავახიშვილი, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, II, გვ. 9.

2 იქვე.

3 იქვე. გვ. 11.

მისი სიდიდე. ნოხი მზადდებოდა აბრეშუმისა, მატყლისა, ბამბისა და სელის ქსოვილებისაგან"[1].

საფენად იხმარებოდა ცხოველთა ქურქიც, რომელსაც ნატი და ნატაკი ეწოდებოდა.

ნატი და ნატაკი მაღალი ფეოდალური არისტოკრატიის, მათ შორის მეფის სასახლეთა დარბაზის აუცილებელი სამკაული იყო. ნატს შემდეგში ოქსინო შეერქვა.

საგებელი ანუ ქვეშაგებელი სხვადასხვა საგნისაგან შედგებოდა. მის შემადგენლობაში შედიოდა: სასთაული ანუ სასთუნალი. იგი თავის დასადებად განკუთვნილი საგებელი იყო[2]. სულხან-საბა ორბელიანი მას ბამბის ბალიშს უწოდებდა. ჩვეულებრივ სასთაულთან ერთად იხმარებოდა პატარა ბალიშიც, რომელსაც სასთაულაკი ეწოდებოდა. ივ. ჯავახიშვილი ამ წესით განმარტავს საგებელის სხვა ნაწილებსაც (ბალიშს, ლეიბს, ტაბასტოს, ტაბასტაკს, შატქუნს, კილიკს) და დაასკვნის: „ზოგადად უნდა ითქვას, რომ XVI და მეტადრე XVII — XVIII სს-ში ფართოდ გავრცელდა ფარდაგები, ნოხები და ხალიჩები, ძველი ქსოვილებისა და საფენების სახელები თანდათან სრულიად გაქრა და ავეჯიც თითქმის მოისპო"[3].

მეორე თავში ავეჯზეა საუბარი.

მეცნიერი სათანადო მასალის გაცნობის შემდეგ იმ დასკვნამდე მისულა, რომ „ძველად ქართველები ისეთ ავეჯზე ისხდნენ და იწვნენ, რომელსაც მერმინდელ ავეჯთან არაფერი საერთო არა ჰქონდა"[4].

დანიშნულების მიხედვით ავეჯი იყოფოდა: ძილისათვის განკუთვნილად, საჯდომად და სხვ.

ძილისათვის განკუთვნილ ავეჯს სარეცელი ეწოდებოდა.

დასაწოლად განკუთვნილ ავეჯს ცხედარიც ეწოდებოდა. ცხედარი ერთ დროს ლოგინსაც ნიშნავდა.

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, II, გვ. 14.

[2] იქვე, გვ. 18.

[3] იქვე, გვ. 21.

[4] იქვე.

X საუკუნიდან სარეცელისა და ცხედრის მაგიერ იხმარება სპარსული ტერმინი ტახტი.

უფრო მრავალფეროვანი იყო საჯდომი ავეჯი. „იყო ხისა და ლითონისაც, ოქროსი და ვერცხლისა, ხის ავეჯი ჩუქურთმიანი იყო. საჯდომი ავეჯი ამასთანავე იყო: ფერხედი და უფერხედო, მისაყრდნობიანი, უმისაყრდნობო და დასაყრდნობი“[1].

საოჯახო ნივთები დანიშნულების მიხედვით იყოფოდა სამაშაკაცო და სადიაცო ნივთებად, აგრეთვე უმცროს-უფროსისათვისაც სხვადასხვა იყო, სასტუმრო საჯდომიც განსაკუთრებული უნდა ყოფილიყო.

მამაკაცის საჯდომს სავარძელი ეწოდებოდა, იგი „უფრო კარგი იყო, ხოლმე, კარგად დაჭრელებული და ჩუქურთმებით შემკული“[2].

საკურცხალი დროებით ჩამოსაჯდომ საჯდომელს ეწოდებოდა. დასაჯდომის ერთ-ერთ სახეობას სელი ერქვა.

სკამის განმარტების დროს ივ. ჯავახიშვილი სულხან-საბა ორბელიანს იმოწმებს. საბა ამბობს: „სკამი ბერძულია, რომელიც სკამი შეიკურის და გაიხსნების, სელი ეწოდების, სხვა კეთილ-ჭრელებულსა დასადგმელსა — სავარძელი; გრძელსა და მრავალთ სასხდომელსა — მერჩი; მეფეთა და მღვდელთ-მთავართა (ხარისხ-კუარცხლბეკოვანსა) საჯდომელსა და ზედ გავალაკინსა — საყდარი, ვიეთნი ტახტს უწოდენ“[3].

სამეფო და წარჩინებულთა საჯდომს საყდარი ეწოდებოდა.

მიმოიხილა რა ყველა სახის მასალა, ივ. ჯავახიშვილმა დაასკვნა: „სამეფოს დარბაზში მდგარი „დიდროანი სკამები“ ოქსინოგადაფარებული და ზედ სასთაულდაფენილი იყო“[4].

სახლის ავეჯში სხვა საგნებიც შედიოდა; ერთ-ერთი ასეთთაგანი იყო მაგიდა, რომელსაც ტაბლა ეწოდებოდა. საბას განმარტებით „ტაბლა — ფიცრის სუფრაა, ფერჭედი“. ტაბლას სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა, პურის ჭამასაც ტაბლა ეწოდებოდა.

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, II, გვ. 24—25.

[2] იქვე, გვ. 25 — 26.

[3] იქვე, გვ. 27.

[4] იქვე, გვ. 31.

მაგიდის შესატყვისი იყო აგრეთვე ტ რ ა პ ე ზ ი ც.

სხვადასხვა ნივთებისა და სურსათ-სანოვაგის შესანახ ავეჯს კ ი დ ო ბ ა ნ ი ეწოდებოდა. კიდობანი თანდათან ქრება და მის მაგიერ ჩნდება კ ა რ ა დ ა.

ივ. ჯავახიშვილი აჯამებს თავის მიმოხილვას და ასეთ ზოგად დასკვნას გვთავაზობს: „ძველ საქართველოში XV ს-მდე ფეხიან საჯდომზე ისხდნენ. ...ქართულ კულტურაზე დიდი წამლეკავი გავლენა მოახდინა თემურლენგის შემოსევამ და ძველი ავეჯის გაქრობაც ამასთან უნდა იყოს დაკავშირებული. სამაგიეროდ ჩნდება ხალიჩები და ყველა ფეხმოკეცილი ზის. ცვლილება ჰამის წესებზედაც ვრცელდება, ქრება ძველი სუფრა, რომელსაც ტყავისაგან დამზადებული სუფრის მსგავსი რაღაც ცვლის... ყველაფერი ეს უკულტურობის დაღს ასვამს ამ დროიდან საქართველოს“[1].

მესამე თავში ჰურჭელია შესწავლილი. ამ თავის შესავალში ივ. ჯავახიშვილი გვამცნობს: „საქართველოს ნივთიერი კულტურის ისტორიის თვალსაზრისით ჰურჭელი გაცილებით უფრო საინტერესოა, ვიდრე ავეჯი, მაგრამ ჰურჭლის ისტორია სრულიად არ არის შესწავლილი“[2].

მეცნიერი დარწმუნებულია, რომ „ჰურჭლის ისტორიის შესწავლას კულტურის ისტორიისათვისაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი საინტერესოა როგორც ტექნიკის, ისევე მხატვრული შესრულებისა და კულტურის განვითარების თვალსაზრისით“[3].

ივ. ჯავხიშვილმა აღნიშნა, რომ ძველად ჰურჭლის აღსანიშნავად ორი ტერმინი არსებობდა: „ს ა მ ს ა ხ უ რ ე ბ ე ლ ი და ჰ უ რ ჰ ე რ ი“.

„სამსახურებელი, ისევე როგორც ჰურჰერი, უძველეს ხანაში გვაქვს, ხოლო XV ს-დან შემოდის ჰურჭელი. ჰურჭელს უფრო განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. ჰურჭელი და ჰური — იარაღსაცა და ხელსაწყოსაც ნიშნავს“[4].

---

1 ივ. ჯავახიშვილი, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, II, გვ. 38.

2 იქვე, გვ. 40.

3 იქვე, გვ. 41.

4 იქვე, გვ. 43.

ჭურჭელი დანიშნულების მიხედვით რამდენიმე ჯგუფად იყოფოდა: ერთ ჯგუფს ეწოდებოდა სამსახურებელნი ტაბლათანი, მეორე ჯგუფს—სასმურნი და სამწდეონი, მესამეს—სამსახურებელნი ანუ ჭურჭელნი სამზარეულოთანი, მეოთხე ჯგუფს—სამსახურებელნი ჭურჭელნი საბანელნი.

ხელმწიფის კარის გარიგების ცნობებზე დაყრდნობით ივ. ჯავახიშვილმა დაასკვნა: „საქართველოში სამეფო სასახლეში ერთი მხრით ჰქონდათ ჭურჭელი სახმარებლად სანიადაგოდ, რომელსაც სანიადაგო ჭურჭელი და მოკლედ უმეჯლიშოც ჰრქმევია სახელად, მეორე მხრით ცალკე გამოყოფილი ყოფილა ჭურჭელნი მეჯლისისანი.

ასეთი ჭურჭელი „ოქროსი და ვერცხლისა, ჩინური და ქაშანური“, ცხადია, ბროლისა და სხვა ძვირფასი ნივთიერებისაგან გაკეთებულ-შემკულიც იყო“[1].

ჭურჭელს ივ. ჯავახიშვილი ოთხ ჯგუფად ჰყოფს. „პირველი ჯგუფი ჭურჭლისათვის გამოყენებული მასალის მიხედვით გამოიყოფა. მეორე ჯგუფი ჭურჭლის აღნაგობა-მოყვანილობის, მესამე მისი ღირსება-ღირებულებისა და მეოთხე კი დანიშნულების მიხედვით“[2]. ამ ოთხ ჯგუფში შედიოდა აუარებელი ქვეჯგუფები, რომელთა დამზადების წესზე, დანიშნულებაზე, მათ სახელ-ტერმინებზე ძალიან ვრცლადაა საუბარი.

ერთი სიტყვით, ივ. ჯავახიშვილის ნაშრომი ქართულ ნივთიერ კულტურაზე, ისე როგორც ქართველთმცოდნეობის სხვა დარგებზე წარმოადგენს ქართველი ერის შემოქმედებითი შრომის თავისებურ ისტორიას.

1962 წელს გამოვიდა ივ. ჯავახიშვილის მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის.

ეს მასალები რიგით III და IV-ე ნაწილებს წარმოადგენს.

მესამე ნაწილსა ში ნაკვეთში განხილულია ტანისამოსი, ქსოვილები და ხელსაქმე, ხოლო მეოთხე ნაკვეთში შესწავლილია საომარი საჭურველი და სამხედრო საქმე.

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, II, გვ. 45.

[2] იქვე, გვ. 48.

ივ. ჯავახიშვილმა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ საქართველოში ტანისამოსის დიდი მრავალფეროვნებაა სხვადასხვა კუთხის მიხედვით. სრულიად სხვადასხვანაირად იმოსებიან: ხევსურები, თუშები, ფშაველები, რაჭველები, სვანები, გურულები და საერთოდ — აღმოსავლეთისა და დასავლეთ საქართველოს ხალხი[1].

ივ. ჯავახიშვილმა ქართული ტანსაცმლის ისტორიის შესასწავლად ყოველგვარი მასალა გაითვალისწინა და შესაძლებლად დაინახა აღენიშნა შემდეგი: „ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ტანისამოსის განსხვავება თემების მიხედვით შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც საუკუნეთა განმავლობაში არსებული ტანისამოსის ნაშთი"[2].

განსვენებულმა მეცნიერმა ყურადღება მიაქცია ქალის თუშურ თავსაბურავს. მისი დაკვირვებით „საქართველოს არც ერთ თემში ამგვარი თავსაბურავი არ არის. მას წინ ჩამოშვებული აქვს „ტოტები", ხოლო თუ საქართველოს ისტორიულ კედლის მხატვრობას ავიღებთ, IX საუკუნიდან მოყოლებული, იქ ქალის ამგვარ თავსაბურავებს ვნახავთ"[3]. ამ თვალსაზრისით ყურადღების ღირსია თუშური და სვანური ქუდებიც.

იმის გამო, რომ წინარე ხანის მასალა საკმარისი არ იყო გარკვეული დებულებები ჩამოეყალიბებინა ქართველის ტანსაცმლის შესახებ, ივ. ჯავახიშვილმა ამ საკითხის კვლევა VII საუკუნიდან დაიწყო და ასეთი სათაური მისცა თავის საკვლევი ობიექტის დასაწყისს: „VII — X სს. ტანისამოსი საქართველოში ქანდაკებების მიხედვით (ჯვრის მონასტერი, კუმურდო და ატენის სიონი)".

დასახელებულ ძეგლებზე გამოქანდაკებულ ადამიანის წამოსასხამებზე დაკვირვებამ ივ. ჯავახიშვილი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ „საქართველოში VII საუკ. გავრცელებული წამოსასხამის

---

1 ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ნაკ. III და IV, 1962, გვ. 3.

2 იქვე, გვ. 4.

3 იქვე.

გრძელი სახელოებიც მხოლოდ სამკაულის სახეს წარმოადგენდა და ჩასაცმელად არ ყოფილა განკუთვნილი".[1]

ამ ქანდაკებებზე გამოხატულ პირთა „ეს წამოსასხამები შემკულია ძვირფასი სამკაულებით, ნაკერებით. გარშემო მშვენიერი სახეები აქვს გაკეთებული. ნაკერები ირგვლივ ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ ლითონისა უნდა იყოს.

ზოგან მარგალიტი ან მძივებიც არის. საუცხოო და ძვირფასი წამოსასხამები ყოფილა"[2].

წამოსასხამებს გარდა, ქანდაკებები სხვა ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შესახებაც გვაწვდიან ცნობებს. ივ. ჯავახიშვილი წერს: „წამოსასხამების ქვემოდან მოჩანს მუხლებამდე გრძელი ტანისამოსი, ჯუბის მაგვარი, რომელიც მხოლოდ შუაში იკვრებოდა. გაპრილი სახელოები, გარშემო მდიდრულად არის შეკერილი.

ფეხზე — მაღალყელიანი, მესტისებური, უქუსლო და კოჭებთან გადაკერილი (ისეთი ხაზი ჩანს, რომ ნაკერობა იგულისხმება), უქვინტო და ქვინტიანი ფეხსაცმელებია"[3].

რადგან ივ. ჯავახიშვილმა ქანდაკებების მიხედვით დადგენილად ჩათვალა მაღალ არისტოკრატთა ტანსაცმელი VII—X საუკუნეებისა, მან X—XV საუკუნეთა სამეფო ტანსაცმელიც განიხილა. ამ საკითხის გადაჭრის დროს ოპიზის, ზარზმის, სიონის, გელათის, დავით გარეჯის, ვარძიის, ნაბახტევის და სხვა კედლის მხატვრობა გამოიყენა.

ივ. ჯავახიშვილმა განიხილა ბაგარატ IV-ის, დავით აღმაშენებლის, გიორგი III-ის, თამარის, ალექსანდრე I-ის ჩაცმულობა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ქართველი მეფეების სამოსელი ბიზანტიის კეისრების სამოსელის მსგავსი იყო[4].

შავთელის აღწერილობის მიხედვით ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ „საქართველოს მეფეთა სამოსელი შედგებოდა ორი მთა-

---

1 ივ. ჯავახიშვილი, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ნაკვ. III, IV, 1962, გვ. 6.

2 იქვე.

3 იქვე, გვ. 6—7.

4 იქვე, გვ. 27.

ვარი ნაწილისაგან, რომელთაგან ერთს შ ე ს ა მ ო ს ე ლ ი ეწოდება, მეორეს შ ე ს ა მ კ ო ბ ე ლ ი"[1].

ქართველ მეფეთა ტანსაცმლის აღწერას ივ. ჯავახიშვილი ზარზმაში ბაგრატ III-ს სურათის მიხედვით იწყებს და აღნიშნავს: ბაგრატ III-ს „ტანისამოსად სამეფო ბ ი ს ო ნ ი აცვია, ძვირფასი ქვებით შემკული. თავზე გ ვ ი რ გ ვ ი ნ ი ხურავს მოთვალულ-მომარგალიტული. გვირგვინი მარტივია, ტოტები არა აქვს.

ტანისამოსი შემკული არის ს ა მ ხ რ ი თ, რაც ძვირფასი ქსოვილია, ოქრონემსული.

მკლავზე გაკეთებული ან შებმული აქვს სამკლავე. სამკლავე გარკვეული თანამდებობის ნიშანი იყო. ყველას არ შეეძლო გაკეთება. მეფური სამკლავე იმით განსხვავდებოდა, რომ ქსოვილი შემკული იყო ძვირფასი ქვებით.

ბ ი ს ო ნ ი ს შუაგული თავიდან ბოლომდე შემკულია ძვირფასი ქსოვილით — დიადემით. პირველი ნიშანი, რომ ეს მეფის გამოხატულებაა, სწორედ ეს სამკაულია, მეფის გარდა არავის არ ჰქონდა უფლება ამის გაკეთებისა"[2].

ბისონი მეფის ზევითა ჩასაცმელი იყო, ქვემოდან იცვამდნენ პერანგის მსგავს ჩასაცმელს, რომელსაც პ ო დ ი რ ი ეწოდებოდა.

ფეხსაცმელი წითელი ფერის ტყავისა იყო, რომელსაც ტ ა რ ს ი კ ო ნ ი ეწოდებოდა.

იცვამდნენ ჯ უ ბ ა ს აც.

ქალებს უფრო გრძელი ტანისამოსი ჰქონდათ. ბ ი ს ო ნ ი დედოფლებსაც ეცვათ, მაგრამ მათი ბისონი უფრო გრძელი იყო. ბეთანიის კედლის მხატვრობიდან, სადაც თამარის სურათიცაა მოთავსებული, ჩანს, რომ „თამარს სამკლავე იდაყვებამდის აქვს ჩამოშვებული და გვირგვინიდან მოჩანს მანდილი"[3].

ივ. ჯავახიშვილის ნაშრომში მოხელეების, მღვდელთ მსახურების და სხვა უფრო დაბალი სოციალური ფენების ტანსაცმელიცაა განხილული. მას ყურადღება მიუქცევია, რომ მოხელეები ერთმანე-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ნაკვ. III და IV, 1962, გვ. 29.

[2] იქვე, გვ. 37.

[3] იქვე, გვ. 39.

თისაგან თავსაბურავებით განსხვავდებოდნენ. უფრო მეტიც: „თავსაბურავები ეროვნებათა განსხვავებისათვისაც დამახასიათებელია“[1].

ვაჭრებსაც განსხვავებული ტანსაცმელი სცმიათ, რომელსაც „სამოსელი ვაჭრული“ ეწოდებოდა.

XII საუკუნის ასტრონომიულ ტრაქტატში მინიატურაზე გამოხატულია ვაჭრის ტიპი, მას „აცვია შარვალი, სარტყელი აქვს და ჯიბეები უჩანს“[2].

სასულიერო პირთა ტანსაცმელი საერო პირთა სამოსელისაგან განსხვავდებოდა. სასულიერო პირთა ტანსაცმელს „სამოსელი სამღვდელთმოძღვრო და სამოსელი ბერული“ ეწოდებოდა.

ივ. ჯავახიშვილმა მზითვის წიგნებში დაცული ცნობების ანალიზის საფუძველზე ფეოდალის ქალის მხლებლების ტანსაცმელიც განსაზღვრა, ყურადღება მიაქცია იესე ოსეს ძის ცნობებს მისი ტანსაცმლის რაოდენობის შესახებ და საშუალო შეძლების მოხელის ტანსაცმელზეც მკითხველს სრული წარმოდგენა შეუქმნა.

რადგან მეფე თუ ფეოდალები, როცა თავიანთ ქალიშვილებს ათხოვებდნენ, მათ მოახლეთა და მოსამსახურეთა გარკვეულ რიცხვს ატანდნენ და მზითვის წიგნებში დაწვრილებით იყო ჩამოთვლილი არა მარტო ის, რაც სადედოფლოს კუთვნილი იყო, არამედ მის მხლებელთა საქონებელზეც იყო საუბარი, შეიძლება ამ წიგნების ცნობებმა მართლაც გარკვეული წარმოდგენა მოგვცეს შედარებით დაბალი სოციალური ფენის სამოსელზე.

იესე ოსეს ძის თავგადასავალი იმის უტყუარი საბუთია, თუ როდის და როგორ ტანსაცმელს ატარებდა მეფის საშუალო რანგის მოხელე, — ის ერეკლეს კარის მდივანი იყო.

იესე ოსეს ძე 1774 წელს წერდა: „არასფერს არც დიდკაცურს დავიკლებდი, არც მოქალაქურს. მსახურნი მახლდენ ექვსი თუ შვიდი. ცხენები მყვანან, რომ ჩემს ამხანაგს არავის ჰყავს. მარქაფით და რიგიანად დავიარებოდი... ათი თორმეტი კაბა არ გამომლევია ზანდუკში, ოთხი და ხუთი ახალუხი, ხუთი და ექვსი პერანგი

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ნაკვ. III, IV, 1962, გვ. 45.

[2] იქვე, გვ. 48.

და მუქასარი, ჩახჩური და პაიჭი, ათი თორმეტი ქედი საჩეხი, თუშური ნაკერი ქუდი და ყაჯრული სხვადასხვა ფერი... ზამთარს ზამთრისას ასე ვიკმარებდი ქურქსა, ხირღასა, ქუქუნაკსა, ქათიბსა... ზაფხულს ზაფხულისას და დიაღ ფაქიზად ვიკმარებდი... ზამთარში ჩავიცვამდი რბილს შიგნითს ტანისამოსს, ახალუხს მსხვილს, კაბას ყიზილბაშურს და ბამბულს, ორშაბათს, სამშაბათს და შაბათ კვირემდის ან ლაინისას ან ჩითისას და შაბათ კვირას ან ატლასისას, ან სხვა რასმე კარგს კარგის ღილით, იმასაც დაბამბულს. საყდარში წამოვისხამდი კარგს ხირღას, ლამაზს და ბატონთან კარგს ქათიბს, შინ პურის ჭამაში ქუქუნაკს და ხან ქურქს და ჩემს ლოცვაზედ კიდევ ქუქუნაკს ქართულს. აგრევ ზაფხულში, გაზაფხულ, შემოდგომას მოვის პერანგებს სხვასა და სხვა ფერს და ზაფხულში ტილოს პერანგებს გულისპირ შეკერილს, ახალუხს ლამაზებს და კაბებს დარაიებს. შაბათს, კვირას სხვას და სხვას ფერს და უმისოდ მაუდებს და წმიდას შალებს. აგრევ სარტყელს ზამთარში რბილსა და ზაფხულს დიბებს და შალებს. ქუდს ზამთარში კვერნისას და ზაფხულს მსუბუქსა და ხან საჩეხსა და ხან თუშურსა და ხან სირმით ნაკერსა. ახალუხი ნაოჭით ვიცოდი ქართულად და მაშია მაღალი მწვანე და წითელი კარში და შინ და ლოცვაზედ ჭოშები, ლამაზი საწვიმარი და ქურთუკი ზაფხულის ხანდახან და ზამთარ ცის ფერი მსხვილი საწვიმარი"[1].

რადგან ასე დაწვრილებით არსად არ არის აღწერილი მამაკაცის ჩაცმულობა, ამიტომ ასე ვრცელი ამონაწერი მოვიტანეთ.

ივ. ჯავახიშვილი ყურადღების გარეშე არ ტოვებს ქალწულისა და ბავშვის ტანსაცმელსაც.

მისი აზრით, ქალწულის თავსაბურავი იალქანი იყო. მისი მთელი ჩაცმულობა ასეთი იყო: „ქალწულს იალქანის ქვეშიდან მოუჩანს ზურგზე ჩამოშვებული მანდილი. ტანზე მას აცვია: ქვემოდან პერანგი; პერანგი მოკლეა, ამოჭრილი, წვრილსაყელოიანი. კაბა ისეთივე მოყვანილობისაა, როგორც ლაშა გიორგისა. საყელო გადაკეცილია და ყელი სრულებით თავისუფლად ჩანს. კაბა წინ გაჭრილია და ღილებით იკვრება. მაშასადამე, ეს ტანსაცმე-

---

1. ს. კაკაბაძე, თაეგადასავალი იესე ოსეს შვილისა, 1913, გვ. 83 — 84.

ლი მარტო სიმბოლური კი არ არის, არამედ მაშინ გავრცელებული ტანისამოსის აღბეჭდვაა“[1].

ბავშვის ტანსაცმელი ივ. ჯავახიშვილს ასეთად წარმოუდგენია: „ბავშვებს მუხლებამდე ტანისამოსი აცვიათ. საყელო გადაკეცილია, მაგრამ გაჭრილი არ არის. სახელოები თანდათან უვიწროვდებათ და ვიწრო მაჯით მთავრდება. თავზე იალქნის მსგავსი თავსაბურავი ახურავთ, წელზე სარტყელი აქვთ შემორტყმული... ბავშვთა ტანსაცმელის დამახასიათებელია თვით ქობა; ფეხზე მაღალყელიანი მოგვი აცვიათ“.[2]

ივ. ჯავახიშვილი განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევს ვახუშტის ცნობებს ქართველთა ჩაცმულობის შესახებ. მართლაც ვახუშტი ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც ქართველთა ტანსაცმელის სრული აღწერილობა მოგვცა საქართველოს ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე. მან პირველმა შენიშნა, რომ ტანსაცმელი იცვლებოდა საქართველოს მეზობლებთან ურთიერთობისა და შინაგანი მდგომარეობის შეცვლასთან ერთად. .

აი, როგორ აგვიწერს ვახუშტი ქართველთა ჩაცმულობას: „შემოსილნი არიან ქართველნი და კახნი ერთ რიგად: თავს სკლატისაგან ანუ შალისაგან ქუდი გრძელ-წვრილი, ბეწვეული, აფროსანი; ტანს კაბა ლარისა, სკლატისა ანუ ჩოხისა მუხლთ ქვემომდე, მაზედ სარტყელი, შიგნით საგულე ბანბიანი კაბის უმოკლე. პერანგი აბრეშუმისა, ბანბისა ანუ ტილოსაგან, უგრძე კაბისა, და კისერი სრულიად მჩენი; ნიფხავი აბრეშუმისა, ანუ ბამბისაგან, ანუ ტილოსა. არამედ ცხენსა ზედა მოსიათ საწარმართული და მოგვნი. თჳნიერ მისსა — არა: ფერჴთა პაიჭი და წუღა ტყავისა ანუ სკლატისა, ხოლო მაშია სპარსული; უმცირესთა ჩუსტი და ქალამანი. კვალად ტყავ-კაბა კაბისაგან უმოკლე და ტყავი ზამთარს დიდი არამედ პირველ ერთსმეფობასა შინა სცმიათ სხვაგვარ: თავს ქუდი გრძელი, რომლისა კუნჭული ბეჭსა ზედა მცემელი და რძელბეწოსანი. პერანგი ბერული ტილოსი, საგულე და კაბა გრძელი კოჭამდე უღილოდ, მას ზედა სარტყელი ფოჩჩაშვებული, ტყავი დიდი სახელ

---

1 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 56.

2 იქვე გვ. 57.

ვიწრო და ფერჴთა ზედა მოგვი, ვითარცა იცნობიან ნახატებთა ზედა. ქალთაცა მგზავსად, გარნა სარტყელთა წვერნი ჩამოშვებულნი და მას ზეით კაბა-ახალუხი ამოჴრილი, და თჳნიერ პერანგისაგან კიდე არარაი ჰფარავს, და პერანგნი მჴვირეალი, ჴორცის მჩენელი, უპაიჭოთ ნიფხავი და ფერჴზედ წუღა, მაშია; ხოლო თავი ქალწულთა: კავნი თეისისავე თმისა ღაწვთა ზედა და ქუდი ანუ ლეჩაქი, არამედ ქრმოსანთა კავსა ზედა ღაწვს აძესთ თმა შეწნული, მსხვილი, იმერ და ამერ, და ყბის ქვეშ მარგალიტით შემზადებულს ამოიდებენ და თხემსა ზედა შეიკურენ. და ჰბურავთ მასზედ ლეჩაქი. ქვალად სამკაულნი იციან მრავალგვარნი. ზოგნი თჳსნი და ზოგნი სპარსთანი; ზამთარ კაცთა და ქალთა ქათიბი, ტყავი და ტოლომა ბეწულნი; გარნა ქალთა კაბა და ტყავი ვიდრე მიწამდე. ხოლო იმერთა მცირეთ რაიმე განიყოფების, არამედ ქუდი მცირე ნაჭრისაგან, რომელი არა ბურვით, განა მდებარე არს თხემსა ზედა, და ზამთარს მოსიათ ტოლომა ოსმალური. ხოლო მესხთა დიდებულთა — ვითარცა ოსმალთა. და გლეხთა, რომელთამე ვითარცა ბერძენთა, და რომელთამე ვითარცა ქართველთა გლეხთა"[1].

ვახუშტისეული აღწერილობის დიდი მნიშვნელობა ისაა, რომ აქ მოცემული არის ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ქართველთა ტანისამოსის მსგავსება და განსხვავება. ამ მხრივ არა ერთი საინტერესო ცნობაა დაცული იოანე ბატონიშვილის კალმასობაშიც, მაგრამ ივ. ჯავახიშვილის შრომა სულ სხვა არის და ვისაც ქართველი კაცის ჩაცმულობა-სამკაულის ისტორია აინტერესებს, მან აუცილებლად უნდა წაიკითხოს ივანე ჯავახიშვილის წიგნი.

ვახუშტიც, იოანე ბატონიშვილიც უფრო შეზღუდულნი იყვნენ, მათ ყველა საჭირო მასალა არ გააჩნდათ, ივ. ჯავახიშვილი კი ამ მხრივ უხვ მასალებს, როგორც ქართულს ისე უცხოურს, ფლობდა და ამიტომ არის, რომ მისი ნაშრომი სრულ წარმოდგენას გვაძლევს ქართველი კაცის ყოფა-ცხოვრების ამ მხარეზე.

ივ. ჯავახიშვილი უხვად იყენებს უცხოელ დამკვირვებელთა

---

1. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 32.

ჩვენებებსაც ქართველთა ჩაცმულობაზე და სათანადო შეფასებას აძლევს მათ.

ივ. ჯავახიშვილი დაწვრილებით არჩევს სამოსლის ტერმინებს, არაფერს არ ტოვებს უპასუხოდ და აუხსნელად. ყველა ამ ხასიათის მსჯელობის მიმოხილვა ჩვენ ძალიან შორს წაგვიყვანს და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვინც დაინტერესდება ქართული ტანსაცმლის ისტორიის ღრმად შესწავლით, მან ივ. ჯავახიშვილის ამ შრომას უნდა მიმართოს.

ტანსაცმლის, თავსახურის, ფეხსაცმლის და სამკაულების სახელებს, სახეებსა და დანიშნულებას ივ. ჯავახიშვილის შრომაში 160 გვერდი უჭირავს, ამ მრავალმხრივი, თუ შეიძლება ასე ითქვას, საძნელო საქმის თავგართმეევის შემდეგ ივ. ჯავახიშვილი ვრცლად მიმოიხილავს იმ ქსოვილთა მასალას, რომელიც ტანისამოსისათვის იყო გამოყოფილი.

იგი თავის მკითხველს არწმუნებს: „არქეოლოგიური გათხრებიდან ცხადად ჩანს, რომ ჯერ კიდევ ძველი ისტორიის წინახანაში ჩვენს მიწა-წყალზე, როგორც სელის, ისე მატყლისა და ბამბისაგან დამზადებული ქსოვილები ყოფილა“[1].

ივ. ჯავახიშვილის მტკიცებით, საქართველოში სხვადასხვა ქსოვილები მზადდებოდა და იმდენი რაოდენობითაც, რომ ეს ქსოვილები საზღვარგარეთაც გაქონდათ.

ივ. ჯავახიშვილი იმოწმებს ზაქარია იბნ მუჰამედ ალ-ყაზვინის (1203—1283) ცნობებს და დასძენს: „XIII საუკუნის გეოგრაფის ზაქარია ყაზვინის ცნობით ჩანს, რომ საქართველოდან სელის ქსოვილებს გარდა მატყლის, ბამბის და აბრეშუმის ქსოვილები მრავალი გაჰქონდათ მეზობელ ქვეყნებში, თვით თბილისითგანაც“[2].

განსაკუთრებით განვითარებული იყო მეაბრეშუმეობა XIV საუკუნის ბოლომდე, მაგრამ „თემურ-ლენგის შემოსევამ გაწყვიტა წელში საქართველოში მეურნეობის ეს დარგი. მან გააკაფვინა თუთის ხეები, რომ აბრეშუმის წარმოება სრულიად მოსპობილიყო.

---

[1]. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 160.

[2]. იქვე, გვ. 161.

ამ დროიდან თანდათანობით ჩაკვდა ის თვალსაჩინო წარმოება, რომელიც განთქმული იყო საქართველოში რამდენიმე საუკუნის განმავლობაში“[1].

ივანე ჯავახიშვილი ჩამოთვლის ყველა იმ ქსოვილებს, რომელიც ტანსაცმელისათვის იყო ხოლმე გამოყენებული, საუბრობს ამ ქსოვილთა რაობაზე, სადაურობაზე, დამზადების წესზე და სხვ. აი, ზოგი მათგანი:

ო ქ ს ი ნ ო. ივ. ჯავახიშვილის აზრით „ო ქ ს ი ნ ო წარმოადგენს ხაერდისმაგვარ ოქროს ქსოვილს, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული როგორც საქართველოში, ისე სხვაგან“[2].

ს უ ნ დ უ ს ი — აბრეშუმის მაღალხარისხოვანი ქსოვილის სახელია.

ს ტ ა ვ რ ა — ესეც აბრეშუმის ქსოვილის ერთ-ერთი სახეა.

სტავრა ბერძნულია, მაგრამ მას საქართველოშიც ამზადებდნენ. ძვირფას ქსოვილთა შორის წყაროებში დასახელებულია: დ ი ბ ა, ხ ა რ ა, ნ ა ხ რ ი, ა ტ ლ ა ს ი, ქ ა მ ხ ა, შ ე ი დ ი ში, კ უ ბ ა ს ტ ი, ა ფ ი და სხვ.

იქსოვებოდა საქართველოში როგორც სახიანი, ისე უსახო ქსოვილები.

ქსოვილების ზოგადი სახელები საქართველოში იყო: ლ ა რ ი, გ უ მ ა შ ი, ტ უ რ ფ ა, ფ ა რ თ ა ლ ი, ნ ი ტ რ ი ო ნ ი. იხმარებოდა ნაქსოვიც, ძვირფას ქსოვილთა გარკვეულ ჯგუფის ზოგად სახელად იხმარებოდა ო ქ რ ო ქ ს ო ვ ი ლ ი.

ძველ საქართველოში გავრცელებული იყო „სამოსელი ტყავისა“.

მესამე ნაკვეთს დართული აქვს ივ. ჯავახიშვილის ნაშრომი „ხელსაქმე“. ამ ნაშრომში საუბარია კერვაზე, ღებვაზე, ქსოვაზე, სამწუხაროდ, ეს ნაშრომი ივ. ჯავახიშვილს დაუმთავრებელი დარჩა, მაგრამ რაც დაწერილია, მასაც დიდი მნიშვნელობა აქვს და არა ერთი ტერმინია დამოწმებული და განმარტებული დასახელებულ საკითხებზე.

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 170.

[2] იქვე, გვ. 170.

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „ძველ-ქართულ მწერლობაში ნაკერს ზოგად სახელად ნემსური ეწოდებოდა"[1].

თუ ნემსური ზოგადი სახელი იყო, ოქრონემსური კერვის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენდა.

შემდეგში ამის შესატყვისად ნაკერი მკედით ან ოქრომკედით ტერმინებიც გაჩნდა.

იყო სხვა ტერმინებიც: ზარქაში, ოქრო-განაზიდები, გვირისტი, ნიზბი, ჩიგინი, ჩარყაფი, ჯალღა, ბილისტანი, სირმით ნაკერი, ოთრუკი და სხვა მრავალი.

თითოეულ ამ ტერმინს განსვენებული მეცნიერი სათანადო განმარტებას აძლევს და მიუთითებს იმ წყაროს, სადაც ეს ტერმინი მოიხსენება.

ამავე წიგნის მეოთხე ნაკვეთში საუბარია საომარ საჭურველსა და ხამხედრო საქმეებზე.

ქართული სამხედრო ხელოვნების შესწავლის მხრივ ჩვენში ძალიან ცოტა რამ არის გაკეთებული. ეს იმით აიხსნება, რომ ჩვენმა ქართველმა მხედართმთავრებმა შესაფერისად არ იციან საქართველოს ისტორია, ხოლო საქართველოს ისტორიის მკვლევარნი ნაკლებად ერკვევიან სამხედრო ხელოვნების თავისებურებაში.

ივანე ჯავახიშვილმა ფასდაუდებელი ამაგი დასდო ქართული სამხედრო ხელოვნების დარგს. მან მეცნიერული პასუხისმგებლობით შეაგროვა აურაცხელი მასალა საომარი საჭურველისა და სამხედრო საქმის შესახებ. მისი წყალობით ახლა დაინტერესებული მკითხველი ადვილად გაერკვევა ყველა იმ იარაღსა და საქმიანობაში, რომელიც სამხედრო საქმესთან იყო დაკავშირებული.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ქართველი ხალხი მუდმივ თავდაცვით ომებს აწარმოებდა ათასგვარი გადამთიელის წინააღმდეგ, მაშინ გასაგები გახდება, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს საომარ მოქმედებასთან დაკავშირებული საქმიანობის მეცნიერულ შესწავლას.

იმის გამო, რომ ქართველი ხალხი სხვადასხვა დროს სხვადასხვა მტერთან იბრძოდა, ბუნებრივია, „ბრძოლის საწარმოებლად განკუ-

[1] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 190.

თვნილი ხელსაწყოების ზოგადი სახელი ქართულად არა ერთხელ შეცვლილა და ძველ ტერმინის მაგიერ ახალი გაჩენილა".[1]

უძველეს ხანაში საბრძოლო იარაღს საჭურველი ეწოდებოდა. ამაზე უფრო ადრე კი აბჯრის და იარაღის თვით საჭურველის მაგიერაც კი ჭური უნდა ყოფილიყო.[2]

ამგვარად ჭური საჭურველმა შეცვალა XII—XIII საუკუნეებში.

შეიარაღებულ მეომარს შეჭურვილი ეწოდებოდა. მას აღჭურვილსაც უწოდებდნენ.

საჭურველმაც თანდათან დაკარგა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა და მის მაგიერ ქართულში გაჩნდა აბჯარი. უკვე XII—XIII საუკუნის ძეგლებში, მართალია, საჭურველიც იხმარება, მაგრამ გაბატონებული მდგომარეობა მაინც აბჯარსა აქვს. აბჯარიც, ისე როგორც საჭურველი თავის დროზე, საომარი იარაღის ზოგადი სახელია.

თუმცა აბჯარი, როგორც საომარი იარაღის ზოგადი სახელი, გვიან საუკუნეებში (XVI—XVIII სს) კვლავ გვხვდება, მაგრამ მისი შესატყვისი ახალი ტერმინი XV საუკუნიდან მოყოლებული თანდათან გაბატონებულ მდგომარეობას მოიპოვებს. ეს ახალი ტერმინი არის იარაღი.

მასალათა შეჯერების შემდეგ ივ. ჯავახიშვილმა დაასკვნა: „აბჯრისა და იარაღის მნიშვნელობათა შორის განსხვავება შესაძლებელია ასე გამოიხატოს: აბჯარიცა (IX ს-ითგან) და იარაღიც (XV ს-ითგან) ზოგადი ტერმინებია, მაგრამ აბჯარი მხოლოდ თავდასაცავი და შესატევი საჭურველის ზოგადი სახელი იყო, იარაღი კი ყოველგვარი ხელსაწყოს, მათ შორის საომარისაცა და სახელოსნოსაც, ყოველი საშუალების ზოგადი სახელი და ტერმინი იყო".[3]

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 203.

[2] იქვე, გვ. 204.

[3] იქვე, გვ. 213.

ივ. ჯავახიშვილი ჩერდება ისეთ ტერმინებზე, როგორიცაა: სალაშქრო, საბრძოლო, მოკაზმულობა და სხვ. არკვევს ამ ტერმინების წარმოშობასა და დანიშნულებასაც და აღნიშნავს, რომ მათ თუმცა საკურველის მნიშვნელობა ჰქონდათ, მაგრამ ფართო გავრცელება, ისეთი როგორც აბჯარმა და იარაღმა მოიპოვა, ვერ მოიპოვესო.

დაადგინა რა ზოგადი ტერმინები, მეცნიერი გადავიდა იარაღის დანიშნულების საკითხებზე. მისი აზრით, საზეიმო შეკრებაზე სხვა. შედარებით უფრო მდიდრულად და ლამაზად შემკულ იარაღს ატარებდნენ, ომის დროს უფრო მკვეთრსა, ბასრსა და საომრად ხელმარჯვე იარაღს. იარაღი განსხვავდებოდა ჯარის გვარობის მიხედვითაც: ცხენოსნის შეკაზმულობა განსხვავდებოდა ქვეითად მებრძოლის შეკაზმულობა-იარაღისაგან. საქვეითო აბჯარი, საქვეითო იარაღი ქვეითი ჯარის აკაზმულობა იყო. ცხენოსანს განსხვავებული იარაღი ჰქონდა. ამ იარაღში ცხენის დაცვის საშუალებაც შედიოდა. ამიტომ ცხენოსნის აბჯარი ორი ჯგუფისაგან შედგებოდა: ერთ ჯგუფს საკაცო აბჯარი ეწოდებოდა, ხოლო მეორე ჯგუფს — საცხენო აბჯარი.

მებრძოლის შეიარაღება ქონებრივ შეძლებაზეც იყო დამოკიდებული, ფიზიკურ აღნაგობაზეც — უფრო ძლიერს ფალავანს საფალავნო იარაღი უფრო მძიმე ჰქონდა, მაგრამ მაინც არსებობდა სრული აბჯარი საკაცო, ან როგორც ვეფხისტყაოსანშია ნახმარი ერთი ტანი აბჯარი საკაცო. ერთი ტანი აბჯარი საკაცო შეიცავდა ჯაჭვს, მუზარადს, საბარკულსა, ხმალს, ქაფას, მშვილდ-კაპარჭს, ლახტს, შუბს...

ვახუშტი ქართველთა საომარ იარაღებზე ასეთ ცნობას გვაძლევს: „ხოლო საომარნი საჭურველნი აქუნდათ: ჯავშანი, ხვაფთანი, პოლოტიკნი, საბარკულნი, მუზარადნი, ჩაბალახნი, ჴმალნი, ხანჯალნი, ლახტნი, ჩუგლუგნი, გურზნი, ოროლნი, შუბნი, ხიშტნი და მშვილდისარნი“.[1]

იარაღები დანიშნულების მიხედვით იყოფოდნენ: I. თავდაცვითი (ჯავშანი, ხვაფთანი, პოლოტიკნი, საბარკულნი, მუზარადნი და ჩაბალახნი).

---

[1] ვახუშტი, აღწერა... გვ., 14.

II. მკვეთელნი (ხმალი, ხანჯალი, მახვილი, დაშნა, დანა, სატევარი).

III. დასარტყმელი იარაღი (ლახტი, ჩუგლუგი, გურზი).

IV. საძგერელი იარაღი (პოროლნი, შუბნი, ხიშტნი, ლახვარნი, მაზრაკი, საგორველი, შურდული, კავანი, საგდებელი და სხვ.).

V. სასროლი იარაღი (მშვილდისარი, საბელი).

აქ დასახელებულ საომარ იარაღებზე მათი დანიშნულების, წარმოშობა-სადაურობის შესახებ საკმაოდ დაწვრილებითაა საუბარი ივ. ჯავახიშვილის ნაშრომში.

ასევე ვრცლადაა მოთხრობილი თითოეული საომარი იარაღის შემადგენელ ნაწილებზე. ივ. ჯავახიშვილი არც ცხენის ჯავშანსა და აკაზმულობას ივიწყებს და საუბრობს მათზე, ამ აკაზმულობის ცალკეულ ნაწილებზე (ბარგისტანი, უნაგირი, ავჟანდა, დეზი, სადავე, რახტი ანუ აღვირედი, ლაგამი და სხვ.).

XV—XVI საუკუნეებში ქართულ საომარ აღჭურვილობას თოფიც ემატება. ცეცხლმფრქვეველმა იარაღმა ზედმეტი გახადა ბევრი ის საომარი იარაღი, რომელსაც მანამდე ასე მოხერხებულად იყენებდნენ ქართულ სამხედრო ხელოვნებაში. იმის გამო, რომ თოფ-ზარბაზნები საქართველოში არ მზადდებოდა, თოფის ნაწილები ყირიმის გზით, ევროპიდან შემოქონდათ საქართველოში.

ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის ზოგადი დახასიათება

არ არის ქართული ეროვნული მეცნიერების არც ერთი დარგი, რომლის განვითარებაში ივანე ჯავახიშვილს ფასდაუდებელი წვლილი არ შეეტანოს. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ ივ. ჯავახიშვილის ღვაწლის ყოველმხრივი შეფასება ჩვენს მიზანს სცილდება.

ივანე ჯავახიშვილის მეცნიერულ მემკვიდრეობას განცვიფრებაში მოჰყავს ადამიანი იმიტომ, რომ ეს მემკვიდრეობა მრავალმხრივია და თან დიდ მეცნიერულ პრობლემებს ეხება.

ი. ბ. სტალინი აღნიშნავდა, რომ „ყოველ ერს, — სულ ერთია —

დიდსა თუ მცირეს, თავისი თვისობრივი თავისებურებანი, თავისი სპეციფიკა აქვს, რომელიც მხოლოდ მას ეკუთვნის და რომელიც სხვა ერებს არ მოეპოვებათ. ეს თავისებურებანი ის წვლილია, რომელიც ყოველ ერს მსოფლიო კულტურის საგანძურში შეაქვს და ავსებს, ამდიდრებს ამ საგანძურს".

ივ. ჯავახიშვილის მთელი მეცნიერული მოღვაწეობა იმას ემსახურებოდა, რომ გამოერკვია ქართული ხალხის „თვისობრივი თავისებურებანი", მისი სპეციფიკა, ეჩვენებინა, თუ რა შეიტანა ქართველმა ხალხმა მსოფლიო კულტურის საგანძურში, რით გაამდიდრა მან ეს საგანძური.

ამ კეთილშობილურ საქმეს ივანე ჯავახიშვილმა შესწირა მთელი თავისი ცოდნა და ენერგია.

თავის ერთ-ერთ კაპიტალურ ნაშრომს „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა" ეპიგრაფად წარუმძღვარა ქართველი მოაზროვნის არსენი ამარტოლის სიტყვები: „დიდ არს ძალი სიყუარულისაჲ, რომელი მორჩილ ჰყოფს გონებასა შეკადრებად შეუკადრებელსაცა".[1]

თავისი ხალხის სიყვარულით გამხნევებული ივანე არა ერთხელ აღნიშნავდა: „ვისაც ნიჭი აქვს, ვისაც სიყვარული და ვისაც ხალხისადმი პასუხისმგებლობა ესმის, ყველაფრის გადალახვა შეიძლება. ყველაფრის გაკეთება შეიძლება". აი, ამ სიყვარულმა მისცა შეძლება დიდ მეცნიერს თავისი ხალხის კულტურის დიდი მესაიდუმლე ყოფილიყო.

ივ. ჯავახიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის უნაყოფიერესი წლები რევოლუციის შემდგომი ხანა იყო. საბჭოთა წყობილების პირობებში ივ. ჯავახიშვილი ჰაბუკური ენერგიით შეუდგა განახლებული საქართველოს სოციალისტური კულტურის კეთილშობილ სამსახურს. ეროვნული კულტურის ფითოეული მიღწევა ახარებდა და ყოველი ახალი სასწავლო თუ სამეცნიერო დაწესებულების გახსნა აღაფრთოვანებდა მას.

ივ. ჯავახიშვილის მეცნიერული მოღვაწეობის მიმოხილვა შეიძლება შევაჯამოთ აკადემიკოს ნიკოლოზ ბერძენიშვილის სიტყვე-

---

[1] თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 109,

ბით: „ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში ივ. ჯავახიშვილი ახალი ეტაპის შემქმნელია. ქართული ისტორიოგრაფიისათვის აქამდის უჩვეულო სიღრმითა და მოცულობით სრულიად ახლად დაამუშავა განსვენებულმა მეცნიერმა ჩვენი ისტორიის აურაცხელი საკითხები: პოლიტიკა, ეკონომიკა, სამართალი, ეთიკა, იდეოლოგია, მატერიალური და სულიერი კულტურა... დიდი ერუდიცია, მაღალი მეცნიერული აღჭურვილობა, ფართო ისტორიული პერსპექტივი, ბასრი კრიტიკული ალღო, სანიმუშო და მისაბაძი მეცნიერული სინდისი, მუშაობით შეუნელებელი გატაცება, დიდი ნებისყოფა და მშობელი ხალხისადმი კეთილშობილი სიყვარული, — ყველაფერი ეს ერთად ამკობდა განსვენებულ მოღვაწეს და საშუალებას აძლევდა მას ქართული მეცნიერების დაკორდებული ყამირი ძლიერი მკლავით ღრმად გადაებსნა".[1]

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, აკად. ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების პირველი წლისთავისათვის, ენიმკის მოამბე, XIII, 1943, გვ. 266.

ივანე ჯავახიშვილის საზოგადოებრივი მოღვაწეობა

თბილისის უნივერსიტეტის
დაარსება

ქართველი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლები კარგა ხანს იბრძოდნენ იმისათვის, რომ მეფის მთავრობას ნება დაერთო ქართული უმაღლესი სასწავლებლის გახსნისა.

1905 წლის რევოლუციის პერიოდში კვლავ წამოიჭრა ეს საკითხი. 1906 წელს ნ. მარმა წამოაყენა წინადადება თბილისში სამეცნიერო აკადემიის გახსნის შესახებ. აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი იგონებდა: „ნ. თავდგირიძესა და ალ. ყიფშიძეს ნ. მართან სადარბაზოდ მოსვლა და ნახვა უნდოდათ. მეც გავყევი და ნ. მართან მივიყვანე. რომელიც მაშინ ვასილის კუნძულის მე-4 ხაზზე ცხოვრობდა. ლაპარაკის დროს საუბარი ჩვენი საზოგადოებრივი და სამეცნიერო აზრის სიღარიბეზე ჩამოვარდა. ნ. მარმა ქართული სამეცნიერო აკადემიის დაარსების აუცილებლობაზე დაიწყო ლაპარაკი: უცელას აქვს სამეცნიერო აკადემია, სომხებსაც კი ლაზარიანთ მონასტრებში ერთგვარი აკადემიის მსგავსი დაწესებულება მოეპოვებათ, მარტო ქართველებს არა აქვთ ამნაირი ცენტრიო. ნ. მარმა დაუ-

შატა: რასაკვირველია, ამას ქონებრივი სახსარი ესაჭიროება, მაგრამ ნუთუ ქართველთა შეძლებული წრეები ასეთი დაწესებულებისათვის საკმაო ფულს ვერ გამოიღებენო? ნ. თავდგირიძეს ეს აზრი მოეწონა და სთქვა, ფულის შოვნა მოხერხდებაო. მაშინ ნ. მარმა განაცხადა: თუ ეს ქონებრივად მოსახერხებელია, მე ინგლისის სამეცნიერო აკადემიის წესდება მაქვს შინ და იმის მიხედვით ქართულ სამეცნიერო აკადემიის წესდების შედგენას შევუდგებიო. ალ. ყიფშიძეს და ნ. თავდგირიძეს გაეხარდათ და ნ. მარს წესდების დაწერა სთხოვეს. ჩემთვის მთელი ეს საუბარი მოულოდნელი იყო და თუმცა ნ. მარის პროექტი სრულებით განუხორციელებლად და უნიადაგო ოცნებად მიმაჩნდა, მაგრამ მაინც მიამა, როდესაც დავინახე, რომ ნ. მარიც ქართული სამეცნიერო ცენტრის შექმნაზე ოცნებობდა. ამიტომ გაჩუმებული ეუსმენდი ამ საუბარს და საწინააღმდეგო არა მითქვამს რა. ხოლო, როდესაც აღიძრა საკითხი, სად შეეკრებილიყავით და მოგვესმინა ნ. მარის მიერ შედგენილი ქართული სამეცნიერო აკადემიის წესდება, მე ჩემი ბინა შევთავაზე იმ იმედით, რომ ჩემთან გარეშე მოულოდნელი სტუმარი ვერავინ შეგვიშლიდა საუბარს, და ასეც გადაწყდა. აღნიშნულ დღესა და საათზე ნ. მარმა, ნ. თავდგირიძემ და ალ. ყიფშიძემ ჩემთან სერგიევის ქუჩაზე მოიყარეს თავი. ნ. მარი პორტფელით მოვიდა და თან ქართულად დაწერილი სამეცნიერო აკადემიის წესდების პროექტი და ინგლისური სამეცნიერო აკადემიის დაბეჭდილი წესდებაც მოიტანა. საკმარისი იყო ამის თაობაზე დამშვიდებული საქმით მსჯელობა დაწყებულიყო, რომ საქართველოში სამეცნიერო აკადემიის არსებობის შეუძლებლობა ცხადი გამხდარიყო და თვით ნ. თავდგირიძეს ამ დაწესებულებისათვის საჭირო თანხის ჩვენში ერთდროულად შეგროვებისა და კერძო თაოსნობით ყოველწლიურად გამოღების შეუძლებლობა ეღიარებინა. ამნაირად, ჯერ კიდევ ქართული სამეცნიერო აკადემიის დაარსების შესაძლებლობის შესახებ მსჯელობის დაწყებამდე ამ პროექტის უნიადაგობა ცხადი შეიქმნა[1].

---

[1] საქართველოს ცენტრ. არქივი, ფ. 471, საქმე, 74.

ივანე ჯავახიშვილი პეტერბურგის უნივერსიტეტში სამეცნიერო პედაგოგიური მოღვაწეობის დროს თანდათან აგროვებს ძალებს, გულს არ იტეხს განვლილი უშედეგო ბრძოლის გამოცდილებით და ცდილობს მიაღწიოს იმას, რომ ქართველ ხალხს ჰქონდეს თავისი უმაღლესი სასწავლებელი. მან იცის, რომ საჭირო იქნება წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა. მოსამზადებელი მუშაობა ქართული უნივერსიტეტის გახსნისათვის 1908 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში დაიწყო პეტერბურგის უნივერსიტეტის „ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის" ჩამოყალიბების დღიდან. წრის მიერ ჩატარებულმა „ანკეტამ" დაარწმუნა ივ. ჯავახიშვილი, რომ საკმაოდ მოიძებნებიან ქართველი მეცნიერები და ამის შემდეგ დასახული მიზნის განხორციელებას უფრო გაბედულად შეუდგა.

1916 წელს მეფის მთავრობა იძულებული გახდა გამოეცა დებულება, რუსეთის იმპერიაში დაარსებულიყო კერძო ხასიათის უმაღლესი სასწავლებლები არარუსულ ენაზე. ამით ისარგებლეს ქართველმა პატრიოტებმა და იწყეს თავიანთ ხელმძღვანელთან — ივანე ჯავახიშვილთან ხშირი სიარული. ქართველ პატრიოტებს ამიერიდან, თუნდაც კერძო, ქართული უმაღლესი სასწავლებლის გახსნა სადღეისო ამოცანად ესახებოდათ.

კიდევ თვეები და — ცარიზმი, ბნელეთის ციხე-ბურჯი, დაიმსხვრა. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის პირველ დღეებშივე ივანე ჯავახიშვილმა უნივერსიტეტის გახსნის ინიციატივა თავს იდო და საინიციატივო ჯგუფის წევრები თავისთან მიიხმო. ივანე ჯავახიშვილი მაშინ პეტერბურგში ლახტინის ქუჩაზე ცხოვრობდა. თათბირი მოწოდებული იყო საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად უნივერსიტეტის სასარგებლოდ. საკითხი გადატანილ იქნა ეროვნული კომიტეტის მიერ მოწვეულ კრებაზე, სადაც თავი იჩინა აზრთა სხვადასხვაობამ. დამსწრეთა ერთი ნაწილი პოლიტექნიკუმის გახსნას უპერდა მხარს (ნ. ნიკოლაძე და სხვ.). ივანე ჯავახიშვილი, შალვა ნუცუბიძე და სხვები უნივერსიტეტის გახსნას მოითხოვდნენ.

გაზაფხულზე ივ. ჯავახიშვილი თბილისში ჩამოვიდა და დაიწყო ფართო აგიტაცია უნივერსიტეტის გახსნის აუცილებლობაზე, მაგრამ აქ არა ერთ წინააღმდეგობას წააწყდა. ბევრი დასცინოდა ინიციატორებს, არაფერი გამოგივათო.

ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, ძნელი იყო მუშაობა, მაგრამ ივანე ჯავახიშვილი ფარ-ხმალს არ ყრიდა. მას მოწინააღმდეგეებზე მეტი მომხრენი ჰყავდა. ამავე დროს იგი ფართო საზოგადოების წინაშე გამოდიოდა ლექცია-მოხსენებებით და უმტკიცებდა უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობას. ივანე ჯავახიშვილის აზრით, „დაბალსა და საშუალო ეროვნულს სკოლას ბუნებრივი და საღი განვითარება არ შეუძლიან, თუ რომ ეროვნულს განათლებას უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულება, ეროვნული უმაღლესი სასწავლებელი არ აგვირგვინებს".[1] ესეც რომ არ იყოს, თვით ცხოვრების პრაქტიკული მოთხოვნილებაც უნივერსიტეტის გარეშე არ განხორციელდებაო.

1917 წლის 12 მაისს კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციების წარმომადგენელთა კრებამ მიზანშეწონილად დაინახა ქართული უნივერსიტეტი გახსნილიყო 1918 წლის დამდეგიდან ქ. თბილისში. ამ კრების გადაწყვეტილებით დაარსებულ იქნა „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოება".

უნივერსიტეტის წესდების შესადგენად და სხვა სახის საორგანიზაციო მუშაობის ხელმძღვანელობისათვის კრებამ აირჩია კომისია. კომისიაში შედიოდნენ: ი. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, ი. ლორთქიფანიძე, მ. გრუზინსკი და სხვ.

ასეთივე შინაარსის კრება ჩატარდა ქ. ქუთაისშიც და აქაც შეიქმნა უნივერსიტეტის ხელისშემწყობი კომისია.

ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების წევრები გავიდნენ ბალხში, იწყეს პროპაგანდა უნივერსიტეტის დასაარსებლად ფულადი სახსრების შეგროვების სასარგებლოდ. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს 1917 წლის 3 ივნისის თათბირი (საზოგადოების საერთო კრების შემდეგ), ეს მესამე თათბირი იყო. თათბირზე ძირითად საკითხად იდგა, თუ სად და რა საშუალებით ეშოვათ ფული უნივერსიტეტის შესანახად. გამოითქვა აზრი, რომ გამოეცათ ლატარიის ბილეთები, ზოგი მოითხოვდა მოსახლეობაზე საამისო გადასახადე-

---

[1] ი. ჯავახიშვილი, ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ. სახალხო საქმე, 1917, № 68, გვ. 4.

ბი გავწეროთო. ბევრმა კოოპერატივების დახმარების იმედი გა-მოსთქვა, სხვანი სკეპტიკურად უყურებდნენ ამ საკითხს და ყოველ-გვარი იმედი დაეკარგათ.

ივანე ჯავახიშვილმა საზოგადოების კრებაზე სიტყვა წარმოთქვა. იგი კატეგორიულად მოითხოვდა უფრო დაბეჯითებული მუშაობა გაეშალათ, რათა უსახსრობის გამო უნივერსიტეტის გახსნა არ შეფერხებულიყო: „ამ საქმის დახანება.—ამბობდა ივ. ჯავახიშვილი,—მეტი არ შეიძლება. საჭიროა გამორკვეულ იქნას საბოლოოდ, შეიძლება თუ არა მომავალ წლიდან უნივერსიტეტის გახსნა. მხოლოდ წინათვე დარწმუნებულნი უნდა ვიყვნეთ, რომ უსახსრობის გამო უნივერსიტეტის არსებობა უცბად არ შესწყდება. ამ შემთხვევაში გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავაყენებთ მოწვეულ პროფესორებს, რომლებიც ახლა უზრუნველყოფილნი არიან რუსეთის უნივერსიტეტებში და მხოლოდ ეროვნულ იდეის გამო მზად არიან დასთმონ ახლანდელი თავიანთი ადგილები, ოღონდ კი სამშობლო მეცნიერებას ემსახუროს. ქართველ პროფესორთა კონტინგენტი სრულ საშუალებას გვაძლევს ამთავითვე ორი ფაკულტეტი დავაარსოთ, სიბრძნისმეტყველებისა და საბუნებისმეტყველო, ოღონც ნივთიერი სახსარი იყოს“.[1]

1917 წლის 22 ივნისს კომისიამ მოიწონა და მიიღო ივ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილი საზოგადოების წესდებისა და უნივერსიტეტის ძირითადი დებულების პროექტი. 3 აგვისტოს წესდება და პროექტი მთავრობას გადაეგზავნა დასამტკიცებლად და ნებართვის მისაღებად. ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტმა ეს პროექტი დროებით მთავრობას გადაუგზავნა. დროებითმა მთავრობამ ქართული უნივერსიტეტის მაგიერ რუსული უნივერსიტეტის დაარსება გადაწყვიტა.

1917 წლის 7 ნოემბერს დროებითი მთავრობა დაემხო და ქვეშ მოიტანა თავისი ეს დადგენილებაც.

ამიერიდან ქართული უნივერსიტეტის გახსნა უზრუნველყოფი-

---

[1] ს. ჯორბენაძე, ივ. ჯავახიშვილის მოკალაქეობრივი გმირობა. გაზ. თბილისის უნივერსიტეტი, 1965, 17 დეკემბერი.

ლი იყო, მაგრამ რადგან მენშევიკურ მთავრობას უნივერსიტეტის პატრონობა არ შეეძლო, ქართული უნივერსიტეტი იქნებოდა კერძო; იგი ქართველი პატრიოტების შენაწირი სახსრებით იარსებებდა.

1917 წლის 26 ნოემბერს აკადემიურმა კომისიამ (უნივერსიტეტის საზოგადოებამ დააარსა ორი კომისია: აკადემიური და ფინანსური), რომელსაც ივ. ჯავახიშვილი თავმჯდომარეობდა, მიიღო დადგენილება, დაარსებულიყო უნივერსიტეტი ერთი ფაკულტეტით. ნავარაუდევი იყო სიბრძნისმეტყველების ანუ ფილოსოფიური ფაკულტეტის გახსნა. ამ ფაკულტეტს ექნებოდა განყოფილებები:

1 ჰუმანიტარულ მეცნიერებათა;

2. მათემატიკური;

3. ბუნებისმეტყველებისა.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა განყოფილებას ექნებოდა დარგები: ფილოსოფია, ისტორია, ლიტერატურა, ენათმეცნიერება, სოციალური მეცნიერებანი და პედაგოგიკა. ასე რომ, ყველა წინააღმდეგობა გადალახულ იქნა და მიიღეს საბოლოო გადაწყვეტილება უნივერსიტეტის გახსნისა. დეკემბრის დამლევს პრესაში გამოქვეყნდა განცხადებაც უნივერსიტეტში სტუდენტთა მიღების შესახებ.

1918 წლის 13 იანვარს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს პირველ ოფიციალურ სხდომაზე მოგვარდა საორგანიზაციო საკითხები. უნივერსიტეტის რექტორად არჩეულ იქნა დამსახურებული პროფესორი პეტრე მელიქიშვილი, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანად — პროფესორი ივანე ჯავახიშვილი, პროფესორთა საბჭოს მდივნად — პროფესორი იოსებ ყიფშიძე.

უნივერსიტეტი საზეიმოდ გაიხსნა 1918 წლის 26 იანვარს, დღევანდელი უნივერსიტეტის მთავარ კორპუსში. ეს იყო ქართული კულტურის ახლებურად აღორძინების განთიადი და არც გასაკვირია, რომ 1918 წ. 26 იანვარი ქართველმა ხალხმა ისტორიულ დღედ მიიჩნია.

1918 წლის 23 იანვარს ისტორიკოსი მოსე ჯანაშვილი წერდა: „ივ. ჯავახიშვილმა იკისრა ყველაზე დიდი ტვირთი — გუთნისდედობა თვით ქართული მძიმე ღრმადმხვნელი გუთნისა... ჯავახიშვილის მხნეობამ ყოველივე დაბრკოლება დასძლია და ახალი ლამპარი აგვინთო. ქართული გიმნაზიის შენობა გვიქცია ეროვნული დი-

დების ტაძრად, მისი პირველი უნივერსიტეტის სავანედ". მოსე ჯანაშვილი .მოუწოდებდა ხალხს: „მივიდეთ ვაკეზე. იქ ჯავახიშვილმა აგვინთო სხივოსანი მზიანი კანდელი, რომელიც ამიერიდგან შუქურ ვარსკვლავივით გაგვინათებს გზა-კვალს სვლად გმირულ და მზიან ნაბიჯით წინ, წინ ადამიანურ მარადისობისაკენ. ამასთანავე მოვიგონოთ იქ ჩვენი ძველი მეცნიერები საუკუნო ხსენებით, ხოლო კანდელის ამთებელ გმირს ივანეს ერთობლივ და გულმხურვალედ შემოვძახოთ ჩვენებური ქართველური ვაშა! გამარჯვება მარად და მარად!"[1].

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი რექტორი დიდი ქართველი მეცნიერი პეტრე მელიქიშვილი 1924 წელს ივანე ჯავახიშვილის ღვაწლის შესახებ ამბობდა: „ივანე ჯავახიშვილი ბრძანდება ერთადერთი დამაარსებელი, სულისჩამდგმელი და ერთადერთი რაინდი ჩვენი უნივერსიტეტისა, აქ მას ვერავინ შეეტოქება და შეეზიარება".

ამიერიდან ქართველებს უკვე ჰქონდათ თავისი ეროვნული უმაღლესი სასწავლებელი. ამასთან ერთად უნივერსიტეტის დამაარსებლებს, კერძოდ ივანე ჯავახიშვილს, უნივერსიტეტის ამოცანა შემდეგნაირად ესახებოდათ:

1. საშუალება მისცემოდა ქართველ ახალგაზრდებს მინ მიეღოთ უმაღლესი განათლება მშობლიურ ენაზე;

2. ადგილზე მომზადდებოდა მეცნიერული ძალები, მეცნიერული ცოდნა შეტანილ იქნებოდა ხალხში;

3. საქართველო შესწავლილი იქნებოდა ბუნებრივ-ეკონომიური და საზოგადოებრივ-ისტორიული თვალსაზრისით;

4. საქართველოს შესწავლასთან ერთად უნივერსიტეტი შეისწავლიდა წინა აზიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა მატერიალურ და კულტურულ, ისტორიულ სამყაროს;

5. უნივერსიტეტი მსოფლიო საზოგადოებას თავისი მეცნიერული გამოკვლევებით გააცნობდა ხალხის ისტორიულ დამსახურებას, მზის სინათლეზე გამოიტანდა ქართველი ხალხის დიდ კულტურულ მემკვიდრეობას;

---

[1] მოსე ჯანაშვილი, ქართული უნივერსიტეტი, გაზ. საქართველო, 1918, № 23.

ნ. საქართველოს ბუნებრივ-ეკონომიური შესაძლებლობის შესწავლითა და კადრების მომზადებით საქართველოს სახალხო მეურნეობა განვითარდებოდა, საერთო სახალხო დოვლათი იმატებდა.

ივანესათვის უნივერსიტეტი მარტო სასწავლო დაწესებულება როდი იყო, იგი ამასთან ერთად მეცნიერული მუშაობის ცენტრიც უნდა ყოფილიყო. „ქართული უნივერსიტეტი ერთსა და იმავე დროს სამეცნიერო კვლევა-ძიების და ცდის დაწესებულებაც უნდა იყოს და უმაღლესი სამეცნიერო სასწავლებელიც. სადაც მეცნიერების შესწავლა და სამეცნიერო მუშაობის მეთოდებისა და პრაქტიკის შეთვისება შესაძლებელი იქნებაო.[1]

ივანე ჯავახიშვილის დიდი დამსახურება არა მარტო ის არის, რომ მან დაგვიარსა ქართული უნივერსიტეტი, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ის, რომ იგი იყო უნივერსიტეტის მშენებელი.

როგორც აღნიშნული იყო, 1918 წლის 13 იანვარს ივანე ჯავახიშვილი არჩეულ იქნა უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანად, მაგრამ იგი არა მარტო ფაკულტეტის დეკანი იყო, არამედ მთელი უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციულ-საორგანიზაციო საქმეთა ფაქტიური ხელმძღვანელი და შემსრულებელი.

არ იყო საუნივერსიტეტო მუშაობის არც ერთი უბანი, სადაც ივ. ჯავახიშვილს თავისი მადლმოსილი ხელი არ დაედო. დეკანად იგი 1919 წლის დეკემბრამდე მუშაობდა.

1919 წლის 11 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილი ფაკულტეტს მიმართავდა: „ორი წლისა და ნახევრის განუწყვეტელი მუშაობისაგან უნივერსიტეტის გამგეობაში და ფაკულტეტში მეტად დავიღალე და ამიტომ დეკანობას თავს ვანებებო".

ამავე წლის 17 დეკემბერს ივანე ითხოვს, რექტორად არ წამოაყენონ მისი კანდიდატურა, რადგან იგი მეტისმეტად დაღლილია. მაგრამ ყველასათვის აშკარა იყო, რომ თუ ივანე არ ჩაუდგებოდა სათავეში მის მიერვე დაარსებულ უნივერსიტეტს, ისიც იმ პირობებში, როცა მენშევიკური მთავრობა არავითარ დახმარებას არ უწევდა, ადვილი შესაძლებელი იყო, ეს დიდი ეროვნული საქმე ჩაშლილიყო. როგორც დიდმა მოქალაქემ, ივ. ჯავახიშვილმა გაითვალის-

---

[1] თბილისის უნივერსიტეტი, 1918—1948, გვ. 33.

წინა ყოველივე ეს, არარად ჩააგდო თავისი ფიზიკური მდგომარეობა და 1919 წლის 24 დეკემბერს იგი არჩეულ იქნა რექტორად. 1926 წლის 21 ივნისამდე ივ. ჯავახიშვილი უნივერსიტეტის უცვლელი რექტორი იყო.

ერთი სემესტრის განმავლობაში უნივერსიტეტი კერძო უმაღლეს სასწავლებლად ითვლებოდა და მხოლოდ 1918 წლის 3 სექტემბერს იქნა გამოცხადებული სახელმწიფო უნივერსიტეტად.

გახსნისას უნივერსიტეტში 369 სტუდენტი და 89 მსმენელი ჩაეწერა.

საჭიროა აღინიშნოს, რომ როდესაც უნივერსიტეტი გაიხსნა, მას არც ერთი წიგნი არ გააჩნდა. განა შეიძლებოდა უნივერსიტეტი ბიბლიოთეკის გარეშე? ივანე ჯავახიშვილმა ეს საქმეც მოაგვარა. მის პატრიოტულ მოწოდებას გულწრფელი და საქმიანი გამოხმაურება მოჰყვა; 1920 წლის შემოდგომის სემესტრისათვის უნივერსიტეტს უკვე ჰქონდა 57.974 დასახელების 88. 660 ცალი წიგნი.

ეს ბიბლიოთეკა უმთავრესად შენაწირების გზით შეიკრა.

1921 წლის თებერვალში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. უნივერსიტეტის ცხოვრებაში ახალი ხანა დაიწყო.

პარტიისა და მთავრობის მხარდაჭერით გაშხნეებული ივ. ჯავახიშვილი უნივერსიტეტის მშენებლობის სულ უფრო და უფრო საჭირბოროტო საკითხებს აყენებს და საამისო გადაჭრასაც ჰპოვებს.

1923 წელს ივანე ჯავახიშვილი აყენებს საკითხს გამომცემლობის გარდაქმნის შესახებ. „მეცნიერული მუშაობის მკვიდრ ნიადაგზე დაყენება აუცილებლად მოითხოვს სამეცნიერო გამომცემლობის მოგვარებას. უნივერსიტეტს უნდა საშუალება ჰქონდეს გამოსცეს როგორც სტუდენტთა სახელმძღვანელო კურსები ამა თუ იმ მოსმენილი დარგიდან. აგრეთვე მეცნიერული შრომები და გამოკვლევები. მხოლოდ ასეთ პირობებში შესაძლოა სტუდენტების მიერ შეგნებული შეთვისება მოსმენილი დარგების და თვით მეცნიერული მუშაობის აყვავება ეროვნული კულტურის ნიადაგზე. თუ ქართულ ენაზე მოსმენილი კურსი შემდეგ სტუდენტმა რუსულ და სხვა წიგნებიდან უნდა ისწავლოს, ადვილად გასაგებია, როგორ მახინჯ პირობებში იქმნება ჩაყენებული ქართული მეცნიერების და სტუდენტებისაგან მისი შეთვისების განვითარების საქმე".

როგორც ვხედავთ, ი. ჯავახიშვილი მოითხოვს შეიქმნას სამეცნიერო ლიტერატურა ქართულ ენაზე, რათა სტუდენტობამ მეცნიერული ცოდნა მშობლიურ ენაზე სრულყოფილად ითვისოს.

ი. ჯავახიშვილი კარგად გრძნობდა, რომ საჭირო იყო მეცნიერული ტერმინოლოგიის შედგენა, უამისოდ მეცნიერული კვლევა შორს ვერ წავიდოდა. „არეულობას და შეუთანხმებლობას, რომელიც ტერმინოლოგიის მხრივ გამეფებულია საქართველოს სასწავლებლებში, თუ დაუყოვნებლივ ბოლო არ მოეღო, მთელი ჩვენი კულტურული აღორძინების საქმე უკიდურეს განსაცდელში ჩავარდება".

როცა ივ. ჯავახიშვილის, როგორც უნივერსიტეტის მშენებლის, ღვაწლს ვაფასებთ, არ შეიძლება ვ. ი. ლენინის სიტყვები არ მოვიგონოთ. 1923 წლის 2 მარტს იგი წერდა: ჩვენ გვჭირდება სწავლა, მაგრამ საჭიროა შემოწმება იმისა, რომ მეცნიერება არ გადაიქცეს ჩვენში მკვდარ საგნად, ან ახალმოდის ფრაზად, რომ მეცნიერება მართლა შეესისხლხორცოს ჩვენს ყოფა-ცხოვრებას. ნამდვილად გახდეს მისი შემადგენელი ელემენტი.

ივ. ჯავახიშვილის მთელი საქმიანობიდან კარგად ჩანს, რომ მას უნივერსიტეტი მიაჩნდა სწორედ ისეთ სახელმწიფო დაწესებულებად, რომელიც მის, ე. ი. სახელმწიფოს, მოთხოვნილებათა სიმაღლეზე უნდა იყოს, ხალხის ყოველდღიური ცხოვრების მოთხოვნილებებით სუნთქავდეს.

ამრიგად, ქართული კულტურის ისტორიაში 1918 წლის 26 იანვარი ღირსსახსოვარ თარიღად გადაიქცა. ასრულდა საუკუნოვანი ნატვრა ქართველი ხალხისა.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

რევოლუციამდე თბილისში არსებობდა მხოლოდ ერთი მუზეუმი, რომელსაც „კავკასიის მუზეუმი" ეწოდებოდა. თუმცა ძვირფასი განძი გააჩნდათ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების. საეკლესიო და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმებს, მაგრამ ესენი მუზეუმებს კი არა, უფრო საწყობებს წარმოადგენდნენ.

რევოლუციის შემდეგ, როგორც ცნობილია, კავკასიის მუზეუმი საქართველოს მუზეუმად იქცა და სამუზეუმო საქმე პარტიისა და მთავრობის მზრუნველობის საგანი გახდა. მუზეუმი თანდათან გაფართოვდა. მალე მას მთავრობის დადგენილებით გადაეცა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისა და საეკლესიო მუზეუმების მთელი ქონება. „ამის წყალობით საქართველოს მუზეუმი ჩვენი ქვეყნის უდიდეს სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებად იქცა“ (ივ. ჯავახიშვილი).

1931 წელს ივ. ჯავახიშვილი დაინიშნა საქართველოს მუზეუმის მეცნიერ-კონსულტანტად, ხოლო 1936 წლიდან ამავე მუზეუმის ისტორიის განყოფილების გამგედ. ამ თანამდებობაზე იგი დარჩა სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე. ივ. ჯავახიშვილი ადგენს პროექტს მუზეუმის მუშაობის გარდაქმნისა და მეცნიერი მუშაკების მომზადების საკითხებზე. ივ. ჯავახიშვილის აზრით „მთავარი მნიშვნელობა თვით მუზეუმის აღწერილობასა და სამეცნიერო კვლევა-ძიებასა და მუშაკების საქმიანობასა აქვს, რადგან მათ მეცნიერულს მომზადებასა და პრაქტიკულ-სამუზეუმო ტექნიკის სათანადო ცოდნასა, ისევე როგორც ნიჭსა და სამეცნიერო კვლევა-ძიების გაჩაღებულ დაუცხრომელ მუშაობაზე არის დამოკიდებული მუზეუმის წარმატებაც და მისი მნიშვნელობაც, ვითარცა სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულების“. ივ. ჯავახიშვილს აქაც აუცილებელ პირობად მიაჩნია ძუზეუმთმცოდნეების მომზადება. „წარსულის უკუღმართობის გამო, — ამბობდა იგი, — სამუზეუმო მუშაობისათვის სათანადოდ მომზადებულ-განსწავლული ქართველი მუშაკები არ გვყავდა, ამიტომ უპირველეს გადაუდებელ ამოცანას სწორედ შესაფერისი კადრების მომზადება შეადგენდა“.

ეს საქმე რომ დაუყოვნებლივ მოგვარებულიყო, ივ. ჯავახიშვილი თვითონვე უჩვენებდა კადრების მომზადების ფორმებს — თუ სხვა საშუალება არ არის, ლექცია-კონსულტაციები მაინც უნდა ჩაეუტარებიათ. ივ. ჯავახიშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სამუზეუმო გამოფენას. მისი ხელმძღვანელობით მოწყობილმა გამოფენამ (შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა) უდიდესი სამეცნიერო-საგანმანათლებლო

გაელენა მოახდინა მნახველებზე. უფრო ადრე, კერძოდ 1934 წელს, ივ. ჯავახიშვილმა თავისი მოსაზრებები გამოთქვა საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიური გამოფენის შესახებ. ეს მოსაზრებები უაღრესად საინტერესოა არა მარტო არქეოლოგიური გამოფენის სტრუქტურის, არამედ მუზეუმის მუშაობისა და კერძოდ არქეოლოგიური მონაცემების გამოყენების თვალსაზრისითაც. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამ მოსაზრებებში საერთოდ ქართველოლოგიური და კერძოდ არქეოლოგიის საკითხებზე ბევრი საგულისხმო დებულება არის წამოყენებული, მაშინ გასაგები გახდება, რომ ივ. ჯავახიშვილის ეს მოსაზრებები ყოველთვის ღირსი იქნება მკვლევართა ყურადღებისა.

ივანე ჯავახიშვილი ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა სამუზეუმო გამოფენებს. მისი აზრით ასეთ გამოფენებს კულტურულ-საგანმანათლებლო და სასწავლო-აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი კმაყოფილებით აღნიშნავდა:

„სასიამოვნოა, რომ საქ. მუზეუმის ამ განყოფილებაში (ლაპარაკია არქეოლოგიურ განყოფილებაზე. — დ. გ.) დაცული მნიშვნელოვანი და საინტერესო არქეოლოგიური საგანძური, რომელიც აქამდე უსისტემოდ და უქმად იყო, მეცნიერებისათვისაც მთელი შესაძლებლობით ჯეროვნად გამოუყენებელი რჩებოდა, ხოლო ფართო საზოგადოებისათვის სრულებით მიუწვდომელი იყო, ეხლა გამოიფინება და ყველა დაინტერესებულს მისი ნახვა და შესწავლა შეეძლება“.

ივ. ჯავახიშვილმა გულდასმით შეისწავლა მუზეუმის მიერ გამოყოფილი კომისიის შედგენილი პროგრამა და, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, არა ერთი საპროგრამო დებულება წარმოადგინა. მისი პირველი შენიშვნები შეეხებოდა პროგრამის იმ განყოფილებას, სადაც „კლასთა უწინარესი საზოგადოება კაკასიაში არქეოლოგიური განყოფილების მასალების მიხედვით“ იყო მოთავსებული. ივ. ჯავახიშვილი ყველაფერში და ყოველთვის სიფრთხილეს იჩენდა და სხვასაც უსაბუთო ნააზრევს უწუნებდა. ამ შემთხვევაშიც, მისი აზრით სახელდება უნდა ამართლებდეს შინაარსს. „ასეთი სახელწოდება აფიქრებინებს ყოველ შეგნებულ დამთვალიერებელს, რომ საქ. მუზეუმს მართლაც გააჩნია იმოდენა არქეოლოგიური მა-

სალა, რომ მთელი კავკასიის კლასთა უწინარესი საზოგადოების ყოფა-ცხოვრებისა და ნივთიერი ავლადიდების გათვალისწინება შესაძლებელიც არის და მოწყობილ გამოფენაში წარმოდგენილი იქნება კიდევაც". საამისო მასალები ჩვენ არა გვაქვსო და ამის შესავსებად წინადადებას იძლეოდა რუსეთს, ბაქოსა და ერევანში მიევლინებინათ სათანადო პირები, რათა ფოტოპირები გადაეღოთ იქ დაცული სათანადო ნივთებისა. თუ ასეთი სამუშაო ჩატარდება, „მაშინ იგი, უეჭველია, გაამართლებს იმ მოლოდინს, რომელიც ყოველ შეგნებულსა და არქეოლოგიაში ჩახედულ დამთვალიერებელს, ამ გამოფენის სახელწოდების გამო, ბუნებრივად დაებადება". მას მთელი რიგი შესწორებები შეაქვს პროგრამის სხვა პუნქტებშიც. ამასთანავე ეს შესწორებები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ სცილდება „შესწორებების" ფარგლებს და საქართველოს ისტორიის ძირითად საკითხებს ეხება. მაგ., პროგრამის ავტორები მცდარად წარმოგვიდგენდნენ ნამგლის, როგორც სამეურნეო იარაღის, ისტორიას. ივ. ჯავახიშვილმა აქ შემდეგი საგულისხმო შესწორება შეიტანა: „გამოფენის დამთვალიერებელმა, შესაძლებელია, იფიქროს, რომ მიწისმოქმედების გაჩენისთანავე ადამიანმა ნამგალიც გაიჩინა. იმისდა მიუხედავად, რომ ეს ნამგალი ქვისაა და ტალისაგან არის გაკეთებული, მაინც იგი პურეულის კულტურის დასაწყისის ხანას ვერ მიეკუთვნება, რადგან მისი დასაწყისი ნამგალზე გაცილებით ძველია". ამასთან ერთად ივ. ჯავახიშვილმა წამოაყენა მოსაზრება, რომ „თავდაპირველად ადამიანი პურეულის თავთავს ხელით სწყვეტდა და მის დაფშვნეტილ მარცვლებს სჭამდა. შემდეგ თავთავების მოსაწყვეტად მკედით გადაბმული ორი ჩხირისაგან გაკეთებული ხელსაწყო უნდა იყოს შემოღებული, რომელსაც შნაცი ეწოდება და რომელიც დღევანდლამდეც კია რაჭაში დაცული ასლის ჯიშის ერთი უძველესი სახეობათაგანის, ზანდურის, თავთავების მოსაწყვეტად. ნამგალი-კი უკანასკნელი გამოგონებაა, სახელდობრ იმ ხანისა. როდესაც ადამიანს საქონლის გამოსაკვებად და სხვა სამეურნეო მიზნებისათვის პურეულის წველი და მეტადრე ბზეც დასჭირდა, რაც შედარებით გვიან მოხდა".

ივ. ჯავახიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ძველი სამარხების ნივთთა გამოფენის საკითხს. მისი აზრით, ამას დიდი

აღმზრდელობითი მნიშვნელობაც ჰქონდა. „ძალიან კარგი. რომ პროგრამის რამდენიმე ადგილას აღნიშნულია, რომ სამარხების სხვადასხვა წესი და სახეობა იქნება თვალსაჩინოდ წარმოდგენილი. არქეოლოგიურმა განყოფილებამ ეს უნდა ფართოდ და უხვად გამოიყენოს, რომ დამთვალიერებელს სრული საშუალება ჰქონდეს მაშინდელი ადამიანის ნივთიერი ავლადიდება და კულტურის დონე შეძლებისამებრ სრულად წარმოიდგინოს. ამისათვის სხვადასხვა დროისა და სახეობის სამარხები გამოფენილი უნდა იყოს მთელი თავისი აგებულება-მოწყობილობითურთ. სამარხების ასე უხვს გამომზეურებას და მთელი გამოფენის მოწყობასაც იმ მხრივაც უნდა მიექცეს ყურადღება, რომ მთელი ეს საქმე აღმზრდელობითი მიზნით იქნეს გამოყენებული".

არ იყო სამუზეუმო მუშაობის არც ერთი დარგი, რომლის გარდაქმნა-გაუმჯობესების საქმეში ივ. ჯავახიშვილს თავისი წვლილი არ შეეტანოს.

როგორც ცნობილია, საქართველოს მუზეუმი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მრავალ უბანს აერთიანებს. აქვე თავმოყრილია ქართული კულტურის უნიკალური ღირებულებანი. საქართველოს მუზეუმში დაგროვდა უძველესი ხელნაწერები, აუარებელი სიგელ-გუჯრები, არქეოლოგიური კოლექციები, ეთნოგრაფიული მასალები. ივ. ჯავახიშვილი ცოდნასა და შესაძლებლობას არ ზოგავდა მუზეუმის ავტორიტეტის გაზრდისათვის, მისი სათანადო სიმაღლეზე აყვანისათვის. ხელნაწერთა, ისტორიის, არქეოლოგიისა თუ ეთნოგრაფიის განყოფილებების საქმიანობის წარმართვა, გამოფენებისა თუ კოლექციების დაცვა-შენახვის ორგანიზაცია. ყოველივე ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა. აქვე უნდა აღინიშნოს მისი დიდი დამსახურება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუშაობის საქმეში.

ახალგაზრდა მეცნიერთა გულისხმიერი მეგობარი

ივ. ჯავახიშვილის მოღვაწეობა სრულყოფილად არ გვეცოდინება, თუ არ შევეხებით მის ღვაწლს კადრების მომზადების საქმეში. ივ. ჯა-

ვახიშვილს კარგად ესმოდა, რომ ყოველგვარი წამოწყება, რაც არ უნდა დიდმნიშვნელოვანი იყოს ის, შეიძლება მარცხით დამთავრდეს. თუ ეს წამოწყება სათანადო კადრებით არ უზრუნველყავით.

როდესაც უნივერსიტეტის გახსნის საკითხი ივ. ჯავახიშვილს სადღეისო ამოცანად ესახებოდა, იგი ამ საკითხს კადრების გამონახვით იწყებდა. 1911—1912 წელს ჩატარებული ანკეტის ამოცანა სხვა არა იყო რა, თუ არა სათანადო კადრების არსებობის გამორკვევა. 1918 წელს, როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გაიხსნა, ივ. ჯავახიშვილს უნივერსიტეტის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად კადრების მომზადება მიაჩნდა. ამავე დროს უნივერსიტეტს უნდა მოემზადებინა არა მარტო მასწავლებლები, არამედ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტებიც. „არც ის გარემოება უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენს საქართველოს რესპუბლიკას მარტო მასწავლებლები არ სჭირდებიან, არამედ სხვადასხვა ბევრი სპეციალობის მცოდნენიც... ჩვენს ქვეყანას აქვს მუზეუმები, სამხატვრო გალერეა, არქივები, ბოტანიკური ბაღები, გეოფიზიკური ობსერვატორია მთავარი თავის განყოფილებებით, საჭირონი არიან ქიმიკოსები ლაბორატორიებისა და ქარხნებისათვის და სხვანიც მრავალნი".

უნივერსიტეტის 20 წლისთავზე, 1938 წ. 25 მაისს, თავის მოხსენებაში „უნივერსიტეტის დაარსებისათვის ბრძოლა საქართველოში" ივ. ჯავახიშვილი ამბობდა:

„ძველი თაობა, რომელიც იწყებდა ამ საქმეს, სანახევროზე მეტად ახალგაზრდობისაგან შესდგებოდა. მათ გვერდში ამოუდგნენ თვით ამავე უნივერსიტეტში სწავლა დამთავრებულები, რომელთაც შესძლეს არა თუ მეცნიერების შეთვისება, რომელიც მათ შეძენილი ჰქონდათ, არამედ თავიანთი აქტიური მონაწილეობით შესაძლებლობა შექმნეს გაფართოებისათვის, მაგრამ ყოველ ჩვენთაგანს, მეტადრე მოხუცებულებს, უნდა ახსოვდეთ, რომ „იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა". ძველმა თაობამ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ ტურფა საბაღნარო ტურფა საბაღნაროდ დარჩეს. ეს შესაძლებელია მხოლოდ ახალი, კარგად მომზადებული კადრების შექმნით, რომლებიც არა თუ ჩამოუვარდებიან ამ ძველ თაობას, არამედ ძველ თაობაზე უკეთესები იქმნებიან".

ივ. ჯავახიშვილი მასწავლებლობას დიდად აფასებდა და ამავე

დროს მათ დიდ საპასუხისმგებლო მოვალეობას აკისრებდა. 1925 წ. იგი წერდა: „მასწავლებლის მოწოდება და წოდება იმდენად მაღალი და დიდია, რომ ის, ვითარცა მომავალი თაობის აღმზრდელი, საუკეთესოდ და ფართოდ უნდა იყოს განათლებული, თავისი სპეციალობის მეცნიერების უკანასკნელ მიღწეულობათა მცოდნე და მისი წარმატების თვალყურის მდევნელი. მხოლოდ ასეთი პირი ასრულებს პირნათლად თავის მოვალეობას".

ივ. ჯავახიშვილი განსაკუთრებულ მოთხოვნას უყენებდა იმ ახალგაზრდობას, რომელიც სამეცნიერო მუშაობის ასპარეზზე აპირებდა დარჩენას. 1921 წლის 23 ნოემბერს უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოზე აყენებდა მოთხოვნას: დოქტორის ხარისხი ისეთ პირს უნდა მიეცეს, რომელსაც გარკვეული სამეცნიერო მომზადება აქვს, იცის ერთ-ერთი ევროპული ენა და ამასთან ერთად ჩვენს მიზანს შეადგენს, რომ დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მხოლოდ ისეთ პირთ მიენიჭოთ, რომელნიც თავიანთ ძალ-ღონეს ქართული მეცნიერების წარმატებას შეალევენ და მისი გამდიდრებისათვის იმუშაებენო.

სამეცნიერო კადრების მომზადება ძირითადად ასპირანტურაში ხდება. ივ. ჯავახიშვილი არა მარტო დიდი ნდობით უყურებდა და იმედით შესცქეროდა ასპირანტებს, არამედ დიდ მოვალეობასაც აკისრებდა მათ.

რადგან ივ. ჯავახიშვილის აზრს ასპირანტების შესახებ ჩვენი ახალგაზრდობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია ვრცელი ამონაწერები მოვიტანო მისი მოხსენებიდან: „სამეცნიერო მუშაობა ბედნიერებაა. ეს ისეთი ბედნიერებაა, რომელიც ყველას ხვედრს არ წარმოადგენს და ვინც ისეთი ბედნიერია, რომ ბუნებისაგან დაჯილდოებულია ნიჭით, რომ მას აქვს ნებისყოფა, მას აქვს აგრეთვე გატაცება, ის უნდა გრძნობდეს, რომ ის ვალდებულია გადაუხადოს იმ ერს, რომლისაგანაც ის წარმოშობილია. აი ამ გრძნობას, შეგნებას არ დაივიწყებს ის ახალგაზრდობა, რომელიც უმაღლესი მეცნიერების შესათვისებლად ემზადება... პარტია და მთავრობა განსაკუთრებულ პირობებში აყენებს ახლა ასპირანტებს. ჩვენს დროს სრულებით წარმოუდგენელი იყო, რომ ასე უხვად სტიპენდიებით და ყოველმხრივ ყოფილიყო უზრუნველყოფილი. მაშინაც, როდესაც ამბობდნენ, რომ ხელის

შემწყობი გარემოება არ არის და ვერ ემუშაობო, უნდა მოგახსენოთ, არ მჯეროდა და არც ეხლა მჯერა; ვისაც საქმე უყვარს, ვისაც სურს მუშაობა, ავადმყოფობის დროსაც იმუშავებს. მე მინახავს ადამიანი რომ მწოლიარე ავადმყოფი იყო და კალამი არ გაუგდია ხელიდან უკანასკნელ წუთამდე. ეს შეგნება უნდა ჰქონდეს იმ პირს, რომელიც გადასწყვეტს, რომ მას შესაფერი უნარი აქვს, რომ მეცნიერებას შესწიროს თავის ძალ-ღონე და გადაუხადოს სამაგიერო იმ ქვეყანას, იმ სახელმწიფოს, რომელმაც შეუქმნა მას შესაფერისი პირობები მეცნიერული მუშაობისათვის".

უბადლო იყო. ივ. ჯავახიშვილი როგორც აღმზრდელი და მოქალაქე, საკმარისი იყო ადამიანი მას გასცნობოდა, რომ მისით სამუდამოდ იხიბლებოდა.

მართალი იყო აკადემიკოსი ა. შანიძე, როდესაც ივ. ჯავახიშვილის კუბოსთან წარმოთქვა: „დიდო ივანე! შენს მოწაფეებად სთვლიან თავს არა მარტო ის პირნი, რომელნიც შენი უშუალო ხელმძღვანელობით მუშაობდნენ (ისტორიკოსები, ენათმეცნიერები, ფილოლოგები, ლიტერატურის ისტორიის მკვლევარნი, ხელოვნების ისტორიკოსები, არქეოლოგები ან ეთნოგრაფები), არამედ მეცნიერების სხვა დარგის წარმომადგენლებიც: ბუნებისმეტყველები და სხვანი".[1]

ივანე ჯავახიშვილის მიერ აღზრდილნი დღეს გამოჩენილი მეცნიერები არიან. მათი სახელი დღეს დიადი საბჭოეთის მიღმაც იხსენიება.

დღითიდღე სულ უფრო და უფრო ნათელი ხდება იმ მემკვიდრეობის დიდი მნიშვნელობა, რომელიც ივანე ჯავახიშვილმა დაგვიტოვა.

ძველი ქართველი ფილოსოფოსის ენით რომ ვთქვათ:

„ყოველი წერილი ძეგლი არს მეტყუელი, გამომაჩინებელი აღმწერლისაჲ საუკუნოდ, რომელისამე საქებელყოფად, ხოლო სხჳსა განსაქიქებლად".[2]

ივანე ჯავახიშვილის მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობა ყოველთვის დარჩება დიდი მეცნიერის საქებელყოფად.

---

[1] ა. შანიძე, აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. XVIII, 1941, გვ. 16.

[2] თედო ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ 109.

აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის დაბეჭდილი შრომების სია

1. «Мудрость Балавара (თარგმანი). (Записки Вост. отд. Русск. арх. об-ва». СПБ. 1899 г. XI, стр. 1—48).

2. საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრეები მეფის ძე დავით და ბატონიშვილი იულონ (ქურ. „მოამბე", თბ., 1900, № IV, გან. II, გვ. 1—27).

3. ანდრია მოციქულის და წ/და ნინოს მოღვაწეობა საქართველოში (ქურ. „მოამბე". თბ., 1900, № V, გან. II, გვ. 55—70; № VI, გან. II, გვ. 18—50).

4. Проповедническая деятельность ап. Андрея и св. Нины в Грузии (Жур. «Мин. нар. просв.», СПБ. 1901, № 1, стр. 77—113).

5. ხალხის აღწერის და შემოხავლის დავთრები საქართველოში (ქურ. „მოამბე", თბ., 1901, № IV გან. II, გვ. 1—17).

6. Das martyrium des heiligen Eustatius von Mzcheta („Sitzungsberichte der K. Pr. Academie der Wissenschaften", 1901, т. XXXVIII, p. 875—902).

7. Народные переписи в Грузии («Записки Вост. отд. Русск. арх. об-ва». СПБ. 1902, т. XIV, вып. I, стр. 01—014).

8. მამულიშვილობა და მეცნიერება. თბ., 1904, 52 გვ. (პირველად დაიბეჭდა გაზ. „ცნობის ფურცელში": 1904, № 2453, გვ. 2—3; № 2458, გვ. 2—3; № 2460, გვ. 2—3; 2465, გვ. 2—3; № 2466, გვ. 2—3; № 2467, გვ. 2—3).

9. К истории церковных реформ в древней Грузии (Георгий Афонский) (Жур. «мин. нар. просв.», СПБ. 1904, № 2, стр. 358—372).

10. Грузия. — Библиография (ანოტირებულია 30 სახელწოდება) («Виз. время», СПБ, 1904, т. XI, вып. 1—2; стр. 323—352).

11. Грузия. — Библиография (ანოტირებულია 21 სახელწოდება) («Виз. врем». СПБ, 1904, т. XI, вып. 1-2; стр. 323—352).

12. საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია. გადმობეჭდილია „ცნობის ფურცლიდან". თბ., 1905, 90 (2) გვ. (პირველად დაიბეჭდა გაზ. „ცნობის ფურცელში": 1905, № 2856, გვ. 2—4; № 2859, გვ. 2—3; № 2860, გვ. 2—3; № 2862, გვ. 2—3; № 2866, გვ. 1—3).

13. Государственный строй древней Грузии и древней Армении, т. 1, СПБ. 1905, 147 стр. (Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. VIII).

14. Политическое и социальное движение в Грузии в XIX в. СПБ. 1906, 45 стр.

15. ზნეობრივ მოძღვრების ისტორია საქართველოში („იერია", 1906, № 10, გვ. 9—11; № 11, გვ. 14—16; № 12, გვ. 12—15; № 13, გვ. 11—14).

16. საქართველოს ეკონომიური ისტორია. პირველი ნაწილი (VIII—XIII საუკ.), („იერია". 1906, № 22, გვ. 12—16; № 26, გვ. 10—12).

17. Грузия.—Библиография (ანოტირებულია 18 სახელწოდება), («Виз. врем». СПБ. 1906, т. XII, вып. 1—4, стр. 426—445).

18. საქართველოს ეკონომიური ისტორია. წიგნი პირველი. თბ., 1907, 110, II, 6 გვ.

19. Автокефалия. — А. Грузинской церкви. («Политич. энциклопедия» под ред. Л. З. Слонимского, СПБ. 1907, т. I, стр. 46—48).

20. Грузия («Политич. энциклопедия» под. ред. Л. З. Слонимского. СПБ. 1907, т. 1, стр. 598—602).

21. ქართველი ერის ისტორია. წიგ. 1,თბ. 1908, X, 189 გვ.

22. საისტორიო მასალები, პასუხი მ. ჯანაშვილს (ევსტათი მცხეთელის მარტვილობის თარიღის გამო), (ეურ. „საქართველო", თბ., 1908, № 10, გვ. 11—14).

23. История церковного разрыва между Грузией и Арменией в начале VII века («Известия Академии Наук». СПБ. 1908, VI серия, № 5, стр. 433—446; № 6, стр. 511—536).

24. Обзор теории и литературы о происхождении грузинского языка («Жур. Мин. нар. просв.» СПБ. 1908, № 8, стр. 241—258).

25. ქართული სამართლის ისტორია. ორი ლექცია 27 და 28 მაისს 1909 წელს (კონსპექტი). თბ., 1909 (ერთი დაკეცილი ფურცელი რვა ნაბეჭდი სვეტით. აღწერილია პირველი სვეტის მიხედვით).

26. ქართული სამართლის ისტორია. პირველი ნაწილი. (VIII—XII ს.) (ეურ. „ერი". თბ., 1909, № 1, გვ. 14—16; № 2, გვ. 13—16; „ჩვენი ერი", თბ., 1909, № 1, გვ. 13—16; № 2, გვ. 13—16; „საქართველოს მოამბე", თბ., 1909, № 1, გვ. 14—16; № 2, გვ. 14—16; № 3, გვ. 13—15).

27. Материалы для истории грузинской патристической литературы («Хр. Восток», СПБ. 1912, т. I, вып. 1, стр. 6—29).

28. რცენზია. (Е. Такайшвили). Материалы по археологии Кавказа, собр. экспедициями Моск. археол. об-ва, XII вып. (262—V—XII), в 169 стр. (Москва, 1909)—(«Хр. Восток», СПБ. 1912, т. I, вып. 1, стр. 99—104).

29. რეცენზია. Е. А. Пахомов. Монеты Грузии, ч. I, (домонгольский период) Зап. нумизм. отд. Русск. арх. об-ва, IV в., 1 тома, 129 стр. (СПБ. 1910) — «Хр. Восток», СПБ. 1912, т. I, вып. I, стр. 104—114.

30. К вопросу о времени построения грузинского храма в Атене по вновь обследованным эпиграфическим памятникам («Хр. Восток», СПБ. 1912, т. I, вып. 3, стр. 277—297).

31. ქართველი ერის ისტორია. წიგნი I და II. თბ. 1913, V, III, 248, გვ. 15, ჩ. ფ. სურ.

32. Слово св. Иоанна Златоуста «О врожденном и предопределенном добре и зле» в древне-грузинском переводе («Хр. Восток», СПБ. 1913, т. II, вып. 3, стр. 275—280).

33. Грузия. — История Г. — Грузинское право. — Грузинский язык. — Грузинская литература: 1. Древний период; 2. Древне-грузинская историческая литература («Энциклопедический словарь» т-ва бр. А. и Н. Гранат и К°. — СПБ. (1913), т. XVII, стол. 192—251).

34. ქართველი ერის ისტორია. წიგნი II. თბ. 1914. 252—708 გვ. 25. ჩ. ფ. სურ. (დართული აქვს „საქართველოს რუკა" და „ბაგრატონიანთა შთამომაელობითი შტოს ტაბულა").

35. Термины искусств и главнейшие сведения о памятниках искусства и материальной культуры в древнегрузинской литературе («Хр. Восток». СПБ. 1914, т. III, вып. I, стр. 17—31).

36. წინასიტყვაობა და რედაქცია: — „კრებული", პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის გამოცემა. თბ., 1915, 1—8 გვ.

37. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა. წიგნი 1 — ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V—VIII ს. ს.). თბ., 1916, 36, 338, 25 გვ.

38. О знаках препинания при издании древне-грузинских текстов («Пособия для работ по армяно-грузинской филологии», III, Пгр. 1916, стр. 1—12).

39. Об одном анонимном грузинском историке XIV века («Известия Рос. Академии Наук». Пгр. 1917, VI серия, № 17, стр. 1483—1486).

40. ქართველ ერის მოკლე ისტორია. წიგნი პირველი. უძველესი დროიდან 1 ს-მდე ქ. შ. ქუთ. 1917, 182, (1), გვ. (გარეკანზე — 1918 წ.).

41. ქართველ ერის მოკლე ისტორია. წიგნი II. 1—12 ს. ქრ. შ. ქუთ. 1918, 96 გვ.

42. ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში. XVII—XVIII სს. (ეურ. „პრომეთე". თბ. 1918, № 1, გვ. 35—61).

43. დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში. თბ. 1919, 64 გვ.

44. საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული. თბ. 1010, 56 გვ.

45. ქართული სამართლის ისტორია, წიგნი 1. ქუთ. 1919, 218 (2) გვ.

46. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა. წიგნი 1 — ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V—XVIII სს.). მეორე შეცვლებული გამოცემა. თბ. 1921, XXXX, 224 გვ.

47. ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის (წინასწარი მოხსენება ნიმუშების დართვით) („თბ. უნივერსიტეტის მოამბე". 1922—1923. ტ. 1, გვ. 313—391).

48. გლეხთა მოძრაობის ისტორიის ერთი ფურცელი ძველ სომხეთში („თბ. უნივერსიტეტის მოამბე". 1922—1923. ტ. II, გვ. 247—261).

49. ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება და თამარ მეფის მეორე აქამდე უცნობი ისტორიკოსის თხზულება („თბ. უნივერსიტეტის მოამბე". 1923, ტ. III, გვ. 186—216).

50. რედაქცია „საქართველოს ისტორიული რუკისა". თბ., 1923.

51. ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეოთხე, ნაწ. I (XV საუკ.) თბ., 1924, VIII, 230, (1) გვ. (პირველად დაიბეჭდა ჟურ. „ჩვენი მეცნიერება"-ში. თბ., 1923, № 4—5, გვ. 58—63; № 6—7, გვ. 48—79; 1914 წ. № 8, გვ. 25—46, № 9—10, გვ. 14—56; № 11—12, გვ. 15—79).

52. რეცენზია — ს. კაკაბაძის შენიშვნა საისტორიო რუკაზე („საისტორიო მოამბე" 1, გვ. 293—397) — (ჟურ. „ჩვენი მეცნიერება". თბ., 1924, № 11—12, გვ. 129).

53. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა, წიგნი III, ნაკეთი მესამე, — ქართულ საფას-საზომთა მცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია. თბ. 1925, VI, 170, (1) გვ. (ნაწილი პირველად დაიბეჭდა ჟურ. „ჩვენ მეცნიერება"-ში; 1924, № 1 (13), გვ. 133—160, № 2 (14), გვ. 17—64; № 3—4 (15—16), გვ. 17—64).

54. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა, წიგნი III, ნაკე. I, ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა, ანუ პალეოგრაფია. თბ. 1926, XIV, 240, 2 ჩ. ფ. ტაბულა. (ნაწილი პირველად დაიბეჭდა ჟურ. „ახალ კავკასიონ"-ში, 1925, № 1—2, განყ. IV, გვ. 55—99).

55. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა. წიგნი III. ნაკეთი მეორე. — ქართული სიგელთა მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა. თბ. 1926, VI, 200 გვ. (ნაწილი პირველად დაიბეჭდა ჟურნ. „მიმომხილველ"-ში. თბ. 1926, № 1, გვ. 69—93).

56. წინასიტყვაობა და გამოცემა: „ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე"-სი. თბ. 1927, 5—9 გვ.

57. ქართველი ერის ისტორია. წიგნი 1, გამოც. 3, შეეს. და გადამეშ. 14 ნახატ. და 9 სურ., თბ. 1928, X, 375 გვ.

58. ქართული სამართლის ისტორია. წიგ. 1, თბ. 1928, X, 220 გვ.

59. ქართული სამართლის ისტორია. წიგ. მეორე, ნაკე. პირველი, თბ. 1928, VIII, 233 გვ.

60. ქართული სამართლის ისტორია. წიგ. მეორე, ნაკვ. მეორე, თბ. 1929, XVI, 581 გვ.

61. საქართველოს ეკონომიური ისტორია. წიგ. პირველი, მეორე, ახლად დაწერილი გამ-მა, 21 სურ. და 1 რუკით, თბ. 1930, VII, 428, (1) გვ.

63. თანაავტორი: — Грузинская ССР. гл. VIII. Исторический очерк («Б. С. Э.» М. 1930, т. XIX, столб. 558—598).

64. საქართველოს ეკონომიური ისტორია. წიგ. მეორე. მეორე ახლად დაწერილი გამოცემა, სურათებით. თბ. 1934, XX, 708 გვ.

64. სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში IX—XIII საუკუნეებში. თბ. 1934. III, 57 გვ.

65. ბალნეოლოგიური და ინბოლაციური მკურნალობა საქართველოში. თბ. 1935, 39 გვ.

66. ძველი სომხური საისტორიო მწერლობა. წიგ. 1, თბ. 1935, XV, 216 გვ.

67. შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის მასალების შეგროვების წესი (გაზ. „საქ. შინამრეწველი". თბ. 1935, 10/IV, № 9, გვ. 2—3).

68. ჩვენი ამოცანები ენათმეცნიერებისა და კულტურის ისტორიის სფეროში (ენიმკი ს მოამბე, თბ. 1937, ტ. 1, გვ. 1—8).

69. ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია (ენიმკის მოამბე. თბ, 1937, ტ. II, I, გვ. 1—14) (იმავე წელს დაიბეჭდა გაზ. „კომუნისტ"-ში 6/VIII, № 153, გვ. 2—3; ცალკე წიგნად დაიბეჭდა: თბ. 1938, 16 გვ.).

70. შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის გამოფენა (გაზ. „კომუნისტი". თბ. 1937, 9/III, № 55, გვ. 3—4).

71. Личность и мировоззрение (შოთა რუსთაველისა) («Известия ВЦИК», 1937, 17/III, № 68, стр. 3).

72. საბჭოთა ინტელიგენცია ხმას მისცემს სტალინური ეპოქის საუკეთესო ადამიანებს (გაზ. „კომუნისტი", თბ. 1937, 12/XII, № 283, გვ. 3).

73. რუსთაველის ეპოქის სოციალური კულტურა და პოემა „ვეფხის-ტყაოსანი" (საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის V პლენუმზე გაკეთებული მოხსენებიდან) (გაზ. „კომუნისტი", თბ. 1937, 29/XII, № 298, გვ. 3, გაზ. „ლიტ. საქ." თბ. 1938, 10/I, № 1, გვ. 2).

74. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოცი წლისთავისათვის (გაზ. „კომუნისტი", თბ. 1938, 30/V, № 122, გვ. 3).

75. Как создавался университет (газ. «Заря Востока», Тб. 1938, 30/V, № 122).

76. ქართული ძველი წარმართული, საერო და შემდეგ გაჩენილი საეკლესიო მუსიკა და ბრძოლა მათ შორის (ჟურ. „მნათობი". თბ. 1938, № 6, გვ. 133-140).

77. ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები. თბ. 1938, 382 გვ.

78. წინასიტყვაობა და რედაქცია კრებულისა: — „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა". თბ. 1938, V—VIII გვ.

79. მცხეთა-სამთავროს არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობა (გაზ. „კომუნისტი". თბ. 1938, 23/XII, № 292, გვ. 2).

80. ქართველი ერის ისტორიის შესავალი. წიგნი II. ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა. თბ. 1937 (1939), XVI, 754, (2) გვ.

ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნებული შრომების სია

81. ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, თბ., თსუ გამ-ბა, 1951, 502 გვ. მეოთხე გამოცემა.

82. ქართველი ერის ისტორია. წიგნი 1, თბ., თსუ გამ-ბა, 1960, 504 გვ. მეხუთე გამოცემა (ს. ყაუხჩიშვილის, დ. გურგენიშვილისა და შ. მესხიას შესავალი წერილით).

83. ქართველი ერის ისტორია, წიგნი 2, თბ., თსუ გამ-ბა, 1948, VI, 371 გვ.

84. ქართველი ერის ისტორია, წიგნი 2, თბ., გამ-ბა „საბჭოთა საქართველო", 1965, 471 გვ.

85. ქართველი ერის ისტორია, წიგნი 3, XIII—XIV სს. თბ., საქ. მეც. აკადემიის გამ-ბა, 1941, 248 გვ. პირველი გამოცემა.

86. ქართველი ერის ისტორია, წიგნი 3, XIII—XIV სს. თბ., თსუ გამ-ბა, 1949, VIII, 351 გვ. მეორე გამოცემა.

87. ქართველი ერის ისტორია, წიგნი 3, თბ., გამ-ბა „საბჭოთა საქართველო", 1966, 527 გვ.

88. ქართველი ერის ისტორია, წიგნი 4, თსუ გამ-ბა, 1948, 372 გვ.

89. ქართველი ერის ისტორია, წიგნი 4, XV—XVIII საუკუნეები. თსუ გამ-ბა, 1967, 450 გვ.

90. საქართველოს ისტორია (XI—XV სს), თბ. სახელგამი, 1949, 283 გვ.

91. ხინკას შთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., საქ. მეც. აკადემიის გამ-ბა, 1947, VII, 320 გვ.

92. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წიგნი 1, ძველი საისტორიო მწერლობა (V—XVIII სს.). მე-2, მე-3 შესწორებული გამოცემა. თსუ გამ-ბა, 1945, 448 გვ.

93. ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები. თბ., საქ. მეც. აკადემიის გამ-ბა, 1956, 224 გვ.

94. მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, წიგნი 1, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში (ილ. აბულაძის წინასიტყვაობით), თბ., საქ. მეც. აკადემიის გამ-ბა, 1946, XII, 284 გვ.

95. მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, წიგნი II, საფენელ-საგებელი, აფეჯი და ჰურჭელი (ნ. ჯაჯანიშვილის წინასიტყვაობით), თბ. გამ-ბა „მეცნიერება", 1965, 96 გვ. დართულია აქვს ტაბულები XXVIII.

96. მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III — ტანისამოსი, ქსოვილები და ხელსაქმე, IV — საომარი საჭურველი და სამხედრო საქმე, (დართული აქვს „რედაქტორისაგან" გ. ჩიტაიას ხელის მოწერით), დართული აქვს 16 ტაბულა, საქ. მეც. აკადემიის გამ-ბა, 1962, გვ. 312.

97. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი I, ნაკეთი IV და V; მეღვინეობა და მეხილეობა საქართველოში (დართული აქვს „რედაქციისაგან"), თბ., გამ-ბა „მეცნიერება", 1964, 145 გვ.

98. ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წიგნი პირველი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., საქ. მეც. აკადემიის გამ-ბა, 1950, VIII, 338 გვ.

99. საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წიგნი 1, დემოგრაფიული ძეგლები, აღმოსავლეთ საქართველოს XVIII ს. ხალხის აღწერის დავთრები (დართული აქვს ნ. ბერძენიშვილის წინასიტყვაობა), თბ., გამ-ბა „მეცნიერება", 1967, 283 გვ.

100. თბილისის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა პირველი შემადგენლობა და სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტის პირველი სასწავლო გეგმა. თსუ შრომები, ტ. 33 ბ, 1948, გვ. 13—34.

101. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა, წიგნი 3, ნაკეთი I, ქართული დამწერლობით მცოდნეობა და პალეოგრაფია, მე-2 გამოცემა, თბ. თსუ გამ-ბა, 1949, XVIII, 392 გვ..

102. საქართველოს ისტორია, ნაწ. 1, უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე (ნ. ბერძენიშვილსა და სიმონ ჯანაშიასთან ერთად).

103. ქართველ ხელოვანთა საზოგადოების გამგეობას — მოხსენება (ძეგლების დაცვისა და შესწავლის შესახებ. 1916 წ. საქ. ხელნაწერთა ინსტიტუტის პუბლიკაცია) ძეგლის მეგობარი, 1966, № 7, გვ. 43—51. რეზიუმე რუსულ ენაზე, გვ. 70—71.

104. ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ. მოხსენება წაკითხული 1917 წ. 12 მაისს. თსუ შრომები ტ. 33 ბ, 1948, გვ. 1—11.

105. ბასილი ეზოსმოძღვარი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ენიჭკის მოამბე, ტ. 14, 1944, გვ. 317—359.

106. ბასილი ეზოსმოძღვარი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი. გამოცემა ივ. ჯავახიშვილისა. ივ. ჯავახიშვილის მასალა დასაბეჭდად გაამზადეს ნათ. ჯავახიშვილმა და მ. კახაძემ, საქ. მეც. აკადემიის გამ-ბა, თბ., 1944, IV, 42 გვ.

107. გიორგი მთაწმინდელის თხზულების ახალი გამოცემა (გიორგი მთაწმინდელი, ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთვიმესი). გამოსაცემად გაამზადა ივ. ჯავახიშვილმა. გამოსცა აკ. შანიძემ, საქ. მეც. აკადემიის გამ-ბა, 1946, ხელის მოწერა: მიმომხილველი, მნათობი, 1947, № 1—2, გვ. 284—288.

ცნობები აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ წაკითხული ლექციებისა და მოხსენებების შესახებ (ბეჭდვითი მასალების მიხედვით)

1. В имп. Русск. археолог. общ. 22 февр. И. А. Джавахов прочел весьма интересный реферат «старые грузинские народные переписи»... (მოკლე შინაარსი) (Известия Кавказ. отд. имп. Русск. геогр. об-ва. Тфл. 1901, т. XIV, № 2, отд. Смесь, стр. 104) (გადმობეჭდილია გაზ. «Правительственный вестник»-იდან № 43).

2. კულტურის ისტორია საქართველოში (გაზ. „ისარი". თბ. 1907, № 138, გვ. 2—4; № 139, გვ. 2—3) (შინაარსი სამი ლექციისა: „კულტურის ისტორია საქართველოში უძველეს დროიდან XIII საუკუნემდე". ლექციები წაკითხული იყო 1907 წ. 22, 23, 24 ივნისს ტფ. საკრებულოს დარბაზში).

3. პრივატ-დოცენტის ჯავახიშვილის რეფერატი (გაზ. „ამირანი". თბ. 1908, № 86, გვ. 3—4) („საქართველოს ისტორიკოსთა ფილოსოფიურ და მეთოდოლოგიურ შეხედულების განვითარება VIII—XII საუკუნეთა განმავლობაში").

4. ივ. ჯავახიშვილის ლექციები ქართულ საისტორიო მწერლობაზე (შინაარსი ლექციებისა) (ეურ. „საქართ. მოამბე", თბ. 1910, № 13, გვ. 9—11; ალმანახი „მოამბე", თბ. 1910, იანვ. გვ. 12—14; ეურ. „ერი", თბ. 1910, № 1, გვ. 9—11; № 2, გვ. 9—11; № 3, გვ. 5—7), ხელწერა: ბ.

5. ივ. ჯავახიშვილის ლექცია (პროგრამა 7 და 8 იანვარს წაკითხული ლექციისა „საქართველოს ეკონომიური წესწყობილება და მდგომარეობა XVII—XVIII სს". ლექცია წაკითხული იყო საისტ. და საეთნ. საზოგადოების სასარგებლოდ). („სახალხო გაზ. თბ. 1914, № 1084, გვ. 3).

6. მოსმენილი ივ. ჯავახიშვილის ლექციიდან მოკლედ (ახლად დაარსებულ ქართულ უნივერსიტეტში წაკითხული პირველი ლექციიდან) (ჟურ. „თეატრი და ცხოვ.“, თბ., 1918, № 4, გვ. 12—14) ხელწერა: შუშა მიხ. დევაძე.

7. პროფ. ივ. ჯავახიშვილის მოხსენება: „ვეფხის-ტყაოსნის“ კრიტიკული შესწავლის ძირითადი საფუძვლები: საკითხი სადაურობისა, დროისა და ავტორის პიროვნების შესახებ“ (გაზ. „ბახტრიონი“ 1922. 3. VII, № 1, გვ. 2). (მოხსენება წაკითხული იყო საქ. საისტ. და საეთნ. საზოგადოების კრებაზე. გადმოცემულია მოხსენების მოკლე შინაარსი).

8. ახალი ხანა ქართულ მეტყველებაში. პროფ. ივ. ჯავახიშვილის მოხსენება (შინაარსი) (გაზ. „ლომისი“, თბ. 1923, № 26, გვ. 1). ხელწერა: ს (ჯანაშია სიმონ).

9. პროფ. პეტრე მელიქიშვილის იუბილე (გაზ. „ქართული სიტყვა“, თბ., 1924, № 15. გვ. 3—4) (ივ. ჯავახიშვილის სიტყვის შინაარსი. პ. მელიქიშვილის პასუხში აღნიშნულია ივ. ჯავახიშვილის ღვაწლი ქართ. უნივერსიტეტის დაარსების საქმეში). ხელწერა: დამსწრე (შარაშიძე შალვა).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა:

I. აკად. ივ. ჯავახიშვილს, ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, 1897 წელს შეუდგენია ბიბლიოგრაფია საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესახებ გაზ. „ივერიიდან“ (1886—1896 წწ.).
ეს მასალა დაიბეჭდა ი. უიფშიძის რედაქტორობით გამოცემულ „ქართულ ბიბლიოგრაფიაში“. პეტროგრადი. 1916, VIII, 1960 გვ.

II. აკად. ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით და დახმარებით კ. შულცემ თარგმნა ქართულიდან გერმანულად „აბო ტფილელის წამება“, რომელიც დაიბეჭდა პარნაკის ტექსტებსა და გამოკვლევებში.
(Texte und Untersuchungen. N. Folge, XIII, 4).

ბიოგრაფიული ცნობებისა და ბიბლიოგრაფიული ცნობარების ს ი ა

1. სხვადასხვა ამბები... (პეტერბურგიდან ცნობა ივ. ჯავახიშვილის მიერ საპრივატდოცენტო გამოცდების დასრულების შესახებ აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე) (ჟურ. „კვალი“, თბ. 1901, № 14, გვ. 223).

2. ქართული ბეჭდვითი სიტყვა (გაზ. „საქართველო“. თბ. 1916, 14/X, № 228, გვ. 1) (გადმობეჭდილია გაზ. „ჩვენი მეგობარი“-დან წერილი ნ. გ. ადონცის პრო-

ფესორად არჩევის შესახებ. ამის გამო გაზ. „საქართველოს“ გაკვირვება თუ რად აუხვიეს გვერდი პრივ.—დოც. ივ. ჯავახიშვილს).

8. ჯავახიშვილი ივ. (წერილი რედაქციის მიმართ) (გაზ. „სახ. ფურცელი“. თბ. 1916. 29/X, № 709, გვ. 3—4) (პრივ.—დოც. ნ. გ. ადონცის პროფესორად არჩევის შესახებ. გაზ. „საქართველოს“ რედაქციის შემცდარი მსჯელობა. საქმის ნამდვილი გარემოების განმარტება).

4. პროფესორი ივ. ჯავახიშვილი (პორტრეტი და მოკლე ბიოგრაფიული ცნობები. ქართულ უნივერსიტეტის დაარსების გამო) (გაზ. „საქართველო“, 1918, № 23, გვ. 3).

5. ჯანაშვილი მოსე. ქართული უნივერსიტეტი (პროფ. ივ. ჯავახიშვილის როლი საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში) (გაზ. „საქართველო“, თბ. 1918, № 10, გვ. 3—4).

6. მელიქსეთ-ბეგ ლეონ, ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილი (ბიოგრაფიულ ცნობებს დართული აქვს ივ. ჯავახიშვილის ნაშრომთა სია 1897—1920 წწ.). (ცურ. „მომავალი“. თბ. 1920, № 1, გვ. 4—8, ჩ. ფ. პორტ.).

7. ივანე ჯავახიშვილი (ბიოგრაფიულ ცნობებს დართული აქვს უმთავრესი შრომების სია, როგორც დაბეჭდილის ისე დაუბეჭდავისა) (გაზ. „ლომისი“, თბ., 1923, № 21, გვ. 2). ხელწერა: საისელი.

8. პროფ. ივ. ჯავახიშვილი (სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი) (ბიოგრაფიულ ცნობებს დართული აქვს უმთავრესი შრომების სია) (გაზ. „ტრიბუნა“, თბ. 1923, № 402, გვ. 2).

9. ქართული მეცნიერება (პროფ. ივ. ჯავახიშვილის როლი ქართული უნივერსიტეტის დაარსების საქმეში) (გაზ. „ლომისი“, თბ. 1923, № 21, გვ. 1). ხელწერა: გ-ელი.

10. პიროვნება და კულტურა (პროფ. ივ. ჯავახიშვილის როლი ქართული უნივერსიტეტის დაარსების საქმეში) (გაზ. „ლომისი“, თბ., 1923, № 21, გვ. 2—3). ხელწერა: ინ.

11. ივანე ჯავახიშვილი (1876—IV, 11—1926) (ბიოგრაფიულ ცნობებს დართული აქვს უმთავრესი შრომების სია) (ცურ. „ჩვენი მეცნიერება“, თბ. 1926, № 17—18, გვ. 1—VII პორტ.).

12. მაყაშვილი, კოტე. ვანო ჯავახიშვილი (ავტორის შთაბეჭდილებები პროფ. ივ. ჯავახიშვილის საზოგადოებრივი ცხოვრების უმთავრესი ეტაპებისაგან) (ცურ. „ჩვენი მეცნიერება“, თბ., 1926, № 17—18, გვ. 1—5).

13. შენგელაია დემნა. პროფ. ივ. ჯავახიშვილი (ბიოგრაფია უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩევის გამო) (გაზ. „ლიტ. საქართ.“ თბ. 1938, № 13, გვ. 1).

14. ჯანაშია სიმ. ივ. ჯავახიშვილი (ბიოგრაფიული ცნობები და მეცნიერული მოღვაწეობის დახასიათება) (ქურ. „მნათობი". თბ. 1938, № 6, გვ. 94—101, პორტ.).

რეცენზიები და შენიშვნები ივ. ჯავახიშვილის შრომებზე, გამოქვეყნებული მის სიცოცხლეში.

1. Джавахов, И. Народные переписи в Грузии (СПБ. 1901). რეც. ჯანაშვილი მოსე, ბიბლიოგრაფია (გაზ. „იერია", თბ. 1902, № 253, გვ. 4).

2. ჯანაშვილი მოსე. მცირე შენიშვნა (ივ. ჯავახიშვილის წერილის გამო) („მამულიშვილობა და მეცნიერება") (გაზ. „ცნობის ფურც.", თბ. 1904, № 2472, გვ. 4—4; № 2473, გვ. 3).

3. გოგებაშვილი, იაკობ. მკითხველისადმი (ჯავახიშვილის წერილის გამო) („მამულიშვილობა და მეცნიერება") (გაზ. „ცნობის ფურც.", თბ. 1904, № 2481, გვ. 2—3).

4. Джавахов, И. Государственный строй древней Грузии и древней Армении. т. I, СПБ. 1905. Рец. «Марушнаин» (жур. «Кавказ. Вестник». Тфл. 1905, № 4, стр. 81—87).

5. თბილისი, 11 იანვარი. (მოწინავეში აღნიშნულია, რომ ივ. ჯავახიშვილის ლექციამ, „საქ. ეკონომიური ისტორია უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე" დიდძალი საზოგადოება მიიზიდა და ბევრი გაბრუნდა უადგილობის გამო") (გაზ. „ისარი". თბ. 1907, № 5, გვ. 1).

6. ყიფშიძე, ა. საჯარო ლექცია ივ. ჯავახიშვილისა (საქ. ეკონომიური ისტორია უძველესი დროიდან XIII საუკ-დე) (გაზ. „ისარი", თბ. 1907, № 4, გვ. 3; № 5, გვ. 3).

7. ჯავახიშვილი, ივ. საქართველოს ეკონომიური ისტორია. თბ. 1907, გთ. 110. ფ. 40 კ. რეც.: მ(ახარაძე), ფ(ილიპე). ბიბლიოგრაფიული შენიშვნები (ქურ. „ცისკარი", ქუთ., 1907, № 5, გვ. № 6 გვ. 11—13).

8. თბილისი, 10 ივნისი (მოწინავეში დახასიათებულია ივ. ჯავახიშვილი, როგორც ლექტორი და მკვლევარი) (გაზ. „ამირანი", თბ. 1908, № 79, გვ. 1).

9. ჯავახიშვილი, ივ. ქართველი ერის ისტორია. წ. 1, გვ. 190, ს. თუმანიშვილის გამოცემა. რეც. (ქურ. „საქართველო", თბ. 1908, № 4, გვ. 11).

10. Джавахов, И. Государственный строй древней Грузии и древней Армении, т. I, СПБ, 1905, Рец. Марр, Н. («Жур. Мин. нар. просв.», СПБ, 1908, № 5, стр. 200—223).

11. ჯანაშვილი, მ. ჩემი შენიშვნები (ცურ. „საქართველო", თბ. 1908, № 3, გვ. 11—12; № 5, გვ. 12, № 9, გვ. 10—12) (ავტორი არ ეთანხმება ივ. ჯავახიშვილს შემდეგ საკითხებში: ...II. „დიდგვარიანი იყო და არა მდაბიოთაგანი" (უუთლუ არსლანი), III. „590 წელს და არა 544-ს და არც 888-ს" (ევსტათის წამება), IV. „სკვითიაში მყოფი საქართველოში ყოფილა" (ანდრია პირველწოდებული).

12. ნახუ(ცრი)შვილი, დ. ქართველი ერის ისტორია ივ. ა. ჯავახიშვილისა (მკითხველის შენიშვნები) (ცურ. „თეატრი და ცხოვრება", თბ. 1915, № 49, გვ. 6—7).

13. კასრაძე, დ. ივ. ჯავახიშვილის ლექციის-გამო („საქ. მეფე და მისი უფლების ისტორია") (ცურ. „კლდე", თბ. 1915, № 3, გვ. 13—15).

14. ჯავახიშვილი, ივ. ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის (ცალკე ამონაბეჭდი „თბ. უნივ. მოამბე"-დან II, გვ. 313—391, თბ. 1923). რეც. — (ცურ. „ჩვენი მეცნიერება", თბ. 1923, № 6—7, გვ. 102).

15. საქართველოს ისტორიული რუკა პროფ. ივ. ჯავახიშვილის რედაქციით. შინ. საქმ. სახ. კ-ტის გამოცემა. თბ. 1923. რეც. — კაკაბაძე, ს. („საისტორიო მოამბე", თბ. 1924, წ. I, გვ. 293—297).

16. ჯავახიშვილი, ივ. ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება და თამარ მეფის მეორე აქამდე უცნობი ისტორიკოსის თხზულება. „თბ. უნივ. მოამბე", III. რეც. — კაკაბაძე, ს. („საისტორიო მოამბე", თბ. 1924, წ. I, გვ. 285—291).

17. ჯავახიშვილი, ივ. ქართული საფას-საზომების მცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა, „ჩვენი მეცნიერება" № 1—2, 1924 წ. რეც. — კაკაბაძე, ს. („საისტორიო მოამბე". თბ. 1924, წ. II, გვ. 277—294).

18. ჯავახიშვილი, ივ. ქართველი ერის ისტორია, IV წ. I ნაწ. (XV ს.) თბ. 1924, გვ. 230. რეც.—კაკაბაძე, ს. („საისტორიო მოამბე", თბ. 1924, წ. II, გვ. 268-277).

19. ჯავახიშვილი, ივ. ს. კაკაბაძის შენიშვნა საისტორიო რუკაზე („საისტ. მ-ბე" 293—297), „ჩვ. მეც-ბა" № 11—12 (აპრ. და მაისი) 1924 წ. რეც. — კაკაბაძე, ს. („საისტორიო მოამბე", თბ. 1924, წ. II, გვ. 265—268).

20. ჯავახიშვილი, ივ. ქართული საზომების მცოდნეობა ანუ მეტროლოგია. „ჩვენი მეცნიერება" № 2, 1924 წ.; № 3—4, 1925 წ. რეც.—კაკაბაძე, ს. („საისტორიო მოამბე", თბ. 1925, წ. I, გვ. 284—293).

21. Генко, А. По поводу работы проф. И. А. Джавахишвили, касающейся грузинских палимпсестов с библийскими текстами («Тексты и раз. по кавказ. филологии». Л. 1925, стр. 34—49).

22. Дондуа, К. Анахронизм в решении вопроса о взаимоотношениях яфетических языков Кавказа («Тексты и раз. по кавказ. филологии». Л. 1925, стр. 26—34).

23. Марр, Н. О кавказской версии библии в грузинских палимпсестных фрагментах (по поводу уклона Тифлисского университетского грузиноведения) («Тексты и раз. по кавказ. филологии». Л. 1925, стр. 50—65).

24. ჯავახიშვილი, ივ. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა. წიგნი III, ნაკ. I — ქართული დამწერლობათა მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია. თბ. 1926, XIV—240 გვ., ქართ. დამწერლ. მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია. თბ. 1926, წიგნი III$_1$, ნაკ. ქართ. სიგელთა მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, თბ. 1926, VI—200 გვ.; ქართ. სიგელთა მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა. წიგნი III$_1$, ნაკ III—ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია. თბ. 1925, VI, 170 გვ. რეც.

25. ჯავახიშვილი, ივ. საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგ. I, მეორე, ახლად დაწერილი გამოცემა. თბ. 1930, VII, 428 გვ. რეც.
(1929—1930).

26. ჯავახიშვილი, ივ. ქართ. სამართლის ისტორია. წიგ. I, თბ. 1928, X. 220 გვ. ქართ. სამართლის ისტორია. წიგნი II, ნაკ. I, თბ. 1928, VIII, 233 გვ. ქართ. სამართლის ისტორია. წიგნი II, ნაკ. II, თბ. 1929, XVI, 581 გვ. რეც —P. P. — „Analecta Bollandiana" 1930 tome 48).

27. ჯავახიშვილი, ივ. ძველი სომხური საისტორიო მწერლობა. წიგნი 1. თბ. 1935, XV, 216 გვ. რეც. —P. P.—(„Analecta Bollandiana", 1936, tome 54 P.P. 397—401).

გამოკვლევები, წერილები და რეცენზიები ივ. ჯავახიშვილზე, გამოკვეყნებული მისი გარდაცვალების შემდეგ

1. აგლაძე, ე. აკად. ივ. ჯავახიშვილის ხსოვნის საღამო პიონერთა სასახლეში (გარდაცვალების 5 წლის გამო) კომუნისტი, 1945, 1 დეკემბერი.

2. აკადემიკოსი ი. ა. ჯავახიშვილის გამოუქვეყნებელი ნაშრომი („სინას მონასტრის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა"), კომუნისტი, 1944, 6 ოქტომბერი.

3. ავეჯი ძველ ქართულ ფრესკებსა, მინიატურებსა და ჭედურ ხელოვნებაში. ნიმუშების კრებული. ნიმუშები შეაგროვა და ნახატები შეასრულა ტ. ხერხეულიძემ აკად. ი. ჯავახიშვილის რედაქციით. თბ., საქ. მეც. აკადემიის გამ-ბა, 1941, 32 გვ.

4. აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი, ბიოგრაფია; თსუ შრომები, ტ. 18, 1941, გვ. 9—12.

6. აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი (დაბადების 65 წლისთავის გამო). ჰიათურის მაღაროელი, 1941, 10 აპრილი.

6. აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი (დაბადების 65 წლისთავის გამო). ხელს აწერს: გ. ჯ. საბჭოთა აფხაზეთი, 1941, 12 აპრილი.

7. აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი. (ს. ყაუხჩიშვილის, გ. სტურუას და აკ. შანიძის სიტყვები, წარმოთქმული მის დაკრძალვაზე). თსუ შრომები, ტ. 18, 1941. გვ. I—XVII.

8. აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების პირველი წლისთავისათვის. (1941 წ. 18 ნოემბერი, სხდომა — საღამო. სიტყვები: ნ. ბერძენიშვილის, ა. შანიძის, გ. ჩხუბიანიშვილის, ს. ყაუხჩიშვილის და გ. ჩიტაიასი). ენიმკის მოამბე. ტ. XIII. 1943, გვ. 263—282.

9. აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის II სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ივ. ჯავახიშვილის ხსოვნისადმი. („ჯავახიშვილის დღეები"). 1948 წლის 4—5 მაისი, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. თბ საქ. მეც. აკადემიის გამ-ბა, 1948, 17 გვ.

10. აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის III სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების 10 წლისთავისადმი 1950 წლის 6—7 დეკემბერს. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. საქ. მეც. აკადემიის გამ-ბა, 1950, 19 გვ.

11. აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი (ქართული სამართლის მკვლევარი, საბ. სამართალი. 1964, გვ. 51—56.)

12. ანთაძე, თ. ისტორიკოსი დიდი მოქალაქე (ი. ჯავახიშვილი) სამგორი. გარდაბანი, 1966, 22 აპრილი.

13. ასათიანი, ლ. იუანე ჯავახიშვილისადმი, (ლექსი). მნათობი, 1941, № 4, გვ. 41—45.

14. ბაზილევიჩი, კ. შესანიშნავი ნაშრომი საქართველოს ისტორიის შესახებ. (აკადემიკოს ი. ა. ჯავახიშვილის, ს. ნ. ჯანაშიას და ნ. ა. ბერძენიშვილის წიგნის გამოცემის შესახებ). „პრავდა" 1947, 2 იელისი, „კომუნისტი", 1947, 5 იელისი.

15. ბერძენიშვილი, დ. ივ. ჯავახიშვილი და პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე, თსუ სტუდ. შრომების კრებული, ტ. 8, 1958, გვ. 115—132.

16. ბერძენიშვილი, ი. დიდი ქართველი მეცნიერი (ი. ა. ჯავახიშვილის გარდაცვალების 15 წლისთავის გამო). სტალინელი, (გორი), 1955, 25 ნოემბერი.

17. ბერძენიშვილი, ნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების პირველი წლისთავისათვის, ენიმკის მოამბე. ტ. XIII, 1943, გვ. 263—267.

18. ბერძული, ა. დიდი ქართველი მეცნიერი (ი. ა. ჯავახიშვილის გარდაცვალების 10 წლისთავის გამო). ინდუსტრიული ქუთაისი. 1950 17 ნოემბერი.

19. გაგოშიძე, მ. დიდი მეცნიერი (ი. ჯავახიშვილი). გამარჯვების დროშა (ლაგოდეხი), 1966, 28 აპრილი.

20. გამსახურდია, კ. ივანე ჯავახიშვილი, რჩეული თხზულებანი, ტ. VI, 323-328.

21. გამსახურდია, კ. აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი, დროშა, 1953, № 4, გვ. 14.

22. გაწერელია, აკ. ივანე ჯავახიშვილი, წიგნში „ლიტერატურული ნარკვევები", თბ., სახელგამი, 1948, გვ. 195—200.

23. გვაძაბია, გ. სახელოვანი მეცნიერის კოლეგებთან და მოწაფეებთან (ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალებიდან 15 წლისთავის გამო). სახალხო განათლება. 1955, 16 ნოემბერი.

24. გვრიტიშვილი, დ. აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი (გარდაცვალებიდან 5 წლის თავის გამო). ახალგაზრდა კომუნისტი, 1945, 22 ნოემბერი.

25. გვრიტიშვილი, დ. ერთი ფურცელი ივ. ჯავახიშვილის მოღვაწეობიდან (გარდაცვალების 10 წლისთავის გამო), მნათობი, 1950, № 11, გვ. 90—96.

26. გვრიტიშვილი, დ. საქართველოს ისტორიის დიდი მკვლევარი (ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების 10 წლისთავის გამო). კომუნისტი, 1950, 18 ნოემბერი.

27. გვრიტიშვილი, დ. ივანე ჯავახიშვილი (გარდაცვალების 10 წლისთავის გამო). — სახალხო განათლება, 1950, 15 ნოემბერი.

28. გვრიტიშვილი, დ. დიდი ქართველი ისტორიკოსი (ივ. ჯავახიშვილი), გარდაცვალებიდან 10 წლისთავის შესრულების გამო, პიონერი, 1950, № 10, გვ. 24—25.

29. გვრიტიშვილი დ. ივანე ჯავახიშვილი (მონოგრაფია), თბ., საბლიტგამი, 1949, 148 გვ.

30. გვრიტიშვილი დ. ქართლის ცხოვრების მესაიდუმლე, თბ., გამ-ბა „ნაკადული", 1960, 141 გვ.

31. გვრიტიშვილი, დ. ივანე ჯავახიშვილი (დაბადების 90 წლისთავი), მნათობი, 1966, გვ. 164—168.

32. გვრიტიშვილი, დ. ხალხის წარსულის დიდი მკვლევარი. თბილისი, 1966, 23 აპრილი.

33. გიორგაძე, მ. „მონოგრაფია ივანე ჯავახიშვილი" (დ. გვრიტიშვილი, ივანე

ჯავახიშვილი, თბ. საბლიტგამი, 1949, რეცენზია, საბჭოთა ოსეთი 1950, 11 ოქტომბერი.

34. გოზალიშვილი, შ. გამოჩენილი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი (დაბადების 70 წლისთავის გამო) საბჭოთა აფხაზეთი. 1946, 23 აპრილი.

35. გოზალიშვილი, შ. დიდი მოამაგე (ი. ჯავახიშვილი) კოლმეურნე (სიღნაღი) 1966, 23 აპრილი.

36. გოზალიშვილი, შ. ერის დიდი მემატიანე (ი. ჯავახიშვილი). ლიტერატურული საქართველო, 1966, 22 აპრილი.

37. გოზალიშვილი, შ. ქართული კულტურის დიდი მკვლევარი და საზოგადო მოღვაწე (ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალების 10 წლისთავის გამო) მეცნიერება და ტექნიკა, 1950, № 11, გვ. 7—10.

38. გულისაშვილი, ჯ. საქართველოს ისტორიის რჯულმდებელი (ი. ჯავახიშვილი), იერის განთიადი (საგარეჯო), 1966, 26 აპრილი.

39. გურული, ჯ. საქართველოს ისტორიის მემატიანე (ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების 25 წლისთავის გამო) კომუნისტური შრომა (ლანჩხუთი), 1965, 18 ნოემბერი.

40. დონდუა, ვ. აკად. ივანე ჯავახიშვილი, მცირე მოგონება, ლიტერატურული საქართველო, 1966, 22 აპრილი.

41. დონდუა, ვ. გამოჩენილი ქართველი მეცნიერი (აკად. ი. ჯავახიშვილის დაბადების 85 წლისთავის გამო) მეცნიერება და ტექნიკა, 1961, № 4, გვ. 5—8.

42. დონდუა, ვ. საქართველოს ისტორიის კარგი სახელმძღვანელო. (ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, რეცენზია, სახალხო განათლება 1947, 25 იანვარი.

43. ედიშელაშვილი, ნ. ივანე ჯავახიშვილის სოფელი ხოვლე. დროშა, 1964, № 12, გვ. 8.

44. ედიშელაშვილი, ნ. ქართული მეცნიერების სიამაყე (ი. ჯავახიშვილი). კომუნიზმისაკენ (ქასპი) 1966, 26 აპრილი.

45. თედიაშვილი, ვ. ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილი. (დაბადების 65 წლისთავის გამო). საბჭოთა ოსეთი, 1941, 11 აპრილი.

46. ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალების 10 წლისთავი (სხდომა თსუ საქტო დარბაზში მიძღვნილი ივ. ჯავახიშვილისადმი). კომუნისტი, 1950. 15 ნოემბერი.

47. ივანე ჯავახიშვილის ერთი უცნობი წერილი კ. ხომერიკისადმი — სიტყ-

ვების — „გლეხი“, „ყაზახი“, „კრესტიანსტვო“ და „მუჟიკი“ — განმარტება. ე. დონდუას პუბლიკაცია) მაცნე, 1965, გვ. 293—299.

48. ივანე ჯავახიშვილის ძეგლის გახსნა (თსუ-ში), კომუნისტი, 1953, 11 აპრილი.

49. ქაქახაძე, დ. ი. ჯავახიშვილის ხსოვნის აღსანიშნავად. (თსუ ისტ. ფაკ. სტუდ. სამეც. კონფერენცია). სახალხო განათლება, 1950, 6 დეკემბერი.

50. კარდენახიშვილი, ბ. ივანე ჯავახიშვილი, კოლმეურნის ხმა (თელავი), 1961, 23 აპრილი.

51. კაშმაძე, შ. ივ. ჯავახიშვილი. დროშა, 1952, № 4, გვ. 17—18.

52. კვალიაშვილი, ა. ეს ნაშრომი არ უნდა დაიკარგოს. (ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით საქართველოში შეგროვილი შინამრეწველობის და სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგიის გამოცემის საჭიროების შესახებ). ახალგაზრდა კომუნისტი, 1961, 6 იანვარი.

53. კიკვიძე, ა. ივანე ჯავახიშვილი და ქართული ისტორიოგრაფია, დაბადების 85 წლისთავის გამო, თსუ შრომები, ტ. 78, 1963, გვ. 17—26.

54. კონწურაშვილი, კ. აკად. ი. ჯავახიშვილის გარდაცვალების 20 წლისთავის გამო. ახალგაზრდა სტალინელი, 1960, 24 დეკემბერი.

55. ლეონიძე, გ. ქართველ ოსტატებს (ლექსი) (ივანე ჯავახიშვილის ხსოვნას). მნათობი, 1941, № 8, გვ. 4—6.

56. ლომთათიძე, გ. ივანე ჯავახიშვილი და გათხრითი არქეოლოგია საქართველოში. მიმომხილველი, ტ. 2, 1951, გვ. 1—36.

57. ლომთათიძე, გ. ივ. ჯავახიშვილი (გარდაცვალების 15 წლისთავის გამო). მეცნიერება და ტექნიკა, 1955, № 11, გვ. 4—6.

58. მაისურაძე, ი. დიდი მეცნიერის ხსოვნას (ი. ა. ჯავახიშვილის გარდაცვალების 3 წლისთავის გამო). საბჭოთა ოსეთი, 1943, 24 დეკემბერი.

59. მარგიანი, რ. ქართლის ცხოვრების მემატიანე ივანე ჯავახიშვილი (ლექსი) მნათობი, 1962, № 3, გვ. 19—23.

60. მაჭავარიანი, ვ. აკად. ი. ჯავახიშვილი, პროფ. ნ. ბერძენიშვილი, აკად. ს. ჯანაშია „საქართველოს ისტორია, უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე“, აკად. ს. ჯანაშიას რედაქციით. (რეცენზია). ბოლშევიკი, 1943, № 10—11, გვ. 106—111.

61. მაჭავარიანი, თ. აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის შრომათა სია (ქრონოლოგიური და ანბანური საძიებლები) თსუ შრომები, ტ. 18, 1941, გვ. XVIII—XXVII.

62. მელიქიშვილი, გ. აკად. ივანე ჯავახიშვილი. (დაბადების 90 წლისთავი). ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში, 1966, № 1, გვ. 25—29.

63. მელიქიშვილი, გ. დიდი ქართველი მეცნიერი (ი. ჯავახიშვილი). კომუნისტი, 1966, 24 აპრილი.

64. მესხია, შ. ივანე ჯავახიშვილი (გარდაცვალების 5 წლისთავის გამო). საბჭოთა მასწავლებელი, 1945, 22 ნოემბერი.

65. მესხია, შ. და გერიტიშვილი დ. დიდი მეცნიერი და მოქალაქე. (ი. ჯავახიშვილის დაბადების 85 წლისთავი). კომუნისტი, 1961, 23 აპრლი.

66. მეტრეველი, რ. დიდი მეცნიერის საინტერესო წერილი (ივ. ჯავახიშვილის წერილი გ. ზდანოვიჩისადმი მხატვარ დ. კაკაბაძის შესახებ). ცისკარი, 1926, № 1, გვ. 133—134.

67. მეტრეველი, რ. ივანე ჯავახიშვილი და ქართული მუსიკის ისტორიის საკითხები (ი. ჯავახიშვილის დაბადების 85 წლისთავის გამო). ცისკარი. 1961, გვ. 154—158.

68. მეტრეველი, რ. ნაშრომი გამოჩენილ ქართველ მეცნიერზე (დ. გერიტიშვილი, ქართლის ცხოვრების მესაიდუმლე. ივანე ჯავახიშვილი, თბ., „ნაკადული", 1960. რეცენზია, სტალინელი (ქუთაისი), 1960, 20 ოქტომბერი.

69. მიქავა, ა. დიდი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე. (ივ. ჯავახიშვილის დაბადების 90 წლისთავი) ალაზნის განთიადი (თელავი), 1966, 1 მაისი.

70. მიქავა, ა. ივ. ჯავახიშვილი. (დაბადების 80 წლისთავის გამო). მებრძოლი (ზუგდიდი). 1956, 27 აპრილი.

71. მიქაძე, ბ. ქართლის ცხოვრების მესაიდუმლე. (დ. გერიტიშვილი. ქართლის ცხოვრების მესაიდუმლე. ივ. ჯავახიშვილი, თბ., „ნაკადული", 1960, რეცენზია). საბჭოთა ხელოვნება, 1961, № 7, გვ. 88.

72. მოსეშვილი, დ. დიდი ქართველი მეცნიერი. (ი. ა. ჯავახიშვილის დაბადების 80 წლისთავის გამო), წითელი დროშა, (ახალციხე), 1956, 27 აპრილი.

73. მუსხელიშვილი, ნ., შანიძე ა., ახვლედიანი გ. და სხვ. დიდი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი. (გარდაცვალების ერთი წლისთავის გამო). კომუნისტი, 1941, 22 ნოემბერი.

74. მჭედლიძე, გ. საქართველოს ეამთააღმწერელი (ი. ჯავახიშვილი), ქუთაისი, 1966, 24 აპრილი.

75. ნოღაიდელი, ჯ. მოგონებები ივანე ჯავახიშვილზე. ლიტერატურული აჭარა, 1963, № 4, გვ. 51—55.

76, ჟურული, ვ. ქართლის მემატიანე (ლექსი ივანე ჯავახიშვილს). სახალხო განათლება, 1949, 19 მაისი.

77. ენტი, ვ. იანე ჯავახიშვილი. კომუნიზმის განთიადი (ჩოხატაური), 1966, 26 აპრილი.

78. რატიანი, პრ. იანე ჯავახიშვილის მსოფლმხედველობისათვის. მნათობი, 1966, № 6, გვ. 169—180.

79. რუსთაველიანა (ნ. ციციშვილი, ი. ტლაშაძე, ვახტანგ VI, არჩილი, დ. გურამიშვილი, გრ. ორბელიანი, ი. ჭაქაჭაძე, ა. წერეთელი, ვაჟა ფშაველა, ივ. ჯავახიშვილი... რუსთაველის შესახებ). ახალგაზრდა კომუნისტი, 1966, 27 სექტემბერი.

80. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის და თსუ სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ვახუშტი ბაგრატიონის წიგნის „საქართველოს ცხოვრების" გამოსვლის 200 წლისა და აკად. ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების ხუთი წლისთავისადმი. თბ., საქ. მეც. აკადემიის გამ-ბა, 1945, 16 გვ.

81. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტისათვის აკად. ი. ა. ჯავახიშვილის სახელის მიკუთვნების შესახებ. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა. კომუნისტი, 1943, 19 ნოემბერი.

82. სვანიძე, რ. დიდი ქართველი მეცნიერისადმი მიძღვნილი საღამო (ი. ჯავახიშვილის გარდაცვალების 20 წლისთავის გამო). ახალგაზრდა კომუნისტი, 1960, 27 დეკემბერი.

83. სიდამონიძე, ვ. ერთი ფაქტიური შეცდომის გამო. რომელიც დაშვებულია ნ. ბერძენიშვილის, ი. ჯავახიშვილის და ს. ჯანაშიას წიგნში „საქართველოს ისტორია", სიმონ I მეფის (1558—1600) შესახებ. სახალხო განათლება, 1955, 7 დეკემბერი.

84. სიდამონიძე, ვ. ფოტოს ავტორი ივანე ჯავახიშვილი. (1913 წ. სოფ. ატენში ბზიშვილების ფოტოსურათის გადაღების შესახებ). სოფლის ცხოვრება, 1962, 26 იელისი.

85. სიმონიშვილი, ვ. სად დაიბადა ივანე ჯავახიშვილი? (ი. ჯავახიშვილის დაბადების თარიღის შესახებ). თბილისი, 1960, 25 ნოემბერი.

86. სურგულაძე აკ. მონოგრაფია დიდ ქართველ მეცნიერზე. (რეცენზია). კომუნისტი, 1950, 26 მარტი.

87. უჩანეიშვილი, დ. ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი. მნათობი, 1961, № 3, გვ. 171—172.

88. ფიფია, მ. ქართული ისტორიოგრაფიის მამა (ი. ჯავახიშვილი). კომუნიზმის დროშით (წალენჯიხა) 1966, 26 აპრილი.

89. ქართველი ერის მემატიანე. (ი. ჯავახიშვილის ქართველი ერის ისტორია,

წიგნი I, მეხუთე გამოცემა. თბ.. თსუ გამ-ბა, 1960) (რეცენზია). სახალხო განათლება, 1961, 26 აპრილი.

90. ქართველი მეცნიერები (ივ. ჯავახიშვილი და დ. ბაქრაძე). პიონერი 1946, № 8, გვ. 29.

91. ქართველიშვილი, ვ. ქართველი ერის მემატიანე (ივ. ჯავახიშვილი), სახალხო განათლება, 1966, 27 აპრილი.

92. ქართველიშვილი, ვ. ქართველი ერის მემატიანე (ივ. ჯავახიშვილის დაბადების 90 წლისთავის გამო). სახალხო განათლება, 1966, 24 აპრილი.

93. ქართველიშვილი, ლ. დიდი მეცნიერი. აკად. ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების 10 წლისთავი. ნორჩი ლენინელი, 1950, 23 ნოემბერი.

94. ჭორიძე, ვ. ქართული კულტურის დიდი მესაიდუმლე. (ი. ჯავახიშვილის დაბადების 85 წლისთავის გამო) წინსვლა (სამტრედია) 1961, 23 აპრილი.

95. ღლონტი, ალ. „ქართველი ერის ისტორია" (ი. ჯავახიშვილის ქართველი ერის ისტორია. ტ. I, თბ., თსუ გამ-ბა, 1951, (რეცენზია). სტალინელი, 1951, 27 დეკემბერი.

96. ღლონტი, შ. გამოჩენილი ქართველი მეცნიერი. (ი. ჯავახიშვილის გარდაცვალების 10 წლისთავის გამო). საბჭოთა აფხაზეთი, 1950, 18 ნოემბერი.

97. ღლონტი, შ. წიგნი გამოჩენილი ქართველი მეცნიერის შესახებ (დ. გერიტიშვილი. ივანე ჯავახიშვილი. მონოგრაფია, რეცენზია). საბჭოთა აფხაზეთი, 1950, 26 აპრილი.

98. ღოღობერიძე ც. ივანე ჯავახიშვილი (გარდაცვალების 20 წლისთავის გამო). კომუნიზმის გზით (წულუკიძე) 1960. 27 აპრილი.

99. ყაუხჩიშვილი. ხ. ივანე ჯავახიშვილი, ცხოვრება და მოღვაწეობა. მნათობი, 1948, № 3, გვ. 112—127.

100. ყაუხჩიშვილი, ხ. მეცნიერების დიდი ქურუმი (აკად. ი. ჯავახიშვილის გარდაცვალების 20 წლისთავის გამო). მნათობი, 1960, № 11, გვ. 116—123.

101. ყაუხჩიშვილი, ხ. აკად. ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების პირველი წლისთავისათვის. ენიმკის მოამბე. ტ. XIII, 1943, გვ. 278—279.

102. შანიძე. აკ. აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი (გარდაცვალების 5 წლისთავის გამო). კომუნისტი, 1945, 18 ნოემბერი.

103. შანიძე. აკ. სიტყვა. აკად. ივ. ჯავახიშვილის დაკრძალვაზე (1940 წლის 21 ნოემბერს) თსუ შრომები, ტ. IX, 1941, გვ. XV—XVII.

104. შანიძე, ა. აკად. ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების პირველი წლისთავისათვის, ენიმკის მოამბე, ტ. XIII, 1943, გვ. 267—271.

106. შანიძე, ა. თბილისის უნივერსიტეტის ორგანიზატორი (ივ. ჯავახიშვილი). ახალგაზრდა სტალინელი, 1958, 22 თებერვალი.

108. შენგელაია, დ. ქართველთა ისტორიის გარიჟრაჟზე (ივ. ჯავახიშვილის ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წ. I. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, რედ. გ. ჩიტაია, თბ., საქ. მეც. აკადემიის გამ-ბა, 1950, რეცენზია) ლიტერატურა და ხელოვნება, 1951, 4 იანვარი.

107. შეშაბერიძე, ს. ი. ი. ჯავახიშვილი (დაბადების 80 წლისთავის გამო) გამარჯვება (ახმეტა) 1956, 25 აპრილი.

108. ჩაკვეტაძე, დ. წიგნი დიდ ქართველ ისტორიკოსზე. (დ. გერიტიშვილი, ქართლის ცხოვრების მესაიდუმლე ივ. ჯავახიშვილი. თბ., „ნაკადული", 1960. რეცენზია). ცისკარი, 1960, № 8, გვ. 143—144.

100. ჩიტაია, გ. აკად. ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების პირველი წლისთავისათვის, ენიმკის მოამბე, ტ. XIII, გვ. 279—282.

110. ჩიტაია, გ. დიდი ქართველი მეცნიერი. (ი. ა. ჯავახიშვილის გარდაცვალების 15 წლისთავის გამო), კომუნისტი, 1955, 22 ნოემბერი.

111. ჩიქოვანი, ს. გაწყვეტილი სიტყვა (ლექსი), (ივანე ჯავახიშვილის ხსოვნას), თბილისის უნივერსიტეტი, 1963, 28 მარტი.

112. ჩუბინაშვილი, გ. აკად. ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების პირველი წლისთავისათვის, ენიმკის მოამბე, ტ. XIII, 1943, გვ. 271—277.

113. ჩუბინაშვილი, გ. ივანე ჯავახიშვილი (1876—1940). (გარდაცვალების 3 წლისთავის შესრულების გამო). მნათობი, 1943, № 11—12, გვ. 207—214.

114. ცაიშვილი, ს. ნარკვევები ქართული კულტურის ისტორიიდან (ი. ჯავახიშვილი ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., საქ. მეც. აკადემიის გამ-ბა, 1956, რეცენზია), სახალხო განათლება, 30 მაისი.

115. ძნელაძე, ნ. გამოჩენილი საბჭოთა ისტორიკოსი მკვლევარი. (ი. ჯავახიშვილი). კომუნისტური შრომა (ლანჩხუთი), 1966, 23 აპრილი.

116. ხანთაძე, შ. დიდი ქართველი მეცნიერი (ივ. ჯავახიშვილი). ახალგაზრდა სტალინელი, 1952, 9 დეკემბერი.

117. ხელნაწერთა ინსტიტუტის II სამეცნიერო სესია მიძღვნილი აკად. ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების 20 წლისთავისადმი. 1960 წლის 18, 19 ნოემბერს,

მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. თბ. საქ. მეც. აკადემიის გამ-ბა. 1960, გვ. 93.

118. ჯავახიშვილი, ი. ივ. ჯავახიშვილის უცნობი წერილები (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ურთიერთობის საკითხებზე) შ. გოზალიშვილის პუბლიკაცია, ახალგაზრდა კომუნისტი, 1966, 23 აპრილი.

119. ჯავახიშვილი, ნ. სახელოვანი მეგობრობა (ზ. ფალიაშვილსა და ი. ჯავახიშვილს შორის). დროშა 1953, № 5, გვ. 14— 15.

120. ჯამბურია, გ. იუანე ჯავახიშვილი, (დაბადების 90 წლისთავისათვის). საქართველოს ქალი, 1966, № 4, გვ. 19.

121. ჯანელიძე, დ. ივ. ჯავახიშვილის ერთ-ერთი უკანასკნელი შრომის მნიშვნელობა ქართული თეატრის ისტორიისათვის (ივ. ჯავახიშვილი — „ქართული მუსიკის ძირითადი საკითხები", თბ., „ფედერაცია", 1938). მნათობი, 1946, № 4, გვ. 145—154.

122. ჯანჯალია, პ. გამოჩენილი ქართველი მეცნიერი. (ი. ჯავახიშვილი) განახლებული აბაშა, 1966, 26 აპრილი.

123. ჯორბენაძე, ხ. იუანე ჯავახიშვილის მოქალაქეობრივი გმირობა. უნივერსიტეტის 50 წლისთავის შესახვედრად. თბილისის უნივერსიტეტი, 1965, 17 დეკემბერი.

124. ჯორბენაძე, ხ. პირველი ლექცია თბილისის უნივერსიტეტში (წაკითხული ი. ჯავახიშვილის მიერ). თბილისის უნივერსიტეტი. 1966, 18 თებერვალი.

125. რატიანი, პ. ივ. ჯავახიშვილის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისა და განვითარების საკითხისათვის, ქართული ისტორიოგრაფია I, 1968.

126. რატიანი, პ. ივ. ჯავახიშვილი და საქართველოს ახალი ისტორიის ზოგიერთი საკითხი, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. III, 1958.

127. გვრიტიშვილი, დ. ქართლის ცხოვრების შესაიდუმლე, „თბილისის უნივერსიტეტი", 1968, 19 აპრილი.

128. თაყაიშვილი, ე. ფასდაუდებელი ღვაწლი, „თბილისის უნივერსიტეტი", 1968, 19 აპრილი.

129. მესხია, შ. შესანიშნავი პედაგოგი, „თბილისის უნივერსიტეტი", 1968, 19 აპრილი.

130. დონდუა, ვ. ივ. ჯავახიშვილის ერთი კერძო წერილი, „თბილისის უნივერსიტეტი", 1968, 19 აპრილი.

131. ცხაკაია, ქს. დაუვიწყარი შეხვედრები, „თბილისის უნივერსიტეტი", 1968, 19 აპრილი.

132. მელიქიშვილი, გ. მაღალი ტალანტი, „თბილისის უნივერსიტეტი“, 1968, 19 აპრილი.

133. ჯავახიშვილი, ივ. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1920—1921 სასწავლო წლის ხარჯთაღრიცხვის განმარტებითი მოხსენება, „თბილისის უნივერსიტეტი“, 1968, 19 აპრილი.

134. ჯორბენაძე, ს. ივანე ჯავახიშვილის სარედაქტორო მოღვაწეობიდან, „თბილისის უნივერსიტეტი“, 1968, 19 აპრილი.

რუსულ ენაზე

135. **Абашидзе, А.** И. А. Джавахишвили (к 5-ой годовщине со дня смерти). Заря Востока, 1945, 20 ноября.

136. **Ардишвили, Л.** Родоначальник третьего поколения. (К 90-летию со дня рождения И. А. Джавахишвили). Молодежь Грузии, 1966, 23 апреля.

137. **Бахтадзе, В.** Рассказ о выдающемся советском историке. (Д. Гвритишвили, акад. И. Джавахишвили, Тб., Детиздат, 1949, рецензия). Заря Востока, 1950, 27 августа.

138. **Джамбурия, Г.** Большой ученый (К 90-летию со дня рождения акад. И. Джавахишвили), Веч. Тбилиси, 1966, 23 апреля.

139. **Джанашиа, С. Н.** Иван Александрович Джавахишвили, Сообщения грузинского филиала Академии Наук СССР, том. I, № 9, 1940, стр. 641—646.

140. **Джанашиа, С. Н.** Иван Александрович Джавахишвили (1876—1940 некролог). Вестник Академии Наук СССР, 1941, № 1, стр. 68—70.

141. **Дондуа, В.** Крупный вклад в историческую науку. (Лауреат сталинской премии И. А. Джавахишвили). Заря Востока, 1947, 19 апреля, Правда, 1947, 12 апреля.

142. **Дондуа, В.** Летописец земли грузинской (к 85-летию со дня рождения И. А. Джавахишвили). Заря Востока, 1961, 23 апреля.

143. **Киквидзе, А.** Акад. И. А. Джавахишвили (некролог). Историк марксист, 1941, № 1, стр. 157—158.

144. **Ломоури, Н.** Блестящий исследователь, замечательный гражданин (И. А. Джавахишвили), Веч. Тбилиси, 1960, 31 мая.

145. Ломоури, Н. Выдающийся грузинский ученый (К 15-летию со дня смерти И. А. Джавахишвили). Заря Востока, 1955, 22 ноября.

146. Ломтатидзе, Г. Академик И. А. Джавахишвили. (К 90-летию со дня рождения). Литературная Грузия, 1966, № 5, стр. 47—57.

147. Маградзе, А. Выдающийся деятель Советской науки. (К 70-летию со дня рождения И. А. Джавахишвили). Заря Востока, 1946. 23 апреля.

148. Николайшвили, Н. Выдающийся ученый. (10 лет со дня смерти И. А. Джавахишвили), Советская Абхазия, 1950, 24 ноября.

149. Открытие памятника академику И. А. Джавахишвили, Заря Востока, 1953, 11 апреля.

150. Памяти академика И. А. Джавахишвили, Заря Востока, 1950, 17 ноября.

151. Памяти И. А. Джавахишвили. (Заседание Академии Наук Груз. ССР, посвященное годовщине со дня смерти И. А. Джавахишвили), Заря Востока, 1941, 21 ноября.

152. Руруа, И. Выдающийся советский историк (К 10-летию со дня смерти И. А. Джавахишвили). Батумский рабочий, 1950, 18 ноября.

153. Читая, Г. Гордость грузинской науки (К 90-летию со дня рождения И. А. Джавахишвили). Заря Востока, 1966, 21 апреля.

154. Чхетия, Ш. Академик И. А. Джавахишвили (К 85-летию со дня рождения). Советская Абхазия, 1961, 28 апреля.

155. Чхетия, Ш. Гражданин и ученый (85 лет со дня рождения И. А. Джавахишвили). Молодой Сталинец, 1961, 25 апреля.

156. Шанидзе, А. Выдающийся деятель Советской науки. (К 10-летию со дня смерти И. А. Джавахишвили), Заря Востока, 1950, 18 ноября.

საძიებლები

ა. პირთა სახელების

ა

აბო თბილელი 45.
აბულაძე ილია 48, 116, 158.
ათონელი გიორგი, იხ. მთაწმინდელი გიორგი.
ათონელი ექვთიმე, იხ. მთაწმინდელი ექვთიმე.
ათონელი იოანე, იხ. მთაწმინდელი იოანე.
ალექსანდრე პირველი 83, 84, 180.
ამარტოლი არსენ 64, 192.
ანტონ პირველი 143.
არიანე 63.
არსენ კათალიკოსი 50, 51.
აღბუღა 111.
აღნიაშვილი ლადო 6.
ასფაგურ პიტიახში 97.
ახვლედიანი გიორგი 35.

ბ

ბაგრატ III 125, 145, 181.
ბაგრატ IV 127, 128, 162, 180.
ბაგრატიონი ბაგრატ 65.
ბაგრატიონი დავით 65, 112.
ბაგრატიონი ვახტანგ 112.
ბაგრატიონი ვახუშტი 44, 56, 65, 86, 91, 103, 106, 112, 184, 185, 190.
ბაგრატიონი იოანე 185, 112.
ბაგრატიონ-მუხრანსკი 112.
ბაიერნი 92.
ბარათოვი სულხან 65.
ბარამიძე ალექსანდრე 153, 155.
ბარტოლდი 3, 18.
ბაქრაძე დიმიტრი 65, 66, 112.
ბერძენიშვილი ნიკო 35, 41, 192, 193.
ბექა 111.
ბოკლი 5.
ბროსე მარი 65, 112.
ბრუნერი 14.

გ

გიორგი ბრწყინვალე 55, 82, 111, 161.
გიორგი III 145.
გიორგი VIII 84.
გიორგი რუსი 148.
გოგიჩაიშვილი-ფილიპე 35, 197.
გორგიჯანიძე ფარსადან 65.
გორგაძე სერგი 48.
გარდტპაუზენი 58.

გრენი ა. 153, 155.
გრუზინსკი მ. 197.

დ

დადიანი ნიკო 65.
დავით აღმაშენებელი 14, 43, 64, 78, 79, 89, 124, 129, 180.
დავით კონსტანტინეს ძე 85.
დავით ნარინი 148.
დეკაპრელევიჩი 107.

ე

ეგნატაშვილი ბერი 63.
ევსტატე მცხეთელი 15, 48.
ეზოსმოძღვარი ბასილი 40, 64.
ეფრემ მცირე 25, 43, 53, 54, 64, 130, 152, 153.

ვ

ვახვახიშვილი ათანასე 3.
ვახვახიშვილი სოფიო 3.
ვახტანგ VI 13, 65, 111, 147, 148, 150, 151.
ვესელოვსკი 10.

ზ

ზარზმელი ბასილ 43, 51, 52, 64.
ზარზმელი სერაპიონ 52.
ზაქარია ყაზვინი 186.

თ

თაქდგირიძე ნ. 194, 195.
თამარ მეფე 14, 40, 43, 44, 50, 64, 74, 89, 145, 146, 148, 150.
თარხნიშვილი ივანე 11.
თაყაიშვილი ეკვთიმე 197.
თეძურ ლენგი 82, 83, 177.
თუხარელი საბა 53.

ი

იესე ოსესძე 182.
ინგოროყვა პაულე 147, 153.
იოანე ზოსიმე 16.
იოანე კვირიკე 54.
იოსელიანი პლატონ 65.

კ

კაეკასიძეები 8.
კაკაბაძე სარგის 155.
კალანდაძე ალექსანდრე 96.
კეკელიძე კორნელი 35, 58, 153, 154, 155.
კეცხოველი ნიკო 35, 99, 107.
კოკოცოვი 10.
კონდაკოვი 27, 28.
კორიუნი 58.
კრუკოვსკი 71.
კრუმბახერი 14, 118.

ლ

ლაზარე პორფელი 17.
ლამპრეხთი 14.
ლაშა გიორგი 40, 55, 64.
ლენინი 203.
ლორთქიფანიძე ი. 197.

მ

მამაცაშვილი იოსებ 5, 7.
მამაცაშვილი ქრისტეფორე 5, 7.

ჰარი ნიკო 9, 10, 12, 13, 15, 16, 18, 49, 65. 70, 79, 149, 150, 151, 153, 155, 194, 195.
მაყაშვილი კოტე 3, 5, 7.
მგალობლიშვილი სოფრომ 6.
მეგრელიძე დარეჯან 116.
მელიქიშვილი პეტრე 36, 199, 200.
მენაბდე 107.
მერჩულე გიორგი 51, 52, 64.
მესროპი 58.
მთაწმინდელი გიორგი 25, 43, 52, 53, 63, 64, 78, 127, 128, 129, 130, 152.
მთაწმინდელი ექვთიმე 25, 52, 63, 78, 131, 152, 153.
მთაწმინდელი იოანე 25, 52, 64.
მირიანი 162.
მრეველი ლეონტი 58, 64, 71, 72, 87, 88.
მტბევარი სტეფანე 51, 52.
მუსხელიშვილი ლევან 94.

ნ

ნიკოლაძე ნიკო 196.
ნიკოლაძე იაკობ 35.
ნიკოლოზ კათოლიკოსი 137, 138, 139, 140, 141.
ნიორაძე გიორგი 71, 96, 98.
ნიქარაძე ივანე 4. 5. 7, 11, 14.
ნიქარაძე თევდორე 4.
ნუცუბიძე შალვა 196.

ო

ორბელიანი ალექსანდრე 65.
ორბელიანი პაპუნა 65.
ორბელიანი სტეფანოზ 16.
ორბელიანი სულხან-საბა 134, 176.

პ

პეტრიწონელი იოანე 25, 53.
პლატონოვი 10.
პლინიუსი 63.
პოლიევქტოვი მიხეილ. 62.
პტოლემაეოსი 63.

ჟ

ჟამთა აღმწერელი 55, 64, 155.
ჟორდანია თედო 50, 123.
ჟუკოვსკი 10.

რ

როზენი 3.
როსტომ მეფე 170.
რუსა 83.
რუსთაველი შოთა 94, 142, 143, 144, 145. 146, 147, 148, 149, 150, 151, 152, 169. 204.
რუსუდან მეფე 148.

ს

საბანისძე იოანე 45, 50, 64, 75.
საბინინი მიხეილ 48.
სტალინი იოსებ 33, 191.
სტრაბონი 63. 73, 104, 105, 121.
სტოლიპინი 28.

ტ

ტბელი ანტონ 54.

უ

უვაროვა 27, 28.
უზნაძე დიმიტრი 35.

ფ

ფავსტოს ბიზანტიელი 17.
ფარნავაზი 58.
ფონდოევი გიორგი 5.
ფრანცისკე 130.
ფრონელი ალექსანდრე 25.
ფურცელაძე დ. 112.

უ

უაუხჩიშვილი სიმონ 5, 13, 14, 16, 17, 18, 35, 82, 116, 117, 125.
უიფშიძე ალ. 194, 195.
უიფშიძე იოსებ 199.
უუთლუ არსლანი 79.

შ

შავთელი 169, 180.
შანიძე აკაკი 14, 21, 22, 24, 33, 35, 210.
შაქ-აბასი 85.
შმიდტი 71.
შრადერი 26.
შულცე 15.
შუპართი 14.

ჩ

ჩახრუხაძე 151
ჩუბინაშვილი გიორგი 94.
ჩიტაია გიორგი 104, 116.

ც

ცაგარელი ალექსანდრე 9, 10, 13, 65.
ცურტაველი იაკობ 43, 45, 48, 138.

წ

წილოსანი 94.

ხ

ჰაქაევაძე ალექსანდრე 65.
ჰაქაევაძე ილია 19, 68, 99, 100.
ჰაქაევაძე კონსტანტინე 147.

ხ

ხანძთელი გრიგოლ 51, 76.
ხაკაპურიძე გიორგი 35.
ხახანაშვილი ალექსანდრე 65.
ხერხეულიძე ომან 45, 65, 138.
ხიზანიშვილი ნიკო 112.
ხუცესმონაზონი გიორგი 43, 44, 52.

ჯ

ჯაველიშვილი ალექსანდრე 3, 4, 34, 36, 82.
ჯაველიშვილი ანასტასია 36.
ჯაველიშვილი გიორგი 4.
ჯაველიშვილი დათა 5.
ჯაველიშვილი ივანე 3—22, 24—210.
ჯაველიშვილი მარიამ 5, 7.
ჯაველიშვილი მიშა 5.
ჯაველიშვილი ნათელა 34, 116.
ჯანაშია სიმონ 29, 35, 37, 38, 39, 61, 62, 72, 93, 96, 114.
ჯანაშვილი მოსე 42, 199, 200.
ჯანელიძე ალექსანდრე 35.
ჯორბენაძე სერგო 142.
ჯუანშერი 64.

ჰ

ჰარნაკი 14, 15, 48.
ჰორტეისი 110.

ბ. გეოგრაფიულ სახელთა

ა

აბოცი 91.
ავსტრია 110.
აზერბაიჯანი 131.
აზია 77.
ამიერკავკასია 11, 89, 109.
ანისი 17, 124.
არაბეთი 15, 113.
არზრუმი 131, 146.
არმაზხევი 95, 96, 97, 98.
არტაანი 91.
ასურეთი 25, 26.
ატენი 162, 163.
აფხაზეთი 75, 87, 89, 90.
აღსტაფა 90.
ახალქალაქი 7.
ახოტის კარი 90.

ბ

ბაქო 206.
ბებრისციხე 96.
ბედია 78.
ბელგია 110.
ბერლინი13, 14, 15, 21, 48.
ბიზანტია 14, 27, 59, 76, 82, 113, 118, 130.
ბოლნისი 94.
ბოპორმა 78.
ბრიუსელი 21.

გ

განჯა 91, 109, 124.
გარდაბანი 90.
გეგუთი 94.
გილანი 131.
გიში 90.
გერმანია 14, 48, 59.
გორი 3, 6.
გრაკალი 7.

დ

დარუბანდი 146.
დაღესტანი 90.
დაღესტნის მთები 90.
დმანისი 94.
დუალეთი 90.
დორპატი 14, 21.

ე

ეგრისი 87, 88.
ევროპა 14, 15, 26, 76, 78, 79, 110, 118, 119, 120, 122, 123, 124, 130.
ერევანი 206.
ერზინჯანი 131.
ზამბაკის მთები 91.
ზემო ქართლი 91.

თ

თბილისი 4, 9, 13, 18, 20, 23, 24, 26, 30, 34, 35, 36,41, 57, 62, 91, 97, 113, 194, 196, 197, 200, 203.
თბილისის მთები 75.
თორთუმი 91.
თრუსო 90.

ი

იაიაროსლაველი 21.
იბერია 73, 96, 97, 105, 121.
იმიერკავკასია 110.

ინგლისი 110.
ირანი 83, 131.
ისპირი 91.
იტალია 59.

კ

კავკასია70, 92, 131, 204, 206.
კავკასიის მთაეარი ქედი 90.
კავკასიონი 89.
კახეთი 75, 81, 87, 126.
კენიგსბერგი 12.
კერასუნტი 110.
კიევი 21.
კლარჯეთი 91.
კოლხეთი 33, 105.
კოლა 91.
კონსტანტინეპოლი 82.
კუხეთი 87, 88.

ლ

ლაიფციგი 21.
ლენინგრადი 11.
ლიეეი 21.

მ

მახლობელი აღმოსაელეთი 70,130, 132.
მესხეთი 91.
მკედრეთი 96.
მონპელიე 21.
მოსკოვი 21.
მცირე აზია 79.
მცხეთა 92, 95, 96, 97, 98.
მყინეარის კაეკასი 90.

ნ

ნიკოფსი 146.

ო

ოდესა 21.
ოლთისი 91.
ოსმალეთი 82.

პ

პარიზი 21.
პეტერბურგი 9, 11, 15, 22, 24, 26, 116, 117, 196.

რ

რამტერი 146.
რაჭა 90, 206.
რომი 74, 130.
რუსეთი 9, 11, 20, 28, 30, 67, 196, 198, 206.

ს

სამთაეისი 78.
სამთაერო 92, 96.
სამცხე 91.
საფარა 27.
საფრანგეთი 59.
საქართეელო 5—10. 13—15, 17—21, 24—26, 28—31, 34—41, 43, 45, 46, 49, 50, 55, 56, 59, 61, 62, 65, 68, 70, 71, 73—84, 86—91, 93, 94, 96—100, 103—109, 111, 113—115, 117, 120—128, 130, 131. 132, 135, 142, 149, 158, 160, 162, 165, 166, 170. 173, 177, 178, 179, 186, 187, 191, 192. 201—205. 207.
სეანეთი 89.
სინას მთა 15, 16, 25.
სიღნაღი 3.
სომხეთი 9. 14, 17. 30, 59, 109. 113,

117, 120, 123, 124.
სპარსეთი 59, 74, 113, 146, 151.

ტ

ტაო 91.
ტაო-კლარჯეთი 52, 75, 76, 88.
ტვიროსი 72.
ტომსკი 21.
ტრაპიზონი 91.
ტუაფსე 89.

უ

უნგრეთი 110.

ქ

ქალდეა 71.
ქართლი 87, 88, 103, 115, 150.
ქვემო ქართლი 90, 91.
ქუთაისი 13, 23, 24, 78, 197.

ყ

ყაზანი 21.
ყაზახი 91.
ყაზვინი 146.

შ

შამქორი 91.
შამშადილო 91.
შატბერდი 51.
შაქი 90.
შტირია 110.

ჩ

ჩრდილოეთ კავკასია 131, 146.

წ

წინააზია 78.

ჭ

ჭანეთი 91.

ხ

ხარკოვი 21.
ხანძთა 51.
ხევი 90.
ხოვლე 7.
ხუნანი 90.

ჯ

ჯაყეთი 91.
ჯარიახის ხეობა 90.
ჯიქეთი 89.

ჰ

ჰერეთი 90, 91.

რედაქტორი ნ. ლომოური
.ვამომც. რედაქტორი ნ. ქართველიშვილი
მხატვარი ჯ. ყავლაშვილი
მხატვ. რედაქტორი შ. დოლიძე
ტექრედაქტორი ბ. ასათიანი
კორექტორი ი. .უშველიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/VIII-68 წ.
ქაღალდის ზომა 60×84¹/₁₆
ნაბეჭდი თაბახი 15,25
საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 12
უე. 00300 ტირაჟი 10.000
ფასი 1 მან. 16 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული", მარჯანიშვილის ქ. № 5
Изд. «Накадули», ул. Марджанишвили № 5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის საბელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფიწარეწველობის სტამბა № 2, „ნაკადული". თბილისი. ფურცელაძის ქ. № 5

Типография № 2, «Накадули», Главполиграфпрома Государственного Комитета Совета Министров Грузинской ССР по печати, Тбилиси, ул. Пурцеладзе № 5